საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

ალ. ასათიანი

ძველი და ახალი მემარცხენეობა

წიგნი I

გამომცემლობა „საქართველო“ ვალანტინეი.

1928 წ.

შესავალი

ვინ იცის რას გვეტყვის საბოლოოდ ძველი ქალდეის, ასურეთის და ხეთის სამკვიდროთა გულიდან ამოკრეფილი ნაშთხი? არის თუ არა ჩვენი ერი დროთა ბრუნვას გადარჩენილი ნაწილი და შტო იმ ხალხისა, რომელმაც პირველი საძირკველი ჩაუდგა უძველეს ცივილიზაციას?

სიბნელით არის მოცული შორეული ჩვენი წარსული და ის გრძელი გზა, რომელიც განვლო ჩვენმა ერმა მრავალ საუკუნეთა გასწვრივ. თვით ისტორიული ხანაც ჩვენი ცხოვრებისა ბევრგან არის ბინდ გადაკრული. მაგრამ ის, რაც სჩანს ნათლად ჩვენს მატიანეში, რასაც ჩვენ ვხედავთ არსობრივს და სხეულებრივს წარსულის ნაშთებს, საუკუნოების მიერ გარიგებულს ჩვენს მიწა-წყალზედ, დროთა ყამისაგან დაქცეულსა, თუ შებრალებულს, მტკიცედ გვარწმუნებს, რომ უმაგალითო იყო ქართლის ბედი. დიდი ილია ჭეშმარიტებას ღაღადებს, როდესაც საქართველოს მიმართავს შემდეგის სიტყვებით:

«ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად
დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!...
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო
და წამებულო
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს
უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთა ბრძოლა
მედგარი,

გამოევლოს და სრულიად მტვრად არ
აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!... მაგალითი სხვა
არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ
შესძლებიყოს»-

მომჩენი ამბობს, რომ ძველს დროში უდიდეს დამპყრობ მეფეებს მამაცი ქართველები უდებდენ საზღვარს კავკასიაში. კვიროსი დიდი და ალექსანდრე მაკედონელი ქართველებმა შეაჩერესო.

ამის შემდგომ ხომ ჩვენი მატიანე დაუსრულებელს ბრძოლებს წარმოადგენს აღმოსავლეთიდან მრავალჯერ გამოლაშქარებულ ხალხთა წინააღმდეგ. დასავლეთის ქვეყნების ისტორია იცნობს იმ ამხედრებებს, რომელთაც დაამარცხეს ქართველების წინააღმდეგობა და კავკასიონი გადალახეს. ხოლო არავის აგონდება მრავალი სხვა, რომელნიც კავკასიის მთა-ველებში იქმნენ შეჩერებული და საზღვარ დადებული.

და საქართველოს ასეთი როლი დავიწყებულია. არავინ ჰფიქრობს იმახედ, თუ როგორი იქნებოდა ეხლანდელი სახე დასავლეთისა, უკეთუ ქართველი ერი არ ყოფილიყო მუდმივ დარაჯად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყელზედ.

ჩვენი ერი მსხვერპლი გახდა ასეთი გეოგრაფიული მდგომარეობისა. უდავოა, რომ სულ სხვა სახე ექნებოდა ჩვენს წარსულსა და აწმყოს, უკეთუ ჩვენს ერს აღმოსავლეთ-დასავლეთის ხიდზედ დარაჯობა კი არ ჰქონოდა მიკუთნებული ბედის მიერ, არამედ ცხოვრება და განვითარება ისეთს მიწა-წყალზედ, რომელიც გახსნილი იქნებოდა ხალხთა მშვიდობიან ურთიერთობისათვის, ხოლო დაცილებული ხალხთა ლაშქრობათა გზებს. საბერძნეთი და რომი ასეთს მიწა-წყალზედ მშვიდობიანი აღებ-მიცემობით მდიდრდებოდენ, გალაღებულს ცხოვ-

რებაში უმდიდრესს სულიერ კულტურას ჰქმნიდენ და გადარჩენილ ენერგიას მბედრულ საქმეს ანდომებდენ, რომ დაემკვიდრებიათ თავიანთი სახელი და გავლენა სხვა ქვეყნებში.

ჩვენი ერის სხეულებრივი ძალა, თუ სულიერი ნიჭი და შემოქმედება თითქმის სავსებით ეწირებოდა საზრდოს მოპოვებას და გარეშე მტერთაგან თავდაცვისათვის ბრძოლებს. იშვიათად გამოერეოდა მშვიდობიანი ცხოვრების ხან-მოკლე დრო. ხოლო როცა ასეთი ხანა დადგებოდა, მუდმივ ომებისაგან შესვენებული ეროვნული ძალა მშვიდობიან ასპარეზებს მიაშურებდა. შენდებოდა ის ისტორიული ძეგლები რომელნიც სავსებით ვერ აღგვა მიწის პირიდან განვლილ საუკუნეებმა, და ჩვენამდე აღწევენ. მაშინ შლიდა ფრთას ქართველი ერის კულტურული შემოქმედება და იქმნებოდა მრავალი სულიერი საგანძური. ჩვენი ისტორიის უფრო ბნელი საუკუნეები ასეთს სულიერ მემკვიდრეობასაც ვერ ჰგუობდა. წიგნთ-საცავეები იძარცვებოდა, ხელოვნების ნაწარმოებნი უცხოეთში იზიდებოდა, აკადემიები ისურებოდა. ტაბიტისა და ჰეროდოტეს დროს, რომ კოშკები და სასახლეები იყო ჩვენს ქვეყანაში, იმის მსგავსი შემდეგ იშვიათად შენდებოდა. უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა სულ თავი გაანება მკვიდრ და საფუძვლიან შენობათა აგებას. სულ ერთია, მათ ხანგრძლივი არსებობა არ ეწერა. ორიოდე ათეულ წლის განმავლობაში უთუოდ მტერს უნდა აეკლო და დაექცია.

უნდა გვიკვირდეს, რომ საბედნიეროთ ჩვენი ერი გადარჩა ამ უმაგალითო დროთა ტრიალს და აქამომდე სული მოიტანა. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, რომ მან ეხლანდელ დროს მოაღწია არა მხოლოდ დამსხვრეული შუბით ხელში, არამედ კულტურულანი ერის სახით, მრავალი სულიერი ღირებულებით.

ჩვენი ისტორიის ასეთი მსვლელობა შეწყდა გა-

სული საუკუნის დასაწყისს. რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულობის დარღვევამ და საქართველოს სახელმწიფოებრივობის იძულებით გაუქმებამ სრულიად ახალი მიმართულება მისცა ჩვენს ცხოვრებას. მართალია, რუსეთის ბატონობის ხანა გაცილებით მეტ მუდმივობას და მშვიდობიანობას ანიჭებს ქართველ ერს წარსულ საუკუნეებთან შედარებით, მაგრამ ეს მშვიდობიანობა მას მეტად ძვირად უჯდება, რუსეთის პოლიტიკა იღწვის ქართველი ხალხის ყველა ეროვნულ სახიერების განადგურებისათვის. ქართველი ერი დაუძლურებულია წარსულ საუკუნეთა გასწვრივ ნაწარმოებ მუდმივ ბრძოლებით, მაგრამ ის მაინც კვლავ ცოცხალია და ძალას იკრებს თავდაცვისათვის და განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოებისათვის. ამ რიგად ძველი «ქართლის ცხოვრების» ფურცლების დახურვის შემდეგ ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში შეიქრა მრავალი ახალი ვითარება. აქ არის არა მარტო ქართული ეროვნული მეობის გაუქმებისათვის მუდმივი და დაჟინებითი მუშაობა რუსეთის მიერ, და ამის წინააღმდეგ თავდაცვა ქართველი ერის მხრივ, არამედ კიდევ ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გარდატეხა ქართველი ერის ცხოვრებაში—ძველი მხედრულ-პატრიარქული წყობილების გაუქმება და მისი შენება მოქალაქობრივ ურთიერთობის საფუძვლებზედ. ეხლანდელი საუკუნის დასაწყისიდან კიდევ ამას დაერთო სულ ოცდაოდე წლის მანძილზედ ორი დიდი ომი და სამი დიდი რევოლიუცია, რუსეთის იმპერიის დამხობა და მოკლე ხნით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღდგენა, შემდეგ მისი ხელმეორედ დაპყრობა რუსეთის მიერ და ახალი ბრძოლები თავისუფალი სახელმწიფოებრივობის აღდგენისათვის.

ჩვენ არ მოგვეპოება ამ მოვლენათა ისეთი აღწერანი, რომელიც, ვახუშტის სიტყვით რომ ვსთქვათ, «მოგვცემენ ნაყოფს ყამისასა და მოგვანიჭებს ყოველთა წინა-

თქმულთა ცნობასა, ხელოვნებასა და გამოცდილებასა».

ამა წიგნის დამწერს არ აქვს ასეთი ისტორიის დაწერის განზრახვა, თუმცა ის ნათლად ხედავს მის უაღრესს საჭიროებას ყველა ჩვენს წინაშე აღძრულ საკითხების საფუძვლიანად გარკვევისა და გადაჭრისათვის.

გამოსაცემად ნაგულისხმევ წიგნაკებში დამწერს განზრახული აქვს განხილვა ზოგიერთი მთავარი კითხვებისა. რომელნიც ჩვენი ისტორიის ახალმა ხანამ წარმოშვა.

ხოლო მათი განხილვა განყენებული დოგმებისა და უცხო ქვეყნების მაგალითების მიხედვით, როგორც ეს ჩვენში სწარმოებს კარგა ხანია, არ არის სწორი და მიზანშეწონილი. როგორც ეს საყოველთაოდ არის მიღებული, საზოგადოებრივი საკითხების განხილვის დროს საჭიროა არსებული ვითარების გარკვევა, დაკავშირებით და ანგარიშის გაწევით, არა მარტო იმ წარსულისა, რომელსაც კიდევ შერჩენია აწმყოსთან სხეულებრივი დამოკიდებულება, არამედ უფრო შორეული დროისაც. წარსული მხოლოდ შედარებით არის წარსული. სავსებით მოწყვეტილი აწმყო ცხოვრებასთან ის ვერ იქნება, სანამ არსებობს ის არსი, რომელმაც ეს წარსული გზა გაიარა. «ქართლის ცხოვრების» საქართველო ჩვენთვის წარსულია და ამჟამად არ არსებულიც. მაგრამ მის მიმდინარეობაში ჩვენი ერის მიერ განაცადი ჭირი და ლხინი ჩაქსოვილია ჩვენს ზნე ჩვეულებასა, ხასიათსა, ზრახვებსა და აზროვნებაში. და ჩვენც არასოდეს არ უნდა დავკარგოთ ის მხედველობიდან თანამედროვე კითხვების გარჩევის დროს.

საქართველოს რუსეთთან დაახლოვება
და
მისი სახელმწიფოებრივობის
დაცვა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მხოლოდ პეტრე დიდის დროს ხდება ხორცშესხმული პოლიტიკის საგნად. ამ მეფეს ინდოეთისაკენ გალაშქრების გეგმა ჰქონდა შედგენილი და ამ მიმართულებით გზებს იკაფავდა. ეკატერინე მეორეც ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა ამ „აღმოსავლეთის" გეგმის. უკრაინის შემოერთება, ყირიმის დაპყრობა, ჩრდილო კავკასიის საზღვარზედ რუსულ ახალშენების მოწყობა, ჩრდილო-კავკასიის ერებთან მუდმივი ურთიერთობის დაპერა, ხან საომარი და ხან საზავო, რუსეთის პოლიტიკას უახლოვებს კავკასიას და მის შუაგულს, საქართველოს.

ინდოეთისაკენ გალაშქრების გეგმისათვის კავკასიის მნიშვნელობა სავსებით შეგნებული ჰქონდათ რუსეთის მეფეებს. კავკასიის შუაგულს წარმოადგენს ქრისტიანული სამეფო, საქართველო. ნათელია, რომ რუსეთს სხვა გეგმა არ ექნებოდა იქიდანვე საქართველოს მიმართ, თუ არა მისი ბრძა იარაღად გახდენა ამ თავის გეგმის განხორციელებისათვის, ან და მისი ხელში ჩაგდება, და მით მთელი კავკასიის დამორჩილება.

1720წ. პეტრე დიდი არწმუნებს მეფე ვახტანგ მეექვსეს, რომ ის იწყებს დიდს გალაშქრებას სპარსეთზედ და თუ დამეხმარები, სამუდამოდ დახსნილი იქნები სპარსეთის საფრთხისაგანო.

როგორც დ. გურამიშვილი სწერს: „ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა - მოდი მიგიჩნევ მამადო... გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო და მერე შენს მტერზე მოგიძღვეო“.

ვახტანგი თანხმდება. 1722 წ. პეტრე კვლავ უთვლის ვახტანგს - მალე სპარსეთს დავეცემიო; მანამ შენ ლეკებს დაეპი, შემდეგ სპარსეთს შეეხიე და იქ დამიცადეო (ბუტკოვი, მასალები კავკ. ახალი ისტ. ტ. I გვ 19).

ვახტანგ მეექვსე 40 000 ჯარით ილაშქრიბს, რაც დაუყონებლივ ეცნობა პეტრეს. ისიც დაიძვრის, მაგრამ არა სპარსეთისაკენ, არამედ უკან, ასტრახანისკენ.

ვახტანგი უცდიდა რუსის ჯარს და, ს. ჩხეიძის სიტყვით უკვირდა, თუ „რატომ შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა“. პეტრემ დესპანი გამოუგზავნა ვახტანგს და ომის განგრძობას ურჩევდა. თუ გაიმარჯვე, დიდათ მოიგებ, რადგან ურწმუნოთა ბატონობისაგან განთავისუფლდებიო.

იმპერატორი ამასაც არ სჯერდება, და 1724 წ. ზავს ჰკრავს ოსმალეთან, რომელიც მეტად განრისხებული იყო რუსეთის სპარსეთისაკენ მიმართულ ლაშქრობებთ. რა უფლებით. ეს სხვა საკითხია, ხოლო ამ პირობის ძალით მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო. ვახტანგი იძულებული იყო თავის ლაშქრის ნაწილით რუსეთს გადახვწილიყო და პეტრე დიდს შესდგერისი თავშესაფარს მინიჭებაც კი არ სურდა.

აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთისა და სპარსეთის სათარეშო ხდება. სახელმწიფო მანქანა მთლად მოიშალა. „მსოფლიოდ ფრთხილი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წყალობით მეექვე თეიმურაზ მეორემ და ერეკლე მეორემ და მათმა ღირსეულმა თანამშრომელებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ გასაჭირიდან გადაარჩინეს, რომელშიც ივი პეტრე

დიდის გადამკიდე ჩ ,ვარდნილი იყო". (ივ. ჯავახიშვილი; «დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის»).

პეტრე დიდის ამბავი, ამა თუ იმ სახით, კვლავაც მეორდება. საქართველო ხშირად მიმართავს რუსეთს დახმარების თხოვნით. მუდამ ეარს ღებულობს, ან დაპირებას, რომელიც არასოდეს არ სრულდება. ხოლო როდესაც რუსეთი ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში ებმის, საქართველო საჭირო ხდება და მას სამუდამოდ გაბედნიერებას ჰპირდებიან. ასე ჩაითრიეს ირაკლი 1770 წ. ოსმალეთთან ომში. აწყურთან გაჩაღებული ომის დროს მიატოვა ბრძოლა რუსეთის სარდალმა ტოტლებენმა და თავის ჯარით უკან დაბრუნდა. რუსეთის ელჩი ლევოვი იმდენს ახერხებს, რომ ამის შემდეგაც. 1771 წ. ამხედრებს მეფე ირაკლის ოსმალეთის წინააღმდეგ და 1772 წ. კიდევ არ უსვენებს მას—„ერთსელ კვალად დაჰკარ ხვანთქრის მამულსაო". იმავე წელს რუსეთის ჯარი გაწვეულ იქმნა ოსმალეთთან ,ავის შეკვრის გამო და საქართველო კვლავ რჩება განრისხებულ მტრების პირისპირ მიტოვებული.

ჯარის ნაცვლად იგზავნება დიპლომატები, რომელნიც ურჩევენ მეფეს, რომ მან სთხოვოს რუსეთს საქართველოსთან ფორმალური ხელშეკრულების დადება მუდმივ მფარველობისა და დახმარების შესახებ.

ცხადია, რომ საქართველოს მეფეს ვერ წაახალისებდა ასეთს საქმეზედ რუსეთთან ურთიერთობის მაგალითები მთელი ნახევარი საუკუნის განსწვრივ. მაგრამ მას უთუოდ უფრო საიმედოთ ეჩვენებოდა ურთიერთობა, დამყარებული ორმაგ ხელშეკრულობაზედ, ვიდრე უბრალო შუამდგომლობა-დაპირებებზე, როგორც იყო წინეთ. საქართველოს გარემოცულობა იყო მძიმე და სხვა მიმართულებით მფარველობის ძიების გზებიც ნაცადი და მორებული. საბა სულხან-ორბელიანს და ბერ ნიკი-

ფორეს შემორებული ჰქონდათ რომი, პარიზი და ვენა. ყველგან დახმარებასა და მფარველობას ეძებდენ, მაგრამ თანაგრძნობის და კეთილი სურვილების მეტი ვერა მოიპოვეს რა.

თვით ერეკლეს ინგლისთან ჰქონდა ნაწარმოები ხანგრძლივი მოლაპარაკება ინდოეთში მყოფ სომეხ სოვდაგრების შუამავლობით. ვრცელი მოხსენებაც წარუდგინა ინგლისს; 5000 ჯარის კაცის შესანახი საღსარი აღმომიჩინეთ და ევროპიული წესით მოვაწყობ მისვლა-მოსვლას ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზედ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე; გავმართავ სადარაჯოებს და მუდმივ საფოსტო კავშირსაო. საქართველოსა და სომხეთს გავაერთებ და ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს შევქმნი მცირე აზიაშიო.

ყველა ასეთი ცდა და განზრახვები უშედეოდ ჩამოდგა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს გზები ევროპასთან გადაჭრილი იყო.

ევროპიულ და რუსულ ორიენტაციათა შორის ბრძოლა საქართველოში თანდათან უკანასკნელის სასარგებლოთ მიმდინარეობდა.

ერთმორწმუნე რუსეთი ყველასედ უფრო ახლო იყო და მასთან ურთი-ერთობა უფრო ხელმისაწდომი. რუსეთის ორიენტაციის საბოლოო გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს 1867 წ. როცა ინგლის-საფრანგეთს სწავლა მიღებულსა და ამ ქვეყნებთან დაახლოების მომხრეთა მეთაურს, პალტა ბატონიშვილს შეთქმულობის მზადების ბრალი დასდეს და სიკვდილით დასაჯეს.

ივ ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1783 წ. ხელშეკრულობას საქართველოსთვის სარგებლობა ორა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი. საქართველოს თანდათან გადაუდგენ მისი მოხარკე და მოკავშირე სახანოები—განჯის, ყაზახის, შამშადილის, შუშის. ოსმალეთმა დაღესტანი დარაზეა მუდმივ შემოსევები-

სათვის. როგორც ერეკლე გაილაშქრებს მათს კვლავ დასამორჩილებლად, რუსის მცირე რიცხოვანი ჯარი რუსეთს მიაშურებს. საქართველო ეხლა უფრო სახიფათო გარემოცულობას განიცდის. ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ შემოჩენილი მეზობლები განუწყვეტლივ ესხმიან თავს ამა თუ იმ კუთხეს

1790 წ. ხდება სრული შეთანხმება საქართველოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამეფო-სამთავროთა შორის. მეფე ერეკლეს „უზენაეს ხელმწიფობას“, სცნობენ ყველა კავშირში შესული წევრები. იმერეთის სამეფო და სამთავროები სრულს შეერთებას მოითხოვენ ქართლ-კახეთთან. მეფე ერეკლე ამას არ თანხმდება. უარის მიზეზი, მოსალოდნელია, იყო საგარეო გართულების შიში. ოსმალეთს და სპარსეთს საქართველო თავის სამფლობელოდ მიაჩნდათ.

სპარსეთში აღა-მაჰმად ხანი გამძლავრდა, კავკასიაზედ გალაშქრების მზადებას შეუდგა. ერეკლერ ესთ ჯარებს სთხოვს და ხილშეკრულებას მოაგონებს. ჯარების გაგზავნა „ზა ბლაგო ნე პ · იემლეტსია“ (- იყო პასუხი. ორი წლის შემდეგ ერეკლე კვლავ ევედრება რუსეთს დახმარებას, ვინაიდან შაჰი ერეკლეს მუქარას უთვლის და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოსთხოვს. ერეკლე უარს უპასუხებს და დახმარებაც არსად სჩანს. შაჰი დიდძალი ჯარით შეესია საქართველოს და 1795 წ 11 ენკენისთვეს თბილისი აიღო, გაძარცვა, დაანგრია და დასწვა. თბილისთან ერთად მთელი ქართლი მიწასთან იქმნა გასწორებული. მოსახლეობა 160000 კომლიდან 35000 კომლზედ ჩამოვიდა (ბუტკოვი, მეორე ტ. 339 გვ.) 1 ოქტომბერს მოუვიდა განკარგულება რუსეთის ჯარს ორი ბატალიონი გაგზავნეთ საქართველოში «ხელშეკრულობის ძალით და ჩვენი ღირსების მიხედვითო». ოხრებულ ქვეყნის მოსავლელათ მეფემ ერთი მილიონი სესხი სთხოვა რუსეთს და საწინდრად საგვარეულო მამულები აღუთქვა. პასუხი არ მოდიოდა. ოსმალეთი აწო-

დებდა ამ თანხას, მაგრამ ანანურში შეხიზნული მეფე თაკილობდა მ.ს აღებას. საქართველოს განადგურება იყო სრული, ყოველმხრივი.

ასე დასრულდა ჩვენი ისტორიის ერთი უშესანიშნავესი და უმაგალითო ხანა—მე-18საუკუნე. ეს დრო მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო ჩვენს მატიანეში. ოქროს ხანაც ჩამორჩება მას შინაარსის მრავალფეროვნებითა და სირთულით, თუ დანახარჯ ენერგიისა და ფანცდების რაოდენობაში. თამარის საუკუნე ნიადაგ მომზადებული იყო დავით აღმაშენებელისა და გიორგი ბრწყვალის ხანაში. მე- 18 საუკუნე კი უშუალოდ გამოვიდა მე-17 საუკუნიდან, რომელიც პროფ. ჯავახიშვილის სამართლიანის თქმით, ყველაზედ უფრო საშინელი საუკუნეა მთელს ჩვენს ისტორიაში. მე-18 საუკუნე ნამდვილი აღორძინების ხანა იყო, ეროვნული ცხოვრების ყოველ სფეროში. მწერლობას და პოეზიას ამდიდრებენ საბა - სულხან ორბელიანი, გურამიშვილი და ბესიკი, ისტორიას - შესანიშნავი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი, ორბელიანი და ჩხეიძე. ანტონ კათალიკოსი კი ჰქმნის ნანდვილს ქართულს ენციკლოპედიას და მრავალნი სხვანი მოღვაწეობენ სწავლა-განათლების სხვა და სხვა სარბიელზედ. სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალი დარგის მოწესრიგება და გარდაქმნა ევროპიულ მაგალითების მიხედვით, საგადასახადო სისტემის შემოღება, ახალი თვითმმართველობის წესების შემოღება ქალაქად და სოფლად, მუდმივი ჯარის დაწესების ცდა და მრავალი სხვა ცვლილება ხდება და კანონდება, განსაკუთრებით, ბეჟანიშვილის დროს. საერთო ურთიერთობა ხომ არასოდეს არ ჰქონია საქართველოს ამ ზომად რთული და მრავალფეროვანი. აღმოსავლეთთან ურთიერთობას თან ერთვის ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა დასავლეთთან და ჩრდილოეთან. ომებს საქართველო ვერასოდეს აღწევდა თავს, განსაკუთრებით მეცამეტე საუკუნიდან, მაგრამ

აქაც პირველობა მე-18 საუ. ეკუთვნის. ამოდენა ბრძოლა და ომი საქართველოს არც ერთს სხვა ეპოქაში არ გადუხდია. ამასთან ერთად ცოცხლდება და პრაქტიკული მუშაობის საგნად ხდება საქართველოს სახელმწიფობრივი მთლიანობის საქმე, რაც უკანასკნელ სამი საუკუნის განმავლობაში თითქმის სავსებით დამარხული იყო.

ყოველივე ეს ამაღავნებს ჩვენი ერის საერთო აღორძინებას და ყოველშხრივ ვამძლავრებას ამ საუკუნის გასწვრივ. ამასთან ერთად მებრძოლი ისლამის ალღები საქართველოს გარშემო თანდათან ცხრებოდა. მას არ ჰქონდა ისეთი ძალა, როგორც წინა საუკუნეებში. საქართველოც უკვე კარგად იყო გაცნობილი აღმოსავლეთის ერების დიპლომატიას და ზნე-ჩვეულებას. ამიტომ არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მე- 18 საუკ. საქართველო ვერ შეინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრივობას ურუსეთოდ, რუსეთის მფარველობის გარეშე. ამ მფარველობის ძიება ხდის საქართველოს მუდმივი შემოსევების ასპარეზად. უამისოდ ამოდენა ომებსა და შამოსევებსაც ადგილი არ ექნებოდა

გასაგებია, რომ ოსმალეთი და სპარსეთი არაფერს ზოგავდენ, რომ ხელი შეეშალათ რუსეთისათვის კავკასიის შუაგულში შეეჭრა.

«ბატონო მეფევ! ეუბნებოდა გიორგი მე13 ეს, ოსმალეთის ელჩი, ტომით ჩერქეზი: -რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთ თვისსა ტოოსა დახშვასა მისსა»? დახშვა კარისა ამისა, უპასუხა მეფემ, იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა». რუსეთთან დაკავშირებაზედ უარის თქმისათვის მრავალს კომპენსაციებს ჰპირდებოდა საქართველოს ოსმალეთი და სპარსეთი. ამ მიმართულებით უთუოდ ბევრი რამის მიღწევა შეიძლებოდა, უკეთუ ჩვენს მეფეებს საკმარისად გამოეყენებინათ რუსეთისა და ამ ქვეყანათა შორის არსებული წინააღმდეგობანი და თავიდანვე არ კამზდარიყვენ რუსეთის

გადაჭარბებულად ერთგულ მოკავშირეთ და მისი დიპლომატიის იარაღად.

ჩვენ დავინახეთ, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი მუდმივად აქეზებს სისხლიდან დაცლილ საქართველოს სპაერსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ და აბამს ომებში, დაპირებით დიდძალი ჯარის დახმარებისა, რაც მას არასოდეს არ გაუმართლებია. ძლიერ მტერთა წინააღმდეგ ომში ჩათრეული საქართველო ყოველთვის მიტოვებული რჩებოდა და მანაც არა ერთხელ გამოიყიდა ქვეყნის საშინელი აკლებით ერთმორწმუნე რუსეთისადმი ერთგულობა და ნდობა.

ეს სურათი სწრაფად იცვლება, როდესაც 1800 წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა შეფე გიორგი მეცამეტე. რამოდენიმე თვის განმავლობაში თბილისში გაჩხდა დიდძალი რუსის ჯარი. 26 თებერვალს უკვე გამოცხადებული იყო თბილისში იმპერატორი პავლეს მანიფესტი, რომლის ძალით საქართველო რუსეთთან შეერთებულად იყო აღიარებული. ტახტის მემკვიდრეს დავითს ტახტზედ ასვლის ნება არ მიეცა და მხოლოდ საქართველოს გამგედ იქმნა დანიშნული რუსის ღენერალთან ერთად. ჯარების მოსვლის შემდეგ ის ამ თანამდებობიდანაც გადააყენეს და საქართველოს ბედი სავსებით რუსის მოხელეებს ჩააბარეს.

ველურის უხეშობით ხდება საქართველოს ცხოვრების რუსეთის წესებისთვის დაქვემდებარება. საქართველოში არსებული ადმინისტრატიული მმართველობა რუსულ პოლიციურ წესებით იცვლება. ქართული კანონებით ხელმძღვანელობა სასამართლოში ისპობა და მის ნაცვლად ხმარებაში რუსული კანონები შედის. თვით სასამართლოს წყობილებაც ასევე რუსულს წესებზედ გადადის და რუს მოხელეებს ებაოდება. სასამართლოში რუსულ ენას აბატონებენ და მოსიარულ-მოპასუხე და მოსამართლენი უვიცი თარჯიმნის შეშწეო-

ბით აწარმოებენ საქმეს. თვით მთავარ-მართებელი ღენერალი ციციანოვიც არ ჰმალავს ირთს თავის მოხსენებაში: «რამდენი დაბრკოლებაა სასამართლოში! ქართველ ხალხისთვის ყველაფერი ეს ახალია, ხოლო ჩვენ გვიკვირს მისი ყოფა-ქცევა. მსაჯულსა და მთხოვნელს არ ესმის ერთმანეთის და ორივენი უკმაყოფილონი რჩებიან».

უშედეგოთ რჩება თავად-აზნაურობის შუამდგომლობანი. რომ «საქართველოში სასამართლო ადგილობრივ ზნე-ჩვეულების თანახმად იქმნას მოწყობილი, «რადგან ჩვენ არ გვესმის არც რუსეთის კანონები და არც ენა».

ქართული სკოლები იხურება და მათს ადგილას რუსული სკოლები იჭერს რუსული ენითა და რუს მეთაურებით.

ასეთივე უხეშობით მოუსპეს დამოუკიდებლობა უძველესი ივერიის ეკლესიას, რომელიც მეხუთე საუკუნიდან არსებობდა და 1811წ, რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს. ეკლესიას წაართვეს აუარებელი ქონება და განძეულობა. უთვალავ შემოსევებს გადარჩენილი დაუფასებელი ისტორიულ მნიშვნელობის საეკლესიო ნივთებიც რუსის მოხელეთა თავისოფალს განკარგულებაშია და განუწყვეტლივ იქურდება და იძარცვება მათ მიერ.

სტამბებიც რუსეთს გადააქვთ. რომ მით მწიგნობრობის განვითარება შეფერხდეს. დარბევას განიცდის მდიდარი წიგნთ-საცავები და უძვირფასესი ხელნაწერები, რუსეთში იზიდება ურმებით. ათეულ წელთა შემდეგ ზ. ჭიჭინაძე რუსეთის მოედნებზედ ხვდება მათ სახვევ ქაღალდათ გამოყენებულს. ჩვენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლ. იოსელიანი გოდებდა 1869 წ.. «დროების» ფურცლებზედ: «დღესაც ვეძებ და ვერა ვპოებ წიგნთა მათ, რომელთაცა მოიხსენებენ არსენი, კათალიკოსი ანტონი, ბესარიონი, იახტანგ, ვახუშტი და

სხუანი. ვეძიებ და ვეღარ ვპოებ მათ, რომელნიცა წარმიკითხავს ბოდბელთან, რუსთველთან და სხვებთან".

მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისად ერის სრული სახელმწიფოებრივი და ეროვნული განიარაღებისათვის. მართალია ხალხი სრულიად განადგურებული იყო, გაღატაკებული და სისხლიდან დაცლილი აურაცხელი ომებისა და შემოსევების მეოხებით, მაგრამ ამის მსგავსი მდგომარეობა მას მრავალჯერ განუცდია წარსულში. დაისვენებდა, ძალას მოიკრებდა და კვლავ აღდგებოდა, როგორც ერი თავისუფლების მოყვარული და თავისუფლებისათვის მუდამ მებრძოლი. ასეთს დროს ერს მოდამ გამოსჩენია ხელმძღვანელნი და მეთაურნი. ამიტომ რუსეთის ბატონობის სამუდამოდ უზრუნველყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ წრეების განადგურება, რომელნიც სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ცხოვრებას ხელმძღვანელობდენ საუკუნეთა გასწვრივ.

ამ მიზნით რუსეთი საქართველოდან აძევებს მთელს მეფის გვარეულობას და დიდძალ საერო და სასულიერო მოღვაწეებს. ამათი რიცხვი მრავლდება 1802, 4, 12, 20 და 1832 წლებში აჯანყებებისა და შეთქმულობის დროს.

ასე სრულდება რუსეთ-საქართველოს შორის «მეგობრული» ურთიერთობა. მაგრამ დაწყებითაც ასევე დაიწყო, არსებითად: პეტრე დიდის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრეული ვახტანგ მეექვსე რომ იძულებული გახდა 1724 წ. სამუდამოდ რუსეთში გადაკარგულიყო თავის ოჯახობითა და რამოდენიმე ათას რჩეულ საერო და სასულიერო მოღვაწეებით.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში სათნოებასა და კეთილსინდისიერებას დიდი გასავალი არასოდეს ჰქონია. მაგრამ, ვფიქრობ, ძნელად მოიპოვება მთელს მსოფლიო ისტორიაში მეორე მაგალითი, რომ კაცთმოყვარეობრივ და ქრისტიანულ დახმარების სა-

მოსელში იმოდენა გამცემლობა და ვერაგობა მოთავსებულიყოს, რამოდენიც დაგროვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პეტრე დიდიდან დაწყებული.

ასეთი სრული დაცემა საქართველოს არასოდეს არ განუცდია. მიჯნაზედ იმ საუკუნისა, რომელიც ერთა თავისუფლების საუკუნედ იწოდება, ქართველი ერი ჰკარგავს სახელმწიფოებრივი არსებობის ყველა თვისებებს ათას შავბნელ წელთაგან დაცულსა და გადარჩენილს.

მართალია, ქართველი ერი არ მორჩილდება ბედის ასეთს განაჩენს. სოლომონ მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოსა და მის გარშემო დაძრწიან გაშმაგებული და ბრძოლას აღრძოლებენ. ხოლო აჯანყებებს რუსეთის წინააღმდეგ მთაში, კახეთში და იმერეთში 1804, 12. 20 წ. მეტად მკაცრი და მასსიური ხასიათი აქვს. მაგრამ ყოველივე ეს უკვე განწირულია. რუსეთი საქართველში უკვე მტკიცედ არის მოკალათებული და აქიდან ის სამხრეთის და აღმოსავლეთისაკენ იკაფავს გზებს.

1832 წ. შეთქმულობის მეთაურობამ რწმუნებული გაგზავნა თავრიზს, ალექსანდრე ბატონიშვილთან. სთხოვდენ განზრახულ აჯანყების მეთაურობას. მან შემოსთვალა: მე უკვე მოვსუცდი და მაგ საქმისათვის არ გამოვდეებიო; თან ქართველი ერის იმედიც დამეკარგაო.

და მართლაც ქართველი ერი სავსებით განიარაღებული იყო იმ დროს და 1832 წ. შეთქმულობა მომაკვდავ სახელმწიფოებრივ არსის კონვულსიებს წარმოადგენდა მხოლოდ

ჩვენი ყოვლის მნახველი მატიანე ამ უსაშინელეს დროს სავსებით შეეფერება ნ. ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის პოეზიის სული და ჰანგი: წარსულ დროზედ უიმედო გოდება, და მის დავიწყების სურვილი ლხინსა და ქეიფში, საერთოდ სრული უიმედობა აწმყოსა და მომავლისა.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვალოთ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი.

ქართველი ერი დაᲔემულია სხეულებრივ და სულიერად. მას დაკარგული აქის გზა და კვალი და მწარე ბედის წერისაგან თავის დაღწევის იმედიᲐ.

ასე დასრულდა «ქართლის Ცხოვრების» საქართველო, ბიბლიურ წარღვნიდან რომ იწყებდა თავის დასაბამს. პაპუნა ორბელიანმა და სეხნია ჩხეიძემ ასწერეს მისი უკანასკნელი წლები. ბატონიშვილმა დავითმა განაგრძო მისი მოთხრობა მას შემდეგაᲐ, რაᲐ ის თბილისიდან გადაასახლეს და პეტერბურგში მიუჩინეს ბინა, ტუჩკოვის ხიდის ყურესთან. მაგრამ ეს ამ ზომად შორიდან აწერილი საქართველოს Ცხოვრება ისევე სუსტია და მკრთალი, როგორᲐ აᲠის მისუსტებული იმ დროინდელი საქართველოს მაჯის Ცემა.

ეროვნული აღვიძების
და
აღორძინების ხანა

საქართველოს კარს მომდგარი განსაცდელი არაფრით ჰგავდა წარსულს დროთა ჟამს მრავალჯერ განაცადს. მურვან ყრუმ რომ საქართველო აიკლო, მატიანეს თქმით «არღა იპოვებოდა არც ნაშენები, არცა საუმელი კაცთა, პირუტყვთა ყოვლადვე». ესევე ამბავი იყო ლანგთეიმურის დროს «რამეთუ შვიდ გზის იავარჰყო საქართველო ბორტოტმან და ღვთის მიერ რისხვეულმან». ასეთი შემოსევების დროს, როდესაც ერი საბოლოოდ დამარცხდებოდა, მტერს მორჩილებას გამოუცხადებდა და ხარკსა და ბეგარას აღუთქვამდა. ზოგნი კიდევ «შევიდოდეს კავკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა».

შუმოსული მტერი ხანგრძლივადაც რომ დარჩენილიყო საქართველოში, ეკლესია, ენა, სასამართლო და სრული მმართველობა იქ, სადაც მტრის ჯარები არიდგა, ძველებურადვე რჩებოდა ქართული და ქართული წესების მიხედვით. ასე რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, აქამდე ვერ მოგვყვებოდა ვირც ენა, ვერც სჯული და ვერც სხვა ეროვნული თვისებები.

რუსეთის ბატონობა სხვა ბუნების გამოდგა. მაინც და მაინც უნდა დაჰკარგოს ქართველმა ერმა ყოველივე ეროვნული სახიერება, რაც მას ათეულ საუკუნეთა განმავლობაში ზღვა სისხლით დაუცავს და შეუნარჩუნებიაო აქ არც ხარკი გვშველოდა და ვერც კლდეთა და ღრეთა შევალარებდით თავს.

უკანასკნელი ძალის მოკრება ვსაადეთ, იარაღი ვიღეთ ხელს და აჯანყებები გავმართეთ. ვერას გავხდით. ასისხლიდან დაშრეტილი პარარა ერი ვერ გაუმკლავდა მყუდროებით განებივრებულსა და დასვენიბულს უზარმაზარ ქვეყანას. დარჩა მხოლოდ დამორჩილებისა და შეგუების გზა. ჩვენს ხალხს ესეც მრავალჯერ ჰქონდა განაცადი, მაგრამ ეხლანდელი ეს პირობებიც სრულიად არ ჰგავდა წინანდელს. სულ მცირე საზოგადოსაქმის მოგვარება დაუსრულებელს თხოვნებსა და შუამდგომლობებს მოითხოვდა. რუსული ბიუროკრატიული წყობილება მეტად რთული იყო და უთავბოლო. მის ქსელში ხანგრძლივი ტრიალი და დასახული მიზნისათვის საჭირო გზების მიკვლევა მოთმინებასაც მოითხოვდა დიდს, ხასიათსაც მტკიცეს და ცოდნასაც ახალი პირობებისა.

სამარის პირზედ მისული ჩვენი ეროვნული ცხოვრების განსაცდელისგან გადარჩენისათვის სხვა უფრო გაშლილი გზები აღარ დარჩა. შუამდგომლობა, მოხვრების ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებით შეიძლებოდა მხოლოდ ზოგი რამესი მიღწევა, ზოგი რამეს გადარჩენა.

საბედნიეროთ, ჩვენს ერს გამოუჩნდა მოღვაწენი-რომელთაც ჭსაქართველოს წარსულს დიდებაზედ ცრემლის ღვრას ამ ეკლიანი გზით სიარული ამჯობინის. ეს პირებია დიმ. ყიფიანი და ეპისკოპოზი გაბრიელი. ამ დიდ მოღვაწეებმა მისცეს დასაწყისი იმ საქმიან ეროვნული თავ დაცვის პოლიტიკას, რომელიც მალე დიდ მოძრაობად ჩარდიქცა და საქართველოს აღდგენისა და აღორძინების საფუძველი გახდა.

დიმ. ყიფიანი (1815-87) ჯერ სულ ჭაბუკი შეთქმულთა საზოგადოებაშიც ღებულობს მონაწილეობას სოლომონ დოდაშვილის გავლენით და თაიდანვე ტრიალებს ქართველ მოწინავე ინტელიგენტთა წრეში, რონელშიაც შედიოდნენ ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, პლ: იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ჭაიჭავაძე, გ. ერი-

სთავი, ივ. კერესელიძე და სხვა. ის მთარგმმელია კლასიკების, მეგაზეთე და გაზითის ხელმძღვანელიაᲐ. მაგრამ ის მთავრობის მოხელეა ამავე დროს და ხშირად ქართულ ჟურნალის კორექტორის დროს სასახლიდან ეტლს გამოუგზავნიან და გაიწვევენ.

შემდეგ ის—1864 წ. თბილისის თ-აზნ, მარშალია სადაᲐ მას, «უბრალო აზნაურს», თითქმის ერთხმად ირჩევენ, მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა ფრიად გავლენიანი გრ. ორბელიანისა და მისი მომხრეებისა. შემდეგ ის ქალაქის თავი თბილისში, და ბოლოს—თავ-აზნ. მარშალი ქუთაისში, საიდანაᲐ ის გადასახლებულ იქმნა სტავროპოლს და იქ მუხანათურად მოკლული.

დიმ. ყიფიანს თავიდანვე პრაქტიკული მოღვაწეობის გეზი აქვს აღებული. ის კარგად ხედავს, რომ ვირᲐ ლამაზი ლექსები და ვერᲐ Ახარე Არემლები ვერას შველის ჩვენი ერის უაღრეს გასაჭირს. თვით მწერლობაშიაᲐ პრაქტიკული მიზნები შეაქვს მას. მთავრობის გაზეთში ასწერს თამარ მეფის ხანას, რომ სადაᲐ Ჯერ არს გაახსენოს საქართველოს წარსული და თვით თანამემამულეთაᲐ მოაგონოს ეს ჩვენი ბრწყინვალე საუკუნე. ამაზე გზით აშუქებს ის რუსეთის შემოსილის შემდეგ ჩვენში მომხდარᲐ Ავლილებებს დაᲐხოვრებისარეგ დარიგას, მოუწესრიგებლობას. ამასთან ერთად ის ურდგენს მთავრობას მოთᲮოვნილებებსა და გეგმებს ამ დარღვეული Ახოვრების მოსაწესრიგებლად.

ასეთი მუშაობის წარმოება ერთი პირის მიერ და თავისი სახელით, რასაკვირველია, დიდათ ნაყოფიერი ვერ იქნებოდა. დიმ. ყიფიანი ახერხებს მთავრობასთან, რომ საქართველოს თავად-აზნაურობასაᲐ მიენიჭოს ის თვით,მართველობის უფლებები, რომელიᲐ რუსეთისას ჰქონდა. 1846 წ. უკვე დაარსდა თ-აზნ. საკრებულონი თბილის და ქუთაისს. ამ დაწესებულებათა მნიშვნელობას ჩვენ შევამჩნევთ ამის შემდეგ ჩვენი ეროვნული საქმის ყოველ სფეროში. მისი მᲐᲪᲐდინეობისა და დიდი და

ხმარების მეოხებით არსდება ქალთა სასწავლებლები, თეატრი და პირველი ქართული ჟურნალი. გლეხების განთავისუფლების საქმის მთავარი ღერძი ის იყო; წერა-კითხვის საზოგადოების თაოსანი და სათ-ახნ. ბანკების გამომწყები, წესდების შემდგენი და დამტკიცებელიც ის არის.

დიმ. ყიფიანი დიდათ ფრთხილი მოღვაწეა, დინჯი და დარბაისელი. აუარება პრაქტიკული საქმეები, რომ მოგვარა თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის განსწვრივ, ეს რასაკვირველია, არა პირდაპირი ბრძოლითა და დატაკებით, არამედ ფრთხილი და მოხერხებული მიდგომით. მაგრამ როდესაც ბრძოლის მიცემა საჭირო, და აუცილებელი, როდესაც ამას მოითხოვდა ეროვნული ინტერესი და ღირსება, დიმ. ყიფიანი შეუდრეკელი, შეუპოვარია.

ასეთი იყო მისი შეტაკებანი მთავარმმართებელსა და ექსარხოსთან ქართული ენის დაცვისათვის.

უკანასკნელი შეტაკება ჰქონდა დიმ. ყიფიანს 1886 წ. ექსარხოსს პავლესთან, რომელმაც საქართველო დასწყევლა სიონის ტაძარში. ყიფიანმა ურჩია ექსარხოსს, რათა მას თავის ნებით დაეტოვებინა მის მიერ დაწყევლილი ქვეყანა, სანამ მას არ აიძულებდენ. ამ შეტაკების შედეგი იყო, რომ დიდმა ქართველმა, დიმ. ყიფიანმა, დიმიტრი თავდადებულის ვვირგვინით შეიმკო თავი.

ეპისკოპოსი გაბრიელი (1825—96) მეორე ბილიკს ჰკაფავს. ეს არის დაქცეული ივერიის ეკლესიის ნამსხვრევების თავის მოყრა და სრულს დაღუპვას გადარჩენა. ოცდაათი წლისაა ის, უკვე ცნობილი ფილოსოფოსი და ღვთის მეტყველი, როდესაც ეხოცება მთელი ოჯახი, ითბიბლიურ იობს. ის ბერად აღიკვეცა. მისამოცე წელს ის უკვე ეპისკოპოსია და, როდესაც პირველად შემოკრავს ზარს დავით აღმშენებელის საფლავზედ, ეს ხდება დასაბამი წაქცეულ ეკლესსის კვლავ აღდგენისა. მისი ქადაგებანი ბთელს საქართველოს ეფინე-

ბა და ყოველს ეკლესიაში იკითხებოდა. გამრუსებელ პოლიტიკის იარაღად გადაქცეული ეკლესია თავის ძველს სულსა და სახის იბრუნებს. ამიერიდან მას ჰყავს მეთაური, რომელსაც უკვე ვეღარავინ უბედავს ქართულ ეკლესიის ღირსების შელახვას. გაბრიელს «მებრძოლ ბერს» უწოდებენ და მის გარშემო მალე ჩნდება მთელი წყება სასულიერო მოღვაწეებისა, რომელნიც მტკიცედ ჰკაფავენ ეკლესიისა და ერის უფლებებისათვის ბრძოლისა და მუშაობის ასპარეზს. აქ არიან ეპისკოპოზი ალექსანდრე, დეკანოზი ღამბაშიძე და შემდგომ—მთელი წყება, მომავალი კათალიკოსნი კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, და ეპისკოპოსნი დავითი, ნაზარი და სხ.

იმ ხანებში ჩვენს ეკლესიაში იშვიათი იყო ნასწავლი მღვდელი; ბევრმა წერა კითხვაც არ იცოდა, გაზეპირებული ჰქონდათ რამოდენიმე სალოცავი. გაბრიელ ეპისკოპოსი მოჰფენს თავის სამწყსოს სასულიერო სასწავლებლებით. სხვა ეპარქიებიც მის მაგალითს მისდევენ. შემდეგ იხსნება საშუალო სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები. ქართული ენის გადარჩენის საქმეში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თითქმის ყოველ სოფლად მოფენილ სასულიერო სასწავლებლებმა და ორმა სემინარიამ.

გაბრიელის ქადაგებანი და თვით მისი ცხოვრების მაგალითი და მეტად დიდი ზნეობრივი პიროვნება დიდს ზეგავლენას ახდენს ზნეობრივად დასუსტებულს ქართულ საზოგადოებაზე.

ეკლესიისა და ენის დაცვის საქმეში ეპ. გაბრიელი ხშირად მშვიდია და მოხერხებული და ხშირად კი თრიად მედგარი და გაბედული. მასაც მრავალი შეტაკებები აქვს უფლება მოსილ პირებთან. არა ერთხილ მოუნდომიათ «მებრძოლი ბერის» განდევნა ასპარეზიდან, მაგრამ მის იშვიათს გავლენას და უკვე მსოფლიო სახელს ერიდებოდნენ.

დიმ. ყიფიანის და გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას ჯერკიდევ არ ჰქონია გამოღებული დიდი ნაყოფი საქმეთა სიძნელისა და დამხმარეთა სიმცირის გამო, რომ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ გამოჩნდა სახელოვანი, ეგრედ წოდებული, მესამოციანთა წლების დასი. წინეთ, მარტოობაში დაწყებული მოღვაწეობა ამის შემდეგ მათ შეუერთეს ამ დასის მუშაობას.

დიმ. ყიფიანი და ეპ. გაბრიელი უფრო ადრე გამოვიდენ სამოქმედო ასპარეზზედ და ამის გამო, გარეგნულად არ ეკუთვნიან ამ ახალს დასს. ნამდვილად და არსებითად კი ისინი მუდამ მის პირველს რიგებში დგანან.

ახალი დასი შეიცავს ახალგაზრდობის მთელს წრეს. ისინი მწირლობით იწყებენ თავის მოღვაწეობას. 1863 წ. გამოდის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით «საქართველოს მოამბე», ხოლო სამი წლის შემდეგ «დროება» და «კრებული» და კიდევ 10 წ. შემდეგ—«ივერია». ამ გამოცემათა ირგვლივ თავიდანვე იკრებიან—ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ანტ. ფურცელაძე, ღოლობერიძენი, კ. ლორთქიფანიძე და სხ. აზრი და მიზანი მათი მწერლობისა და ყოველგვარი სხვა მოღვაწეობისა არის «დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენა». ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა ერის სულიერად გამაგრება, განმტკიცება. სწორედ ეს მისი სულია გატეხილი და დაავდებული. მას ემსახურება მესამოციანთა პატრიოტული პოეზია და გაბრიელის ქადაგებანი. შიდეგებიც მალე გამოჩნდება. საზოგადების მოწინავე ნაწილი თავს აღწევს სრულს სულიერს დაცემას და თანდათან იმსჭვალება ეროვნულ და პიროვნული მეობის შეგნებით.

ეს პატრიოტული მწერლობა თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. მართალია, ის განგრძობაა ნიკ. ბარათაშვილის, გრიგოლ და ვაგტანგ ორბელიანიბის მწერლობისა. „ქართლის ბედისა“ და „იმედის“ სულიერი აღგზნების ძალა ვირა-

სოდეს ვერ ყოფილა გადაჭარბებული ქართულს პატრიოტულს პოეზიაში. მაგრამ ბარათაშვილის და ორბელიანის პოეზია მხოლოდ გოდებაა საქართველოს წარსულზედ, გოდება სასოწარკვეთილი და უიმედო. ბარათაშვილის „ფიქრი შავათ მღელვარი" და „სული ობოლი" ვერაფერს ჰპოულობს ანმყოში სანუგეშოს და მომავალში საიმედოს. და განწირული მისი სულის კვეთება ლამობს მოსცილდეს სამშობლო არეს და შორს გადიკარგოს უგზოდ, უკვალოთ.

ახალს დასს არ სწამლავს ასეთი უიმედობა. მათთვის საქართველო არ არის მხოლოდ წარსული დიდების აჩრდილი. ის კვლავ ცოცხალია, ხოლო დაუძლურებული და დაავადებული. მათ მტკიცე რწმენა აქვთ, რომ ის კვლავ აღსდგება და თავის ისტორიულ გზას განაგრძობს. მისი თავისუფლებაკ არ მომკვდარა, ის მხოლოდ ტყვედ ქმნილია და ელის გამომხსნელს, ვით ნესტანი თავის ტარიელს.

ის ოქროს აკვანში ასვენია ქართველთა ცრემლით დაგუბებული ტბის ძირად. „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს"—ასეთია რწმენა ამ დასის.

ჯერ კიდევ ოცი წლის ჭაბუკია ილია, როდესაც გარიბალდი რომისაკენ გალაშქრებას იწყებს. ილია მასთან წასვლას ჰფიქრობს და მის გულიდან მრისხანე და აღტაცებული სიტყვები აღმოხეთქს:

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილ ის
ხმა მტირევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვად
მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიძრავს
იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე
ჩემს მამულში"-ო.

ხოლო როდესაც, სამშობლოში ბრუნდება, ილია

ასე განმარტავს თავის თანამგზავრის მოხევის სიტყვებს:

„მიგიხვდი, ჩემო მოხეევ, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი- ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, სთქვი შენ და მე გაგიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ გულში გაითხარა სამარე და ჩაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემ-დის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი".

სხვა თავისუფლება ლაკარგულ ერებსაც ჰქონიათ პატრიოტული პოეზია, მაგრამ არ ვფიქრობ რომ ვინმე სხვას ჰქონდეს ჩვენი ნსგავსი. აქ თითქმის დავიწყებულია სავსებით პიროვნებისა და საზოგადოების მრავალი სხვა მოვლენები გარდა მამულიშვილური გრძნობისა და სწრაფვისა. ხიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის და შემდეგ ვაჟა ფშაველასი და სხვათა ძლიერი პოეტური შემოქმედება ამ კითხვებით სცოცხლობს და უმთავრესად ამ საგანს დასტრიალებს თავს. მთელი მათი პოეზია, არსებითად, პატრიოტული მსატვრული პუბლიცისტიკაა.

იმავე დროს მესამოციანთა დასის მწერლობა თავისუფალი აზრებით არის გამსჭვალული. ეროვნული თავისუფლების მოტრფიალენი პიროვნულ უფლების მტაცე დამცველნი არიან. ბატონ ყმობის წინააღმდეგ მათ სასტიკი იერიში მიიტანეს და ამ წყობილების მთელი ბოროტება საჯეყნოდ გააშიშვლეს.

ასეთია ერთი მხარე მესამოციანთა მოღვაწეობისა. საამაყოა და ღირსეული ის, მაგრამ თავის მნიშვნელობით ის მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი ეროვნული საქმისა, რომელიც მათ შეასრულეს და რომელსაც ჩვენ ქართველი ერის მკვდრეთით აღდგენას და ეროვნულ აღორძინებას უწოდებთ.

ეს მეორე მხარე ეროვნულ ძალთა დარაზმვა და

ამოქმედებაა, ეროვნული ცხოვრების ყველა ასპარეზების გაკაფვა და იქ მუშაობის გაჩაღება, ერთი სიტყვით, ეროვნული სახიერება დაკარგული ხალხის კილავ ერად გადაქცევა. ეს საქმე არ შესრულდებოდა არც კარგი ლექსებით და არც მხურვალე სიტყვებით. ამისათვის საჭირო იყო საქმე, ბეჯითი, დაჟინებული და დაუზოგველი. ღიდი მიზნებისა და განზრახვების გასამარჯვებლად ძალთა დარაზმვა იყო საჭირო. ლაშქრის გაჩენა სხვა და სხვა ასპარეზზედ. ისე მათს პატრიოტულ აზრებს ისევე მცირე გამოძახილი ექნებოდა, როგორც ნ. ბარათაშვილისას, რომლის ნაწერები არც კი დაბეჭდილა მის დროს და „ბედი ქართლისა" მთლად დაკარგვას ძლივს გადარჩა.

ეროვნული პოზიციების შექმნა და დაცვა საქმიანი მოღვაწეობით უკვე გამოწყობილი იყო დ. ყიფიანისა და ეპისკოპოს გაბრიელის მიერ, მაგრამ გაკეთებული ჯერ კიდევ არ იყო მნიშვნელოვანი რამ.

ახალი დასის ასპარეზზედგამოსვლას ასე აგვიწერს ამ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი, ნიკო ნიკოლაძე:

„რამდენ ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართულ საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თბილისის ქალაქის თავად სომხებს დ. ყიფიანი ავარჩევიეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვითმმართველობა შემოვაღებინეთ. ქართველების ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობად გავაფართოვეთ" (ნ. ნიკოლაძე «ჩემს პოლიტიკაზე»)

რომ ამ დასის მოღვაწეობის შედეგები სავსებით ნათელი იქმნას ჩვენთვის, საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ ქართული ცხოვრების ვითარება მესამოცე წლებში.

ეკლესია გაეერანებული: გაბრიელ ეპისკოპოსი ახალი შეხიზნული იყო ბაგრატის ტაძრების ნანგრევებს

ქუთაისში. სკოლები, რასაკვირველია, რუსულს ენაზედ და რუსი მასწავლებლებით, ისიც თითებზედ ჩამოსათვლელი.

„დედა-ენა" კიდევ არ იყო დაწერილი. ჩვენი დიდი პედაგოგი და პუბლიცისტი იაკობ გოგებაშვილი მესამოციანებთან ერთად გამოვიდა ასპარეზედ. სწორედ ამ ხანად იყო, ჩვენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლ. იოსელიანი რომ სწერდა: ხუთი ქართული წიგნი მე დავბეჭდე, ხუთი კიდევ სხვებმა, და ეს არის მთელი ჩვენი ნაბეჭდი მწიგნობრული სიმდიდრე 70 წლის გასწვრივ, რუსეთის შემოსვლის შემდეგო. თავად-აზნაურობის საკრებულონი ჯერ კიდევ უმოქმედონი არიან და არ მოიპოვება არავითარი საზოგადოება, დაწესებულება, რომელიც მხრუნველობდეს შეძლებისა და გვარად ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგს, ეკონომიურსა თუ კულტურულს. ერთი სიტყვით იყო სრული უნუგეშო სიცარიელე ეროვნული ცხოვრების ყოველს სარბიელზედ.

ნ. ნიკოლაძის სიტყვები რომ მოვიხმაროთ, ახალმა დასმა დაიწყო იერიშით აღება ყველა ამ საქმეებისა. ათიოდე წლის მანძილზედ უკვე სჩანს წამახალისებელი ნაყოფი მათი მუშაობისა. და ბლა დაცემული და დაავდებული ცხოვრება ნელ-ნელა იღვიძებს და მოძრაობაში მოდის. ჯერ კიდევ ყოვე ღიეე სუსტია და ახლად ფეხ-ადგმული, მ გრამ მასში დიდი ცხოველ-მყოფელი ძალა მუშაობს და ეროვნულ არსის ყველა ნაწილი-სწრაფად ვითარდებ .

ეხლა ჩვენ გავეცნოთ ამ ქართველ პატრიოტ-ლიბერალთა პოლიტიკურ სოციალურ მიმართულებას დასაქმიანობას. როდესაც ამ დასის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, მუდამ რუსეთის იმ დროინდელ მოძრაობას იგონებენ და მას ადარებენ. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე სწერს:

„ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხო-

ულობს. სულ სხვასა ღაღადებს და მაშასადამე ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რაზედმე უნდა მიიქცეს მთელის თავის ძალღონითა...

,,ის „სხვა რამე" იყო ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება ეა დაცვა ყოველს მოსალოდნელს ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია ყველასათვის ცხადზედ ცხადია....

ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს შვილს. ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩინოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მაზშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ". («ივერია», 1881 წ., N° 5).

ყოველი საგანი ცხოვრებისა, ყოველი საქმე ჩვენ-დაცემული ვინაობის აღდგენის, მიზანს უნდა დაუმორჩილოთ; ყველა მამულიშვილებმა ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყარონ თავი და ძმურად იმოქმედონო.

ეს აზრები აქ ილიას მშვიდათ და ლაღათ აქვს გამოთქმული. სჩანს საქმე წინ წავიდა, მიზანს დაუახლოვდა, თორემ უფრო ადრე მისი სიტყვები ვით ცეცხლის ალი ევლინებოდა მიძინებულს და დამბლა დაცემულს ეროვნულს სულს. ის სწერდა 1876 წ. :

,, ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში (დაქსაქსვაში) რა არის საყოველთაო! თვითო თვითოდ ერთს

გაწყვეტილს ჯაჭვის რგოლებივით ალ ალკე და თავ თავად დავგ ირავთ ზოგი აქეთ, ზოგი იქით... ის შიმკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი ქართველობაში უნდა ხიდავდეს; ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა—დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოიშალა... ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში ყველა; საცა თვითიული ყოელასთვას არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი.

“მამული!.. ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის ყათავთავებულს უძრავს ქონებას ჰნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს ბინას.... მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის კაცს თავისი ნესვდაყრილი მიწა წარმოუდგება ხოლმე! მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ლერბიან ქაღალდზედ სადაო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილება მოგებული საქმის განაჩენის პირია ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე ტრუუშლი ღობეა ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა მხნეობა და მთესველის სახელი- ღაა. განთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ვეღარ ხიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველას ვის ადვილად საჩიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვე ღარ იტვირთა... დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ“. (არჩ ჯ-ეძ, წ. 2).

ერში საერთო ძარღვი გაწყდა, საერთო ძარღვში სისხლი გაშრა. საყოველთაო სახელი „ქართველი“ ადარ არსებობს; „მე“ ხშირია და “ჩვენ“ იშვიათი. დიდი მამული დავშალეთ და პატარა გავიკეთეთ“ ო. დღეს ესასეა მაგრამ ხვალ უნდა შეიცვალოს. მესამოციანთ ამის რწ

მენა აქვთ და ამისდვის იღვწიან. მაგრამ როგორ, რა გზით შეიძლება ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა? არა საქართველოს ძველი მხედრული და შინა ოჯახური წყობილების აღდგენით. ის უკვე აღარ შეეფერება საყოველთაოდ დამყარებულ ცხოვრების პირობებს.

საქართველოს ცხოვრების აშენება მხოლოდ ახალს მოქალაქეობრივ საფუძვლებზედ შეიძლებოდა, როგორც ეს ყველა დაწინაურებულს ქვეყნებში იყო. ამისთვის საჭიროა ბევრი რამ არსებულის დანგრევა და ახალი წყობისთვს ახალი საფუძვლების შექმნა. პირველი ასეთი იყო საქართველოში რუსეთის მიერ შემოღებული რუსული ბატონ-ყმობა, ნაცვლად ბევრად განსხვავებულის ქართულ პატრონ-ყმობისა.

„პირველი სარდალი, რომელიც მამაცურად იერიშით მივიდა ასეთს ძველს ციხეებზედ, როგორც ბატონ ყმობაა, ილია ჭავჭავაძე იყო, მაგრამ მამაცი სარდალი ამას არ დასჯერდა... მან ჩასდო ქვა იმ საძირკველში რომელზედაც აეგო ისეთი ტ ურფა შენობა, როგორიც არის ლიტერატურული ხალხისნობა", სრულს ჭეშმარიტებას სწერს მეცნიერი და პუბლიცისტი ნ. ურბნელი.

ილია არწმუნებს ერს, რომ მის უმთავრეს ძალღონეს შეადგენს მისი უმრავლესობა, სწორედ ის წოდება, რომელიც აქამომდე მოკლებული იყო მოქალაქობრივ უფლებებს. ლუარსაბი და დათიკო ბატონ-ყმობის ბურჯებია, ერისთვის უსარგებ ო, მავნე და ზედ მეტი. გაბრიელი კი ახალი ძალის წარმომადგენელია, ერის ზნეობრივი და ნიჭიერი სიმტკიცე.

ბატონ-ყმობა გადავარდა. ლუარსაბის და დათიკოს ადგილს არჩილი და კესო იჭერს, გაბრიელისას კი ოთარაანთ გიორგი და ოთარაანთ ქვრივი. ცვლილება დიდია, მაგრამ არა საკმაო. გლეხობა უფლებრივად განთავისუფლდა, მაგრამ წარსული წყობის შედეგები სცოცხლობენ. წოდებათა შორის უფსკრული არ ამომშრალა. სა-

ჭიროა ამ უფსკრულის მოსპობა და ერის ერთმანეთისაგან დაშორებულ ნაწილთა შედუღება, გაერთიანება.

ამ მიზნით ილია პუბლიკისტურ ნაწარმოებებში არკვევს წოდებრივ საკითხებს და მოითხოვს ცვლილებებს, რომელთა მიღწევა იმ დროს ერთგვარ შესაძლებლობას შეიცავდა. სასოფლო მმართველობაში გლეხობა და თავად-აზნაურობა უნდა გაერთდეს და ერთნაირის უფლება-მოვალეობით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რადგან სკოლა, სასამართლო, გზები, ადმინისტრაცია და სხვა საერთო საჭიროებას წარმოადგენს. დღეს კი ასე არ არის—მთელი ტვირთი მარტო გლეხობას აწევსო. ძველად, ამტკიცებს ილია, ასე არ ყოფილა. თ.-აზნაურობა წინეთ რაინდული და მხედრული წოდება იყო. არა მარტო უპირატესობები ჰქონდა მას ცხოვრებაში, არამედ უდიდესი და უმძიმესი ვალდებულებანიც ქვეყნის დაცვისა. რუსეთმა ის გაანთავისუფლა ამ მძიმე მოვალეობისაგან და ქვეყნის დაცვის საქმეში ყველა წოდება გაათანასწორა. იმავე დროს მიანიჭა მას ზოგიერთი უპირატესობანი, რომელნიც არაფერს წარმოადგენს თავის თავად და მხოლოდ ხალხს აღიზიანებს, ერის ნაწილებს ერთმანეთს აშორებს.

ილია და მისი დასი ზრუნავს, რომ აზნაურობა, რომელიც შედარებით უფრო დაწინაურებული იყო კულტურულად და კიდევ შერჩენოდა მრავალი სასარგებლო თვისებანი წარსულ საუკუნეთაგან ნაანდერძევი, ეროვნული ცხოვრების შემაფერხებელ ძალად კი არ გამხდარიყო, არამედ მისთვის სასარგებლოთ და გამოსადეგათ. ის იწვევს მას შრომისა და მუყაითობისაკენ. ის თავს ესხმის მის უმოქმედო, უსარგებლო არსებობას; აბამს მას კულტურულსა და ეკონომიურს საქმიანობაში, აარსებინებს მას ბანკებს, სკოლებს და სამეურნეო აბხანაგობებს.

ეროვნული სხეულის გამთელება და გაჯანსაღება მხოლოდ ამ გზით მოხერხდება. ახალ ცხოვრებას ალ-

ღოს აღება უნდა, შერიგება და შეთანხმება. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და ღრმა გარდატეხანი ჰქმნის ერთგვარს ავადმყოფურს მდგომარეობას და სისუტეს. ილია ამ საკითხებს მრავალჯერ ეხება და შემდეგნაირათ აშუქებს:

„როგორც თვითეული არსება ათასგვარ სნეულებას სჩვევია, ეს საზოგადოებრივი ცხოვრებაც ხშირად ვარდება ავადმყოფობაში. ეს ავადმყოფობა სნეული მდგომარეობა ქვეყნის ცხოვრებისა ბევრჯერ ღიდხანს გასტანს ხოლმე და საზოგადოებრივს ორგანიზმს ისევე სტანჯავს, ისევე აწუხებს, როგორც თვითეულს ორგანოვან არსებას. ამგვარ მდგომარეობას ქვეყანა გამოსცდის ხოლმე ყოველთვის მაშინ, როცა იგი სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებათა გამო იძულებულია შესცვალოს, ცოტათ თუ ბევრათ, გზა თავის ისტორიულ ცხოვრებისა. ბევრს ერს ამ დოს ისე გასჭირვებია, ავადმყოფობას ისეთი სასტიკი სახე მიუღია; კრიზისი ისე ძნელად ასატანი ყოთილა, რომ ველარ გადარჩენილა სიკვდილსა. საჭიროა ამ დროს, რომ ერს მაგარი სხეული ჰქონდეს. საჭიროა, რომ ის საფუძველნი რომლებზედაც დამყარებული ყოფილა ქვეყნის არსებობა მტკიცენი იყვნენ: ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება, ეკონომიური წესნი, სამიწაწყლო და წოდებრივი ურთიერთობანი არას არ შეიცავდენ ამ დროს მეტად საწინააღმდეგოს წარმოების და პროგრესის იდეისას. საჭიროა, რომ ამ შემთხვევაში არც ერთს აქ მოხსენებულს საფუძველს ცხვორებისას არა-მომაკვდინებელი რამ არ გასდგომოდეს ღრმად. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივობა ადვილად მოინელებს გაჭირვებულს მდგომარეობას, ადვილად გადაურჩება ავადმყოფობას და სუბუქად გადაივლებს თავს ამ გვარად მოვლენილს უბედურობას. სწორედ ისევე, როგორც კარგად აგებული და ჯანმრთელი კაცი, რაც უნდა ძლიერმა ავადმყოფობამ შეიპყრას, უფრო ადვილად გადარჩება სი-

კვდილს, სამუდამო სნეულობას, ვიდრე სუსტად აგებული, ნაკლები ჯანის პატრონი". («ივერია», 83 წ. № 191).

ჩვენი „ისტორიული ცხოვრების გზის შეცვლა" მეტად საფუძვლიანი იყო; ამან გამოიწვია ავადმყოფური მდგომარეობა, ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგში. გარდატეხა მოხდა არა მარტო უფლებრივ სფეროში, არამედ ასევე ეკონომიურს ურთიერთობაშიც. წარსულის შინა-ოჯახური წარმოება თანდათან ისპობა და ადგილს უთმობს ფულებრივ მეურნეობას. მას თავისი ბუნება აქვს, თავისი წესი და ხასიათი. ასეთმა გარდატეხამ შეიძლება მეტად ავადმყოფური ხასიათი მიიღოს, უკეთუ მას თავიდანვე არ აუღეთ ალღო და მისი ზნე და ხასიათი არ შევიგნეთ, არ შევისწავლეთო. ამის შესახებ ილია სწერს:

„ახალი წარმოების წესები, ფულებრივი მეურნეობა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ამიერ-კავკასიაში და უფრო მეტს გაჭირვებაში გვაგდებს, ვიდრე ოდესმე რუსეთის ცხოვრება იყო. ამ ახალმა ვითარებამ მალე მოუღო ბოლო ჩვენის ძველის ცხოვრების წესებს. ეს წესები სრულიად აღარ შეეფერება იმ ახალს ვითარებას, და თუ მალე არ შევითვისეთ ეს ახალი ვითარება, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა, ჩვენი უზრუნველობა ნივთიერი და ამის გამო გონებრივიცა და ზნეობრივიც საეჭვო საგნად შეიქნება, საშიშროებაში ჩავარდება. მე ვამბობ ფულებრივის მეურნეობის წესების შეთვისებაზედ, კაპიტალისტურ წარმოების კანონების შეგნებაზედ და ამ შეგნების შესაფერისად მოქმედებაზედ.

თუ ჩვენმა ერმა არ შეიგნო ის საგანი, რომ ახალს ვითარებას აყოლა უნდა, შეთვისება უნდა, თუ ჩვენმა ერმა არ მიმართა ახალს წყაროებს წარმოებისას და ქვეყნის სიმდიდრისას, იგი უკან ჩამორჩება საერთო მოძრაობას, საერთო წინ-მსვლელობას. ყოვლად საჭიროა რომ, რაც შეიძლება ჩქარა მოვიშორიოთ ყველა ის ძველი სამკვიდრო, რომელიც კურთხეულ ძველ დროიდგან

დაგვრჩენია და გვაბრკოლებს ახალის ეკონომიურის წესების შეთვისების საქმეში, რომელიც სიზარმაცის, უზრუნველობის და აპატიის სახით გადაგვღობებია წინ, უსაფუძვლო თავმოყვარეობას გვირყევს, წოდებრივ ინსტიქტებს გვიღვიძებს, ნაციონალურს ცრუმორწმუნოებას გვიცოცხლებს და ყველა ამ მიზეზით ზურგს ვაქცევთ ახალს მოძრაობას, ახალს ვითარებას... დღეს დრო სხვა გვარ მხნეობას ითხოვს ჩვენგან, დღეს დრო და ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ გაფაციცებით უნდა ვადევნებდეთ თვალ-ყურს ყოველის ახალის წყაროს აღმოჩენას ქვეყნის წარმოების გასაძლიერებლად, სიმდიდრის გასამრავლებლად. ყოვლად საჭიროა ენერგიულად შეუდგეთ ხვნასა და თესვის გარდა, ტრადიციულის მევენახეობის გარდა, სხვა გვარ წარმოების საქმეებსაც, სხვა გვარ სიმდიდრის წყაროების ექსპლოატაციასაც: ქვა-გუნდი იქნება ეს წყარო, თუ ნავთი, გლაუბერის მარილი, თუ სპილენძის მადანი, აბრეშუმის წარმოება თუ ქვა-ნახშირი, ხურმა თუ დარიშხანა, ყოველივე ეს წყარონი ახალის სიმდიდრისა მრავლად მოიპოვება ჩვენში და საჭიროა მხოლოდ მხნეობა, გონების გამჭრიახობა, უარყოფა სიზარმაცისა და უზრუნველობისა" (იქვე).

ხოლო ვინც ვერ აღწევს თავს ასეთს სიზარმაცეს და უზრუნველობას, წოდებრივ თავმოყვარეობას და სხვა და სხვა ნაციონალურ ცრუ მორწმუნეობას, ის მუდამ დამარცხებული იქნება ახალს ეკონომიურს ვითარება ში. ილია მამულების დაკარგვის მიზეზებს იკვლევს და გვეუბნება:

„ვზივით, რომ მამულები ხელიდამ მიგვდისო და ვიძახით გვიშველეთო. ვინ იტყვის? შველა კარგი რამ არის. ვსთქვათ, დღეს გვიშველეს და მამულების ხელიდამ ხელში გადასვლა გაარჩერეს. როდემდის? რა საბუთი გვაქვს ხელათ, რომ ხვალ ამავე დღეში არ ჩავცვივით, თუ ის მიზეზნი, რომელთაც ამ „გვიშველემდე" მიგვიყვანეს, ისევ ისე ხელუხლებელნი დარჩებიან? კიდევ იმას

ვიტყვით: ვინც უქმია, ვინც არ ირჯება მამულში, ვინც არ უვლის, არ ჰპატრონობს რიგიანი შრომითა, მხნეობითა და გამჭრიახობითა, იმას მამული ხელში არ დარჩება, არა და არა...

...მამული ხელიდამ მიგვდისო, ვისგან ისმის ეს ჩივილი? აბა ამ ჩივილში გამოარკვიეთ თუნ ერთად ერთი ხმა იმისთანა წოდების კაცისა, რომელიც თავის შრომასა და გამსჯე ღობაზეა დამყარებული? გლეხი სჩივის ამას? არა. მღვდელი, დიაკვანი ჰყვირის: გვიშველეთო? არა. ხომ ვერ დავუფიცავთ, რომ ამაში ან ერთს, ან მეორეს, ან მესამეს მამული არ ჰქონდეს? რატომ ესენი არ სჩივიან, მამულები ხელიდამ მიგვდისო? იმიტომ რომ მამულის ყადრი, მათ ეკონომიურ ბუნებისამებრ, ამათ კარგად იციან, იმიტომ, რომ ყველა ესენი თითონ ირჯებიან, თითონ მხნეობენ, იმიტომ, რომ მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენბ და ყოფნა მამულის ეკონომიური ბუნებაა, იმისი დანიშნულებაა, ჩვენ კიდევ ოოტა ვსთქვით: ამათი მამულები არამცთუ მარტო დარჩენასა ჰკმარობენ ამათ ხელში, არამედ სხვის მამულებსაც კი ამათს ხელში ჩასაცვივნებლად მიეზიდებიან ყოველის უქმის კაცის ხელიდამ. ეს აუცილებელი შედეგია, გაუტეხელი ბუნებაა ყოველ-გგარის სიმდიდრისა, რომელიც ყოველთვის უქმს მიურბის, რომ საქმის კაცს მიეცეს.

მაშ ვიღა სჩივის მამულების ხელიდამ გაცლასა? მარტო თავად-აზნაურობა. მაშასადამე, ჭირიც უქმობისა აქ არის დაბუდებული და დაბანაკებული. ამ ჭირს შიგნიდამ წამლობა უნდა. ის წყლული უქმობისა უნდა გამოირწყოს და აგებულებისაგან გამოდევნილ იქმნას. ხსნა ამაშია, თუ თავად-აზნაურობას ფიქრად ის არ აქვს, ოღონდ დღეს კი კუჭი როგორმე გარედამ შველით გავიძღოვო, და ხვალ კი თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. მიზეზი ჩვენი საკუთარი უქმობაა, ჩვენი საკუთარი გაურჯელობა და ამ მიზეზებს იქ უნდა მოწყვეტა, საიდანაც მომდინარეობს". («ივერია», 88 წ. N° 62).

ვინც უქმად ცხოვრებას არის ჩვეული, მესამოციანები მას შრომისა და გარჯისაკენ მოუწოდებენ. უამისოდ მწარე ბედს უქადიან, გაღატაკების საშინელ სურათებს უშლიან თვალწინ. ხოლო ვინც გამრჯელია, მათ აცნობენ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების პირობებსა და წესებს. მრ ვალი აქვს ამ საგანზედ დანაწერი, ნ. ნიკოლაძეს და სხვებსაც.

ილია ბანკს მეთაურობს. ამ საქმესაც საფუძვლიანად ჰკიდებს ხელს, საგანგებოდ სწავლობს საბანკო საქმეებს და ამისათვის პრაქტიკულად ეცნობა დიდი ბანკების მუშაობას პეტერბურგში. თუ რამდენად ღრმად ჩასწვდა ის ფინანსიურ საკითხებს, ამას სავსებით ააშკარავებს მისი მოხსენიებები, სიტყვები და ნაწერები.

1881 წ., ბანკის დაარსებიდან ცხრა წლის თავზედ ილია ასე ახასიათებს ბანკის მნიშვნელობას და მის ძიერ გამოღებულს ნაყოფს.

„ჩვენი ბანკი დაარსდა მაშინ, როცა საყოველთაო რწმენად მიჩნეული იყო უღონობა ქართველისა დაადგინოს, მომართოს და დაამკვიდროს რაიმე საზოგადო საქმე, საერთოდ, და ამისთანა, როგორც ჩვენი ბანკია, საკუთრივ. ბანკი ჩვენი დაარსდა მაშინ, როცა საყოველთაო იწმენა იყო, რომ ქართველობას არ აქვს ზნეობითი და ქონებითი ღონე, ნდობა, რაზედაც დამყარდება ხოლმე კრედიტი არავის ჰსჯერა და, რომ თამასუქი ქართველთა ბანკისა ეღირსება ბირჟაზედ შესვლას და კაპიტალი მიენდობა... ჩვენი ბანკი დაარსდა მაშინ, როდესაც თქვენს მამულს - დედულს ახდილი ჰქონდა ყოველივე პატივი, აყრილი ჰქონდა საკრედიტო ღირსება. ჩვენი ბანკი დაარსდა მაშინ, როცა თქვენს მამულს-დედულს თვით მთავრობის წინაშეც ახდილი ჰქონდა ნდობა და სრულიად მოსპობილი. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ მთავრობამ აღკრძალა მიღება თქვენის მამულებისა გირაოდ სახელმწიფო იჯარებსა და პრიკაზში. მაგისთანა სასტიკი და უწყალო

ზომები საქართველოს შესახებ ერთად-ერთი მაგალითი იყო მთელს რუსეთის იმპერიაში... დიაღ, ბატონებო, ჩვენი ბანკი დაარსდა მაშინ, როცა ერთსა ერთს ქონებითსა ღონეს ჩვენსას—მიწას, დაკარგული ჰქონდა ყოველივე თვისება საკრედიტო საგნის და ფულის მიმზიდველობისა.

ეხლა რასავხედავთ, ის საყოველთაო რწმენა, ვითომ ქართველობა უღონოა საზოგადო საკრედიტო საქმე გამართოს, ჰპოულობს თავის საკლავ პასუხს მასში, რომ ჩვენი ბანკი დღეს მკვიდრად ფეხ-მოკიდებული დგას ჩვენს საკუთარს ნიადაგზედ. ის საყოველთაო რწმენა, ვითომ ქართვილობა მოკლებულია იმ ზნეობითს და ქონებითს ღონეს, რომლითაც მოიპოება ნდობა, ჰპოულობს თავის დასაკლავს პასუხს მასში, რომ თქვენს ბანკს მოანდეს ხუთი მილიონამდე ფული, რომელიც მოფენილია დღეს ჩვენს ქვეყანაში. თქვენი გირავნობის ფურცელნი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეგ თამასუქები თქვენი ბანკისა, რომელთაც სასაცილო როლი უწინასწარმეტყველეს, შორს არიან მასზედ, რომ ფანჯრებზედ გაეკრან და წარმომდგარ არიან ქვეყნის წინაშე, ვითა საკრედიტო ნიშნები, ფულად გადამქცევნი. აღედგინა და დაუბრუნდა თქვენს მამულ-დედულს ახდილი პატივი, აყრილი ღირსება საკრედიტო".

მესამოციანთა მოღვაწეობის ასპარეზი სწრაფად იზრდება, ფართოვდება. ეროვნული ცხოვრების სხვა და სხვა დარგში გამოწყებული მუშაობა ნიადაგს ჰპოულობს და ფესვებს იდგამს, ხოლო მეტს შრომასა და მზრუნველობას თხოულობს. ცხოვრება კიდევ მრავალ ახალს საკითხებს ა ენებს. საქართველოს მიწა-წყალია დასაცავი რუსულ კოლონიზაციიდან, დედა-ქალაქი საესებით უცხო ძალების ხელშია და მუშაობაა საჭირო იქ ნიადაგის მოსაპოებლად. ქართველი ერის სულიერად დაქსაქსვის მიზნით რუსის მოხელეები მეგრელებს ანბანს უდგენენ და აჭარლებს თურქებად აცხადებენ.

აქედან იწყება ახალი ბრძოლები, ახალს ასპარეზზედ. პატრიოტული რომანტიკის გზები საბოლოოდ განვლილია, მესამოციანთა მიერ. გრძნობით გრძნობებზედ მოქმედება, საქმით მოქმედებას უთმობს ადგილს. ჩუმი და მორიდებულ შემზადებითი მუშაობაც დასრულებულია. მოქმედების სარბიელნი და მათზედ მოღვაწეთა რიცხვი გამრავლებულია და მასთან ერთად გამოჩენილი და გამეღავნებული. ახდილი ბრძოლისა და მოქმედების ხანა იწყება. ილია ჭავჭავაძე სტოვებს მხატვრულს მწერლობას, ის მხოლოდ პუბლიცისტის ბასრ კალამს იტოვებს ხელში და სავსებით ეწირება პრაქტიკულს მოღვაწეობას. უკანასკნელი მისი ნაწარმოებნი იყო „განდეგილი“ და „ოთარიანთ ქვრივი“, რომელნიც უნივერსალური ტირებულებითა და მნიშვნელობით არის აღბეჭდილი. ილია ჯერ კიდევ ვაჟკაცია და ვინ იცის იქნება მას შემოქმედების კიდევ უფრო მაღალ მწვერვალებზედ ასვლაც შეეძლო. მაგრამ ის სტოვებს მუზათა სამფლობელოს, რომ სავსებით მიეცეს შრომას და ბრძოლას მიწიერ სარბიელზედ და მიწიერი გზებით და იარაღით. აქ სწყდებოდა ჩვენი ერის გადარჩენის საკითხი და აქ იყო საჭირო ერის ყველა ცოცხალი ძალების გამოყენება. სწორედ ეს დარგია ყველაზედ მეტის ნაყოფის მომტანი ჩვენი ეროვნულ ცხოვრების აღდგეხისა და ახალს საფუძვლებზედ შენების საქმეში. ახალი საქართველო მისი პირმშო შვილია.

ეხლა ჩვენ მოკლედ აღვნუსხოთ ამ დასის მინაღწევარი ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგში. მესამოციანთა ხანის დასასრულად ჩვენ მიმდინარე საუკუნის დასაწყისს მივიჩნევთ. მართალია, ამ დასის მეთაურნი ამის შემდეგაც ცოცხლობენ რამოდენიმე დროს, მაგრამ არსებითად ვ.რას უმატებენ წინათ განაკეთებს და მხოლოდ წარსული შრომის ნაყოფის დაცვას ალევენ თავის ძალებს.

დავიწყოთ მწერლობიდან და სწავლა-განათლები-

დან. ამის შესახებ მოუსმინოთ „დროებას", რომელიც სწერს:

„ბევრს უნდა ახსოვდეს, რომ ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინეთ წიგნების ბეჭდვა და გამოცემა ქართულს ენაზედ სრულიად არ იყო შემოსული. მაშინ სულ ორი და სამი ქართული წიგნი არსებობდა და მით იკვებებოდა ხალხი, მით იკმაყოფილებდა თავის გონების მოთხოვნილებას. როდესაც ჩვენ ამას შევსცქეროდით, ჩვენს გულსა და გონებას საშინელი და საზარელი წინადგრძნობანი და წინად-ზრახვანი ელანდებოდა, ჩვენს მწერლობას არსებობის სიმტკიცე არა ჰქონდა, მის დღეგრძელობაში დარწმუნებული არ ვიყავით და თითქოს ვგრძნობდით, რომ აი დღეს თუ ხვალ შესწყდება ნეკის ოდნად მოკამკამე ცხოველი წყარო, დღეს თუ ხვალ შეწყდება სიცოცხლის ძაფი მწერლობისა და მასთან ერთად, ვაი თუ თვით ენაც. ხოლო ამ უკანასკნელს გარემოებას რა მოჰყვებოდა, მკითხველს კარგად მოეხსენება. მაგრამ მადლობა ღმერთს! სიცოცხლის ძაფი არ შესწყდა, შავნი და ბნელნი წინადგრძნობანი, არ აღსრულდა და ნეკის ოდენა ცხოველი წყარო დიდს ნაკადულად გადაიქცა. დღეს ჩვენს მწერლობას მოეძებნება თითქმის ყველა საუკეთესო კლასიკური თხზულებანი, ყველა ლიტერატურული სახსოვარნი".

„დროება" ამას სწერს მესამოციანთა მოღვაწეობის შუა ხანაში 1884 წელს. ხოლო საუკუნის დამლევს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიების კატალოგში აღნიშნულია ათასამდე ქართული გამოცემა, ცოდნის ყველა დარგებიდან, ნაცვლად იმ ათი დაბეჭდილი წიგნისა, რომელზედაც სწერდა პლ. იოსელიანი.

„ცისკარის" ერთი პატარა სტამბის ნაცვლად, თითქმის ყოველს დაბაში გვაქვს სტამბა და ქალაქებში ხომ არა ერთი.

ქართული ეკლესია უკვე მტკიცე საფუძველზედ სდგას. ის სრულიად აღდგენილია და ნივთიერად მოღო-

ნიერებული. მას უკვე კარგა ხანია დაწყებული აქვს ავტოკეფალიისათვის ბრძოლა და მასთან ერთად ის მხნე თანამებრძოლია ყოველგვარ ეროვნულ საქმეში.

არსებობს გამომცემლობანი, კერძონი და საზოგადოებათა; სამკითხველოებით და წიგნთ-საცავებით მოფენილია არა მარტო ქალაქები და დაბები, არამედ მრავალი სოფლებიც. გოგებაშვილის ქართული სახელმძღვანელოები უკვე ნახევარ მილიონ ცალზედ მეტია გავრცელებული. წერა-კითხვის საზოგადოებას მრავალი სკოლა აქვს გახსნილი შინ და მეზობელს ქვეყნებში, ს. დაც ქართველობა მოიპოება.

თეატრი უკვე მტკიცე ნი. დაგზედ გრძნობს თავს. ორი მუდმივი დასი გვყავს და ხშირად სამიც. რაც კი დიდი მსახიობები უნახავს ოდესმე ჩვენს თეატრს, ამ ხანისაგანაა წარმოშობილი. რაც დღეს ჩვენ დრამატიული მწერლობა გვაქვს ნათარგმნი თუ საკუთარი, მცირე ნაწილის გარდა ამავე დროის ნაყოფია გაჩნდენ მუსიკოსებიც, რომელნიც ქართულს ხალხურსა და საკლესიო მუსიკას იკვლევენ და ამუშავებენ. მეცნიერების სხვა და სხვა დარგში ფრიად საფუძვლიანი მკვლევარნი გაგვიჩნდენ.

საქალაქო თვითმმართველობა აქვს არა მარტო თბილისს, არამედ ქუთაისს, ბათუმს, გორს, ფოთს, სოხუმს, თელავს და სვ. ჩნდება ღირსსულ და საქმიან სამუნიციპალო მოღვაწეთა მთელი წყება.

ეკონომიურს ცხოვრებაშიც ფრიად მნიშვნელოვანი წინსვლაა. სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგში ჩნდება საზოგადოებანი—დამხმარე და ცოდნის შემტანი. მევენახეობაში საფუძვლიანი კოოპერატიული საზოგადოებანი არსდება. ასეთივე მუშაობაა მეხ�eობასა და მეაბრეშუმეობაში და სხ. ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ჩნდებიან გ ნათლებული მეურნინი, რომელთაც შეაქვთ სოფელში სამეურნეო ცოდნა.

არსდება ჯიათურის შავი-ქვის და ტყიბულის

ქვა-ნახშირის მრეწველობა. კაპიტალი ქართველობას არ აქვს, მაგრამ თანსნობ ს უნარს იჩენს და წარმოებაში ნელ-ნელა ფეხს იდგამს. ფოთი ნავთსაგურად იქცა და საადგილ-მამულო ბანკები მტკიცე ნიადაგზედ დგას. მათ უკვე ერთ მილიონ მანეთზედ მეტი აქვს გაღებული სხვა და სხვა ეროვნულ საქმეებზედ.

საქართველს წარსულის შესწავლა და წარსულის ნაშთების მოვლა-პატრონობა მხურვალე მზრუნველობას ჰპოულობს. დაარსდა საზოგადოებანი საისტორიო, არქეოლოგური, არსდება მუზეუმი, სადაც გროვდება ათასობით უძვირფასესი ხელთნაწერნი წიგნები, საბუთები და სხვა ნივთები.

ისტორიული ბრძოლებია გადახდილი ბატონყმობის წინააღმდეგ, ქართული ენის დასაცავად, ჩვენში რუსების ჩამოსახლების წინააღმდეგ, თბილისში ქართველობისათვის ღირსეული მდგომარეობის მოპოვებისათვის, საქალაქო თვითმმართველობის მეტი ძალით აღჭურვისათვის და საარჩევნო უფლებების გაფართოებისათვის, ს ერობო თვ თმმართველობის შემოღების საესარგებლოდ, ქართველ მაჰმადიანთა დასაცავად და სხვ.

დღევანდელი სამწერლო ენა ამ დასის შექმნილ ა და მათ მიერ დანატ ვარი მწერლობითი მემკვიდრეობა მთელის ჩვენი მწერლობითი სიმდიდრის მთავარს ძალას შეიცავს. მათ შეჰქმნეს ქართული გაზეთი და ჟურნალ ი. «ივერია», «დროება» და «მოამბე» უთუოდ კიდევ კა გა ხან დარჩებიან საუკეთესო ქართულ გამოცემებად.

ეროვნულ ასპარეზზედ მოღვაწეთა მცირე გუნდი მრავალ რიცხოვან ღ ამჭრათ იქცა. თავად-აზნაურთა წოდებიდან გამოსულსთ მრავლად მიემატენ მოქალაქეთა და გლეხობის წრიდან გამოსულნი. ქართველი ქალი გამოდის საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ და იჭერს ღირსულს ადგილს მწერლობისა და საზოგადოებრივ მუშაობის სარბიელზედ.

ასეთია ამ შესანიშნავი თაობის განსაცვიფრებელი

ნაყოფიერება ჩვენი ეროვნულ ცხოვრების ასპარეზზედ.

მესამოციანთა მეთაურები ბუმბერაზებად სჩანდენ მაშინდელს მისუსტებულს ეროვნულს ცხოვრებაში. ასეთებად გამოჩნდებიან ისინი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის ფურცლებზედაც. მაგრამ თავის პიროვნულ ღირსებათა მიხედვით, იშვიათის ნიჭისა, ხასიათის სიმტკიცისა, მშრომელი ერისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, ერთგულობისა და დიდი შრომის მოყვარეობის მიხედვით მათ შეეძლოთ საპატიო ადგილის დაჭერა ყოველი დაწინაურებულ ერის მეთაურთა წრეში.

ილია ჩვენი ახალი მწერლობის შემქნელია. უკანასკნელი მის გაღლენას კიდევ დიდხანს ვერ ასცილდება. ილიას პუბლიცისტურ კალამს ჯერ კიდევ არ გასჩენია მეტოქე. ზოგიერთი მისი ნაწერები პუბლიცისტიკის უშესანიშნავეს ნიმუშებათ ჩაითვლება მსოფლიო საზომით. მასავით არავის განუცდია და აუცოცხლებია ჩვენი წარსული, არავის შეუგნია და გაუმჟღავნებია აწმყო ცხოვრება, მისი კარგი და ავი. მასავით არავინ ჩასწვდენია ჩვენი ერის სულსა და გულს.

აკაკი მგოსანია—უბადლო ახალს საქართველოში, და მასთან ნიჭიერი პუბლიცისტიც. ილიასთან ერთად ის ახალი ქართული მხატვრული ენის დამფუძნებელია წერისა და სიტყვის.

ნ. ნიკოლაძე ილიას შემდეგ პირველია, როგორც პუბლიცისტი. ის უბადლო ამღვიძებელი და ამამოძრავებელია მიდუნებული ცხოვრებისა. ის თანსანია მრავალი პრაქტიკული საქმის ეკონომიური ცხრვრების სხ. და სხვა დარგში და ამ საკითხების მრკვეველი და დამმუშავებელია.

იაკობ გოგებაშვილი უდიდესი ჩვენი პედაგოგია და მასთან ერთად ნიჭიერი პუბლიცისტიც. ის არის უმთავრესი ქართული ენის გადარჩენის საქმეში. ნ. ცხვედაძესთან ერთად ის არის ახალი ქართული სწავლა-განათლების დამფუძნებელი.

მათ თავიდანვე გვერდს უმშვენებენ ათიოდე სხვა მოღვაწენი, ისინიც პირველ ხარისხოვანია ჩვენს სინამდვილეში. ხოლო მათი მოღვაწეობის დასასრულს მათ გარს ერტყა უკვე მრავალრიცხოვანი ფენები ცხოვრების ყოველს დარგში. ყოველს სარბიელზედ, ყოველი წრიდან და წოდებიდან გამოსულნი.

ჩვენი ახლო წარსულის ეს დიდათ საამაყო და განუზომელი მნიშვნელობის ხანა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. საჭიროა, რომ მას ვრცელი გამოკვლევები მიეძღვნას და მის მეთაურებს-ცალ-ცალკე მონოგრაფიები.

ხოლო ვინც ჩვენ ახალს ისტორიას გადაავლებდა თვალს, რასაკვირველია, ამ დასის მოღვაწეობას ვერაუქცევდა გზას. ამის გამო მრავლად არის გამოთქმული აზრი და შეხედულება ამ დასის შესახებ, მაგრამ ფრიად ცალმხრივი და ზედაპირული.

არჩილ ჯორჯაძე, მაგალითად, დიდის ყურადღებით იკვლევს მესამოციანთა მეთაურების აზროვნებას და მოღვაწეობას; ის, მისთვის ჩვეულის ქალწულებრივის გულწრფელობით ამჟღავნებს თავის სიყვარულსა და თაყვანისცემას ამ დასის მეთაურთა აზრებისადმი; მაგრამ ცალმხრივობას ვერც ის იცდენს თავიდან. ის ღებულობს მათ აზროვნებას, მისწრაფებას, მიზანს, ხოლო რყევაშია და ყოყმანში, როდესაც ეხება მათს საქმიან მოღვაწეობას, დასახულ მიზნისათვის გამოყენებულ ს გზებსა და საშუალებებს. ერთი სიტყვით, ყოველივე იმას რაც მთავარია და უმნიშვნელოვანესი მესამოციანთა მოღვაწეობაში. თუმცა სადაც ის იწუნებს ამ გზებს, იქვე იწონებს მის ნაყოფსა და შედეგებს. ასე ილიას არ უწონებს ის საბანკო მოღვაწეობას და ბანკებისათვის ასეთ ყურადღებას, მოსარჩლეობას და იქვე აღიარებს ამ ბანკების დიდს მნიშვნელობას მრავალ საზოგადო საქმისათვის «სკოლა იყო ეგ საქმე, გაზეთი თუ თეატრი»; ამ ბანკების კრებები თურმე კიდეც «აცოცხლებდენ, სწვრთნი

დნენ» და ავირჯიშებდენ ჩვენს «წარმომადგენლობას» და სხ. (თხზულ, წ. 2, გვ. 122) არჩ. ჯორჯაძე განსაკუთრებით უკმაყოფილოა გაბრიელ ეპიკოპოსისა და დიმ. ყიფიანის მოხსენებებით მთავრობასთან სხვა და სხვა საერო საქმეების გამო. მთავრობის ქათინაურები სათხოვარ საქმის რუსეთის საერთო სახელმწიფო ინტერესებით დასაბუთება, როდესაც ეს საგნები-ქართული ენა, ქართული სკოლა, აშკარად ამ საერთო სახელმწიფოებრივ მიზნებს ეწინააღმდეგებოდაო და სხ. იმავე დროს მას უკვირს და რევოლიუციონურად, რეალური პოლიტიკის გადახვევა ე მიაჩნია, თავ-აზნ. 1885 წლის შუამდგომლობა სამსწლოვან სასწავლებელში ყოველივე ქართულ ენაზედ ისწავლებოდეს და ექვს წლოვანში კი რუსული ენაშვებულ იქმნას მხოლოდ როგორც საგანი და ისიც უკანასკნელს კლასებშიო. ასეთი ხან "თითქმის ღირსება მოსლებული თავმდაბლობა" და ხან კიდევ "რევოლიუციონური მოთხოვნა,, და მკვახე კილო "ორაზროვნებისა და ყიზილბაშური მეთოდის,, შთაბეჭდილებას სტოვებს მასზედ.

რასაკვირველია მათი ასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი ძნელი გასაგებია განყენებული აზროვნების საზღვრებით. მაგრამ უთუოთ მაშინდელი პირობები ისეთი იყო, რომ მას ხან მოფერებითი მიდგომა მოუხდებოდა, და ხან კიდევ გაღმა გადავება, ოომ გამოღმა რამე დარჩენოდათ. ყოველს შემთხვევაში, თუ რამ გაკეთებულა პრაკტიკუ ი იმ ჟამად ათეულ წელთა განმავლობაში, ამ გზით კეთდებოდ ა. ისიც შეცდომაა როდესაც არჩილ ჯორჯაძე, დ. ყიფიანისა და ეპ. გაბრიელის აზროვნებას იკვლევს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასაბუთებდენ ისინი თავის შუამდგომლობებს სხვა და სხვა საქვეყნო საქმეებზედ. გაცილებით უფრო სწორი იქნება, თუ ჩვენ მხოლოდ იმას ჩავაგდებთ ანგარიშში მათ მიზნებისა და აზროვნების გამოსარკვევათ, თუ რას მოითხოვდნენ ისინი და რას აფუძნებდენ ცხოვრების სინამდვილეში და

სრულებით უყურადღებოთ დავტოვებთ თხოვნების ფორმას და ტონს.

არჩილ ჯორჯაძე საკითხს მოაზროვნის საზომით უდგება. პრაკტიკული მოღვაწეობა კი სულ სხვა ბუნებისაა. ის მიწაზედ მიღოღავს კუს ნაბიჯით და იძულებული ხდება ხან გადალახოს მიწიერი აღმართ-დაღმართ და ხან კიდევ მარჯვნით თუ მაოცხნით შემოუაროს, მაშინ როდესაც აზროვნება და ფიქრი მსუბუქი ფრთებით არის შემოსილი და მისთვის არ არსებობს დედა მიწის ოღრო-ჩოღრო.

ნ. ჟორდანიამ მესამოციანებს ცხრა წერილი მიუძღვნა ჯერ კიდევ 1896 წელს («კვალი»). მაგრამ ამ წერილებში, გარდა სათაურებისა, ძლიერ მცირე ადგილი მიეკუთვნა თვით ამ დასს. ის კლასთა ბრძოლისა და სხვა მსოფლიო საკითხების გარჩევას მოუნდა. ნ. ჟორდანია და სხვა მისი თანამოაზრეები ვერას ხედავენ ამ დასის მოღვაწეობაში გარდა ლიბერალური აზრების შეტანისა ქართულს მწერლობაში და ქართული ენის დაცვისა. ისინი იმასაც კი უარყოფენ, რომ ამ დასმა შექმნა პოლიტიკური მიმდინარეობა და წამოაყენა და გააშუქა ქართული პოლიტიკის ყველა უმთავრესი საკითხები.

მართალია მესამოციანთ არც კი გაუმეტებიათ რამოდენიმე საათის მუშაობა, რომ თავისი პოლიტიკური მიზნები და გინზრახვები მუხლობრივ ჩამოეწერათ, პროგრამა შეედგინათ, ან კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა, უცხო ქვეყნების პროგრამები გადმოეთარგმნათ. მათ არც პოლიტიკური პარტიის სახელი დაურქმევიათ. მათ რომ ეს მოეხდინათ და ხშირ-ხშირად ემეორებინათ-რესპუბლიკა გვინდა, დამფუძნებელი კრება გვინდაო, ნ. ჟორდანია და მისი ამხანაგები უთუოდ მიაკუთვნებდენ მათ დიდი პოლიტიკური მოძრაობის წარმომშობთა სახელს. მართალია ასეთი პროგრამები და გეგმები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის კანონმდებლობისა და მმართველობის მოწყობის შესახებ, პოლი

ტიკის საგანს წარმოადგენს და, ვინაიდან ამ საკითხების გარშემო ხდება პოლიტიკურ დასების შეხლა-შემოხლა დაწინაურებულს ქვეყნიბში, ბევრს ჰგონია, რომ სწორედ ეს არის პოლიტიკის მთავარი საგანი; ნამდვილად კი პოლიტიკის ძირეული საგანია ის საქმეები, რომელთა მოსაგვარებლად ადგენენ პარლამენტებს და მთავრობებს; სწავლა-განათლება, ქვეყნის დაცვა, სასამართლო, მეურნეობა, აღებ-მიცემობა, მისვლა-მოსვლის საშუალებანი და სხვა,

ყველა ეს საფუძველნი და დარგები პოლიტიკური ცხოვრებისა იმ ხანად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა და თუ რამ ეწყობოდა რუსეთის მიერ, არა ისე, როგორც ამას ქართველი ერის ინტერესები მოითხოვდა. ყველა ამ საქმეების დაფუძნება, მათი მიმართვა ეროვნული მოთხოვნილებათა მიხედვით, მათ მოსავლელად ღა საპატრონოდ გამოყვანა და ამოქმედება ერის ყველა ცოცხალი ძალებისა და, ამ მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, რუსეთის ხელიდან გამოგლეჯა სხვა და სხვა უფლებებისა, რაც კი შესაძლო გახდებოდა-იყო ერთად ერთი საღი ეროვნული პოლიტიკა, იმ დროის პირობებში. თუ ეს დარგები ჩვენი ცხოვრებისა რამოდენიმედ მაინც მოეწყობოდა და მოგვარდებოდა, ჩვენი ერი გადარჩენილი იქნებოდა სრულს განადგურებას. ამის შემდეგ ის შესძლებდა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის გაფართოვებას, მეტი მიზნების დასახვასა და განაღდებას.

ამისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ იმ დროინდელი გონიერი მოღვაწენი დიდს პოლიტიკურს მადასა და სურვილებს ვერ გამოეკიდებოდენ,სხვა და სხვა ლამაზ ლოზუნგებს ვერ აჰყვებოდენ და სხვა და სხვა ეკსპერიმენტების მოწყობით თავს ვერ შეიქცევდენ. მათ მიერ აღებული გზის მიტოვება და მყვირალა პარიელ პროგრამების ტრიალი პარიელს ასპარეზზედ საღი პოლიტიკური მოღვაწეობა კი არ იქნებოდა მათის მხრივ,

არამედ პოლიტიკური Cუღლუტობა და პოლიტიკური ნაCარქექიობა.

თავიანთი მაღალი ეროვნული, იგივე პოლიტიკური მიზნები მათ ნაკლებათ აღბეჭდეს ქაღალდზედ და მეტად ხალხის გულზედ, ნაკლებად იხმაურეს, მეტი საქმე აკეთეს, არამC თუ პოლიტიკური ხაზი აიღეს და ამ ხაზს გაჰყვნენ. არამედ დასახულ მიზნების დიდინაწილი თითონვე განახორCიელეს მუყაითი და მძიმე შრომით, ხან შეტევით, ხან დათმობით, ხან წყრომით და ხან ფერებით.

უCხო რეჟიმის მკაCრი წესები კარგად შეისწავლეს, მის წყვდიადში მოძრაობისა და მოქმედების Cოდნა შეითვისეს, პირდაპირი გზები თუ შემოსარები ბილიკები გაიCნეს, ამის მიხედვით თავის სარბიელის ზღუდეები გამოარკვიეს. ამის შებდეგ ჩვენი ეროვნული საჭიროებანი აღნუსხეს. მასთან თავის ძალები და საშუალებანი იანგარიშეს და გასაკეთებელი გაარიგეს და გაანაწილეს.

ჩვენი წაქCეული ვინაობის აღდგენისათვის რაC კი იყო საჭირო არაფერი დაივიწყეს. პირობათა და საშუალებათა ფარგლებში ყოველივეს მოუარეს და უპატრონეს. ეროვნული საქმიანობა Cივს ანგარიშზედ დაიფუძვნეს. სადაC საჭირო იყო თავი გასწირეს, სადუჯობდა მშვიდად და მყუდროდ ამუშავეს; სად ახდილი ბრძოლა გადიხადეს და სად კიდევ მორჩილების გზას გაჰყვნენ თავის ღირსება და თავმოყვარეობა არ დაზოგეს.

ერთი სიტყვით მათ შექმნეს არა მხოლოდ პოლიტიკური აზროვნება, მიმდიმარეობა თუ პარტია, არამედ გაCილებით მეტი. უფლება აყრილ ერს, უCხო უღლის ქვეშ მყოფ ქვეყანას იდუმალი, ფარული ავტონომია შემოუფარგლეს, და მის სულიერ თუ ნივთიერ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საკუთარი მმართველობა შეუქმნეს.

ისინი ღრმად ჩასწვდნენ ქართველი ერის წარსუ-

ლს და აწმყოს სინამდვილეს, აწმყო და მომავალი ცხოვრებ ს ასაგებად საჭირო ნიადაგი გამონახეს, ძალები და მასალები გამოარკვიეს, ახალი ცხოვრების მშენებელად მთელი ხალხი, მთელი ერი მიიჩნიეს, უფლებრივი უთანასწორების ყველა ნაშთები უარყვეს, ერის ყველა წევრთა უფლებრივი თანასწორობა აღიარეს და ქვეყნის ბატონ-პატრონად მთელი ხალხი, დემოკრატია აღიარეს და მით ქართველი ერის ცხოვრების შენება დემოკრატიული გზით მიჰმართეს.

ერთის სიტყვით ეროვნულ თვისებათაგან განძარცული ცოცხალ მკვდარი ერი, ვით ლაზარე საფლავიდან ამოიყვანეს. სულით დაცემული სულიერად აღადგინეს თვისი სახე და მეობა დაუბრუნეს; წარსულში ნახმარი ცხოვრების ძალა და ფარ-ხმალი გადაურჩიეს, ურგო და ატოვებინეს, სარგო შეუნარჩუნეს: ახალ ცხოვრებისათვის საჭირო იარაღი მოუპოვეს და მით აღჭურვეს; მისი ხასიათი და თვისება შეისწავლეს, ახალი დროების სული და ბუნება გააცნეს. ახალი ბრძოლისა და შრომის ასპარეზი გაუხსნეს და გაუკაფეს.

ასეთი იყო ამ დასის მოღვაწეობა და მომავალ თაობისათვის დატოვებული მემკვიდრეობა-

თავის ისტორიის გძელ გზაზედ ჩვენს ერს არა ერთხელ განუცდია დაცემა, დაქვეითება თუ აღდგენა და აღორძინება. მაგრამ წარსულში ჩვენი ცხოვრება ფეხზედ დგებოდა და შენდებოდა იმავ ნიადაგზედ და იმავ საფუძვლებზედ რაც დარჩებოდა გადარჩენილი -სახელმწიფო ძალაუფლება, ეკლესია, სპა და ჯარი. ზემოდ განხილული აღდგენა და აღორძინება კი სწარმოებდა მაშინ; როდესაც ასეთი რამ უკვე აღარ მოგვეპოებოდა. საჭირო იყო ახალი ცხოვრიბის აგება ახალს საფუძველზედ. საჭირო იყო ახალი მასალის დამზადება და ახალი იარაღის შეძენა. და ყოველივე ეს სწარმოებდა უმძიმეს უფლებ-. ოივს პირობებში ეროვნული მონობის მძიმე უღლის ქვეშ.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ თამარ მეფის ეპოქით. მაგრამ ეს ხანა მეტად შორეულია და ამის გამო იქ ბევრი რამ ლეგენდარულად გვეჩვენება. შვიდმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ და ბუნებრივია დაგვებადოს იქვი რომ ვაი თუ განვლილ შავ-ბნელ საუკუნოებმა აღარ შეარჩინა ჩვენ ერს მაშინდელი სასიცოცხლო ძალა და ნიჭი. ახალი დროის აღორძინება ახალი საბუთია ამ მხრივ ჩვენთვის, საბუთი კიდევ უფრო საამაყო და საიმედო, ის ჩვენზედ ჯერ კიდევ ახლოა და ხელშესახები ხოლო ნაყოფი მის, ჩვენს თვალწინ სცოცხლობს. ის გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ თუ ჩვენმა ერმა შესძლო ასეთი ბრწყინვალე აღორძინება იმ ზომად საშინელს პირობებში, ეს საწინდარია იმისა, რომ მას არ მოაკლდება ძალა მის განსაგრძობად, ეანსამტკიცებლად.

წოდება, კლასი და ერი ანუ ხალხი

დემოკრატიამ, ანუ ხალხის მმართველობამ უკვე მსოფლიო ბატონობა დაიმკვიდრა. ზოგს დიდსა, დაწინაურებულს ქვეყანაში მას უკვესაუკუნოებრივი წარსული აქვს, ზოგან კიდევ ის ჩვენ დროს დაფუძნდა; მაგრამ ეს უკანასკნელი საუკუნე სავსებით მისი ჰეგემონიის ხანაა, თუ ჩვენ საერთოდ ავიღებთ კაცობრივობის პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებას. დემოკრატიის გამარჯვების გზა მიახლოვებით ყველა ქვეყნებში ერთნაირი იყო: წოდებრიული უთანასწორობის მოსპობა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის მთელი ხალხისათვის მიკუთვნება და არა რომელიმე წრისთვის, როგორც იყო წინეთ. ეს იყო უმთავრესი პირობა დემოკრატიის გამარჯვების. ხოლო ხალხის გაბატონების ფორმა, წესები და მისი გარეგნული გამოსახულება, რასაკვირველია, ყველა ქვეყნებში ერთნაირი სისწრაფით არ სწარმოებდა და ყველგან ერთნაირ სახეს არ ღებულობდა.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს შემუშავებული ფორმულა—თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა საყოველთაოთ არის მიჩნეული, როგორც დემოკრატიული წყობის საუკეთესო გამოსახულება. მაგრამ თავისუფლება და ძმობა კიდევ არ არის გარკვეული უფლებრივი მცნება, ის უფრო ზნეობრივი ხასიათის მცნებაა. ამ ფორმულაში მთავარი უფლებრივი თანასწორობის დებულებაა. ის უარყოფს სახელსწიფოს მეთაურობის რომელიმე წოდებისათვის მიკუთვნებას და აღიარებს თანაბარ უფლება-მოვალეობით აღჭურვილ

მოქალაქეთა უზენაესს უფლება-მოსილებას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველს დარგში.

ჩვენ ერთის თვალის გადავლებით გავეცანით ახალ საქართველოს მშენებლობის საქმეს. დავინახეთ, რომ ამ მუშაობის მეთაურნი უკვე საბოლოოდ უარყოფენ ჩვენი ცხოვრების შენებას ძველს საფუძვლებზედ და ცდილობენ მის დამკვიდრებას ახალს ნიადაგზედ, როგორც ეს დაწინაურებულს ქვეყნებში ხდებოდა. რასაკვირველია, მათს მუშაობას არ ჰქონდა სრული ასპარეზი—საქართველ უცხო ბატონობას განიცდიდა და უცხო წყობის ფარგლებში იყო მომწყვდეული. ჩვენი საზოგადოებრივობის მოვლა-პატრონობისათვის მეტად მცირე სარბიელი რჩებოდა. მაგრამ ამ ვიწრო ფარგლებში მუშაობასაც უნდა ჰქონოდა თავისა მიმართულება, თავისი ხაზი. ამიტომ აუცილებელი იქნებოდა გამორკვევა იმისი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ერის შემადგენელ ნაწილთა ადგილი და მნიშვნელობა ახალი ცხოვრების შენების საქმეში, მათი უფლება, მოვალეობა და მათი საერთო ეროვნულ სარბიელზედ მოქმედების წესები. აქ ისე, როგორც სხვა ქვეყნებშ, წოდებრივობის საკითხი დადგებოდა და მისი გადაჭრა აუცილებელი გახდებოდა. სწორედ ასე იქცევიან მესამოციანთა დასნი,

მესამოციანები წოდებრივობის არსებულ ვითარებას იკვლევენ; შემდეგ მას ჩვენ წარსულს წყობას ადარებენ და არკვევენ იმას თუ რა არის დარჩენილი მასში ამ წარსულიდან და რაა კიდევ შემოტანილი რუსეთის მიერ. ამის შემდეგ ისინი ჩვენი ცხოვრების განვითარების საჭიროებებს იკვლევენ და მის მიხედვით წოდებრიულ დანაწილებას ჰგმობენ და უარყოფენ. ამასთან ერთად ისინი საქმით ებრძვიან წოდებრიულ დანაწილების წესებს და პრაქტიკულ ცხოვრებაში უწოდებრივო საქმიანობას აჩაღებენ. მ.ელი ეს მუშაობა მათ გამსაცვიფრებელის ხელოვნებით აქვთ ჩატარებული. მხატრვული მწერლობა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება

და საზოგადოებრივი საქმიანობა შეთანხმებულად აქვთ ამოქმედებული და ამ ერთი გზით მიმართული. ამ მუშაობის ამ ზომად ფართე ფარგლებში წარმოება იმ ანებში ადვილი საქმე არ იყო. სხვა წოდება და წრეები კიდევ არ იყვნ გამოსული სამოქმედო ასარეზზედ და ყოველივე საქმე და ყოველგან აზნურობის წრეში იყრიდა თავს.

1877—79 წლებში ილია ჭბეჭდავს თავის შესანიშნავ წერილებს «ცხოვრება და კანონი», სადაც სხვათა შორის წოდებრივ ურთიერთობის საკითხებსაც ეხება, «ჯერ დავიწყოთ იქიდან, სწერს ილია, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა «სოსლოვიე» ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა წოდება გუშინდელი სიტყვაა, ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის ვარგა სახმარისად თუ არა არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის მაზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთ წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს არა და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლება მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც თავის სურვილისამებრ თუნდა მოიწვევდა და თუნდ არა. ამის გამო იმ ბრძოლას და შეხეთქებას, წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა და რომელიც უპი-

ველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთა მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო ბანაკებათ დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობა წყობად დაყოფის მიზეზიც ჩვენს ერობაში....» ევროპაში, სწერს ილია მიწა იყო ცილების საგანი ფეოდალთა და სამღვდელოების შორის. მიწის მფლობელობასთან იყო დაკავშირებული უფლებრივი უპირატესობებიო.

დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თვითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებათ ერთის და იმავე წოდებისა: გლესთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლო ყმების ყოლა".

მაშასადამე ეს ახალი რუსული წოდებრივობა არ ეყრდნობა საქართველოს წარსულში შექმნილს ვითარებას. ის საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ წარმოშობილი წყობაა; ეს წოდებრივი უპირატესობები ნაბოძებია და არა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების შედეგი. აქედან ის დასკვნა უნდა გამოეტანა ყოველ შეგნებულს მამულიშვილს, რომ ასეთი უპირატესობებით სარგებ ლობა ნივთიერად, თუ უფლებრივად, სრულიად არ შეეფერება ამ წოდების წარსულ მნიშვნელობას და ამის შემდეგ უკვე საკმაოდ აა შემზადებული ნიადაგი და ილია მოითხოვს, რომ გაუქმებულ იქმნეს ეს წოდებრივი უფლებათა განსხვავება სოფლის ცხოვრებაში, სადაც აზნაურობა არ იხდიდა ზოგი ერთ ბეგარას და არ ექვემდებარებოდა სასოფლო სასამართლოებს. სწორედ ეს იყო აზნაურობის უმთავრესი უპირატესობა გლეხებთან შედარებით. ილია სწერს: «ეგრეთი ყოველ მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება

საზოგადო საქმეებიდან საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხებს იმით, რომ მარტო გლეხი და იხდის საზოგადო ებ.ს სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას... და ამ საკითხებში ძალაუნებურად წილ-ხდომილნი არიან ყველანი ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში უღლის წევაში არა. ამის გამო გლეხი უყურებს თავის მმართველობას ისე კი არა, რ ოგორც უღლებას, არამედ როგორც ტვირთს, გარდასახადს რასმეს და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობს შორს იყოს სოფელზედაც და მმართველობაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთს კი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ.

ამავე საკითხს იკვლევს ნ. ნიკოლაძე («აზნაურობას რა უშველის», «მოამბე» 1894 წ., N° 5, 9). ნ. ნიკოლაძე სწერს.

„ქვეყნის განწყობის დროს, ჩემზე რომ ყოფილიყო მონდობილი რიგისა და წესის დადგენა, იქნებ არც აზნაურობის საჭიროება დამენახა, არც მისი განკერძოებული არსებობა გამეჩინა. ჩვენდა სამწუხაროთ, არც ჩემთვის, არც მკითხველისათვის არ უკითხავსთ—რა აზრისა ხართ ამ წოდებაზეო; ისე გააჩინეს და გაამრავლეს... ამოდენა აზნაურობა ერთობ მძიმე, აუტანელი ტვირთია ხალხისათვის.

სხვა ქვეყნებში აზნაურობის რაოდენობა ბევრად უფრო მცირეა, დანარჩენი ხალხის რიცხვთან შედარებით, ვინემ ჩვენში. ყველამ კარგად იცის საიდან წარმოებს ეს მდგობარეობა. ის იმ შეუწყვეტელი ბრძოლის შედეგია, რომელიც საქართველოს ყველა თავის მეზობლებთან უნდა ჰქონოდა. ამ ბრძოლის მიზეზით ჩვენმა ქვეყანამ თავი ვერ დაიხსნა სამხედრო წყობილებისაგან, ვერც საკმაო საშუალება შეიძინა მისი სიმძიმის ასატანათ. მისთვის აზნაურობა ერთად ერთი იარაღი იყო შინაური და გარეგანი მტრის მოგერებისა. ის მუდმივი ჯარის მაგიერობას ეწეოდა უბრალო გასაჭირის ან მცი-

რეოდენი ომის დროს. ზოგჯერ კი, როცა მტერი ერთობ მძლავრი იყო, და როცა მთელი ხალხი გამოდიოდა მის მოსაგერებლად, აზნაურობა ჩინებული და გამოცდილი მწყობრი (კადრი) ხდებოდა საომრად გამოსული, მაგრამ გაუწრთვნელი, ხალხისთვის. მშვიდობიანობის დროს აზნაურობა ჩვენთვის პოლიციასაც შეადგენდა, სამსჯავროსაც, სასამართლოსაც და ვინ იცის რას არა კიდევ. ამოდენა სხვა და სხვა გვარის სამსახურის დასაჯილდოებლად ჩვენს მეფეებს სხვა არაფერი ჰქონდათ თავადიშვილობისა და აზნაურიშვილობის ღირსების გარდა.... ამით ნამსახურსაც აჯილდოვებდნენ და თან სამხედრო წოდების რიცხვსაც უმატებდნენ, ჯარის კაცთ ამრავლებდნენ... უკანასკნელი 4 საუკუნის განმავლობაში უფრო ხშირად ტაბტი ტაცობით და ძალადობით გადადიოდა ერთი პირის და ოჯახის ხელიდან, მეორისაში, ხან ოსმალოს, ხან სპარსეთის, ხან წვრილმან ხანების და ფაშების ან ლეკების წაქეზებით. ეს გარემოებაც მეტადამრავლებდა აზნაურობის ღირსებით შემოსილი გვარების რიცხვს.... როცა რუსის მართვა და კანონი შემოვ და ჩვენში, ეს «შენაძენი ღირსება» ყველას დაუმკვიდრდა. ასი წლის შეურყეველმა მშვიდობიანობამ იმდენად ამრავლა ჩვენი აზნაურობა, იმდენად რომ ის დღეს თითქმის მეათედს ნაწილს უდრის მთელი ჩვენი ხალხისას. იქნებ, ჩვენი წარსული ცხრვრების ერთფეროვნების გამო, სახელსა და ღონეს მარტო სამხედრო ნიჭი იძენდა, რადგანაც ყოველ სხვა ნიჭზე უსაჭიროეს იყო მაშინ სამშობლოსათვის. იქნება ამ მიზეზით ეხლანდელ ჩვენს აზნაურობასაც წინაპრებისაგან უფრო მხედრული თვისებები მოსდგამდეს, ვიდრე მოქალაქეობრივი. ეს შესაძლოა. მაინც მხედრულ წოდებას ბევრი ისეთი თვისება და ღირსება აქვს ძარღვებში გამჯდარი, მოდგმიდან მოდგმისთვის დედის ძუძუთი გადაცემული და თვითეული ახალი თაობისაგან თანდათან უფრო და უფრო მეტად განმტკიცებული, რომლის დაურთველად არ ივა-

რგებს არსერთი მოქალაქობა, არც ერთი მოქალაქური წესით გამართული საზოგადოება.»

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ამ წრეში განსაკუთრებულად მტკიცეა კავშირი ოჯახისა და თვით გვარეულობის წევრთა შორის. «ეს კავშირი ადამიანს პირუტყვობას აშორებს და კაცობრიულ გრძნობას უნერგავს გულში. აჩვევს პირადი სარგებლობის უკუგდებას, სხვისი გულისთვის თავისი სურვილის ალაგმვას, სხვისი გასაჭირის გაგიბას, სხვისთვის თავის დადებას, უზენაეს გრძნობას უზენაესის ქმნილებისას. დიდი და საჭირო რამ გახლავსთ ეს გრძნობა საზოგადოების და ერის ცხოვრებაში, ეს მსხვერპლის მოსატანად მზად ყოფნა. ისტორია გვმოწმობს, რომ ზოგიერთ ხალხს, დიდი ქონებისა და სახელის პატრონს, თვითარსებობა მარტო იმისათვის არ ჰღირსებია, ან არ დასცლია, რომ აი ეს თავისდადება, ეს სამსხვერპლოდ მზათ ყოფნა არა სთვისებია თურმე. ნუ თუ უანგარიშობა არ იქნება იმ ერისთვის, რომელსაც 20 საუკუნის განმავლობაში განგებ აღუზრდია და მოდგმიდან-მოდგმისთვის გადაუცია ეს სასიქადულო თვისება, რომ მისი მნიშვნელობა დაივიწყოს, ან მისი ძალა დაახშოს თუ მოსპოს?

აქაც იგივე ხერხია ნახმარი, რაც ილიას მიერ. ჩემზედ რომ ყოფილიყო მონ ებობილი იქნებ არც აზნაურობის საჭიროება დამენახაო. ამავე დროს ნ. ნიკოლაძე ნათლად გვისურათებს თუ როგორი დანიშნულება ჰქონდა ამ წოდებას წარსულში და რა თვისებები მოჰყვა მას დღევანდლამდე. მაშასადამე წარსულში არა ყოფილა ის ზედმეტი და უსარგებლო. მაშ რათ უნდა არ დაენახა მისი საჭიროება ნ. ნიკოლაძეს? ეს ყოველივე იმისათვის არის თქმული, რომ ყველას დაჰკარგოდა მადა და სურვილი არსებულს პირობებში წოდებრიობის შენარჩუნების საჭიროების დაცვისა. წინანდელ დროშიც არ დავინახავდი მის საჭიროებას და ეხლანდელ დროზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო.

ამ სახით მესამოციანებმა გამოაცალეს წოდებრი-

ვობას ჩვენში ყველა დასაყრდნობი ისტორიული თუ უფლებრივი. განსხვავება და უპირატესობები თუ რამ დარჩა კიდევ აზნაურულს წოდებაში, ესეც სასტიკადაა დაგმობილი და მათი გაუქმების აუცილებლობაც აღიარებულია. ახალი ცხოვრების უმთავრეს მ მოძრაველელ ძალად და საძირკვლად შრომა არის მიჩნეული. ვინც ამ შ'ომის სა'ბიელზედ უფ'ო ძლიერია ის არის ერისათვის მთავარი ძალა, ის არის ცხოვრების მშენებელი და მამოძრავებელი. «ოთარაანთ ქვრივში» ილიას გამოჰყავს ისეთი წარმომადგენელნი აზნაურული წოდებისა, რომელთაც უკვე შეენებული აქვთ ახალ ' ცხოვრების ეს ბუნება. ისინი შრომის პატივისმცემელნი არიან და თითონაც ცდილობენ შრომაში ჩაბმას. აქ მეღავნდება გლეხობის ყველა უპირატესობები. შრომაში უნარიანობისა და გამძლეობის შეძენისათვის კიდევ შრომა ყოფილა საჭირო, ეს უცბისად არ მონაპოვება.

მაგრამ არც ეს არის საკმაო. წოდებრივობის ყოველივე ნაშთის აღმოსაფხვრელად და ერ'ოვნული სხეულის სავსებით გამთელებისათვის. აზნაურობასჯერ შერჩა თუ შეუმუშავდა რუსეთის ბატონობის ხანაში თავისი, ხასიათი, ზნე და ჩვეულება, რომელიც უკვე აღარ შეეფერება ახალს ცხოვრებას, გლეხობას კიდევ თავისი და ამის გამო მათ შორის არ არსებობს ერთმანეთის გაგე ბა. ილიას მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი', ამ თემაზედ არის აგებული. აქ წოდებები ერთმანეთს უპირდაპირდება, მაგრამ არა სიმდიდრე-სიღარიბის ნიადაგზედ.—ოთარაანთ ქვრივის ოჯახი სიღარიბეს არ. განიცდის. არც უფლებრივი უთანასწორობის გამო ხდება დაპირდაპირება; ბატონყმობის მოსპობის შემდეგ უკვე ოცმა წელმა განვლო და წოდებათა შორის უფლებრივ უთანასწორობის ძველი სიმწვავე დამცხრალია. აქ ერთმანეთს უპირდაპირდება ორი ზნე, ხასიათი, ჩვეულება და შეხედულობა. გლეხს თავადის ქალი-შეუყვარდა სიკვდილის კარამდე ვერ ჰბედავს თავის

გრძნობის გამქღავნებას, რადგან არა ბუნებრივად მიაჩნდა მას ეს მოვლენა. ქალსაც ჰღალატობს ამ საგანში განვითარებული მხედველობისა და მიხვედრილობის ნიჭი, ვინაიდან მისი ბუნება არ მოელის გლხისაგან ასეთს გრძნობებს. თავადი არჩილი, განათლებული და მშრომელი, ასე ახასიათებს ხალხის ასეთს გაორებას გაყოფას:

„ჩვენსა და იმათ (გლეხობას) შუა ხიდია ჩატეხილი. ისინი იქით ნაპირას დარჩენ, ჩვენ აქეთ. შორის შორსა ვართ და თვალნი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი... ამ დიდ მანძილზე განა ცოტა რამ არის, რომ ულონო თვალს თეთრ› შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა. ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან... ჩვენ ვინ და ისინი ვინ? ორი სხვა და სხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ... გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მიგვიხვედრებია და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარ გვესმის რა... ეხლა ჩვენს შუა დადის მარტო პტყელი ენა მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ... გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალ-თვალა და ცალ-ყურა, ნახევრად-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს... ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა.. მაგრამ განსხვავება იმ ოცცხალ ნახევარშია, რომელიც შერჩენილი გვაქვს. ჩვენ რაც ვართ გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდოლნი, დუნენი... ცხოვრება იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა... ჩვენ ხედვათ და სმენათ ულონონი ვართ და იქ კი...იქ კი რამდენი ღონეა შექმნისა... ჩვენ

უკან ბნელია, ღამეა... და ხიდია ჩატეხილი... ეგ Cრემლიანი Cოდნა, თუ Cოდნიანი Cრემლი უკანისა—შუქი წინასი და შუქი ხომ დასაწყისია განთიადისა: ეგ Cრემლიანი Cოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ წამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქCევა და მთელს ტიკს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს, და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს".

არჩილი აქ იშვიათის ძლიერებით გამოსთქვამს ილიას მიერ მრავალჯერ გამოთქმულ აზრებს ერის გაყოფილ ნაწილთა გაერთიანების მიუCილებელ საჭიროების შესახებ. გუშინ დაშორებული ძმები, დღეს უნდა გაერთიანდნენ მშვიდობიანი შრომის ასპარეზზედ. მათში კიდევ დარჩენილი სხვა და სხვაობა ზნისა და ჩვეულებისა, შეთანხმებული და შეთვისებული უნდა იქნეს და მით მათ შორის ჩატეხილი ხიდი გამთელდეს. ამ პროCესის დასაჩქარებლად საჭიროა ზედმოქმედება ორივე წრეზედ. აზნაურობამ მაღლა აწეული თავი ძირს უნდა დაჭხაროს, ამაყობისა და მიუკარებლობის ზნე დასტოვოს, გლეხობამკი თავი მაღლად უნდა ასწიოს და პიროვნულ ღირსების შეგნებით შეიარაღდეს. ამ გზით გაუსწორებენ ისინი ერთმანეთს თვალს და ამ გზით შეხვდებიან შრომის ასპარეზზედ, როგორC ერთი ოჯახის წევრნი, ძმები და არა მოწინააღმდეგენი, როგორC იყო წინეთ. ამ მიზნისთვისაა, რომ არჩილი ასე ამაჟღლებს გლეხის ყველა თვისებებს და ამდაბლებს აზნაურობისას.

ასეთი იყო მესამოCიანთა გაგება წოდებრივობის ბუნებისა და მათი მუშაობა მისი სრულიად აღმოფხვრისათვის.

მესამოCიანთა შეხედულებები წოდებრივობის შესახებ საქართველოში სავსებით დაადასტურა შემდეგი დროის მეCნიერულმა შრომებმა. უდიდესი ჩვენი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ასეთს აზრებს გამოსთქვამს თავის შრომებში ქართულ სამართლის ისტორიის შესახებ:

„აზნაური და აზნაურობა ძველს ქართულს მწერლობაში თავისუფალს და თავისუფლებას ნიშნავდა. გააზნაურება განთავისუფლებას უდრის... აზნაურობა საქართველოს სახელმწიფოს წოდებრივის წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაური საქართველოს ყოველს თემსა და კუთხეში იყვნენ... ძველად თავადობა, როგორც წოდება არ არსებობდა და მის მაგიერ მარტო აზნაურობა იყო... აზნაურები იყვნენ „ნათესავით აზნაურნი" გვარიანი აზნაურნი. მათ გვარიშვილობით ჰქონდათ ის წოდება მიკუთვნებული და მაშასადამე მემკვიდრეობით. ესენი იყვნენ მემამულე აზნაურთა წრიდან. ამათ გარდა იყვნენ «აზნაურნი მოსაკარგავენი», ანუ გადასახადის ამკრებნი. იყვნენ აგრეთვე აზნაურნი «საზუერელნი», ალბათ საბაჟოს გამგენი და სხ. მასალებიდან ისიც ნათლად სჩანს, რომ «თავადი» აზნაურივით წოდებრივი ტერმინი კი არ იყო, არამედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი. თავადი დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა.... თავადის ყოველი მახლობელი ნათესავიც კი «თავადათ» არ ითვლებოდა. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ მე 18 საუკუნეში თავადობაც მემკვიდრეობითი ხდება ასევე როგორც წინეთ იყო აზნაურობა. თვით შემადგენლობა წოდებათა ცვალებადი იყო.... წოდებანი ერთი მეორისაგან გარდაუვალ ზღუდით არ ყოფილა განცალკევებული. წოდებრივად აღზევებაც შეიძლებოდა და დაქვეითებაც, ჩამომცრობაც...

...პირადის ღირსებით და განსაკუთრებით სამსახურით წოდებრივობის მხრივაც დაწინაურებაც შეიძლებოდა. ერთის უფრო დაბალი წოდებიდან უფრო მაღალ წოდებაში გადასვლა რომ შეიძლებოდა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოიპოვება. ამის შესაძლებლობა წარსულში ყველასათვის ცნობილია.

...მემატიანე მოგვითხრობს, რომ თამარის დროს ისეთი საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდა, რომ „გააზნაურდეს ქვეყნის მომქმედნი და გადიდებულდეს

აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნიო". (ივ. ჯავახიშვილის «ქართ. სამართ. ისტ.», წიგ. 1 და 2).

«ქართლის ცხოვრებას» რომ მივაკითხოთ, ან კიდევ სხვა წყაროებს, ჩვენ დავინახავთ, რომ თავადათ იხსენიება ხშირად ეკლესიისა თუ ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის მეთაური. «მაშინ გამოჩნდა კაცი ერთი, სახელათ ალინაყ, ასისა კაცისა თავადი და არა საჩინოსა გვარისა,» მოგვითხრობს მე 13 საუკუნის მემატიანე. აქ «არა საჩინო», არა დიდი გვარის წევრიც იხსენიება თავადათ, როდესაც ის მეთაურია ჯარის ნაწილისა. ეს თავადები და დიდებულნი რომ იყვნენ მხოლოდ მეთაურნი გვარეებისა და ეს თავადობა გვარის ყველა წევრებს არ მიეკუთვნებოდა, და რომ თვით ამა თუ იმ გვარის მეთაურებსაც სამუდამოთ არა რჩებოდათ ეს თავადობის წოდება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენს ისტორიაში მხოლოდ რამოდენიმე გვარი მოიპოვება ისეთი, რომელთა მეთაურნი თავადათ იხსენიებიან რამოდენიმე საუკუნეთა მანძილზედ. ხოლო დანარჩენი გვარების მეთაურნი თურომელიმე საუკუნეში თავადათ ირიცხებიან, შემდეგ საუკუნეებში ამ გვარის მეთაურთ ველარ ვხედავთ თავადებათ და მათს ადგილს სხვა გვარის წარმომადგენელნი იჭერენ. თავადებად და მთავრებად იწოდებიან სხვა და სხვა ეპოქაში. გუბაძე, გაგელი, გამრეკელი, მანუსელიძე, ვარდანიძე, ჯაველი, ფარნაჯანიანი, ჯონშერიძე, ბედიანი, მარუშაძე, ლიპარტიანი, კორინთელი, კახაბერიძე, კავკასიძე, არეშიძე, ;არიჩიძე, დონაური, ჭელიძე, ლასხიშვილი და სხ. მაგრამ გადის ერთი, თუ რამოდენიმე საუკუნე და ესენი უკიე აღარ გვხვდებიან თავადების რიცხვში. რუსეთის შემოსვლის დროს კი ეს გვარები უბრალო აზნაურები არიან და ზოგი კიდევ მათგან გლეხები.

აზნაურთა გვარებზედ დაკისრებული მოვალეობა ისეთი ბუნებისა იყო, რომ ამა თუ იმ გვარის დაწინაურება, გამოჩენა და ასევე დაქვეითება და გავლენის მოკლება ხშირად უნდა ;ყოფილიყო. ამის შედეგი კი ის არის

რომ ჩვენი ისტორიის გრძელს მანძილზედ გვარეულებათა დიდ ნაწილს გარებული აქვს ეს დაწინაურება-გააზნაურების ხანა და ამის გამო სამხედრო და ადმინისტრატიულ მმართველობის სკოლა. ამგზით უნდა მომხდარიყო სამხედრო და სხვა სახელმწიფოებრივ მმართველობის თვისებათა შეთვისება და შესისხლხორცება მთელი ერის მიერ. მეორეს მხრივ ამაღლების შემდეგ დაქვეითებული გვარების დანათესავება სხვა გვარებთან კიდევ ანაწილებდა და არიგებდა ხალხში სახელმწიფოებრივ გამოცდილებას, ცოდნას და სხვა ასეთ თვისებებს, რაც მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

უთუოდ ყოველივე ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამხედრო და ადმინისტრატიული ნიჭი ახასიათებს ჩვენი ერის ყველა წრეებს და არა მხოლოდ იმ გვარებს, რომელნიც აღწევენ რუსეთის ბატონობის ხანას თავადობისა და აზნაურობის ღირსებით.

თუ აზნაურნი, დიდებულნი და თავადნი წარმოადგენდენ მუდმივ ჯარს და აწარმოებდენ სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებს, ცხადია მათთვის საჯრდოს მიხიჭება აუცილებელი იქნებოდა. თანამედროვე სახელმწიფოები ფულებრივ ნიადაგზედ ეწყობა. ხალხი იხდის გადასახადს, რომელიც იკრიბება ხაზინაში, საიდანაც კმაყოფილდება სახელმწიფოს ყველა საჭიროება. წინეთ ასეარ მოხერხდებოდა. ნატურალური მეურნეობის ხანა იყო და გადასახადთა და ბეგარას სამეურნეო ნაწარმოებით იხდიდენ. ამის მოკრება ერთს ხაზინაში არ შეიძლებოდა. ეს გადასახადი ადგილობრივ უნდა შეკრებილიყო და იქვე მოხმარებულიყო სახელმწიფოს საჭიროებებს. ასეთს პირობებში ბუნებრივი იყო, რომ მმართველ წრეებს—თავადებს და აზნაურებს ადგილობრივ ჰქონდათ მიჩენილი სარჩო და ამას შეადგენდა ის ბეგარა, რომელსაც იხდიდენ გლეხები. სხვა უპირატესობებიც, რომელნიც ჰქონდათ მათ, როგორც მმართველ წრეს, არსებითად არაფრად განსხვავდებოდა იმ უპირატესობებისა-

გან, რომელიც აქვსთ ეხლაც ჯარში ოფიცრობას და საზოგადოთ სახელმწიფო მსახურთ ჯარისკაცებისა და უბრალო ნოქალაქეებთან შედარებით. ხოლო მაშინდელი დრო იყო საერთოდ უფრო მკაცრი და სასტიკი.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის საქართველოში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მძულვარება და მტრობა, როგორც ეს სხვაგან იყო. თავად-აზნაურები თავის ცხოვრების დიდს ნაწილს ომში ატარებდენ. მათი ოჯახი და ქონება ხშირად უპატრონოდ რჩებოდა. შემოსეული მტერიც უპირველესად მათს ოჯახებს იკლებდა. უთუოდ გლეხობა ამ ოჯახებს კი არ იკლებდა, არამედ იფარავდა და იცავდა. ეს წოდება რომ გლეხობას თავის მოსისხლე მტრად ჰყოლოდა მიჩნეული, ცხადია თავად-აზნაურობა ვერ გადიტანდა, არამც თუ ასეთს მუდმივს განსაცდელებს, არამედ ერთსა და ორსაც.

მე-17-18 საუკუნეში წოდებრივი წესები მნიშვნელოვანათ იცვლება. დაუსრულებელი ომები, კუთხობრივი დანაწილება, ოსმალ სპარსთა და შემდეგ რუსთა ხელის ფათური ჩვენს საქმეებში მნიშვნობლივ დაღს ასვამს ჩვენებურს წოდებრივს წყობას. ის რუსულ წოდებრივობას მიემსგავსება, მაგრამ ჯერ კიდევ გარეგნულად. ისე რომ ამ დროის წოდებრივი წესებიც არ იყო ჩვენში ისეთი, როგორც ევროპასა და რუსეთში. ამას ადასტურებს მეფე ვახტანგ სჯულ-მდებელი, რომელიც სწერს თავის «სამართლის წიგნში (შენიშვ. გვ. 204) რომ ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა ჰგავს სხვათა ქვეყნისა ქცევათა რიგთა და ქცეულობათა. სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკვდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი» და სხ.

როგორც იყო ზემოდ აღნიშნული, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში აზნაურობის უფლება-მოვალეობა იცვლება. ის უფრო უფლება-მოსილი და უფრო დამოუკიდებელი ხდება. ამასთან ერთად თა-

ვადობა მემკვიდრეობით გადადის. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ამ ხანაში ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დიდს დარღვეულობას განიცდიდა და სახელმწიფოს უმაღლესი მმართველი, მეფე მოკლებული იყო საჭირო ძალას, რის გამო ის ვერ ახერხებდა გავლენის განმტკიცებას სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგებში. ერეკლეს მეფობის დროს უმაღლესი მმართველობა თანდათან მტკიცდება, მიუხედავად მუდმივი ომიანობისა. მეფის გაძლიერებასთან ერთად ისახება შესაძლებლობა სახელმწიფოებრივი მმართველობის შეკეთებისა და გარდაქმნის. ერეკლეს მიერ განზრახული მუდმივი ჯარის დაწესება, ქალაქთა და სოფელთა მმართველობის, ახალს საფუძველზე მოწყობა და სასამართლოს წყობის შეცვლა ამ მიზნით იყო გამსჭვალული. ამ კეგბების მიხედვით თავად-აზნაურობას უნდა ჩამორთმეოდა უმრავლესი ნაწილი მათი მონაწილეობისა სახელმწიფო მმართველობის დარგში და ის უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს ხელეთ. მეფე ერეკლემ ვერ მოასწრო ამ გეგმის განხორციელება. გიორგი მეცამეტეც ამ გზით მიდის და ის ანდობს ბატონიშვილ იოანეს სასახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალს საფუძვილზედ გადაკეთების პროექტის შედგენას. 1799 წელს ეს დიდი შრომა უკვე დასრულებულია.

ბატონიშვილ იოანეს მეტად ნიჭიერად აქვს შეთანხმებული თავის გეგმაში დასავლეთის აბსოლუტურ მონარქიის საფუძვლები ქართულ სახელმწიფოებრივ ძველს წყობასთან, რომლის გარდაქმნა ერთის ხელის დაკვრით არ მოხერხდებოდა. ამ პროექტის მიხედვით მმართველობის ყველა დარგის ხელმძღვანელობა მეფის ხელში გადადის. თავად-აზნაურობას რჩება სასამართლოსა და ადმინისტრაციის დარგში უფრო მცირე მნიშვნელოვანი საქმეები. ერის თავები მეფის მოურავებად ცხადდებიან. მართალია ერის თავობა ჯერ კიდევ მემკვიდრეობით რჩება, მაგრამ ამ თანამდებობაზედ მეფე

ჰნიშნავს ერის თავის შვილთაგან, „რ ამელიც იყოს გონიერი და მამულის ერთგული". მოურავთან უნდა იყოს დანიშნული თითო სამეფო მოხელე, „რომე მთიურს სასამართლოში იგიცა დაესწრებოდეს და აგრეთვე რაც გამოსავალი არის ესევე მოხელე გამოაბარებდეს ვისაცა ჯერარს, ხოლო მეფემან უბოძოს ათის თავი გამოსავალი ამ მ[illegible]ურავთ, რადგანაც ამათაც ხარჯი ექნებათ". სახელმწიფოს გადასახადი მეფის ხაზინაში იკრიბება და იქიდან ხმარდება სახელმწიფოს საჭიროებებს. „თავადთა პირველთა მოხელეთა აქვნდეს ას ასი თუმანი": ე. ი. სახლთუხუცეს, ამილახუარს, მუხრანის ბატონს, ქიზიყის მოურავს და ელინების უფროს ვეზირსა. ხაზინადარს, პირველ მდივანს, პირველ ნახირს, ამილახვარსა, ქალაქის მოურავს და ყაზ.ახისას სამოც-სამოცი თუმანი". («მწყემსი» 1894-95 წლეების).

ამ პროექტ]ი განვითარებული, თანამედროვე სახელმწიფოს საფუძვლებია მიღებული სახელმწიფოებისათვის მუდმივი და მტკიცე ფინანსიური წყობის შექმნით, სასამართლოს განმტკიცებით, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის ნათლად გარკვევითა და სახელმწიფოს მზრუნველობის გაძლიერებით, სწავლა-განათლებ ისა და ეკონომიური ცხოვრების დარგში. აქ უკვე განათლებ ული აბსოლიუტიზმის გეზია აღებული. დიდათ არის შეკვეცილი აზნაურობის პიროვნული თუ საზოგადო უფლებები. ამ რიგად მეთვრამეტე საუკუნის დასასრულში აღინიშნა ქართული წოდებრივობის ისეთი ცვალებადობა, რომელიც, ყოველს შემთხვევაში რუსული ბატონ-ყმობის გზით ვერ წავიდოდა.

ასეთი წოდებრივობა, ქართულს ნიადაგზედ აღმოცენებული და მაშინდელი ცხოვრების პირობებით გამოწვეული, ისპობა საქართველოს სახელმწიფოს დაცემასთან ერთად. ყოველივე, რაც წინეთ თავად-აზნაურობას ჰქონდა დაკისრებული სასამართლოსა და ადმინისტრაციის დარგში, სახელმწიფოს მოხელეთ გადა-

ეაა. ხოლო სამხედრო საქმე, ქვეყნის დაცვა საყოველთაო ბეგარად გახდა. მაგრამ აზნაურობის გვარებს დაუმკვიდრეს რუსეთის აზნაურობის უპირატესობები, რაც ბატონ-ყმობაში გამოისახებოდა. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ეს წოდებრივი უპირატესობები დიდათ შემცირდა, მაგრამ რაც დარჩა, ეს იყო მუქთი, გარეშე რაიმე განკერძოებულ ვალდებულობისა სისხლითა თუ საღრსით. ხალხის თვალში მას უკვე აღარავითარი გამარჯლება აღარ ჰქონდა და ეს ცხადია, აზნაურობის წინააღმდეგ მტრულს განწყობილებას სთესავდა ხალხში. ამასთან ერთად აზნაურობა ჩვენში ქონებრივად უფრო სუსტია და რიცხვით უფრო მრავალი, ვიდრე რუსეთში. შრომას (ს უჩვეულოა, მეურნეობის წარმოების ცოდნა არ აქვს და ამ მხრივ მმართველობაც არ უწყობს მას ხელს. სამაგიეროდ მას ფართედ აქვს გახსნილი გზები სამხედრო სამსახურისა, მაგრამ ისიც სამშობლოს გარედ ,რუსეთში, რომ ის სავსებით მოწყდეს თავის ერს. ამ რიგად, რუსეთის მიერ თავიდანვე იყო აღებული ისეთი გეზი ამ წოდების მიმართ,რომ ის უნდა დაცემულიყო, დაქვეითებულიყო ქონებრივად და ზნეობრივად, გამხდარიყო უსაქმობისა და მუქთახორობის მსხვერპლად და მასთან ერთად წარმოეშვა ერში წოდებათა შორის სიძულვილი და მტრობა.

ყოველივე ეს ფრიად კარგად იყო მოფიქრებული რუსეთის მიერ. აზნაურობა და სამღვდელოება ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მატარებელნი იყვნენ საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხრვრების მრავალი უხილავი ნაშთები კიდევ იქნებოდა მათში დარჩენილი. ამ წოდებათა ბუნებრივი შეზრდა და შეხორცება ერის სხვა ნაწილებთან ორგანიულად შეუერთებდა ამ თვისებებს მთელს ერს. აქ ეს სახელწიფოებრივი ცხოვრების გადარჩენილი ფესვები ნოყიერ ნიადაგს მოიპოებდა და თანდათან გაცოცხლდებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, რუსეთმა სხვა გზა აირჩია—აზნა-

ურობის გამოყოფა და გამოკვეთა ეროვნულ სხეულიდან, მისი დაშორება ნივთიერად და სულიერად დანარჩენს წრეებს, და მისი ისეთი გზით მიმართვა, რომ ადვილად გაჩანაგებულიყო ნივთიერად და სულიერად.

გასაგებია, რომ მესამოციანთა გუნდი, რომელმაც მიზნად დაისახა დაცემული საქართველოს აღდგენა და აღვიძება, სასტიკსა და შეურიგებელს ბრძოლას უცხადებს წოდებრიულ წესებსა და მის მიერ გამოწვეულ შედეგებს.

წოდებრივ განკერძოებისა და უპირატესობის უარყოფისა და მისი მავნებლობის აღიარებასთან ერთად. ისინი საჭიროდ ცნობენ ქართველი ერის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის საერთო ეროვნულ ასპარეზზედ გამოყვანას, და საერთო ფერხულში ჩაბმას. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორის დამარწმუნებელის მეტრმეტ ველობით იწვევენ ამ წოდებას შრომისა და საქმიანობისაკენ, როგორ ცდილობენ მის ჩაბმას მეურნეობასა და აღებ-მიცემობაში. ამავე მიზნით დაარსებინეს აზნაურობას ორი საადგილ-მამულო ბანკი. ვფიქრობ, რომ იშვიათად თუ სადმე დაარსებულა კიდევ ასეთი საკრედიტო დაწესებულებანი. კერძო პირების მიერ გაღებულ თანხით დაარსდა ეს ბანკები ხოლო მთელი მისი მოგება საზოგადო-საჭიროებებს ხმარდებოდა და, როდესაც თავნი იქმნა ამოღებული და დაბრუნებული, ისიც საზოგადო საქმეებისათვის გადაიდო. თვით ბანკის მართველობას აღგენდენ, როგორც დამაარსებელნი, ისი მსესხებელნიც და, მაშასადამე, ყველა წრისა და წოდების წარმომადგენელნი. ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის შექმნაში ამ ბანკებს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აზნაურობასთან ერთად, სხვა წრეებიც გამოიყვანეს სამოქმედო ასპარეზზედ, საერთო, ეროვნულს ასპარეზზედ, ვინაიდან ამ ბანკების შემწეობით იდგამდა ფეხს ყველა ჩვენი კულტურული საქმეები—ქართული სკოლა, თეატრი და სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

ამ რიგად შემდეგი მდგომარეობა მყარდება: რუსეთის სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს წოდებრივ დაყოფილებას. ჩვენშიდაც იგივეა. მაგრამ ეს უფრო საშიში ხდები ჩვენს სინამდვილეში, ვინაიდან ჩვენ უცხო უღლის ქვეშ ვიმყოფებით და ეროვნული თავდაცვის წარმოება მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, უკეთუ ერის ყველა ცოცხალი ძალები საერთო საქმეს მოხმარდება და არა ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას. აქედან ნათელია რეალური ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნილება ჩვენი ცხოვრების მიმართ—გლეხობის აწევა და ამაღლება სულიერად და ქონებრივად და მეორეს მხრივ აზნაურობის განკერძოებულ უფლებათა და პირობათა ფაქტიურად გაქარწყლება, გაბათილება და ამ წოდების ქონებრივ და უფლებრივ შესაძლებლობათა ეროვნულ მიზნებისათვის დამორჩილება და გამოყენება. აზნაურობის პირველი მეთაურის დიმ. ყიფიანიდან დაწყებული, მის უკანასკნელი მეთაურით კ. აფხაზით გათავებული, ეს წოდება თითქმის შეუბორძიკებლივ მისდევს ასეთს, მესამოციანთა მიერ აღებულს რეალურ ეროვნულ პოლიტიკის გზას. ეს წოდება მუდამ თაკილობს კერძო თავის წოდებრივ საქმეების აღძვრა-მოთხოვნაში. ქართული ენის, ეკლესიის და სკოლის დაცვა, საქალაქო და საერობო თვითმმართველობის მოთხოვნა ფართე დემოკრატიულ საფუძვლებზედ, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, და შემდეგ, 1917 წელს, ეროვნული საბჭოს მოწვევის თაოსნობა—ამ წოდების პოლიტიკური მუშაობის მთავარი ეტაპებია.

რასაკვირველია, მთელი ეს წოდება ასე მალე ვერ განთავისუფლდებოდა წოდებრიული ეგოიზმისაგან და ვერ გაიმსჭვალებოდა საერთო, ეროვნული ინტერესებით. ბევრი იყო რომ ამ წოდებრივ უპირატესობებს ძლიერ მაგრად ებღაუჭებოდა მაგრამ მთავარი ძალა და მიმდინარეობა ამ წოდებისა თანდათან სცილდებოდა

განკერძოების გზას და საერთო ეროვნულს ფერხულში ებმებოდა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, და ეს წოდებაც წოდებრივ და კლასთა ბრძოლის გზით წასულიყო, ეროვნული აღორძინების საქმე, მესამოციანთა მიერ გამოწყებული, თვით სათავეშივე დამარცხდებოდა და გაქარწყლდებოდა.

გასაგებია, რომ მესამოციანთა მიერ გაწეული დიდი მუშაობა სიტყვითა და საქმით არ გამოდგა საკმარისი მთელი აზნაურობის გარდაქმნისა და ახალს გზაზედ დაყენებისათვის. მათ შესძლ ეს მხოლოდ აზნაურობის შუათანა წრეების დაახლოვება და ჩაბმმა ახალს ეკონომიურსა და კულტურულს საქმიანობაში. ეს ნაწილი ჯერ კიდევ თავის მიწაზედ იყო, ხალხში ტრიალებდა, საერთო ცხოვრების მონაწილე იყო, ის ჯერ კიდევ არ არის ზნეობრივად გარდაქმნილი რუსული წოდებრიული წესებით. ის ჯერ კიდევ არ დაშორებოდა საქმეს, შრომას, საქვეყნო ინტერესებსა და ჭირვარამს. მასში ჯერ კიდევ ქართული ენა და წიგნი ბატონობს, ქართული ზნე და ჩვეულება. მისი ქონებრივი ინტერესებიც მტკიცედ არის გადაბმული ქვეყნის საერთო მდგომარეობასა და საჭიროებებს. ყოველივე ეს მისთვის უფრო მეტს ღირებულებას შეიცავს, ვიდრე ზოგიერთი უპირატესობანი, რუსეთის მიერ მინიჭებული. ამიტომ ის ადვილად სტოვებს ამ უპირატესობების ძიების საქმეს და თავის არსებობის მთავარ ინტერესების მოვლა-პატრონობის გზას ირჩევს სხვა წოდებებთან ერთად.

აზნაურობის ერთს ნაწილს სულ სხვა გეზი აქვს აღებული. ასეთია უფრო შეძლებული და სამსახურში მყოფ აზნაურთა ცალკე ნაწილი. ეს წრე უკვე გადაგვარებულია და ბუნება შეცვლილი. მას ეხაც დავიწყებული აქვს და ზნე-ჩვეულებაც. ქართულ ცხოვრებასაც დაშორებულია და ქართულ ეროვნულ მიზნებიც მისთვის უკვე აღარ არსებობს. ქართული ეროვნული საქმიანობა მას მავნებლადაც მიაჩნია. ეს აძნელებს, მისი აზრით,

ქართველობის დაწინაურებას და რუსეთის მმართველობისაგან მფარველობისა და დახმარების მიღებას. ის რუსეთის პოლიტიკის სათვალეებით ხედავს ჩვენს ცხოვრებას, ის უკვე რუსეთის პოლიტიკის იარაღია. ეს წრე მუდამ ებრძვის და ეწინააღმდეგება მესამოციანთა პოლიტიკას, მაგრამ ვერას ხდება. მისი გავლენა და მნიშვნელობა აზნაურულ წრეში, თუ ჩვეს ცხოვრებაშითანდათან ეცემა ეროვნული აღვიძების საქმის გაძლიერების მიხედვით.

არის კიდევ ერთი წრე აზნაურობისა, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება ეროვნულ აღორძინებისათვის ნაწარმოებ შემომქმედ მუშაობას. ეს არის გაღარიბებული აზნაურობის ის ნაწილი, რომელმაც ვერ აუღო ალღო ახალს ცხოვრებას, ვერ შეითვისა შრომა და გზრდა და, ამის გამო, ვერ შეინარჩუნა თავისი ქონება, ეს წრე ქონებრივადაც ა'ბის წაქცეული და ზნეობრივადაც გატეხილი. რუსეთის წოდებრიულ წყობის ხანაში მას მადა გაეზარდა, მუქთა ხორული ცხოვრება შეიყვარა და, როდესაც ამის საშუალება მოესპო, ის იბრძვის თავის მდგომარეობის აღსადგენად, ხელახლა რუსულად გასააზნაურებლად. ამ წრისათვის ვერ იქნებოდა მიმზიდველი მესამოციან მოღვაწეთა და საშუალო აზნაურობის მიერ აღებული, დინჯი, დარბაისელი და მუყაითი შრომის და საქმიანობის გზა. მას სურს გამონახოს უფრო სასწრაფო და უფრო ადვილი საშუალებანი თავის მდგომარეობის ასამაღლებლად. ახალი ცხოვრების პირობების გამო ამ წრის რიცხვი ძლიერ სწრაფად მატულობს და მეოთხმოცდაათე წლებში უკვე აზნაურობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აქ ის უკვე ახდილად გამოდის ასპარეზზედ და კა. ლისტრატე ჩიკვაიძის მეთაურობით ბრძოლას უცხადებს ჩვენი საზოგადოებრივობის მეთაურ წრეებს. ამ ფრიად ნიჭიერი მეთაურის წყალობით ეს წრე მნიშვნელოვან ძალად გარდაიქცა და სამოოდე წლის განმავლობაში კი-

დეს იმარჯვებს დასავლეთ საქართველოში, საბანკოარ-ჩევნებში, რაც ცენტრი იყო იმ დროს ჩვენი ეროვნული საქმიანობისა. მაგრამ ეს რევოლიუცია მალე ჩაქრა, რა-დგან გაღარიბებულმა აზნაურობამ მხოლოდ ყინი და პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილა ამ გამარჯვებით თო-რემ თავისი მდგომარეობა ვერ გამოასწორა. მაგრამ ცდა უკვე იყო გაკეთებული და მაგალითიც მიცემული-ორ-განიზაციულად დარაზმულმა ღარიბმა აზნაურობამ ბრ-ძოლა აწარმოვა და მოუგო ძლიერსა და გავლენიან წრე-ებს. ეს ხდებოდა პატარა მიზნებისა და პატარა დაპირე-ბების გარშემო. უფრო მეტი შედეგები იყო მოსალო-დნელი, უკეთუ უფრო ფართე მიზნები იქნებოდა დასა-ხული და უფრო ფასიანი დაპირებები გაცემული და არა მხოლოდ უფასოდ ბავშვების აღზრდა ბანკის მოგებისა-გან, და მართლა, კალისტრატე ჩიკვაიძის მიერ დაწყე-ბული ორგანიზაციული შეკავშირება გაღატაკებული აზნაურებისა და მის მიერ მოხდილი რევოლიუცია იმავე წელში ჰპოულობს გაგრძელებას. მიზნებიც უფრო დიდია გამონახული ამ წრეებისათვის და მოკავშირეებიც მოპოებული რუსეთსა და მთელს მსოფლიოში. მესამო-ციანთა ციხე-სიმაგრეების დანგრევის გეგმასთან ერთად სხვა უფრო დიდი ციხეების დანგრევაც არის განზრახუ-ლი და გაღარ აკებისაგან თავის დასაღწევად საერთოდ და საყოველთაოდ უებარი წამალიცაა გამონახული. კა-ლისტრატე ჩიკვაიძის მაგივრად არა ნაკლებ ნიჭიერ ი ნოე ჟორდანიაა გამოყვანილი ამ ბრძოლის მეთაურად. აქედან იწყება, ფრიად თავისებური და უცნაური აზნა-ურულ სოციალისტური მიმართულება, რომელსაც გა-დაღებული აქვს თანამედროვე სოციალისტურ პარტი-ათა გარეგნული თვისებები და თავის თავს მსოფლიო პროლეტარიატის დამცველად აცხადებს. ეს უცნაური დამყნა სოციალისტური აზრებისა წაქცეულ წოდებრი-ვობის სულისკვეთებაზედ მეტად უცნაურს ნაყოფს იძ-ლევა, როგორც ცხოვრების სინამდვილეში, აგრეთვე აზ-როვნების მხრივაც.

ჩვენ მას მეორე წიგნში გავიცნობთ უფრო ვრცლად და არსებითად.

შედარებით ვრცლად მოგვიხდა წოდებრივი საკითხების შეხება. ეს იმის გამო, რომ გასული საუკუნის განმავლობაში, ამ საკითხებთან იყო გადახლართული ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა საყურადღებო საქმეები. ამ კითხვების მნიშვნელობა ჩვენ დროსაც გამოყვა მიუხედავათ იმისა, რომ წოდებრივ წესებს საფუძვლიანად არღვევდა მთელი ჩვენი ცხოვრების მსვლელობა და უფლებრივადაც ისინი საესებით გაუქმებულია. როგორც ამას ჩვენ უფრო ნათლად დავინახავთ შემდეგში, გასული საუკუნის დამლევს ჩვენში დაწყებული სოციალისტური მიმდინარეობა მხოლოდ გარეგნულად და სახელით იყო სოციალისტური და ცხოვრებაში შრომისა და მშრომელის გაბატონების მიზნებით გამსჭვალული. ნამდვილად კი ეს აზნაურული სოციალიზმი ამარცხებდა მთელი თავისი მოღვაწეობით შრომის გამარჯვებისა და მშრომელების კლასების გამაგრებისა და განმტკიცების საქმეს. მთელი მათი მუშაობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ეს მშრომელი კლასები და მთელი ერი დაემორჩილებინათ და დაექვემდებარებინათ უსაქმურისა და შრომის მოძულარ, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილის, გაღარიბებულ აზნაურობისა და ინტელიგენციის წრეებისათვის. გარეგნულად ეს მიმართულება წოდებრივობასაც ებრძვის და ყველა სხვა უთანასწორობასაც. ხოლო ნამდვილად ის ამ წოდებრიულ უთანასწორობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული და მუშაობს იმისათვის, რომ წოდებრივობის ნანგრევებზედ შექმნას ახალი წოდებრივობა და ახალი უფლებრივი უთანასწორობა.

წოდებრივი დანაწილება უფლებრივს ნიადაგზედ ხდება. ხოლო თუ საზოგადოებას ეკონომიური საფუძვლების მიხედვით დავანაწილებთ, მივიღებთ კლასებს. წოდებრივობის არსებობის დროს შეიძლება კლასი სხვა

და სხვა წოდების წევრი შეიპავდეს და ასევე წოდება—სხვა და სხვა კლასისას. ეს მცნება არ არის საკმაოდ გარკვეული მეცნიერულად და თვითეულ კერძო შემთხვევაში საჭიროა მისი შინაარსის განსაზღვრა და შემოფარგლვა. ჩვენ ამას მოვახდენთ, როდესაც ჩვენი დროის პოლიტიკის განხილვას დავიწყებთ. ეხლა კი ამ მცნებას მივიღებთ საზოგადოთ მიღებულის მნიშვნელობით.

როდესაც ჩვენში კლასებზედ მსჯელობენ, უმთავრესად ბურჟუაზია და პროლეტარიატი ჰყავთ მხედველობაში. ეს კლასები ცხოვრების ახალი ეკონომიური ურთიერთობის ნაყოფია. რამდენად იშლებოდა შინა ოჯახური, ნატურალური მეურნეობა და მის ადგილს საქონლისა და ფულის მეურნეობა იპყრობდა, იმდენად იზრდებოდა და მკვიდრდებოდა ამ კლასთა ძალა და მნიშვნელობა.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩვენშიც იდგამს ფეხს მეურნეობის ეს ცალი სახე. მაგრამ მის განვითარებას მრავალი გარემოება უშლის ხელს და ის ვერ აღწევს საქონლის მეურნეობის მაღალს საფეხურებს—საქარხნო მრეწველობას. ის ჯერ კიდევ სასოფლო მეურნეობას ეხიზნება და ქალაქად კი წვრილს წარმოებას ჰქმის.

მე-19 საუკ. დასასრულს ჩვენში ირიცხებოდა 4057 წარმოება—16582 მუშა-მოსამსახურითა. ამათში ყველაზედ უფრო საფუძვლიანი საქარხნო წარმოების ხასიათი ჰქონდა ბათუმის ქარხნებს, სადაც 2399 მუშა იყრიდა თავს. მაგრამ როგორც კი გაშალა ფრთები ჩვენმა აზნაურულმა სოციალიზმმა, ეს ქარხნები მყისვე დაიხურა. ეს მუშები არ იყვენ პროფესიონალური ქარხნის მუშები და ქარხნების დახურვის შემდეგ თავის მიწას დაუბრუნდენ. მაგრამ ეს იყო დასაწყისი, წარმოშობა მუშათა კლასის, ურომლისოდ მრეწველობა ვერსად ვერ იდგამდა ფეხს. ამის გარდა იყო 223 აგურხანა 1452 მუშით, 2080 წისქვილი 2354 მუშით, 17 ტყავის წარმოება 534 მუშით, 91 ხე-

ტყის—534 მუშით, 1133 არაყის სახდელი 2715 მუშით. ამ წარმოებათა მთელი რიცხვიდან თითებზედ ჩამოითვლება ისეთები, რომელთაც საშუალო ზომისა და თანამედროვე წესზედ მოწყობილ წარმოებას წარმოადგენს. დიდი ნაწილი მთლად წვრილი წარმოებებია და რამოდენიმე ათას წისქვილი და არაყის სახდელი ხომ შინა ოჯახური ხასიათის წარმოებებს წარმოადგენს. მათ თითო-ოროლა მუშა ჰყავს, ხოლო მესაკუთრე, მეპატრონე ხშირად ათობითა და ოცობით.

ეს სურათი არაფრით შეცვლილა უფრო მახლობელს წლებშიდაც. ჩვენი მრეწველობა და აღებ-მიცემლობა კვლავ პირველს საფეხურზედ დგას. მისი წილი საერთო ეროვნულს მეურნეობაში მეტად მცირეა. ასევე მცირერიცხოვანია ეს ახალი კლასები—ბურჟუაზია და მუშები. ყველა ჩვენს ქალაქებში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი. მაგრამ ამის დიდს ნაწილს წარმოადგენს იგივე სოფლის მეურნეობით მცხოვრებნი. ჩვენი მცირე ქალაქების მცხოვრებთ უმრავლესობას ასეთები შეადგენენ. მთელი ეროვნული შემოსავლის 85 პროცენტს სასოფლო მეურნეობა იძლევა. (იხ. დ. აბხაზი—„ლერიშეზ ნატიურელ დელა ეორეი" 1923 წ. რომი).

გასაგებია, რომ ასეთს პირობებში მესამოციანებს სოფელი და სასოფლო მეურნეობა მიაჩნდათ ჩვენი ეროვნული ცხოვრების უმთავრეს ფუძეთ და დასაყრდნობად. გაღატაკებული აზნაურობის სოციალიზმის წარმომადგენელნი, ანუ როგორც ისინი უწოდებენ თავის თავს—მესამე დასელები მესამოციანებს უსაყვედურებდენ—თითქოს ისინი მხოლოდ სასოფლო მეურნეობას ეტრფოდენ და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების წინააღმდეგნი იყვნენ. ეს, რასაკვირველია, არ არის მართალი. თუ რამ დაწერილა საღი და დასაბუთებული ამ საკითხებზედ, ეს მათ ეკუთვნის და თუ რამ პრაქტიკულად დაფუძნებულა კიდევ ამ დარგში ესეც მათი საქ-

მეა. ხოლო ის მართალია, რომწამ და უწუმ არ სწერდენ, კაპიტალის ძლევა-მოსილებაზედ და მის ჩვენ ცხოვრებაში გაბატონებაზედ. ისინი მომხრენი იყვნენ ყველა ეკონომიური ძალებისა და საშუალებების უაღრესად განვითარ.ებისა და გაძლიერების, ხოლო იმ ჟამად რომ აფასებდენ ამა თუ იმ დარგის მნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში, პირველობას, რასაკვირველია, სასოფლო მეურნეობას აკუთვნებდენ.

მესამოციანები არც იმაში ეთანხმებოდენ ნ. ჟორდანიას და მის ამხანაგებს, რომ „კაპიტალიზმი საშინელი სისწრაფით იზრდება ჩვენში". მათ კარგად იცოდენ, რომ ამ სწრაფი ზრდისათვის თეორიები და სურვილები არ კმაროდა, არამედ მ ოავალი სხკა ისეთი პირობები იყო საჭირო, რომელთა დაძლევას, მოწყობას და შემზადებას ხანგრძლივი დადებითი და მუყაითი შრომა სჭიროდა. ერთის მხრივ თვით რუსეთი აფერხებდა მრეწველობის განვითარებას განაპირა ქვეყნებში. მისი მიზანი იყო მთელი იმპერიის ეკონომიური ცხოვრების ძაფების თავის მოყრა რუსეთის ცენტრში. ამისათვის ის ცენტრში უჭრიდა თავს მრეწველობის უმთავრეს დარგებს და მისთვის ნედლ მასალას ზიდვიდა შორეულ განაპირებიდან, რითაც რასაკვირველია, ნაწარმოები მეტად ძვირი ჯდებოდა. მეორეს მხრივ დიდად შემაფერხებელი იყო ჩვენში ახალი მეურნეობის წესების დამკვიდრებისათვის ჩვენი ხასიათი, ბუნება, ხნე-ჩვეულ ება. ყოველივე ეს ჩვენ წარსულ სამხედრო-რაინდულ დროის შესაფერად გვქონდა გადამუშავებული ბუნების მიერ და ეხლა მისი შეცვლა და გადაგვარება ახალი პ ირობების მიხედვით დიდს დროსა და მუშაობას მოითხოვდა.

ჩვენი ბურჟუაზიის და მუშათა კლასის ავლა-დიდებას ჩვენ შემდეგში განვიხილავთ უფრო ვრცლად, ხოლ ოეხლა დავასკვნით ამ საგანზედ ზოგიერთი უკანასკნელი დროის ცნობით. 1921 წლის „კავკასიის ეკონომიურს ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „შევქმენით ორგანი-

ზაᲪია მრეწველობის სახელმძღვანელოთ და ის კი ვერ შევამჩნიეთ, რომ თვით მრეწველობა არსად არის. არა ნაკლებ პარადოქსულია მეორე გარემოება. ყველა პროფესიონალი კავშირები აშენებულია ამ ჟამად წარმოებათა დარგების მიხედვით, რომ მათ შესძლონ წარმოების აღება თავის ხელში. მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? ყველაზედ მრავალრიᲪხოვანი პროფესიონალიკავშირიაᲡაქართველოშიᲡაბჭოთა მოსამსახურეების კავშირი—Სამეტი ათასი. მაშინ როდესაᲪ მეტალისტებია სულ 1700, ხე-ტყის დამმუშავებელნი—431, აღმშენებლობის—800, ქიმიკოსების—500, თამბაქოს—1800". ასეთი დასკვნა გააკეთა 1921 წლის აგვისტოში ინჟ. ესენმა, საბჭოთა სამრეწველო საქმეების ერთ ერთ მეთაურთაგანმა, არა ნაკლებ დამარწმუნებელი იყო მეორე Ცნობა, რომელიᲪ მოათავსა იმავე ხანემში კომუნისტის ფურᲪლებზედ ბახუტა შვილმა, მაშინ საქართველოს მუშათა კავშირების მეთაურმა და დღეს საბჭოთა რუსეთის შრომის კომისარმა. ამ უკანასკნელმა უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა გაუკეთა მუშათა კავშირების შემადგენლობას საქართველოში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ,,ნამდვილ მუშათა, სამრეწველო პროლეტარიატის რიᲪხვი არ აღემატება 4900. დანარჩენები არიან სახელმწიფოს მოხელენი, ხელოსანნი სხვა და სხვა შემთხვევითი შ.რომის დარგებში მომუშავენიო. კომუნისტებს ვერ დავᲪწამებთ პროლეტართა რიᲪხვის შემᲪირებას.

ასეა დღეს და რა იქნებოდა მესამოᲪიანთა ხანაში. ასე მᲪირე ძალოვან წრეებზედ დაყრდნობით ისინი, რასაკვირველია, ვერ შეᲰქმნიდენ იმ ძალას, რომელიᲪ იყო საჭირო წაქᲪეული ეროვნული Ცხოვრების აღსადგენად და ასაღორძინებლად. მაგრამ ეს წრეები გაᲪილებით უფრო ძლიერნიᲪ რომ ყოფილიყვენ, მაშინაᲪ ვერ დაეყრდნობოდენ მათ მესამოᲪიანები Თამოყოფით და განკერძოებით. მათ საზოვადოთ აქვთ უარყოფილი წოდებ-

რივი თუ კლასობრივი პოლიტიკა. ისინი არ უარყოფენ ამ წოდებრიულ თუ სხვა წინააღმდეგობებს ერის შემადგენელ ნაწილთა შორის. მაგრამ ეროვნული პოლიტიკის მიზნათ მიაჩნიათ სწორეთ ამ წინააღმდეგობათა შემცირება, შესუსტება და საერთო, საქვეყნო ინტერესთა გაღვივება და გაძლიერება. მათ ეროვნული და ხალხური, დემოკრატიული გზა აქვთ აღებული.

მესამოციანთა პოლიტიკური მიმართულება: ეროვნული და დემოკრატიული

როდესაც ერს აქვს სრული პოლიტიკური ცხოვრება ე. ი. დამოუკიდებელია, მისი პოლიტიკაც ფართე ფარგლებიანია და შეიცავს ყველა საზოგადოებრივი ხასიათის საქმეებს, უმაღლესი მმართველობა იქნება ეს, კანონების წერა, თუ გზების კეთება, სკოლების შენება თუ სხ. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოქმედება და ბრძოლა თავს იყრის უმთავრესად იმ სათავის გარშემო, რომელიც წესებსა და მმართველობას უქმნის პოლიტიკის ყველა საქმესა და საგანს. ხოლო როდესაც ერი მოკლებულია სრულს პოლიტიკურს უფლება-მოსილობას, მისი პოლიტიკის სარბიელიც შემცირებულია. სათავეებს მაშინ სხვა ვინმე განაგებს და მას მხოლოდ უფრო დაბალ საფეხურზედ ექნება დატოვებული მოქმედების სარბიელი, ფართე თუ ვიწრო.

იმ დროს ჩვენ არც დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონდა, და არც ავტონომიური. ყველა საქვეყნო, საზოგადო საქმეები რუსეთის მთავრობას ეპყრა თავის ხელში. ჩვენი ეროვნული პოლიტიკის სფერო ლეგალურად სრულებითაც არ არსებობდა. რჩებოდა მხოლოდ ამ რუსეთის მმართველობაზედ ზედმოქმედების საშუალება შემორებული გზებითა და მოხერხებული მიდგომით. მეორეს მხრივ, მიუხედავად რეჟიმის სიმკაცრისა, საზოგადოებას რჩებოდა მეორე შესაძლებლობანი ერთ-

გვარი მონაწილეობისა ადგილობრივად სხვა დ სხვა საზოგადო მნიშვნელობის საქმეებში, რადგან რუსეთის მოხელეებს არ შეეძლოთ ყველა საქმეების საკუთარი ძალებით წარმოება. ერთი სიტყვით კიდევ ,ყო შერჩენილი ეკონომიურსა და კულტურულს დარგებში ისეთი საგნები, რომელთა წარმართვა და წარმოება საღი ეროვნული პოლიტიკის გეგმით, შეუქმნიდა ერს ზოგი ერთს საშუალებას თავის ეროვნული მეობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

მესამოციანთა მოღვაწეობა ასე ვიწრო ფარგლებში იყო მომწყვდეული. მაგრამ მათი მუშაობა თან და თან ამ ფარგლებს აფართოებდა ფაქტიურად და მით იქმნიდა იმ არეს, სადაც ქართული ეროვნული საქმე თავის მტკიცე დასაყრდნობს პოულობდა

ჩვენ უკვე გაცნობილი ვართ, თუ როგორის უტეხი დაჟინებითა და შეუჩერებელი მუდმივობით იპყრობენ და აფართოებენ მესამოციანები ჩვენ ეროვნული პოლიტიკის სარბიელსა და იქით მიერეკებიან, იქ აგროვებენ ერის ყველა ცოცხალ ძალებს. ამ დიდს ეროვნულ მოძრაობას ორი მხარე აქვს; პირველი იყო ერზედ სულიერი ზედმოქმედება და მეორე—ცხოვრებაში საქმიანი ჩარევა, ერის ამოქმედება და ამუშავება ცხოვრების სხვა და სხვა დარგში.

მათს სულიერს ზედმოქმედებას დაუძლურებულს, იარაღ აყრილს ერზედ, თავის მხრივ, ორი ეტაპი აქვს. დასაწყისში ის თითქმის მხოლოდ პატრიოტულ ჰანგებს აწვდის მიძინებულ ეროვნულს სულს. ამის შედეგი ისეთივეა, როგორც ი. გოგებაშვილის მოთხრობაში:—იავნანის გაგონებამ რომ მოაგონა, თავის კერა და მშობლები ტყვეობაში გაზრდილ ქართველ ქალს.

საზოგადოების ერთი ნაწილი რომ მოსულიერდება,თვალს გაახელს, მესამოციანები დაიწყებენ მის აღზრდას, გათვითცნობიერებას თანამედროვე ცხოვრების ყველა მოვლენებსა და საკითხებში. ეროვნულ საკითხს

გარდა ეხლა ისინი სოციალური ცხოვრების მოვლენებს აშუქებენ, ერის შინაგანი წყობილებისა და რიგის კითხვებს არკვევენ. ი. გოგებაშვილი ასე გვიხსნის მათი მოღვაწეობის ამ ორს საფეხურს „უნდა გავტყდეთ და ვაღვიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ტოლად არ მიდიოდა ეროვნულ კითხვების განვითარებასთან და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური; ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკივოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური... ქონებით ჩვენი გლეხობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობას; მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენი ენის, ლიტერატურის, ჩვენი მეცნიერების და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუზომელს მანძილსა“ (ივ. 1882 წ. № 2).

არ დარჩენილა არც ერთი არე და კუთხე ჩვენი ცხოვრებისა, რომ ისინი მას არ შეხებოდენ და არ გაერჩიათ ეროვნული მიზნებისა და მთელი ერის, მთელი ხალხის ინტერესების მიხედვით. მაგრამ ისინი არ ყოფილან დოგმატიკოსები, განყენებული აზროვნების მსახურნი. ყოველს მათს სიტყვასა და საქმეს გარკვეული მიზანი ჰქონდა დასახული ხალხის სულიერი, თუ ეკონომიური ცხოვრების მიმართ. ამის გამო თავისი აზრები მათ გამო თქმული აქვთ ხან ფართედ და სრულად, როდესაც ისინი ერს ახალი ცხოვრების პირობებს აცნობენ და მის შესახებ თავის აზრებს ათვისებენ, და ხან კიდევ შეკვეცილად და კომპრომისულად, როდესაც რაიმე კერძო საქმიანობას აგვარებენ და ამის გარშემო ამა თუ იმ წრეს აჯერებენ. როდესაც ისინი წოდებრივობას ებრძვიან, ომს უცხადებენ ამ წესს, წყობილობას და არა ერის იმ ნაწილს რომელიც ამ წოდებრიული უპირატესობებით იყვენ აღჭურვილნი. ამ წრეს ისინი კიდეც არწმუნებდენ, აჯერებდენ, რომ ეს წესები მეტს ზიანს

აყენებს თვით მათ, ვიდრე სარგებლობას. ისინი ზედმეტად არ აღიზიანებენ ამ წოდებას, არ ემუქრებიან მ:თ ფიზიკური მოსპობით. ამ გზით უფრო ადვილად ასუსტებენ ამ წრეებში წოდებრიულ სულისკვეთებას და უახლოვდებენ მათ სხვა წრეებსა და საერთო ეროვნულ საქმიანობ:ს. ასევე მთავრობის მიმართ, როდესაც საჭიროა მისგან რაიმე ახალი უფლების მიღება თუ ძველის დაცვა. ასეთი მიდგომა საყოველთ.ოდ სავალდებულოა, როდესაც მუშაობა სწარმოებს ცხოვრების რთული ურთიერთობის შეკეთიბისა და გარდაქმნისათვის. ეს პრაქტიკული პოლიტიკის უმთავრესი და ყველაზედ უფრო საიმედო გზაა, მაშინაც კი, როდესაც ეროვნული პოლიტიკის მეთაურობა მოქმ:ედობს თავისუფალს ეროვნულს ცხოვრებაში. მით უმეტეს სავალდებულო იყო ის მაშინდელს პირობებში. ჩვენი ეროვნული ცხოვრების თანდათანობით და ნაბიჯ - ნაბიჯ გაუმჯობესება შესაძლო იყო იმ დროს მხოლოდ მალული და დაფარული, მთელი გეგმების გაუმჟღავნებელი მუშაობით.

ჩვენ უკვე გავეცანით მესამოციანთა ეროვნულს მიზნებს. მაშინდელს პირობებში ეს მიზნები მხოლოდ ეზოპის ენით გამოითქმებოდა. ეს იყო დაკარგული ვინაობის აღდგენა, ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს, ტყვედ ქმნილ ნ:ტანის ქაჯეთის ციხიდან დახსნა და სხ. გარკვეული პოლიტიკური მცნებების წამოყენება და საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ან ავტონომიის მოთხოვნა და დაცვა შეუძლებელი იყო, ეს მხოლოდ მათი მრავალფეროვან დადებითს მუშაობის აღკვეთას გამოიწვევდა დასაწყისშივე. მაგრამ როდესაც ისინი შეეხებოდნენ პრესაში სხვა დამონებულ ერთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, აქ კი ჰპოულობდენ თავისი ფარული ზრახვების გამჟღავნების საშუალებას. ასეთს შემთხვევებს ისინი არ გაუშვებდნენ, რომ ამ ერთა ბრძოლის სამართლიანობა არ აღენიშნათ და არ გამოეთქვათ თავისი რწმენა დამონებულ ერთა ბრძოლის საბოლოო გამარჯვებისა.

შინაური პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ აგრეთვე მესამოციანებს თავიდანვე აღებული აქვთ გარკვეული გეზი. ილია ჭავჭავაძის მიერ ლიტერატურაში შექმნილი ხალხოსნური მიმართულება მათ მიჩნეული აქვთ სახელმძღვანელო ხაზად ამ საკითხების გაშუქებისა და პრაქტიკულად მოგვარების დროს. ისინი იკვლევენ მთელი ერის, მთელი ხალხის ინტერესებსა და საჭიროებებს და ამის დაცვას ემსახურებიან საქმითა და სიტყვით. ერის არც ერთს ნაწილს, კლასსა თუ წოდებას არ უწევენ განსაკუთრებულს მფარველობას. მათის შეგნებით ჩვენი ეროვნული ცხოვრების დაცვა და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ მთელი ერის სულიერათ და ხორციელად ამაღლებითა და გაძლიერებით. ასეთი საზომით უდგებიან ისინი წოდებათა და კლასთა შორის ურთიერთობას და დამოკიდებულებას. ისინი უარყოფენ წოდებრიულ წესებს და ერის სხვა და სხვა წრის უფლებრივს უთანასწორობას. სოციალურს ურთიერთობაშიც ასევე იცავენ ისინი დაწინაურებულს ქვეყნებში დამკვიდრებულს წესებს. ყველა ამ საკითხებს ისინი იკვლევენ და სწყვეტენ ქართულ ცხოვრების სინამდვილის მიხედვით, რომელსაც ისინი ზედმიწევნით იცნობენ. ცხოვრების კითხვებს განყენებული აზრების მიხედვით არ სჭრიან, რეალისტური პოლიტიკის გზით მიდიან,

ათეულ წელთა გასწვრივ მათ წინაშე წამოჭრილ საკითხთა განხილვა მეტად შორს წაგვიყვანდა. მესამოციანთა მთავარ და სახელმძღვანელო აზრთა გაცნობის შემდეგ მკითხველს თვითონვე შეუძლია წარმოიდგინოს მათი აზრი ყველა ამ საკითხების შესახებ.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს ისეთს საკითხს, რომელთა შესახებ ადვილად შეიძლებოდა ეროვნული და დემოკრატიული ხაზის გადახვევა. უკეთუ ეს მიმართულება მათ არ ექნებოდათ საკვლებით შეზრდილი და შეხორცებული.

პირველი საკითხი იქნება საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეა. ის მეტად დაზიანებული იყო უკანასკნელ საუკუნეთა გასწვრივ. მეხუთმეტე საუკუნის ნახევრიდან საქართველო დანაწილებული, დაყოფილი იყო სამეფოებად და სამთავროებად. ერთი მთლიანი ეროვნული სხეული დანაწილდა და საუკუნოთა გასწვრივ სხვა და სხვა პოლიტიკურს ცხოვრებას ეწეოდა. საქართველოს სამეფოები ხშირად სხვა და სხვა სახელმწიფოს ფარგალში ვარდებოდენ, ოსმალეთისა თუ სპარსეთის. ამის გამო მათ ერთმანეთის წინააღმდეგაც ამხედრებდენ და აომებდენ. ასეთი საგარეო პირობების გამო შეუძლებელი ხდებოდა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა. მხოლოდ ქართული ენა, მწერლობა და ეკლესია რჩებოდა დანაწილებულ ეროვნულ სხეულის სულიერი ერთობის საფუძვლად. ეკლესიას ჩვენს წარსულში მნიშვნელოვანი მონაწილეობა ჰქონდა სახელმწიფოებრივი მმართველობის საქმეში. ამის გამო თვით დანაწილებულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს კიდევ რჩებოდა, ეკლესიის სახით, სხეულებრივი ერთობის ზოგიერთი ელემენტები. ყოველივე ამის გამო საქართველოს ეროვნული ერთობის იდეა მუდამ სცხოვლობდა დანაწილებულს საქართველოში და მუდამ იყო მისი სხეულებრივი განაღდების საშუალებათა ძიება. საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა შორის 1790 წელს დადებული საკავშირო ხელშეკრულობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს კვლავ გაერთიანებისთვის. ხელშეკრულობა ნათლად აღნიშნავს ამ ერთობის საფუძვლებს: „ვანათგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა აქვსთ ერთმორწმუნობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითაცა, სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობითი შეკრულთა ურთიერთ შორის". აქ ნათლად არის აღნიშნული საქართველოს ეროვნული ერ-

თობის საფუძვლები: საერთო სარწმუნოება, საერთო ენა და სისხლით ნათესავობა, რაც ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების მიხედვით იმ დროს ეროვნების გამომსახველი მცნება იყო.

საქართველოს სხეული გაერთიანდა რუსეთის უღლის ქვეშ. მართალია ეს გაერთიანებული საქართველო უკვე არ იყო სახელმწიფოებრივი ერთეული. ის რუსეთის გუბერნიებსა და ოლქებს წარმოადგენდა. მაგრამ ასეთს პირობებშიც შეეძლო გაერთიანებულს საქართველოს დასვენება და სულის მოთქმა, რის შემდეგ მომაგრებული და მოღონიერებული ერი კვლავ შეუდგებოდა ძველებურად უცხო უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლასა და მუშაობას. რუსეთმა თავიდანვე აუღო ალღო ამ გარემოებას და შეუდგა ყველა ეროვნულად გამაერთიანებელ ძალების დაშლასა და მოსპობას. მან დააუძლურა ივერიის ეკლესია, რომელიც წარმოადგენდა ამ ეროვნული ერთობის კერას საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობის ხანაში. ქართულ კულტურულ განვითარებას მან შეუქმნა ისეთი პირობები, რომ მას თანდათან უნდა დაჰკარგვოდა თავისი ძველი, ერის სულიერად გამაერთიანებელი მნიშვნელობა. ქართული ენა გაძევებული იყო სკოლიდან, ეკლესიიდან და ყველა სხვა საზოგადო დაწესებულებათაგან. საქართველოს მოსახლეობას აჭრელებდენ და ამისათვის ოსმალეთთან ომების შემდეგ ქართველ მაჰმადიანებს ოსმალეთში მიერეკებოდენ, ხოლო სამაგიეროთ საქართველოს ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებითა და რუსითიდან გადმოყვანილ რუსებით ავსებდენ. რომ ასეთს პირობებშიაც არ დარჩენილიყო საქართველოში ეროვნული ერთობის წარმომშობი კიდევ სხვა რამელემენტები, რუსეთი ანაწილებს ქართველ ხალხს დაქართლ კახეთის, იმერეთის და სამეგრელოს მცხოვრებთ სხვა და სხვა ერებათ სახავს და აცხადებს. აჭარლებს კიდევ თურქებათ სთვლის. მეგრელებსაც საკუთარ ანბანს უდგე-

ნს, რომ მით ჩამოაშოროს ყველა ქართველ ტომების მი-
ერ, საერთო ძალ ღონით შექმნილს ენასა და მწერლობას
ამ გზით რუსეთი იღწვის იმისათვის, რომ ქართველი
ერის სულიერი ერთობა გასტეხოს და მის ნაცვლად კუ-
თხური დანაწილება შექმნას, საქართველოს ეროვნული
პატრიოტიზმი კუთხური პატრიოტიზმის გაღვივებით
დაამარცხოს და მოშალოს.

გასაგებია, რომ მესამოციანთა დასი სასტიკს ბრ-
ძოლას უცხადებს ასეთს პოლიტიკას რუსეთის მთავრო-
ბისას და ამის საწინააღმდეგოთ ისეთი გეგმით აწარმო-
ებს მუშაობას ეროვნული ცხოვრების ყველა ასპარეზ-
ზედ, რომ რაც შეიძლება მეტად შეადუღოს და შეაერ-
თოს ქართული სხეული სულიერად და ნივთიერად. ამ
გზით მიდის მთელი მათი მუშაობა მწერლობის, სწავლა
განათლების და ეკონომიური ცხოვრების დარგებში.

მაგრამ მათ მარტო რუსეთის მმართველობასთან
არ უხდებათ ბრძოლა. თვით ქართველობის ზოგიერთს
წრეებში ჰპოულობს რუსეთის ასეთი პოლიტიკა დასაყ-
რდნობსა და ხელის შემწყობსთ. თითქმის ყველა ჯგუფე-
ბი და პიროვნებანი, რომელნიც მესამოციანთა მიმარ-
თულებას ებრძოდნენ, მუდამ რუსეთის ასეთ პოლიტი-
კის იარაღი ხდებოდენ მეტად თუ ნაკლებათ, შეგნებუ-
ლად თუ შეუგნებლად. თავად-აზნაურული მაღალი ფე-
ნების გადაგვარებული ნაწილი, როგორც ზემოთ მოვი-
ხსენიეთ ქართულ ეროვნულ გზას გადაუდგა. მას რუსუ-
ლი პატრიოტიზმი ასულდგმულებს. ხოლო როდესაც
ადგილობრივ საქმეებში ჩაებმება ეს წრე და გაშიშვლე-
ბული რუსული პატრიოტიზმით ფონს გასვლა შეუძლე-
ბელი ხდება, ის კუთხური პატრიოტიზმის იარაღს ისხა-
მს და გამოდის ბრძოლის ასპარეზზედ. ასევე მოსდის მა-
რცხენა ფრთას—გაღატაკებულ აზნაურულ-სოციალის-
ტურს, ის რუსული რევოლიუციონური პატრიოტიზმით
არის შეპყრობილი და ეროვნულად კი ნიღილისტური
გეზი აქვს აღებული. ის ინტერნაციონალური დროშით

გამოდის და ყოველსავე ქართულს ეროვნულ მიზნებს ებრძვის. ხოლო როდესაც, რუსეთის პირველი და მეორე რევოლიუციის შემდეგ, ის ებმება ცხოვრების სინამდვილის ბრუნვა-ტრიალში, ეს ინტერნაციონალი საკმარისი აღარ არის და აღგილობრივი დასაყრდნობების შექმნაც ხდება საჭირო. ნიღბიზმით ამოშრეტილი მათი სული ვეღარ ახერხებს საქართველოს ეროვნული მიზნებით გამსჭვალვას და ამის მაგიერ ის კუთხური პატრიოტიზმის განაღდების გზით მიდის.

მესამოციანები არამც თუ ებრძვიან ასეთს ხაზს. ისინი სულ მცირე, ხშირად ისეთს უბრალოდ და უხერხულ სიტყვიერ გამოთქმასაც არ ჰგუობენ, რომელსაც შეუძლი. საქართველოს მთლიანობის იდეის შებღალვა სადმე თუ ვიხმეს თვალში. 1895 წ. ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებრივობაში ყველაზედ უფრო მკაცრ შეტაკებებს მესამოცი ნთა და მათ მოწინაღმდეგეთა შორის სხვა და სხვა საკითხების გარშემო. ამ ბრძოლების დროს, ხმარებულ იქმნა, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნივ, ისეთი გამოთქმა, რომელიც მესამოციანებმა მიიჩნიეს ეროვნული მთლიანობის შებღალვადა და გაჭირდვად. ამის შესახებ ცხარე კამათია პრესაში და ბოლოს ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ დაინახა გაეკეთებინა ამ საგანზედ შესანიშნავი დეკლარაცია თბილისის ბანკის ერთს კრებაზედ. ი ლია ამბობს: „აქ თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთ ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი საერთო არა აქვსო. მე არ ვახსენებ ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა, მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის-კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა

სახლი-კაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, —გურული იქნება მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდაესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულის შვილნი, ჩვენნი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნ ი სწავლულნი და მეცნ ერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ყამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა.

დღეს სხვას გვეუბნებიან, დღეს უნდათ, ერთმანაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას; შენ ჩვენ შორის მოსულ ი ხარო! სამართლიანი გულის წყრომა მამულის შვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს, მე ამით ვაცხადებ ჩემ-მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულის-შვილურ გრძნობის წყევლა - კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქცეთ. დეე, ამ უკეთურმ აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა". («ივ.» 1895 წ. N° 106)

როგორც ჩვენ ეს ზემოთ დავინახეთ, ქართველი

ერის დაცემული და დაუძლურებული მეობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეს ორი დიდი ხიფათი სდარაჯობდა. ერთი იყო წოდებებათ დანაწილება და ერთმანეთზე გადამტერება და მეორე—ეროვნული მთლიანობის კუთხურად დაყოფა და დაქსაქსვა. პირველსაც და მეორესაც ხელს უწყობდა და ამაგრებდა რუსეთის მმართველი პოლიტიკა და მას კიდევ კვერს უკრავდა შოვინისტურად განწყობილი სომხური წრეები. კუთხური დაქსაქსულობისათვის კარგს ნიადაგს ჰქმნიდა აგრეთვე საქართველოს პოლიტიკური დანაწილების მემკვიდრეობა უკვე მეხუთმეტე საუკუნიდან. მესამოციანებმა საფუძვლიანად აღმოფხვრეს ჩვენს ცხოვრებაში ეს ორი საფრთხე. მწერლობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით, სიტყვითა და საქმით მათ ყველა დასაყრდნობი გამოაცალეს ქართველი ეროვნული სხეულის დარღვევისა და დაქუცცაცების ზრახვებს. ქართველს საზოგადოებაში მათი ბატონობის ხანაში ისინი არავის აბედვინებენ წოდებრიულსა და კუთხურ დ ნაწილების დაცვასა და გამართლებას. მათმა მწერლობამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, მათმა საქმემ და სიტყვამ გაამთელა ჩვენი ეროვნული არსი სულიერად და სხეულებრივად.

არა ნაკლებად საძნელო იყო იმ ხანებში საღი და ზომიერი პოლიტიკის ხაზის აღება მეზობლებთან, განსაკუთრებით სომხებთან, დამოკიდებულების საკითხში.

მესამოციანები თავიდანვე იცავენ თავის მწერლობაში კავკასიის ერთა თავისუფლებისა და ჩვენი მათთან ერთობის იდეას. უფრო გვიან მესამოციანებ › ფართე პოლიტიკურ გეგმასაც არდგენენ მეზობელ ერებთან მტკიცე მეგობრული განწყობილების დამყარებისათვის. შემდეგ კიდევ ილიას არა ერთხელ ჰქონდა თათბირი ცნობილ აზერბეიჯანელ მოღვაწე ალი მარდან-ბეგ თოფჩიბაშთან და სხვებთან კავკასიის ხალხების ეროვნულ მიმართულებათა შესათანხმებლად პოლიტიკური ავტონომიისათვის ბრძოლის საწარმოებლად. მაგრამ ეს

ერთი მხარეა მათი მუშაობისა ამ საკითხში. მეორეა სასტიკი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ მესამოციანები ზოგიერთ სომხურ წრეების წინააღმდეგ თბილისსა და მთელს საქართველოში. ეს ბრძოლა სწარმოებდა ისეთს პირობებში, რომ ადვილი არ იყო ზომიერების დაცვა.

სომხობისათვის საქართველო მუდმივი თავშესაფარი იყო საუკუნეთა გასწვრივ, სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ. ქართველი მეფეები მუდამ კარს უღებდენ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეზობელ ერის შვილებს. საქართველოში ისინი მუდამ თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი იყვნენ. რუსეთის შემოსვლის შემდეგ კიდევ მრავალი სომხობა იქმნა გადმოსახლებული ოსმალეთიდან საქართველოში. რუსეთი მათ განსაკუთრებულს მფარველობას უწევდა საქართველოსა და მთელს კავკასიაში და ამის გამო, სომხობა მეტად ძლიერდება' როგორც რიცხვით, ისე ეკონომიურად თბილისში და კავკასიის სხვა ქალაქებში. რუსეთი ანადგურებს ქართველობის ყველა ეროვნულ დასაყრდნობს—ეკლესიას, სკოლას და სხვას, ხოლო სომხებისას სტოვებს და იწყნარებს. სომხურს წრეებში გაჩნდება უკიდურესი შოვინიზმით გამსჭვალული მიმართულება, რომელიც სარგებლობს ქართველი ეროვნული ცხოვრების ამ ზომად წაქცევით და საქართველოს ხდის ასპარეზად თავის ვიწრო შოვინისტური პოლიტიკისა. ეს წრე ხელში იგდებს სომხურ ეკლესიას და სკოლას, რის შემდეგ იწყება მუდმივი მუშაობა საქართველოს ყველა გრიგორიანულ სარწმუნოების მცხოვრებთა გასასომხებლად. მართალია, ამრწმენის მცხოვრებთა ერთი ნაწილი სომხეთიდან იყო გადმოხიზნული, მაგრამ საუკუნოების მანძილზედ თავის თავი საქართველოს მოქალაქეთ მიაჩნდათ. ხოლო მეორე ნაწილს შეადგენდენ ძირეული ქართველნი, რომელნიც გრიგორიანულ რწმენას შერჩენ ქართულ და სომხურ ეკლესიათა განცალკევების შემდეგ.

სომხის შოვინისტები სარგებლობენ იმით, რომ ცენზიანი არჩევნების გამო მათ ამომრჩეველთა უმრავლესობა ჰყავთ და თბილისის ქალაქის მმართველობას სავსებით ხელში იგდებენ. მესამოციანებს მუდმივი მოლაპარაკება აქვთ მათთან შეთანხმებისა და მორიგების მიზნით. 1870 წ. მოხდება შეთანხმება, მაგრამ 78-80 წ. მას სომხები უკვე აღარ იწყნარებენ. 90-94 წლებში კი ისინი არავითარ მორიგებას აღარ თანხმდებიან არც თბილისში და არც ახალციხე-ახალქალაქში. მესამოციანების პოზიცია თავიდანვე ასეთი იყო: „ჩვენი აზრი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს დედა-ქალაქში ჩვენც გვქონდეს ხმა და მონაწილეობა“ («ივ.» № 6, 1897 წ.).

ზავი არ სჭრის, ვინაიდან სომხებს მეთაურობს მეტად უკიდურესად განწყობილი წრეები. ეს ქართველობაშიც უკიდურესობას იწვევს და 1894 წლის ბათუმის არჩევნებში ქართველებს არც ერთი სომეხი არ გაჰყავსთ ხმოსნად. 1895 წელს ილია სარგებლობს ფორმალური უფლებებით და ბანკს ჩაარჩენიებს სომხური პოლიტიკის მეთაურის არწრუნის დიდს ქონებას—შემდეგ თავად-აზნაურობის ქარვასლად წოდებულს. არწრუნი „მშაკის“ დამაარსებელი იყო და ის თავის ქონებით ასაზრდოებდა ამ გაზეთს, ისევე ყველა უკიდურესად ნაციონალისტური პოლიტიკის მწარმოებელ დაწესებულებებს. ამ ქონების დაკარგვის შემდეგ მან იმავე წელს დახურა გაზეთი და სომხის ერს მიჰმართა—რაც გამაჩნდა ამ საქმეებს გადავავლე და ამიერიდან მას თქვენ უპატრონეთო. რასაკვირველია, მალე „მშაკიც“ განახლდა და სხვა დაწესებულებათაც მოუძებნეს საღსარი, მაგრამ ამ აქტმა უთუოდ თვით სომხობაში აგრძნობინა ბევრს, რომ მათი მუშაობა მეტად უკიდურესი გეზით მიდიოდა. ილიას მიერ, პირადი მისი მეგობარის არწრუნის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიას არ შეუცვლია მისი და მისი თანამებრძოლების ზომიერი გეზი სომხებთან დამოკიდებულების საკითხში. ეს იყო მხო-

ლოდ სასჯელი კერძო პირის წინააღმდეგ მიმართული.

ეს იყო საქართველოს ფარული ეროვნული მმართველობის მიერ მოხდენილი კონფისკაცია, საქართველოს ისეთი მოქალაქის ქონების, რომელიც ახმარდა ყველა თავის საშუალებებს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მუშაობას.

ილია ბევრს სომხის ერის შეურიგებელ მტრად ჰყავს დასახული. ასეთი აზრის სიყალბეს ნათლად ამ-ღავნებს ილიას ყველა ნაწერები ამ საგანზედ და თვით —„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი", რომელმაც დიდი რისხვა გამოიწვია სომხის შოვინისტების წრეში. აქ ილია სწერდა: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ზომბედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელ-გატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქედ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედა-მიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ... ვისი უნარია ყოველივე ეს? ეს რა შავი ყორანია რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელ ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს ვუნდს სომხისებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის. თუმცა ასეა, მაგრამ მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან გარემოებას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ. ერი როგორც კრებული ისტორიით შედეგებული ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჯკვათა მყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსე-

ნება დიდათ სათაკილო საქმიელია. ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაობის შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონება გახსნილს ადამიანს არ ეპატივება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგათ ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი... საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდაც მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა... თუ აქაო და შფოთი ასტყდება (სომეხთა ერთა გუნდის მხილების გამო) და ლიბერალობის ღალადებით ჩვენ, ქართველებს, ხმას გვაკმენდინებენ და თუ მარტო ბალღების საცდენათ და საფრთხობელათ არ მოაქვთ აქ უადგილოთ ლიბერალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში კაპს არ ამოსდებენ, რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ, მთელ ქართველ ერს—დიახ, მთელს ქართველს ერს! თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან".

საქალაქო თვითმმართველობის გარშემო მუშაობას ნ. ნიკოლაძე მეთაურობს. ის მუდამ იკვლევს სომხებთან მორიგების გზებს, მაგრამ იშვიათად აღწევს დადებითს შედეგებს. მიუხედავათ ამისა ის არ სტოვებს ამ მორიგებისა და შეთანხმების გზას. როდესაც ქართველებმა ყველა სომხები გააშავეს ბათუმის არჩევნებში, ნ. ნიკოლაძე სწერს: „როგორც სომხებმა ვერ იქონიეს ამგვარი შორს მჭვრეტელობა თბილისში, სწორედ იმნაირადვე და, რასაკვირველია, იმავე მიზეზებით ქართველებმაც ვერ მოახერხეს ეს წრეულს ბათუმში. ჩვენებს ეს მიეტოვებათ, რადგანაც პირველი ნაბიჯია მათი ამგვარ საქმეებში, და გამოცდილება აკლიათ, რომელიც თბილისში როდი ვის აკლდა".

ერთს თავის ვრცელს მიმოხილვაში ნ. ნიკოლაძე გვაწვდის მეზობლებთან დამოკიდებულობის მთლიან

პროგრამას. ის აღიარებს მეზობლებთან შეთანხმების მიუსაილებელს საჭიროებას. უამისოდ მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ჩვენ დავიმკვიდროთ „სრული თავისუფლება ზრდისა და ცხოვრებისა". ის შვეიცარიის მაგალითზედ მიგვითითებს და გვაცნობს საფედერაციო პრინციპს, რომელსაც ჩვენებურად ასე გადმოთარგმნის კაცი: „მეც ვიყო და შენც იყავო".

„აი ეს უბრალო პრინციპი", სწერს ნ. ნიკოლაძე, გამოდგა ისეთ ცემენტად, რომ მისგან აყვანილს შენობას სრულიად ვერა დააკლეს რა იმისთანა მებრძოლებმა როგორიც იყვნენ ნაპოლეონ დიდი, გარიბალდი და ბისმარკი... კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ცემენტის ხმარებას. აქ ისე ორიას სამოციოდე სხვა და სხვა ფერი ხალხი მოუთავსებია ერთად. არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე, საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა.

დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპანის მწეველნი, ერთნაირ უფლებათა პატრონნი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არცერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გადენა, მეტი საშველი არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრება იყოს, და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებლოდ.

რასაკვირველია, ყოველი ეროი ვალდებულია, სანამ კი შეუძლია, იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნობის დასაცველად, შესანახავად. მაგრამ ნუთუ შვეიცარიელებმა თავი ნთი ან ენა დაჰკარგეს, ან რწმენა, ან ვინაობა, ან ეროვნობა? ნუ თუ მათ მიერ ამხანაგურად დაარსებული წესი და კანონი საუკუნოების განმავლობაში, ლამპარად არ უნათოდა ყოველ-

მხრივ მათ მეგვარტომე ფრანგებს, იტალიელებს და გერმანელებს და ყველა ამ ერისათვის გზის მაჩვენებელ კანდელად არ შეიქნა, მათის ამაღლების და დახსნის იარაღადაც?...

არაც საჭიროა, მაინც და მაინც, რომ გულითადი სიყვარული, გინდ პატიოისაება გვქონდეს ამ მეზობლებისა. შესაძლოა კიდეც, რომ ცალიანაც გვძულდეს, ან სრულებითაც არ შეგვეფერებოდეს მათი ხასიათი, ჩვეულება, საქციელი, წესი, კანონმდებლობა, რიგიანი განწყობილება სწორედ იმიტომ გამოუგონია კაცობრიობას, რომ სიყვარულის ადგილი დაიკავოს: იქ, სადაც ეს ძლიერი გრძნობა არ არსებობს. თორემ საცა სიყვარულია, იქ რა საჭიროა ან კანონი, ან წესი, ან მართველობა? მაგარ ისაა, რომ სიყვარული ერთობ ძვირობს დედამიწაზედ, და საცა კია, ნამეტანად მოძრავი, დაუდეგარი გრძნობაა, ზედ ერთა ცხოვრება კი არა, თვით კერძო კაცთა განწყობილებაც ძნელ დ დასაფუძნებელია. მასზე ბევრად უფრო გამოსადეგი ამ მხრით, ყოველგან და ყოველთვის ყოფილა კაცობრიობისათვის სიმართლე, პირობა, მორიგება, ანგარიში მტკიცე წესი. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ სიმართლეს და სამართალს მტრები შეერიგებინოს და შეეყვარებინოს ერთმანეთისთვის...

თუ არ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადიქცეს, ისეთი განწყობილება უნდა გავმართოთ ერთმანეთში, რომ ადამიანური, გონიერი, სახეირო იყოს: სხვისას ნურას მოვინდომებთ, სხვისი ნურაფერი გვშურდეს. ნურც ჩვენსას ნურაფერს გავატანთ და დავანებებთ ვისმე. ვეცადოთ, ჩვენს პატარა წრეში ჩვენთვის სრული თავისუფლება დავიმკვიდროთ ზრდისა და ცხოვრებისა, და სხვას ყველას ჯვარი გადავსახოთ, დაე იმათაც იცხოვრონ და იზარდონ, როგორც მათი ბუნება, გონება და გარემოება მოითხოვდეს, ან ნებას აძლევდეს. სანამ ყველანი ერთიანად აი ამ უბრალო მცნებას არ შეგითვისებთ, არაფერი სიკეთე ჩვენი არ გველირსება, რა-

დგანაᲪ მთელი ჩვენი ძალა და მხნეობა მარტო ჩვენი ვინაობის, ჩვენი ქონების დაᲪვას უნდა მივალიოთ, და არა მის ამაღლებას, ან მიმატებას". («მოამბე», 1895 წ., № 3).

ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრები დარჩება მუდამ საზრიანი ქართული ეროვნული პოლიტიკის სახელმძღვანელოდ. ხალხთა თანამედროვე ურთიერთობა გაᲪილებით უფრო მჭიდროა და მუდმივი, ვიდრე იყო წინედ. ერთა შორის დამოკიდებულებაში, ამის გამო, უფრო და უფრო იდგამს ფეხს მორიგებისა და შეთანხმების პოლიტიკა, დიდი და ძლიერი ერებიᲪ კი ირჩევენ ზომიერებისა და საჭირო დათმობის გზას, რომ მით მტრების რიᲪხვი შეიმᲪირონ და სხვებთან ომი და ბრძოლა იშვიათი გახადონ. მით უმეტეს სავალდებულო იყო და არის ასეთი ზომიერი პოლიტიკა ქართველი ერისათვის, რომელსაᲪ სხვებზედ მეტი მტერი უნახავს თავის წარსულში, სხვებზედ მეტი ბრძოლები გადაუხდია და ამის გამო აუარებელი ზარალი და განსაᲪდელი გადუტანია. შავ-ბნელ დროთა ბრუნვის მეოხებით დაუძლურებულს ეროვნულ ძალას განსაკუთრებული გაფრთხილება და დაზოგვა სჭირია. შინაურსა თუ საგარეო ურთი-ეროობის საკითხებში მესამᲪიანები მადას და გრძნობებს კი არ ემყარებიან, არამედ რეალურ შესაძლებლობის ვარაუდსა და ანგარიშს.

Ჯერ კიდევ 1880 წელში აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი მკაფიოდ და ნათლად მესამᲪიანთა ასეთს ზომიერებას ეროვნულს საკითხში. ი. გოგებაშვილს მოჰყავს სხვა და სხვა ქვეყნების პატრიოტულ მიმდინარეობათა უკიდურესობის მაგალითები და ამბობს: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაᲪვა ჩვენის უფლებისა, Ცხოვრებისა, თვითმმართველობისა,

ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა... როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმაღლოთ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართოგზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილ დღეობისა".

მეორე განსაკუთრებითი თვისება ჩვენებურის პატრიოტობისა ამოდენადვე შესანიშნავია. ზოგიერთ სხვა ქვეყნებში პატრიოტობა და უკან დახევის სურვილი, ძველის წეს-წყობილების აღდგინების წადილი, ახალის აზრების და მიმართულების უარყოფა ერთად არიან შეკავშირებულნი, ერთმანეთზედ გადაბმულნი"...

ავტორი ასახელებს მაგალითისათვის ასეთი აზრებით გამსჭვალულ სხვა და სხვა ქვეყნის პატრიოტულ წრეებს და ამბობს: „ჩვენში ამ გვარ პატრიოტებს წამლადაც ვერ მოსძებნით. ძველებურის საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია, სიზმრადაც აღარავის ეჩვენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულს დროდა, რომლის დაბრუნება ისეთივე შეუძლებელია, როგორც ჩაილულის წყლის უკუ მოქცევა. ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა, მიქცეულ უნდა იქმნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი. ამისათვის მან უნდა მოიპოვოს მრავალი ეროვნობითი პირობანი, რომელნიც უწინ ჩვენს ქვეყანაში არსებობდენ და რომელთა მეოხებით ქართველებს პირველი ადგილი ეპირათ კავკასიის ერთა შორის. ეს

პირობანი ახლა აღარ გვაბადია, და ეს არის უმთავრესი მიხეზი, რომ მოკლე ხნის განმავლობაში ქართველობა ბევრით, ძალიან ბევრით უკან ჩამორჩა სომხობასა, რომელმაც, სხვათა შორის, შეირჩინა სამი ნაციონალური ცენტრი: თვით-მდგომარე ეკლესია, მასხეედ მეიდროთ დაკავშირებული ეროვნული ოჯახი და დამუკიდებელი სკოლა. წარსულ'ში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართე ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიად აგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ეკვავი. ახლა ჩვენში ვერც ერთი ნაყოფიერი მცენარე ველარ იდგამს ღრმად ფესვსა, იმიტომ რომ ნიადაგს მოკლებულნი ვართ და გადაბირეცის გზას დავდგომივართ". ი. გოგებაშვილი დაასკვნის თავის აზრს, რომ ამ „ნიადაგის აღგდენის და ძველი საქართველოს რესტავრაციის შუა განუზომელი მანძილია"-ო (ი. გოგებაშვილი—«რჩეული ნაწერები», ტომი 1, გვ. 23-25).

ასეთი გეზი მათ თავიდანვე აქვთ აღებული. ჩვენი ცხოვრების ყველა საკითხებს, საშინაოს თუ საგარეოს, უფლებრივსა და ეკონომიურს, მესამოციანები აშუქებენ ისითივე მიმართულებით, „რომელსაც ამ ბოლო ქამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკ ატიისა". ამ აზრების ქადაგებას ისინი აწარმოებენ მუდმივად და საკმარისად გარკვეულს ფორმებში, მიუხედავად მაშინდელი რეჟიმის დიდი სიმკაცრისა.

მაგრამ არის ერთი საკითხი შინაური ცხოვრების სფეროში—შრომისა და მშრომელთა მნიშვნელობის, სადაც მესამოციანებს ადვილათ შეეძლოთ გამოეჩინათ მრუდე შეხედულება, თუ ღირსეული ყურადღების უქონლობა. ეს იმის გამო იყო შესაძლებელი, რომ ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზედ ჯერ კიდევ ნაკლებად სჩანდენ გლეხთა წრიდან გამოსული ელემენტები და ქარხნის მუშათა კლასი ხომ სრულებითაც არ არსებობ ა. მიუხედავათ ამისა, მესამოციანები ღირსეულ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს და ეროვ-

ნული ცხოვრების ამაღლების, გაძლიერების საქმისათვის შრომისა და მშრომელის მნიშვნელობას მუდმივად არკვევენ და აფასებენ. ილია ჭავჭავაძე ასე გვიმარტავს მათს შეხედულებას ამ საგანზე: „გვითქვამს და ეხლაც კიდევ მიზეზი გვაქვს ვსთქვათ, რომ ქვეყანა და მისნი მადლნი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა და გამრჯელის ყოფილა და არის... გამრჯელი და მშრომელი არის შემქნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და კერძსაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი ჰშოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ. სხვა ყველანი ნალოები არიან ამ გამრჯელსა და მშრომელზედ, ათას ნაირ ხვანჯებით გამობმული. ესენი გამრჯელსაც ამძიმებენ და თვითონაც არ იციან, სად და როდის გაუწყდებათ წნელი რომელსაც ხელი უკიდიათ და სად დარჩებიან უმწეოდ—შიმშილით სულის ამოსაბდომად, და როცა ეს უბედურობა შეემთხვევათ, ჰყვირიან გვიშველეთო. უქმი, გაურჯელი კაცი, სხვის სამადლოთ დარჩენილი, ამ აუცილებელ ბედს ვერ წაუვა, თუნდაც ზედ ოქროს ზოდზედ დასვათ. არავითარი სიმდიდრე დაუსრულებელი არ არის. ოქროს ზოდიც რაც უნდა დიდი იყოს, ,თავის დროზედ ყინულსავით დაუდნება უქმს კაცსა და თუ თვითონ არა, მის შვილს, ან შვილიშვილს მაინც აგრძნობინებს აუცილებლობას შრომისა და გარჯისას და სიმწვავეს უქმობისა და გაურჯელობისას.

ადამიანის ცხოვრება, და ნამეტნავად ეკონომიური, განუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეთ, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის. ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზედ არა დააყენებს რა, რაც უნდა ულოლაოთ და უაროთ. კაცი, რომელიც მარტო მჭამელი და შთანმთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედა-მიწის ზურგიდამ ასაგველად. იგი ყოველთვის უღონოა ჭიდილისათვის არსებობისთვის ბრძოლაში და ამიტომაც მარტო ერთი უბრალო შემთხვევა ჰკმარის ხოლმე ძირს

დასაეს და პირქვე დაამხოს. მაგისთანა კაცს, როგორც უძირო ქვევრს, რაც გინდ ბევრი ჩააყაროთ, ვერა სიმდიდრე კერ გაუძღებს. სიმდიდრე იმისთანა ბუნებისა, რომ ყოველთვის მიურბის ხელიდამ უუნაროს და უქმს და მიეზიდება უნარიან და საქმის კაცისაკენ. ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდაუვალი, აუცილებელი, დაურღეველი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ვინც ამ რკინის კანონს ეჭიდება გასატეხად, ის უფრო ადრე თვითონ გადატყდება ამაო ბღაუჭობაში; ის ტყუილადა სცდება, ტყუილად აცდენს სხვასაც და ტყუილად აფერხებს, აყოვნებს სვლას წარმოების გზაზედ, რადგანაც მართალს გზას თვალს არიდებს და ტყუილა ღობე-ყორეს კი ეტანება. მარ ილია, წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო, მაგრამ საკითხავი ის არის: წყალს რად წააღებინა თავი და თუ წააღებინა, რა სიმაგრეა—ხავსი? ხავსი ხომ ტყუილი ნუგეშია და ტყუილი ნუგეში რის მაქნისია გამრუდებულის, გაფუჭებულის საქმის გამოსასწორებლად, გამოსაკეთებლად?". («ივერია», 1888 წ., N° 62).

კიდევ უფრო ადრე, 1877 წ., ილია ეხება ამავე საკითხებს თავის წერილებში „ცხოვრება და კანონი". ის იხილავს მშრომელთა კლსის მნიშვნელობას ხალხთა თანამედროვე ცხოვრებაში და გვიმტკიცებს, რომ ფეოდალებსა და სამღვდელოების შორის წარმოებული ბრძოლა მიწისათვის და მასთან დაკავშირებული უფლებებისათვის, მესამე წოდებამ, ბურჟუაზიამ გადაჭრა ამ წოდებრივი უპირატესობის გაუქმების მიღწევით. „მაგრამ, სწერს ილია, მან მიწად-მფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერ დაადგინა განმავლობა მოძრავ ქონებისა. მან ლეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარედ დარჩა... ის წრეს გარედ დარჩომილ—შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა კაცია, დღეს ეს მუშა-

კაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობაში, არავის არ ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარი წყობის ქვაკუთხედათ ჰსდებს შრომას, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით დღეს ევროპაში მეოთხე წოდებაცაა, სახელდობ მუშათა, რომელიც სიმრავლით ყოველ წოდებაზედ უდიდესია".

ილია სამართლიანად აღიარებს მუშათა კლასის მოთხოვნილებას და სურვილს, „რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წრეებში არავის არ ჰქონდეს განსაკუთრებული". ხოლო 1888 წელს, თავის შესანიშნავს საახალწლო მიმოხილვაში ის იხილავს საქართველოს წარსული და აწმყო ცხოვრების ბუნებას, ხასიათს და ჩვენს ეროვნულს პოლიტიკას ახალს საფუძვლებსა და დასაყრდნობს უძებნის. ილია სწერს: „რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები მოგვსევიან, ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჯენა კბილთა არ გამოგვივლია. რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძლეთ ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვასრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გაუძლეთ საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რუსულიანსა და ურუსულოს. დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დრო-

შა ეხლა ჩრჩ ილმა შესჯამოს, თაგვმა დაგვიჭრასს.. დრო ქამი მას ვვიქადის...

ყველა ეს შევიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ ჰეგვაძლებინა? რამგვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმფრქვეველნი მამულისათვის რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ცხე-სიმაკრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა! იმ დროთა ჩარხზედ გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი. იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. «სილბო გვქონდა ნაქსოვისა», ვით ქრისტიანებს, «და სიმტკიცე ნაჭედისა», ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა; ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევინახეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით, ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან, თუ შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს, შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ".

ასე ნათლად და გარკვეულად აქვთ შეგნებული მესამოციანეებს საქართველოს წარსული და აწიყო. როგორც საყოველთაოდ, ყვალა კულტურულს ქვეყნებში, ისევე ჩვენშიც უკკე დრომოჭმულია და დასრულებული

წარსულის, ეკონომიური და პოლიტიკური წყობა და წესები. ნატურალური მეურნეობა ისპობა და მის ადგილს იპყრს ფულებრივი მეურნეობა. პოლიტიკური ცხოვრება ფართოვდება და სახელმწიფო იძულებული ხდება გაუწიოს მზრუნველობა და ხელმძღვანელობა არა მარტო ქვეყნის დაცვასა და წესრიგის დამყარებას, როგორც იყო წინეთ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველს დარგს—მეურნეობას, აღებ-მიცემობას, სწავლა-განათლებას და სხ. ყველა ამ საქმეებს ვერ გაუძღვება ერის მხოლოდ ერთი ნაწილი, წოდება თუ კლასი, და მის ხელმძღვანელობას არც არავინ მიანდობს საზოგადოების მხოლოდ ერთს წრეს. მთელი ერი, მთელი ხალხი უდგება დარაჯათ საქვეყნო საქმეებს და ამისათვის ის ქმნის ხალხურ მმართველ. ბას, დემოკრატიულ წყობილებას. ეს ახალი წყობა ამაგრებს ყველა ადგილობრივ ქალაქეთა თანასწორობას საქვეყნო საქმეების წარმოებაში.

ხოლო როდესაც საკითხი დადგება იმის შესახებ, თუ რომელი წრე არის უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი ეროვნულს ცხოვრებაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ერთნაირი არ არის სხვა და სხვა ქვეყნებში. საქართველოში ასეთს მთავარს ფუძეს წარმოადგენს სასოფლო მეურნეობა და მიწათ-მოქმედების წრე. ის შეადგენს მოსახლეობის ოთხ-მეხუთედზედ მეტს და ის იძლევა მთელი ეროვნული დოვლათის ასევე ოთხ-მეხუთედზედ მეტს. ამის გამო, სავსებით გასაგებია ილია ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები: „ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანი ასაზრდოებს ხმალს—გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედა-მიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდან საზრდოება გვაწოდოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ“. ამას სწერს ილია 1881 წ. („ივერია», N° 11).

ასეთი იყო ი.ჭავჭავაძის და მესამოცეანთა მთელი დასის ეროვნული პოლიტიკის დასკვნა და ასეთივე უნდა დარჩეს ჩვენი რეალური პოლიტიკ ს მთავარი საფუძველი ვინ იცის როდემდის. რასაკვირველია, ისინი არ უარყოფენ ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობას. ილია და მისი დასი მუდამ მას მფარველობდენ სიტყვით და საქმით. თუ რამ საფუძვლიანი და ღირებული დაწერილა ქართულს ენაზედ ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ, ეს მესამოცეანთაგან იყო. თუ რამ საქმიანი გეგმები შედგენილა ჩვენში მრეწველობის სხვა და სხვა დარგში წარმოებათა დაფუძნებისათვის, თუ გაძლიერებისათვის ესეც მაგათგან იყო. ხოლო თუ რამ წარმოებები მოგვეპოვება მრეწველობის სხვა და სხვა სფეროში, ესეც იმათგანვე იწყებს თავის ფუძესა და დასაბამს. თუ რამ საფუძვლიანი დაწერილა ან საქმიანობა დაფუძნებულა ამ დარგში, ესეც მათ მიერ. მაგრამ მეურნეობა მთავარი საფუძველი იყო ჩვენი არსებობისა მუდამ და ასეთივე დარჩება, სანამ ჩვენ ქვეყანას არ მოაკლდება უხვი მზის სხივები, ზომიერი ჰავა და ნოყიერი ნიადაგი. წარმოების სხვა დარგებისათვისაც ჩვენ უხვი პირობები გვაქვს და ჩვენ მათაც განვავითარებთ. მაგრამ ეს წარმოებანი ფურო სათუთია და ნაზი ვინემ მიწა. ის ვერ უძლებს ცხოვრების ქარტეხილს—მძიმე ომებს—საშინაოს თუ საგარეოს. ასეთს მძიმე განსაცდელის დროს არსებითი საზრდოს—პურის საკითხი ჰფარავს ჭარმაგობისა და ფუფუნების ყველა მოთხოვნას. ასე მომხდარა ყველგან, სადაც მრეწველობა და აღებ-მიცემობა გაცილებით უფრო ძლიერი ყოფილა და სასოფლო მეურნეობა კი ბევრად უფრო მცირე მნიშვნელობის, ვიდრე ჩვენში.

ასევე ხმალი. მას ყველგან ჰქონია და აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგრამ განსაკუთრებული როლი ჰქონდა მას ჩვენს ისტორიაში. მთელი ჩვენი წარსული სამხედრო ისტორია იყო. მან შეუქმნა ჩვენს ერს განსაკუთრე-

ბული თვისებები სამხედრო და რაინდული. ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ რამდენათაც ამის საჭიროებას მოგვთხოვს ცხოვრება. მართალია ჩვენ ვცხოვრობთ ამ ჟამად პაციფიზმის და ნაციათა ლიგის ხანაში. ყოველს დიდს მსოფლიო შეჯახებას თან ახლავს ერთგვარი დაღლილობა და ასეთი მშვიდობიანობის მოტრფიალე სული. მაგრამ ეს ყოველთვის წარმავალი ყოფილა და ღმერთმა ჰქმნას რომ ეხლა ეს დარჩეს სამუდამოთ. ამის ნიშნები ნაკლებად სჩანს. ერები კვლავ ძალით ჰფიქრობენ თავის დაცვას შინ და გარედ. ხმალი კვლავ რჩება ეროვნული თუ პიროვნული თავისუფლებისა და შინაური მყუდროების მნიშვნელოვან იარაღად.

მაგრამ ხმალი აქ მხოლოდ ამ პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. მისი შინაარსი უფრო ვრცელია. ის გამოსახავს ჩვენი მრავალ საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მემკვიდრეობას. მთელს მსოფლიო ისტორიაში არც ერთ სხვა ერს არ ჰქონია ამ ზომად მუდმივი ბრძოლები ან აღვსილი ხანგრძლივი წარსული, რომელმაც შეახორცა ქართულს ბუნებას განსაკუთრებული მხედრული და ადმინისტრატიული ხასიათი და ნიჭი. მხოლოდ ასეთი მემკვიდრეობით აიხსნება, რომ წინეთ სპარსეთსა და ოსმალეთში, და შემდეგ, ძველსა და ახალს რუსეთში მომქმედნი ქართველები წინ უსწრობდენ სხვა გაცილებით უკეთეს პირობებში მყოფ ელემენტებს, და მმართველობის სათავეებს და მსოფლიო მნიშვნელობის მაღლობებსაც აღწევდენ.

ამა თავში აღძრულს საკითხზედ ჩვენი დასკვნა იქნება შემდეგი: მესამოციანეებმა ააღვიძეს და მოასულიერეს ჩვენი ცოცხალ-მკვდარი ეროვნული ცხოვრება, რის შემდეგ მათ შეიმუშავეს და საქმითაც დააფუძნეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების აღდგენისა და გარდაქმნის გეგმა—პოლიტიკური მიმართულება—ეროვნული და დემოკრატიული. მათ გააცოცხლეს ეერის წინაშე მისი ხანგრძლივი წარსული სინამდვილე. რაც დრო მოჰმუ

ლი იყო, უარყვეს და მოიშორეს, ხოლო რაც იყო ღირებული და სასარგებლო ახალი ცხოვრებისათვის, მას დაუკავშირეს და შეარიგეს,

ასეთი აზრი ბევრს ეუცხოვება. ჩვენს საზოგადოებაში დღემდე გავრცელებულია შეხედულება, რომლის ძალით დემოკრატიის პირველი მეგობარი და დემოკრატიული აზროვნებ ს და საქმის დამფუძნებელი საქართველოში იყო ნოე ჟორდანია და იმისი დასი. ასეთი შეხედულების სრულს სიყალბეს ნათლად დავინახავთ ჩვენ, როდესაც შემდეგი თაობის მოღვაწეობის შესწავლას დავიწყებთ და იქ მენშევიკურ და ბოლშევიკურ წრეების ნამუშევარს გავიცნობთ. ხოლო ამ ჟამად გაკვრით მოვიხსენიებთ თვით ნოე ჟორდანიას აზრებს დემოკრატიისა და დემოკრატიულ პოლიტიკის შესახებ.

ხუთმეტი წლის წინეთ ის სწერდა თავის წიგნაკში —«დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია»: „უდიდესი მტერი სოციალ-დემოკრატიისა არის დემოკრ ტია, არც ერთ სხვა ძალას არ მიუყენებია მისთვის იმდენი ზიანი, როგორც დემოკრატიამ". დემოკრატია თუ ასეთი საშინელი მტერია ნ. ჟორდანიას პარტიისათვის, ცხადია არც ეს პარტია იქნება დემოკრატიის ერთგული და მოყვარული.

მაგ ამ რას წარმოადგენს ნ. ჟორდანიას პარტიის ეს საშინელი მტერი, დემოკრატია?—„ეს არის ჯოგი, სხვა და სხვა შეგნებითა და ეკონომიურ მდგომარეობით. აქ არის გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, მუშა, მღვდელი და ბერი". ამ სტრიქონებში საკმაოდ ნ თლად სჩანს ნ. ჟორდანიას სიძულვილი ამ „ჯოგისადმი".

ექვსიოდე წლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და მას თვით ჟორდანიას პარტია დემოკრატიულ რესპუბლიკას უწოდებდა. ეხ ლა ნ. ჟორდანია გვარწმუნებს: „საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია ეყრდნობა სამ კლასს: მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულე-

ბაზედ. ეს კლასები სავსებით დემოკრატიულია"...

მაშასადამე ნ. ჟორდანიას აზრით ეს სამი კლასი— მუშები, წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა სავსებით დემოკრატიული კლასებია. აქედან ცხადია, რომ საქართველოს „ფაქტიური კონსტიტუციაა", უკეთუ ის დემოკრატიულია, ამ „სავსებითი დემოკრატიულ კლასებს მაინც უნდა ეყრდნობოდეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ნოე ჟორდანიას „დემოკრატიული" პოლიტიკა ეყრდნობა ამ „სავსებით დემოკრატიულ კლასების" „ურთიერთ დამოკიდებულობას". ხოლო ეს მათი ურთიერთი დამოკიდებულობა, თავის მხრივ ეყრდნობა არა ამ კლასების საერთო ინტერესს და საერთო მიზნებს, არამედ მაუზერს, რომლის შემწეობით ერთმა ყველაზედ მცირე რიცხოვანმა ჯგუფმა უნდა მიაღებინოს სხვა კლასებსა და მთელს ერს თავისი „ხელმძღვანელობა". ნოე ჟორდანია ასე გვისურათებს ამ კლასთა ურთი-ერთ დამოკიდებულებას: „საქართველოში რესპუბლიკას და რევოლიუციას შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდან ერთად-ერთი საფრთხე გლეხობისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის... მოძრაობაში ის მონაწილეობას იღებს, როგორც ვებერთელა დამრღვევი ძალა. ....ჩვენ იმდენად დაგვავიწყდა მარქსიზმი და დაუჯერეთ ესერულ „აზრებს", რომ დღემდე ზოგიერთი ჩვენში ამ გლეხებს იღებს, როგორც რევოლიუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზედ. დროა ბოლო მოვუღოთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პირტიაში ნაროდნიკულ ილიუზიების ბატონობას, დროა დაუბრუნდეთ მარქს და მაგრად დავდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლიუციის დაცვის ნიადაგზედ".

მაშასადამე, ერის ოთხი მეხუთედი ნაწილი, გლეხობა, საშინელი მტერი ყოფილა იმ „დემოკრატიული" პოლიტიკისა, რომელსაც ნ. ჟორდანია ემსახურება, და ამისათვის ისიც ჰპირდება მათ მუდმივ და უყოყმანო რეპრესიებს.

მაშ რომელი კლასია მთავარი ძალა და დასაყრდნობი დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებაში? ნ. ყორდანია გვიპასუხებს: „ჩვენი სახალხო გვარდია და შეგნებული მუშები, როგორც თბილისისა, ისე პროვინციის, განსაკუთრებით თბილისის—აი ვინ არის ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელი". (იხ. ნ. ყორდანია „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია", 1918 წ.). სახალხო გვარდია ხომ რაიმე მუდმივი წრე არ არის. ის დროებითი შეიარაღებული ძალაა და უმთავრესად იმავე მუშებისაგან შესდგება. ამ სამიოდე ათასმა მუშამ უნდა მიატოვოს მანქანები და ხელი მოჰკიდოს მაუზერს, რათა უყოყმანოდ აწარმოვოს რეპრესიები იმათ წინააღმდეგ, ვინც არ სცნობს „მუშათა ხელმძღვანელობას". ნ. ყორდანიას აზრით ეს არის სახელმწიფოს ნამდვილი აღმშენებლობა.

შემდეგში ჩვენ ნათლად დავინახავთ, რომ არც ამ „მუშათა ხელმძღვანელობას" ჰქონია ადგილი იმ პოლიტიკაში, რომელსაც ნ. ყორდანია აწარმოებდა. ამიტომ ეს წყობა არ ყოფილა არც დემოკრატიული და არც კლასიური, მუშური. ხელმძღვანელობა იყო არა რომელიმე კლასის, არამედ დეკლასიურ და უსაქმური წრეების. ასეთი წყობის და პოლიტიკის გამოსახავად არ გამოდგება არც ერთი, პოლიტიკურ ლექსიკონში ცნობილი შემეცნება—დემოკრატიული თუ სოციალურ-დემოკრატიული და სხ. ხოლო თუ დაგვჭირდება ამათი მსგავსი სახელის გამოძებნა ნ. ყორდანიას მიერ ნაკარნახევი და ნაწარმოები პოლიტიკური მუშაობის გამოსახავად, ყველაზედ უფრო შესაფერი იქნება ხამოკრატია და ხამოკრატიული.

როდესაც ნ. ყორდანიამ გამოიმუშავა ეს ახალი, არსად სხვაგან არ ხილული წყობილება და პოლიტიკა, არ არის გასაკვირველი, რომ მან გამოაცხადა წაშლილად, არარსებულად და გაუქმებულად მთელი ჩვენი წარსული, მრავალ საუკუნოვან სახელმწიფოებრივი

ცხოვრებით დაღალული და დასერილი. ის სწერდა: „სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მხრივ საქართველო არის tabula rasa (სუფთა ფიცარი). ის არ არი შებოჭილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც დამკვიდრებული სახელმწფო ტრადიციებით. ჩვენი სახელმწიფო მოკვდა ასი წლის წინეთ, მისგან არაფერი არ დარჩენილა, რუსული სახელმწიფოებრივობა ჩვენ უარვყავით, ერთი სიტყვით, ჩვენ პოლიტიკურად არაფრით არ ვართ შებოჭვილი სახელმწიფოს აშენების საქმეში".

ასეთი გეგმითა და ასეთს საფუძვლებზედ აშენებულს წყობილებას, რასაკვირველია, გარეშე ძალის ჩაურევლადაც არ ექნებოდა დიდი დღე. ორი და სამი ათასი მუშა, რაც უნდა შეგნებულნი იყვნენ ისინი, ერთ საშუალო ზომის ქარხნის აღმშენებლად თუ იქნებიან საკმარისი და არა სახელმწიფოსი.

ნ. ჟორდანიამ ანგარიში გაუწია ამ გარემოებას და შეიმუშავა ახალი, კიდევ უფრო ორიგინალური გეგმა საქართველოს მომავალში ასაშენებლად. ეს გეგმა შემდეგია: ბურჟუაზიული ეკონომიკა თავის დაქირავებული შრომით და ბურჟუაზიული წრეების ხელმძღვანელობით, დარჩება. ამავე დროს პოლიტიკა არის სოციალისტური და მთავრობა და მმართველობა, რასაკვირველია ამ მშვენიერი გეგმის შემდგენელის და მისი მეგობრების ხელში. მართალია, სოციალისტური პოლიტიკა ქარხნებით იწყება და ქარხნებითვე თავდება, მაგრამ წარმოებათა სოციალისტურად მართვა და მით უმეტეს ახალი ქარხნებისა და წარმოების მოწყობა და სოციალისტურად პატრონობა ადვილი საქმე არ ყოფილა. ნ. ჟორდანია ხელს უშობს ასეთს სადავოდარაბო საქმეებსა და ყოველივე მას ბურჯუაზიულ წრეებს უტოვებს. თავის წრეებისათვის მას უფრო ადვილი მაგრამ უფრო სარფა საქმე აქვს აღმოჩენილი—ამ წრეების დაბეგვრა და ამით „სოციალისტური" პოლიტიკის წარმოება.

ნ. ჟორდანია ასე დაგვისკვნის თავის ახალს შეხედულებას: „მეტყვიან, მაშ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ ბურჟუაზიული ეკონომიკის უ. ი. დაქირავებული შრომის და საქონლის ტრიალის ფარგლებში სოციალისტური მმართველობა? დიახ, რასაკვირველია, პოლიტიკის და ეკონომიკის ასეთი გაყრა, მათი სხვა და სხვა კლასის ხელში მოქცევა ახალი ამბავი არ არის". («ბრძოლა», N° 31).

მართალია, მარქსისტები მუდამ უარყოფენ ეკონომიკისა და პოლიტიკის გაყრას. მათთვის პოლიტიკა მუდამ ზედ ნაშენი იყო ეკონომიკისა და ასევე პოლიტიკური ბატონობა ეკონომიური ბატონობისა. ნ. ჟორდანია უარყოფს ასეთს შეხედულებას, რომელსაც ის იცავდა ოცდაათი წლის განმავლობაში. ე' ლა მას შესაძლებლად მიაჩნია დაშორება და გაყრა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობისა. აქ ის სავსებით მართალია. ხოლო თავის მოსაზრების დასამტკიცებლად მას უვარგისი მაგალითი მ ეჰყავს: გერმანიაში პოლიტიკურად იუნკრობა იყო გაბატონებული, ხოლო ეკონომიურად ბუჯრუაზიაო. იუნკრები სასოფლო მეურნეობას მეთაურობდენ ეკონომიურად და ეს მეურნეობა მათ ბურჟუაზიულად ჰქონდათ მოწყობილი და არა სოციალისტურად. ამავე დროს მათ მცირე მონაწილეობა არ ჰქონდათ საქარხნო წარმოებებშიც. ასე რომ ეს კლასი ეკონომიურად სავსებით ბურჟუაზიული იყო.

ნ. ჟორდანიის გეგმისათვის უფრო შესაფერი მაგალითები მოიპოვება ძველს დროსა და საშუალო საუკუნოებში. მაშინ არსებობდენ მრავალი პირატთა, მეკობრეთა საზოგადოებანი. მათ ჰქონდათ სახელმწიფოემრიგობის ყველა მთავარი თვისებები - მოსახლეობა, ტერიტორია და ძმართველობა. ხოლო ამ სახელმწიფოების მასაზრდოებელ ეკონომიკას – მეურნეობას და სხვა წარმოებას, თვით პირატები არ ეწეოდენ, ამას სხვა კლასები აწარმოებდენ სხვა და სხვა ქვეყნებში. პირატთა

საზოგადოებების პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მოიდავლებდენ ამ ბურჟუაზიულ კლასთა ნაწარმოებებს, როგორც კი მათ სადმე სავაჭრო გზებზედ დაიხილთებდენ და ხელში ჩაიგდებდენ. ყოველივე ეს ხერხდებოდა ძველად, მაგრამ ჩვენს დროში მეტად ძნელია ასეთი სახელმწიფოს დაფუძნება და არსებობა. სავაჭრო გზებზედ მშვიდობიანობის დაცვაში ყველა სახელმწიფოებია დაინტერესებული. ხოლო ერთი ქვეყნის ფარგალში ასეთი პოლიტიკისა და ეკონომიკის მომწყვდევა იმით არის მოუხერხებელი, რომ თავიდანვე დამყარდება მათ შორის შეურიგებელი ბრძოლა და ომი. ნ. ყორდანიას ეს გარემოებაც აქვს გათვალისწინებული. განა შეიძლება, რომ ეკონომიკისა და პოლიტიკის ასეთი გათიშვა სამუდამო (.ყოსო? ჰკითხულობს ის და იქვე გვიპასუხებს: „არა, რასაკვირველია. ბოლოს და ბოლოს ქონება თავისას გაიტანს და შესაფერ უფლებას შეიძენს". მაგრამ სხვა რა არის სამუდამო ამ ქვეყნად? ნოე ყორდანია გვარწმუნებს, რომ ეს დროებითი გათიშვაც მეტად „გვარიანი და სარფიანი" იქნება პოლიტიკის მაწარმოებელ წრისათვის. ეს უდავოა. სულ მცირე ხნითაც რომ აწარმოვოს რომელიმე წრემ ასეთი პოლიტიკა, ყოველთვის მოასწრებს „გვარიანად და სარფიანად" ხელის მოთბობას და არც ის გაუძნელდება, რომ მოაწყოს საკმაო მზითევით დატვირთული არგონავტებისებური ქარავანი, როდესაც „ქონება თავისას გაიტანს და ასეთ პოლიტიკას საფრთხე გაუჩნდება.

ნ. ყორდანიას გეგმაში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ნათლად თუ რომელი კლასი იქნება ასეთი „ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელი". ბურჟუაზია და გლეხობა ხომ არ გამოდგება და არ გამოდგება, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ თვით მუშათა მცირე რიცხოვანი წრეს სავსებით გამოეშალოს ბურჟუაზიულ ეკონომიკას, რადგან ამით დაირღვევა ეკონომიკის და პოლიტიკის მეგობრული გაყრის გეგმა. ამისათვის გამოდგება მხოლოდ ისეთი კლასი, რომლის გამოკლება არ დაარ-

დევევს და არ დააკოჭლებს ბურჟუაზიულ ეკონომიკას. ასეთი კლასი იქნება ყველა კლასებიდან ამოვარდნილი დეკლასიური ელემენტი, ყოველგვარ წარმოებას და საქმიანობას მოშორებული. ნოე ჟორდანია აქ უთუოდ იმედს ამყარებს იმ გაღატაკებულ აზნაურობას და სხვა უსაქმურ წრეებზედ, რომელსაც ეყრდნობოდა მისი და მისი წრის პოლიტიკური მოღვაწეობა ათეულ წელთა მანძილზედ. მაგრამ ეს წრე უკვე აღარ არის ის, რაც იყო წინეთ. გაკეთების ნაცვლად, ის მთლად გაანადგურა ნოე ჟორდანიის პოლიტიკაზედ აკიდებამ. ვინც გადარჩა, ამათგან დიდს ნაწილს სავსებით შეგნებული აქვს ცხოვრების მწარე მაგალითები და უშრომლად და გაურჯელად სოციალისტურად გააზნაურება და გათავადებაზედ იმედებს აღარ ამყარებს. მაგრამ ამათ გარეშე კიდევ არ გამოილევა ჩვენს ცხრვრებაში ნ. ჟორდანიის ახალი გეგმისათვის საჭირო შეგნებულად და სულითა და გულით უსაქმური წრეები. არ გამოილევა ასეთი ელემენტები, სანამ ჩვენი ცხრვრება ასე სუსტი იქნება ეკონომიურად და კულტურულად.

ნ. ჟორდანია თავის ახალს იდეოლოგიას სოციალისტურად ასაღებს. ეს შეცდომაა, რადგანაც ეს გეგმა საკუთარი მისი შემოქმედებაა და ამისთანა სოციალისტური ჯერ არსად და არავისაგან არ ყოფილა გამოცხადებული და წარმოებული. ასევე ალბად მორცხვობის მიზეზით ის დემოკრატიულად ასაღებდა იმ პოლიტიკურ წყობილებას თუ დაუწყობლობას, რომელიც აგრეთვე იყო არა დემოკრატიული, არამედ ხამოკრატიული. ისიც სავსებით მისი და მისი ჯგუფის შემოქმედება იყო, რადგან ეს ხამოკრატიული რეჟიმი მოკლებული იყო არამცთუ დემოკრატიული წყობის უმთავრეს საფუძვლებს, არამედ ყოველგვარ სახელმწიფოებრივი წყობის ძირეულ საფუძვლებსაც.

ნ. ჟორდანიის ეს ახალი გეგმა, როგორც ზემოდ ვთქვით, თანამედროვე პირობებში არსად არ განხორციელებულა. ნაწილობრივ და შემცირებულად ძი ასე-

თი მოღვაწეობა ყველა ქვეყნებში სწარმოებს. მაგრამ იქ მას ეწევიან არა პარტიები და მთავრობები, არამედ კერძო პირები და ჯგუფები. ჩვენშიდაც ჰყავდა მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი ასეთს მიმდინარეობას. ყველაზედ ცნობილი იყო სისონაი დარჩია, რომლის მოღვწეობა, თავის უმთავრეს ხაზებში სავსებით ეთანხმებოდა ნ. ჟორდანიის ახალს პროგრამას. ისიც, მაგალითად, მუდამ იყო მომხრე ბრძანებლობისა და ეკონომიკის ერთმანეთზედ დაშორებისა და გაყრის. სისონიაც არავის უკრძალავდა მუშაობას, ვაჭრობას და მრეწველობას. ხოლო როდესაც ის დახვდებოდა თავის ქვეშევრდომებს ჯვარედინ გზაზედ, ჩამოართმევდა ყველა მათ ბურჟუაზიულ ეკონომიკის ნიადაგზედ ნაჭარმოებს და მოიხმარდა თავის შეხედულებისამებრ. სისონაი უფრო პრაქტიკოსი იყო და ამიტომ იდეოლოგიურად ვერ ჩამოაყალიბა ეს თავის მიმართულება. ნ. ჟორდანიას ახალი გეგმა სწორეთ ასე გაღრმავებული და გაფართოებული სისონაიზმია და არა სოციალიზმი თუ დემოკრატიზმი. ასეთმა პოლიტიკურმა ხამოკრატიამ და სოციალურ სისონაიზმმა მრავალი უბედურობა მიაყენა ჩვენს ეროვნულს საქმეს ათეულ წელთა განმავლობაში. ამის გამომე შესაფერისად ვერ მივიჩნევდი მის განხილვას ასეთი კილოთი და მიდგომით. მაგრამ მეტად ძნელია სხვაფერ შეხება იმ მუდმივ პოლიტიკურ ყალთაბანდობისა და თაღლითობისა, რომელსაც წარმოადგენს ნ. ჟორდანიას მოღვაწეობის თეორია თუ პრაქტიკა. შემდეგში ჩვენ მას განვიხილავთ უფრო ვრცლად, რომ მით საბოლოდ ნათელი ვყოთ სრული სიყალბე იმ შეხედულობისა, თითქოს ნ. ჟორდანია და მისს დასს შემოეტანოს საქართველოში რაიმე სახელმწიფოებრივი მიმართულება, ზნე და წესი, დემოკრატიული თუ გინდ სხვა გვარი. აქ ჩვენ გავიცნობთ მთლიანად მათ სიტყვასა და საქმეს და დავინახავთ თუ როგორის დაუღალავის დაჟინებით უთხრიდა ძირს ეს წრე არა მარტო იმ ეროვნულსა და ხალხსნურს მიმართულებას, რომელიც დაამყარეს მესამოციანეებმა, არამედ, ასევე ეროვნული ცხოვრების ყველა ფუძესა და დასაყრდნობს, ეკონომიურსა თუ კულტურულს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ეს პარტია ყველაზედ უფრო ახალგაზდა პარტიაა საქართველოში, ხოლო როგორც პოლიტიკური მიმართულება, ყველაზედ უფრო ხნიერი. ჩვენ დავინახეთ, რომ მიწასთან გასწორებულ ჩვენი ეროვნული საქმის აღდგენა და აღორძინება მესამოციანთა მიერ თავიდანვე ეროვნულ და დემოკრატიულ მიმართულების საფუძვლებზედ სწარმოებდა და ვითარდებოდა. ოცდა ათი წლის გასწვრივ, გასული საუკუნის დამლევამდე, ეს მიმართულება ბატონობდა ჩვენი აღვიძებული ეროვნული საქმის ყოველ დარგში. ეს ხანა უშესანიშნაკესი და უნაყოფიერესი ხანაა ჩვენს ისტორიაში.

განსაცვიფრებელია მესამოციანთა დასის მუდმივი მწყობრი წესი მუშაობისა. კიდეე უფრო განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ ასეთი შეწონილი მუშაობა სწარმოებდა ყოველს დარგში ისე, რომ მათ არ მოეპოებოდათ არც სახელმწიფოებრივი ძალდატანებითი საშუალებანი და არც მ,ედმივი ორგანიზაცია, პარტია, როგორც ორგანო მათი მიზნების განხორციელების, განაღდებისა.

მათი მუშაობა ეხებოდა ცხოვრების უამრავ საკითხებს. ცხადია, რომ ყველა ამ საგნებზედ ერთი აზრისა და ერთი მიდგომის მიღწევა არ მოხერხდებოდა. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე სწერდა 1873 წელს: ,,განა ამ სტრი-

ქონის დამწერი ყველაფერში ეთანხმება. მაგალითად, გიორგი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან მას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა და სხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდ გვქონდეს. ამ საზოგად ა მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენის ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით". (არჩ. ჯორჯაძე, წიგ. 2, გვ. 143).

მესამოციანთა მრავალფეროვანი მღვაწეობა რომ მიმდინარეობდა ასე მწყობრად და გარკვეული გეზით, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ თავიდანვე განუმზადეს ყველა დაწყებულ საქმიებს გარკვეული საფუძველი და კალაპოტი. ამის შემდეგ კი მათი პირადი მაგალითი და ზნეობრივი გავლენა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ახლად შენამატი ძალებიც იმავე გეზს მიჰყოლოდენ. ამას ხელს უწყობდა კიდევ ის გარემოება, რომ მესამოციანთა დასი ძლიერ მალე ამარცხებს თავის მოწინააღმდეგებს და უდავო ბატონობის ადგილს იჭეოს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეოთხმოცდაათე წლებში იცვლება ასეთი ვითარება. ეროვნული ცხოვრების ასპარეზი მეტად გაფართოებულია. ამასთან ერთად ფრიად გამრავლებულ ია სხვა და სხვა დარგში მომუშავეთა რიცხვი. ყოველივე ამის ერთი გეზითა და გეგმით მიმართვა ძნელდება თანდათან. ამასთან ერთად ჩნდება ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც თავისკენ იწვევს საზოგადოებრივ ძალებს. აქ უკვე საჭირო ხდება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავს მოუყრის და მიჰმართავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძალებს. სახელმწიფოებრივი აპარატი არ აქვს ერს, მაგრამ რამოდენიმედ მის მაგიერობას შეასრულებდა პარტია თავის გამაერთიანებელ აზრებითა და იძულების ნორმებით.

მიუხედავათ ამისა, მესამოციანებს არ შეუქმნიათ

რაიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, პარტია. ამის მიზეზი იყო შემდეგი: მაშინდელს პოლიტიკურ პირობებში პარტიების დაარსება არ შეიძლებოდა ლეგალურის გზით. არც ჩვენში და არც რუსეთში არ არსებობდა იმ დროს პარტიები. იყვნენ მხოლოდ მიმდინარეობანი და საზოგადოებრივი წრეები, რომელთაც ხშირად პარტიის სახელს უწოდებდენ. ასეთი იყვენ ერობის წრეები, თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება და სხ. მართალია არსებობდენ საიდუმლო ჯგუფები—ნაროდნაია ვოლია, საიუზ ასვობაჟდენია და სხ. მაგრამ ეს უკანასკნელნი უმთავრესად პოლიტიკურს რეჟიმს ებრძოდენ პროპაგანდით ანუ ტერორით, თორემ ცხოვრების სხ. და სხვა დარგში დადებით, შემოქმედებით მუშაობას ვერ აწარმოებდენ. ჟრიად მნიშვნელოვანადაც რომ მიეჩნიათ მათ, ასეთი ფარული მუშაობა მთლიანად თუ ნაწილობრივ, მესამოციანები, რასაკვირველია, ვერ გასცვლიდენ, მაზედ, იმ დიდსა და მრავალფეროვანს მოღვაწეობას, რომელსაც ისინი ეწეოდენ ჩვენი ცხოვრების ყველ ა სარბიელზედ. ხოლო შეთავსება მათი არ მოხერხდებოდა.

პოლიტიკური პარტიები გამოჩნდენ ქართულს სინამდვილეში მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან. მართალია დასელები გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში გამოვიდენ ასპარეზზედ, მაგრამ მაშინ ეს დასი მხოლოდ პრესსაში სჩანდა და არსებობდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატების პირველი მცირე ყრილობა მოხდა 1898 წ., მაგრამ ამ ყრილობაზედ კიდევ არ დაარსებულა ეს პარტია. ის დაფუძნდა მხოლოდ 1903 წელს ლონდონის ყრილობაზედ, როდესაც მიღებული იქმნა პარტიის პროგრამა და წესდება. ამ დროიდან არსებობს ჩვენშიც ამ პარტიის განყოფილება. წინედ მხოლოდ ჯგუფები იყო, იდეურად და ორგანიზაციულად ჩამოუქნელი. ამავე ხანებში არსდება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია და სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგა-

ნიზაციია, როგორც რუსეთის პარტიის ნაწილი. ეს რუსეთ-იაპონიის ომის ხანაა, რომელმაც 905 ის რევოლიუციია გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, პარტიების საკითხს უფრო შორეული ისტორია აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 70-იან წლებში არსებობდა ჩვენში პარტიები და პარტიობა და სერგეი მესხი ხშირადაც სწერდა ამ საგანზედ. მაგრამ ეს პარტიები არ იყვნენ პოლიტიკური პარ ტიები, საყოველთაოდ მიღებულის მნიშვნელობით. ესიყო შეჯგუფებანი ვიწრო პრაქტიკულს, უმთავრესად, საბანკო, საქმეების ფარგალში. დასელების გამოსვლის შემდეგ პარტიობის შესახებ დავას უფრო ფართე მნიშვნელობა ეძლევა. მცნება პარტია დასის მნიშვნელობით იხმარება. ის კიდევ არ ჰგულისხმობს მტკიცე ნორმებით შებოჭილ ორგანიზაციას, ერთი პროგრამითა და გეგმით მომქმედს მაგრამ ამ დასებს გამომუშავებული აქვთ თავისი მსოფლ-მხედველობა პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესს საკითხებზედ. ვინც ამ საერთო საკითხებს ამუშავებს პრესსაში, იგივე არკვევს ცხოვრების ყოველ დღიურსა და წვრილმან კითხვებს და ვინც მთავარ საკითხებში მის აზრს იზიარებს, ამ წვრილმან კითხვებშიაც მის კარნახს უნდა მისდევდეს. დასელებისათვის ეს არ იყო მოუხერხებელი, რადგან მათ ორიოდე ლოზუნგი ჰქონდათ ცხოვრების ყველა კითხვების გადასაჭრელად. მესამოციანთა მიმდევარნი კი ვერ წავიდოდენ ამ გზით. ისინი რეალისტური პოლიტიკის მიმდევარნი იყვნენ და ცხოვრების კითხვებს განყენებული აზრების მიხედვით არ სჯიდენ და არ სჭრიდენ.

მესამოციანთათვის გასაგებია და ბუნებრივად მიჩნეული, რომ არსებობდეს აზრთა სხვა და სხვაობა, თუ დასებად დაყოფა მთავარს პოლიტიკურსა და სოციალურს მიზნებსა და გეგმებში. მაგრამ მათ შეუწყნარებლად მიაჩნიათ, რომ ეს განხეთქილება და დაქსაქსულობა გასცილდეს ამ სფეროსა და დასადგურდეს ცხოვრების

ყველა პრაქტიკულს საქმეებში. 1895 წელს ერთს თავის მეთაურში «ივერია» ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს დასელების მიერ აღებული გეზის მავნებლობას ჩვენი ერის ნივთიერად და სულიერად მოღონიერების საქმისათვის. ასევე საზიანოდ მიაჩნია მას ეროვნულ ძალთა დაყოფა ეროვნული უფლებათა დაცვის საქმეში. მაგალითისათვის «ივერია» ჩვენებურს პარტიობას ადარებს ევროპისას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენ არ გვქონდა იმ დროს ის საგანი, რომლის გარშემო სწარმოებს პარტიული ბრძოლა ევროპაში. ხოლო რაც გვაქვს ჩვენ, იმ დარგში პარტიული ბრძოლა არსად სწარმოებსო. მთავრობისა და პარლამენტის საკითხი ჩვენ არ გვაქვს გადასაჭრელი. არც ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგის მიმართულების და მმართველობის საქმეები გვაქვს მიკუთნებული გადასაწყვეტად. სინამდვილე ჩვენ ისეთს საქმეებს გვითმობს ჯერ-ჯერობით, რომ მათ შესახებ ბრძოლა და შეხლა-შემოხლა დაუშვებელია. ეს არის ქართული სკოლის, წიგნის და ენის საკითხი, ხალხში ყოველგვარი სასარგებლო ცოდნის შეტანისა და სხ. ამ საქმეებშიაც შეიძლება არსებობდეს შეხედულობათა სხვა და სხვაობა, მაგრამ სჯობს დარჩეს ეს სხვა და სხვაობა და ყველამ ისე იმუშავოს, როგორც ესმის, ვიდრე ამის გარშემო მუდმივი ბრძოლა და შეხლა-შემოხლა დაწესდესო.

«ივერიის» აზრი რომ უფრო განვავითაროთ, შემდეგს მივიღებთ: იმ ქვეყნებში სადაც ერს თავისი სახელმწიფო ცხოვრება აქვს, საქვეყნო საქმეებს მუდმივად აწარმოებენ სახელმწიფოს მოხელენი. ამ საქმეებს პრაქტიკულს წარმოებაში არ შეიძლება არსებობდეს რაიმე შეხლა-შემოხლა და ბრძოლა. ასეთი ბრძოლა სწარმოებს სახელმწიფოს სათავის გარშემო, სადაც იწერება კანონები და იქნება მმართველობა. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე თავისი და საკუთარი. საქმის სათავე, მისი კანონებითა და მმართველობით, ხომ სავსე-

ბით უსხო ძალის ხელშია. მხოლოდ დაბალს სათეხურებზედ გვაქვს მოპოებული მსირე ასპარეზი და იქ შეგვიძლიან ზოგირამ შევაპაროთ ჩვენი ეროვნული საქმისათვის სასარგებლო და მოსამაგრებელი. ამ პრაქტიკულ საქმეებში, ისევე უნდა ვიმუშაოთ, შეძლებისა და გვარად, როგორც სახემწიფო დაწესებულებები მუშაობენ სხვა ქვეყნებში, გარეშე ბრძოლისა და დასებად დაყოფისა.

მესამოსიანების ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, სწორი იყო. მხოლოდ ასეთი მუშაობით მოხერხდებოდა ეროვნულ ძალთა მაქსიმალურად დარაზმვა და მათი გამოყენება მუდმივს ეროვნულს საქმიანობაში და მათი მუდამ მარაგად ყოფნა, ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის პირობების შესვლის მოღოდინში. ეს იყო ნამდვილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, სივს გონებასა და ანგარიშზე დამყარებული. მან სასწაულებრივი შედეგები გამოიღო 30 წლის განმავლობაში და ასევე გაგრძელდებოდა კვლავ. მაგრამ მას ჰქონდა ე ი თი დიდად სუსტი მხარე. მისი უსვლელად გატარება შეუძლებელი გახდებოდა, უკეთუ ეროვნულ სხოვრებაში მომქმედი წრეები საყოველთაოდ ამ გზას არ მისდევდენ. თუ გამოჩნდებოდა თუნდაც მსირე ძალა, რომელიც განკერძოებული ბრძოლის გეზს აიღებდა ეროვნული სხოვრების ყოველს დარგში, ამ დიდს გეგმასაც დასჭირდებოდა შესვლა და შეკეთება,

სწორედ ასე მოხდა, როდესაც მესამე დასელები გამოვიდენ ასპარეზზე. ეს დასი სასტიკ იდეურ ბრძოლას უსხადებს მესამოსიანთა ეროვნულ პოლიტიკას. ხოლო შემდეგ კი, როდესაც მთელს რუსეთის სივრცეზედ მყარდება რევოლიუსიონური სულისკვეთება, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ის გააფთოებულად ეკვეთება მესამოსიანთა ყველა საქმიანობას, კულტურულსა თუ ეკონომიურს. აქამომდე მესამოსიანეებს გარეშე ძალებთან უხდებოდა ბრძოლა—რუსულ პოლიტიკასთან და

სომხის შოვინისტურ წრეებთან. ეხლა კი მათ ზურგში გაუჩნდათ ახალი მებრძოლი ფრონტი. ეს ახალი მოპირდაპირე რასაკვირველია, სხვა მიზნებით გამოდიოდა ბრძოლის ასპარეზზედ, წინანდელებთან თანხმობა და ერთობა არ ჰქონდა ბევრს რამეშიდ, მაგრამ ეს მესამოციანთა საქმეს არ შეელოდა. შიგნიდან ატეხილი ბრძოლა გარეშეთა წისქვილზედ ასხამდა წყალს, მათს საქმეს აადვილებდა, მათს გამარჯვებას ხელს უწყობდა. კერძოთ, ქართველ-სომეხთა დამოკიდებულობის გამწვავების საქმეში ამ მოვლენამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. სომხის შოვინისტებმა ეროვნულად წაქცეული საქართველო ნახეს და განიზრახეს მისი გადაქცევა სომხურ კერად. მესამოციანთა მოღვაწეობამ მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და ამ გეგმის განხორციელების შეუძლებლობა დაანახვა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო სომხური შოვინისტური პოლიტიკის განელება, უკან დახევა, ზომიერი პოზიციის მიღება და მით აღდგენა იმ მშვიდობიანი განწყობილებისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სუფევდა ამ ორ მეზობელ ერთა შორის. ახალმა ვითარებამ, ქართველ ერში ეროვნული ერთობის დარღვეკამ და შინაგანი ბრძოლის გაჩაღებამ, აღკვეთა ეს პროცესი. სომხის შოვინისტებს ძველი განზრახვები გაუცოცხლდა და ამის შემდეგ ისინი მეტად მოხერხებულად სარგებლობენ დასელების მიერ ატეხილ ბრძოლით. ისინი მუდამ ხელს უწყობენ ამ ბრძოლის გაღვივებას, მოხერხებულად მხარს უჭერენ და მფარველობენ ამ ანტი-ეროვნულს მუშაობას სიტყვით, წერით, პრაქტიკული საქმით, საქალაქო, თუ, შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

რუსეთის რევოლიუციის ხანაში, მესამე დასელთა მცირე ლიტერატურული წრე რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ნაწილი ხდება. ატეხილს რევოლიუციონურს სტიქიონში ის ბუნებრივად იზრდება, ძლიერდება და ორგანიზაციულად დარაზმული ეკვეთება მესა-

მოციანთა ციხე-სიმაგრეს. ყოველივე ხელს უწყობს მას, რომ ფართე მასსები და მოზარდი თაობა აიყოლიოს და მი ,მხროს. ეს წრეები არც იცნობენ და არც ძალა შესწევთ დაფასებისა, თვით იმ დიდი ეროვნული საქმიანობისა, რომელიც წინა თაობამ დააფუძნა ჩუმი და ხანგრძლივი შრომით. სამაგიეროთ ისინი ხედავენ რუსეთის იმპერიის დაუსრულებელ სივრცეზედ აშლილს რევოლიუციური მოძრაობის ტალღებს და მის მსუბუქსა, მაგრამ მიმზიდველ ლოზუნგებს. რევოლიუციური ფსიხოზი ადვილად ათრობს და აბრმავებს პოლიტიკურად მოუმზადებელსა და გაუწვრთნელ წრეებს.

შექმნილს ვითარებას თავისი გამოძახილი აქვს თვით მესამოციანთა მიერ აღზრდილს თაობაში. ერთი ნაწილი, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის მეთაურობით გამოეყოფა ამ ლაშქარს და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას აარსებს. ვინც გაეცნობა საფუძვლიანად ამ პირთა აზროვნებასა და მოღვაწეობას, ის დარწმუნდება, რომ ეს ნაბიჯი არ იყო გამოწვეული მათი გატაცებით სოციალიზმითა და რევოლიუციით. არჩილ ჯორჯაძემ ჯერ კიდევ 1891 წ. დაარსა ვარშავაში, სტუდენტობის დროს, „საქართველოს განთავისუფლების ლიგა". როგორც მაშინ, ისევე შემდეგ, მისი ცხოვრების დასასრულამდე, ის არასოდეს გადასცდენია თავ,ის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში ეროვნული მიზნების უზენაესობისა და უპირატესობის პოზიციას. ამის უდავო საბუთია ამ პირთა მიერ, 1903 წ. ევროპაში დაარსებული ჟურნალი «საქართველო» და ყველა მათი ნაწერი და ნამოქმედარი ამის შემდეგ. მათ განზრახული ჰქონდათ უთუოდ შეეტრა რევოლიუციონურად განწყობილს წრეებში მათთვის უფრო მისაღებ სოციალისტურისა და რევოლიუციონურის დროშით, რომ ამით ჩამოეცილებინათ ეროვნულ ნიღილიზმით მომქმედ ნოე ჟორდანიას ლაშქრისაგან, მახედ აყოლილი წრეები და ისინი ეროვნულ მიზნებისათვის დაემორჩილებინათ. ეს

ერთგვარი სტრატეგიული ზურგიდან შემორება იყო იმ რუსული რევოლიუციონური ტალღისა, რომელიც მეფის რუსეთის ადგილს იპერდა საქართველოს სინამდვილეში. ეს მანიოვრი შესაძლოა გადაეწყვეტ როლსაც ითამაშებდა ამ ბრძოლაში. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ამ ზურგიდან შემოსარებლად წასვლას იმდენად არ დაესუსტებინა მთავარი ძალები, რომ მათთვის შეუძლებელი გამხდარიყო მთავარი პოზიციების დაცვა და შენარჩუნება. და მართლაც ამ მანიოვრმა ჩამოაშორა მთავარს ეროვნულს ძალებს ეროვნულად გაწვრთნილი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. მესამოციანთა ლაშქარი ვერ უძლებს მის წინააღმდეგ დარაზმულ ძალებს, რევოლიუციური მოძრაობით გაზრდილსა და გამაგრებულს. ქუჩა ბატონობს, დემაგოგია ჩრდილავს აზრსა და გონიერებას. მესამოციანთა ძალები პოზიციას პოზიციაზედ ჰკარგავენ და, როდესაც, 1907 წლის აგვისტოში ილია ჭავჭავაძე გამოეცლება მებრძოლთა რიგებს, მეორე დღესვე ნოე ჟორდანია იკავებს ქართულ საზოგადოებაზედ უპირატეს გავლენის ტახტს.

სოციალისტ-ფედერალისტთა მანიფესტი უკვე წაგებულია. მის იერიშებს ადგილად იგერიებს მთავარ ძალებზედ გამაგრებული ჟორდანიას ლაშქარი. მალე ის ჰკარგავს პარტიის დამაარსებელსთ და ფაქტიურ მეთაურებს. ამის შემდეგ მისი ბრძოლის უნარიც ნახევრდება. ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში და ამ უკანასკნელ წელთა ბრძოლებშიეს ძალა მთლად დნება. ერთი ნაწილი თავს აღწევს და უბრუნდება ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს. დანარჩენი კიდევ ბოლშევიკებთან მიდის. ზოგი კიდევ მუშაობს იმისათვის, რომ პარტიის დროშა ჩაბარონ ნ. ჟორდანიას, უთუოდ ჯილდოთ იმ ბედნიერებისა, რომელიც მიანიჭა საქართველოს მისმა მოღვაწეობამ. ამ პარტიის ნაშთები მენშევიკებ ედ მითხოვების მაჭანკლობა საქართველოშივე იყო დაწყებული, და ეხლა აქ სრულდება ემიგრაციაში. დაშარნვა მოხდა წელს

2-რე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესზედ. პარიზის სოციალისტ-ფედერალისტური „რეფული", თუ დღიური დიდს სიხარულს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ მენშევიკები დასთანხმდენ ჰატარძალის თავის მეორე ინტერნაციონალურს წრეში შეყვანას. თავის მხრივ, მენშევიკების „არალეგალურმა ყრილობამ" თანხმობა გამოაცხადა, რომ ფედერალისტური პარტიის ნაშთი მიეღებულ იყოს მენშევიკების ბედნიერს ოჯახში. ამის შემდეგ ჯვრის წერა და სრული შეუღლება მოხდა გასული წლის ბრიუსელის კონგრესზედ. ნოე ორდანიამ შესაფერისი დღეს შეურჩია სოც.-ფედერალისტთა გაბედნიერებას. ის შეიყვანეს თავის ინტერნაციონალურს ოჯახში სწორედ მაშინ, როდესაც იქ ასაფლავებდენ და მიწას აყრიდენ ჩვენს ეროვნულს საკითხს. ამავე დროს შესრულდა 25 წელი მას შემდეგ, რაც არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი დეკანოზიშვილმა ჩაუყარეს საფუძველი ამ პარტიას აქ, ევროპაში, საქართველოს ეროვნული მიზნების დასაცავად. ამ პარტიას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეროვნული კეთილდღეობის მიზნები ამოძრავებდა და აცოცხლებდა. მის მიერ თავიდანვე შემცდარი გეზის აღება იყო მხოლოდ შეცდომა და არა განზრახვა, ნაკარნახევი რაიმე ჯგუფური ინტერესებითა და ანგარიშებით. ამის გამო ყველა შეგნებულს ქართველს დაამწუხრებს ამ პარტიის პატიოსანი დროშის ასეთი ხვედრი.

გაცილებით უფრო მცირეა ჩვენს ცხოვრებაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მნიშვნელობა. ის რუსეთის პარტიის ნაწილი იყო, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ ამ პარტიის მიმდევრები საქართველოში თავიდანვე მხარს უჭერდენ საქართველოს ეროვნულ მიზნებს და ამ მხრივ უფრო უახლოვდებოდენ ეროვნულ ს მიმდინარეობებს.

მესამოციანთა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების ცდას უკვე 1905 წელს ჰქონდა ადგილი. მესამოციანებმა

დაინახეს, რომ ეს აუცილებელი იყო მათი ძველი ნამოღვაწარის დასაცავად და ახალის განსაგრძობათ. ძველი მდგომარეობა დარღვეული იყო. ეხლა მათ წინააღმდეგ ორგანიზაციულად დარაზმული ძალები იბრძოდენ. და მათგან ეროვნული საქმის დასაცავად ასევე ორგანიზაციულად დაწყობილ ძალების დაპირდაპირება იყო საჭირო. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ეწყობა თათბირები, სადაც გადაწყდა პოლიტიკური პარტიის დაარსება ეროვნულ-დემოკრატიული სახელწოდებით. შემუშავებულ იქმნა და დაბეჭდილი პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცილდა. ბრძოლა ქუჩაში იყო გადასული და ის სულ სხვა ხასიათისა და ბუნების იყო, ვიდრე მესამოციანთა წინანდელი სახელმწიფოებრივი მუშაობა. ასეთს მოღვაწეობაში გაჭაღარავებული წრე არ გამოდგებოდა ქუჩაში ხელჩართული ბრძოლისათვის. მათ შემდეგი თაობა ჰყავდათ აღზრდილი. მაგრამ ამის ნაწილი უკვე დაშორებული იყო მათ რიგებს და სოციალისტ-ფედერალისტთა დროშის ქვეშ მუშაობდა. რაც დარჩა, ისინიც სხვაგვარ მუშაობაში იყვნენ აღზრდილი და მასთან ერთად ისინი ვერ მიატოვებდენ იმ ეროვნულ დაწესებულებებს, რომელიც რევოლიუციონურ ტალღების მუდმივ იერიშებს განიცდიდენ. ახალგაზდობა კიდევ უკვე ჩათრეული იყო რევოლიუციურ წრეების მიერ. ახდილ ბრძოლაში ჩაბმა ასეთს პირობებში ვერ გამოიღებდა სასურველს ნაყოფს. ის მხოლოდ გააღიზიანებდა რევოლიუციურ ფსიხოზით შეპყრობილს წრეებს. ამის გამო მესამოციანთა წრე თავის დაწესებულებებს უბრუნდება და იქ განაგრძობს ეროვნულ საქმის დაცვას და პატრონობას.

ასე დასრულდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსების ეს პირველი ცდა. მიუხედავად ამისა, ამ პირველს ცდას მცირე მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი ეროვნული პოლიტიკის განვითარებაში. ის იყო პოლიტიკური ანდერძი იმ თაობისა, რომელმაც მკვდრეთით

აღადგინა ქართველი ერი. ის იყო შემოხაზვა და შემოფარგლვა ისეთი პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც, მესამოციანთა დაფასებით, ყველაზედ უფრო შეეფერებოდა ქართველი ერის ინტერესებს, მის წარსულსა და აწმყოს, მის ხასიათსა და ეროვნულს თვისებებს, ეროვნულ-დამოკრატიულმა მიმართულებამ ვერ შესძლო იმ ჟამად პოლიტიკურ ორგანიზაციის იარაღით შეიარაღება. ცხოვრების ყველა პირობები—საშინაო თუ საგარეო, მას წინააღმდეგ იყო მიმართული. საჭირო იყო დაცდა და მანამდე ,ი ძველი მეთოდებით მუშაობა. მაგრამ აქაც ემჩნევა ამ მიმართულებას ახალ ი პირობების მძიმე შედეგები: მისი გავლენა შემცირებულია, მისი ასპარეზი შეკუმშულია. დიდტანიანი ჟურნალისა და ყოველდღიური გაზეთების ნაცვლად ყოველკვირეულ გაზეთს ძლივს ახერხებენ. თან მთავრობის რეპრესიების გამო ხშირად ეკეტებათ და ხშირ-ხშირად სახელს უცვლიან. უფრო ხანგრძლივი იყო ამ გამოცემათაგან—«ივერია», «საქართველო», «ნიშადური», «ხალხი», «ბურჯი» და სხ. ხან ორი გამოცემა ჰქონდათ და ხან ერთი. მაგრამ მათი მნიშვნელობა და წონა, რასაკვირველია ისეთი აღარ არის, როგორც «ივერიისა» თუ «დროების». სოციალ-დემოკრატებს უკეთესი პრესა აქვთ—თითქმის განუწყვეტლივ სპემენ ყოველ-დღიურ გაზეთს. ეს რევოლიუციური პრესსა, რასაკვირველია, მს უფლიო საკითხებით არის გართული. ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს ძნელად უახლოვდებიან. და თუ მას მიუახლოვდებიან აქაც კაპიტალზედ არის სჯა-ბაასი, კონცეტრაცია, პროლეტარიზაციაზედ, ქარხნებზედ და ლოკაუტებზედ და, რასაკვირველია, განყენებულად, რადგან ჩვენი ცხოვრება მათ ვერ აძლევდა საჭირო საღებავებს ამ სურათების დასაწერად. მორიგ საკითხებსაც ეხებიან რასაკვირველია ეს ახალი მიმართულების ორგანოები, მაგრამ აქაც განყენებულად, ცხოვრების სინამდვილის დაშორებით. ცხოვრების ყველა მოვლენები უსათუოთ

რომელიმე თავის პარტიულ პრინციპს უნდა დაუკავშირონ, დაუმორჩილონ და ყველა მისი ცვალებადობაც სასურველი, თუ არა სასუფველი ასევე, თავის თუ სხვისი პრინციპებს უნდა მოარგონ. ნ. ნიკოლეძე ასე ასაბუთებდა იმ ხანებში მათს ასეთს პოლიტიკას: „აიხირებენ რაღაც სურვილს, საკუთარ გემოვნებაზედ არჩეულს, და რომელსაც მოიწონიბენ—„პრინციპს“ არქმევენ, ხატად იქცევენ, თაყვანს სცემენ. დარწმუნებული არიან, ეს თილისმა ყოველთვის, ყველგან, ყოველ შემთხვევაში ერთნაირად სასწაულს მოახდენსო. რეალურ პოლიტიკას კი არც ერთი ამგვარი ავგოროზი არ სწამს და ეს ძველთა ძველი რწმენა დიდი ხანია არხივებში დაუმარხავს, როგორც გამოუცდელი გონების ბავშური შეცდომა. ავტონომიას, რესპუბლიკას უარყოფ ო. ამის თქმა ამტკიცებს მის ერთიან ჩამორჩენას თანამედროვე მეცნიერებისაგან; განა პოლიტიკაში შესაძლოა რისიმე ან უარყოფა, ან ახირება? სწორედ ცოდნას აღარც ერთი საშუალება არ მიაჩნია ისეთი „ცხოვრების ელექსირად“, „ფილოსოფიურ ქვად“, რომლის მიკარება ყველაფერს კურნავს ან ოქროდ აქცევს. გონიერ ექიმს ჰკითხეთ, აბა: ქინაქინას უარჰყოფთ, თუ თაყვანსცემთ-თქო? შებრალებით შემოგხედავსთ, და იმ კილოთი, რომლითაც თოთო ბავშვს რასმეს უხსნიან, გიპასუხებთ: ზოგიერთ ავადმყოფობას უხდება ხოლმე, ზოგს სხვას სწყენს, ზოგისთვის საწამლავიც არისო! მოდით ინჟინერს ჰკითხეთ ურიზედ რა შეხედულობის ბრძანდებით-თქო? მოგიგებთ: ძარჯვე ოსტატის ხელში კაი მოგცესთ, კარგი იარაღია, მაგრამ ბალღს თუ საცელქოდ გაუხდა, თავსაც გაურეჯგვსო. ომის კაცს, დიპლომატს მიმართეთ: ბრძოლას რა თვალით უყურებთ?—ღონიერისთვის, დაიარაღებულისთვის ჩინებული საშუალებაა ხანდახან. სუსტისთვის კი—მტრისას იყოს, ავია. ვინც ძალის უქონლად ძალას ხმარობს, ძალითვე წაწყდებაო“. (ნ. ნიკოლაძე—«ჩემ პოლიტიკაზე»).

ასეთი მიდგომით სჯიან და სჯრიან ეს ახალი პარტიები ჩვენი ცხოვრების ყველა კითხვებს. მსუბუქი სიტყვიერების კორიანტელს დაჩრდილული აქვს ცხოვრების სინამდვილის ხაზები. დავიწყებულია ჩვენი ცხოვრების წარსულისა თუ აწმყოს რეალი მაგალითები. ნამდვილი ცხოვრება განდევნილია, გარისხული და მის ადგილს ტეტერს გონებრივად დაავადმყოფებული ხალხის ოცნებები, გეგმები, რომლის მიხედვით სწყდება ყველა საკითხები, სადაც კი მათ ხელი მიუწვდება. აქ უკვე განდევნილია პოლიტიკურ მოღვაწეობიდან, მეცნიერება, სწავლა, დაკვირვება, ანგარიში; მარქსის თუ მიხაილოვსკის მიერ შემუშავებული ფორმულები სწევენ ყოველივე ამის მაგიერობას. ასეთი ხანა იწყება რუსეთის პირველი რევოლიუციით და თავდება საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვით. მისი უდავო სულიერი მამა ,,ა მეთაური არის ნოე ჟორდანია, ანუ როგორც მისიანები უწოდებენ , დიდი ნოე'' და ,,ჩვენი პატარა მარქსი''!

ეროვ'ულ-დემოკრატიული მიმდინარეობის პრესსა უპირდაპირდება ასეთს გეზს ყოველს საქმესა და ყოველს საკითხში. ეს პრესა მესამოციანთა კვალს მისდევს და რეალური პოლიტიკის თვალთახედვით აშუქებს ცხოვრებაში წამოჭრილ კითხვებს. რაც შეეხება ეროვნულს საკითხს, აქ სრული თანხმობა არ სუფევს ამ წრეში. მაგრამ ეს უთანხმოება უფრო ტაქტიკურია, ვიდრე პრინციპიალური. «საქართველოს» ხაზი უფრო აქტიურია და რადიკალური. ის ეზოპის ენით, მაგრამ საკმაოდ გარკვეულად აყენებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის პლატფორმას. ყოველ-კვირეული «ივერია» კი უფრო მიჩან-შეწონილად სცნობს ფართე პოლ ტიკური ავტონომიის მოთხოვნას და დაცვას. საქართველოს ჯგუფის გამოცემა ასე გვიხასიათებს ამ უთანხმოებას: ,,სამწუხაროდ ამ უთანხმოების შესახებ პირდაპირ პირახდილად სჯა შეუძლებელია ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო; მაგრამ ვისაც სურს

ჩვენს აზრს ადვილად გაიგებს. ფედერალიზმზე, ავტონომიაზე, სოციალიზმზედაც კი შეიძლება ბაასი. მხოლოდ მიბრძანეთ შეიძლება გავარჩიოთ ბ. გვაზავას დებულებანი?—1) სრულებით დამოუკიდებლობა ჩვენთვის არ არის საჭირო და არც იქნება სასარგებლო; 2) ტაქტიკა უნდა იყოს კანონიერი, ლეგალური, საერთო აჯანყებაზერ მოგვიტანს სარგებლობას, მაშასადამე დაგვრჩენია სახელმწიფო სათათბიროდა საერთაშორისო პოლიტიკა". ავტორი შემდეგ ფედერალისტებს ეკამათება და ამბობს: „თქვენ, „დროების" სულის ჩამდგმელნო, ორქმრობის მიმდევარი ბრძანდებით, თქვენ წინააღმდეგი არა ხართ, რომ „ნესტანს" ტარიელი ეხვეოდეს და ქაჯეთი კი ჰკოცნიდის; ჩვენ კი „ნესტანი" ტარიელის საცოლედ გვინდა... ეს „ქორწილი" შორეული საქმეა, მანამდის კი ტარიელის სახლს მილაგ-მოლაგება სჭირია, მოვლა და დამშვიდება, „ნესტანს"—თაყვანის ცემა, სიყვარული". («ბურჯი», 1909 წ. № 3).

მხოლოდ ასეთი ენით შეიძლებოდა თავისი აზრის გამოთქმა რუსეთის პირველი რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ქართულს ეროვნულს მიზნებს სამივე მხრიდან უტევენ—რუსეთის მთავრობა, რუსეთის რევოლიუციონერების წრეები და მათი ელჩები საქართველოში—ქართველი მენშევიკები და სომხის შოვინისტები.

ხალხთა ცხოვრებაში მრავალია მაგალითი, როდესაც ქუჩა ეპატრონება და ბრძანებლობს ცხოვრებას. მაგრამ ეს სამუდამოდ არსად ყოფილა. ცხოვრება მალე აღწევს თავს ქუჩის ბატონობას და კვლავ ოჯახს, სკოლას, ყანას და ქარხანას უბრუნდება. ჩვენშიც ასეა. რევოლიუციონური გატაცება, ფსიხოზი ცხრება ხალხში და მით შორდება რევოლიუციონურ პარტიებს ის ძალები, რომელნიც რევოლიუციის ხანაში მიეწებენ. ნაწილი მაინც შერჩებათ და ეს აძლევთ მათ საშუალებას, რომ ჩონჩხი გადაარჩინონ უკეთესი მომავალის მოლოდინში, ეროვნულ-დემოკრატიული წრეები თანდათან

იბრუნებენ პოზიციებს რეალურ ეროვნულს საქმიანობაში, სადაც ერთგვარი დამბ ღა-დაცემულობა დამყარდ დემაგოგიის ბატონობის ხანაში. 912-15 წლებში ამას თავისი პოლიტიკური გამოსახულებაც ეძლევა. ეწყობა მუდმივი გამომცემლობა-ჟურნალი „კლდე", ყოველდღიური „იმერეთი" და შემდეგ „საქართველო", რომელიც ძველს „ივერიას" უახლოვდება თავის სიდინჯით, ცხოვრებასთან დაახლოვებით, ხოლო პოლიტიკურ გეზის მიხედვით, რასაკვირველია, ახალი პირობების მიხედვით უფრო გარკვეულია და რადიკალურიც. ყველა ეს გამოცემები მათ წინამორბედ კვირულ „საქართველოს" ხაზს მისდევენ და დამოუკიდებლობის პლატფორმაზედ დგანან, თუმცა ამას კვალინდებურად ბუნდოვანად გამოსთქვამენ,

ამავე წლებში ამავე მიმდინარეობის წარმომადგენელნი—მიხაკო წერეთელი და პეტრე სურგულაძე აარსებენ ქენევაში წრეს და სცემენ ჟურნალს—„თავისუფალს საქართველოს". თავისუფალი ქვეყნის პირობებში მათ არ სჭირიათ ეზოპის ენა და გამოდიან საქართველოს დამოუკიდებლობ ს დამცველად, სავსებით ახდილათ და მტკიცედ. ჟურნალი ამბობს: „ერი და დემოკრატია—აი ორი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელიც საოცარის სისწრაფით იზრდება და განსაზღვრულ სახეს იღებს. დემოკრატიის გამოღვიძება, დემოკრატიის საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსვლა ⅔ ახალი და ძლევა ზოსილი მოვლეხაა თახამედროვე ცხოვრებისა. ხოლო ყოველგან, სადაც კი ეს დემოკრატია ამოძრავდა, მისმა მოძრაობამ მიიღო ეროვნული სახე. დემოკრატია გადის საქვეყნო სარბიელზედ ეროვნულ შემოქმედების ფორმით. ერნი თანდათან ყალიბდებიან და თავის ინდივიდუალურ სახეს იღებენ. ეს სახე ცხოვრებისა არის სახელმწიფო. რამდენად ერი იზრდება, იმდენად ის სახელმწიფოდ გარდიქმნება. ერის ზრდა, ერის განვითარება არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარ-

დაქცევა". ვრცელი დეკლარაცია ასეთავე ეება: „შემომ-ქმედი საქართველო, ქართველი დემ ოკრატია ეროვნულ განთავისუ ფლების გ ზაზე მომუშავე, ეროვნულ დამო-უკიდებლობისათვის მებრძოლი—აი ვის მივმართავთ ჩვენ. დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა—აი ჩვენი მიზანი". («თავ. საქ.», N° 1, 1908 წ.).

რუსეთის პირველი რევოლიუციის ხანა დასრულ-და და მისი შედეგების შეფასების დროც დადგა. ნ. ყორ-დანიას გაღატაკებულ აზნაურობის ამალას არ აწუხებს ეს საკითხები. დასაკარგავი მათ არა ჰქონდათ (ა, და ყო ელივე მათ მიერ ატეხილი აურ-ზაური და შეხლა-შემოხლა ძვირფასი რევოლიუციონური მონაპოვარი იყო მათთვის, რადგან ეს ამკვიდრებდა მათ გავლენას ცხოვრების ზედა პირზედ. ხოლო ვინც ამ ხანას აფასებ-და საე ·თო, ეროვნული ინტერესების მიხედვით, სანუ-გეშოს ვერას ხედავდა. ნიკო ნიკოლაძე ერში ატეხილ ბრძოლითა და გაწხეთქილებით ხსნის ამ მოძრაობის უნაყოფობას ეროვნული მიზნებისათვის. „ერთაზრო-ვანს, ერთბანაკად მდგომს ერს რა არ გაუვიდოდა? ჩვენ კი ამ ფსიხოლოგიურ ხანაში შეეესიეთ და შეეაკვდით, ერთმანეთი გავაბათილეთ. ყურადღებას ვინღა მოგვაქ-ცევდა? მტერ-მეზობელნი ყველა იმას ლოცულობდა— „წამკიდებელო წაჰკიდე, ორივეს თავი წასწყიტეო!". (იხ. ნ. ნ·ძე «ჩემ პოლიტიკაზე»). არჩ. ჯორჯაძეც ასეთს ნაღვლიან დასკვნას აკეთებს: „რასაც ვაკეთებთ, ნამდვი-ლი საქმე არ არის და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს არის მოკლებულიო"! ის ჰკითხულობს—„როგორ მოხდა ყოველივე ეს, რატომ არის უძლური და უნაყო-ფო ჩვენი ინტელიგენციაო", და ასეთს პასუხს იძლევა: „მიუხედავად ჩვენის კულტურულ დაწინაურებისა, მიუ-ხედავად იმისა, რომ ბრძოლაში აუარებელი ძალა დავ-ქსაქსეთ და მსხვერპლი შევწირეთ წმინდა პრინციპებს, ბოლოს და ბოლოს ცხოვრების სასტიკ პირობების წი-

ნაშე სრულიად უიარაღონი და უძლურნი გამოვდექით. თუ ძველ დროში ჩვენი საზოგადოების სტრუქტურა შესდგებოდა თავ.-აზნაურობისაგან და ყმებისაგან, ეხლა ჩვენს წინ ორი თვალსაჩინო ელემენტია, რომლითაც დახასიათდება ჩვენი საზოგადოების ფიზიონომია—ეს არის ინტელიგენცია და გლეხობა, ხალხი. ქალაქის მუშებიც არიან, ვაჭრებ ც, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები, მაგრამ არც მუშებს, არც ვაჭრებს სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვთ. მუშებს იმიტომ, რომ საქართველო იყო და ეხლაც არის მეურნეობის ქვეყანა. ვაჭრებს იმიტომ, რომ სარდაფ-სამიკიტნოს იქით ქართველთა ვაჭრობა არ მიდის. დაგვრჩება ორი კატეგორია —გლეხობა, ერის დიდი უმრავლესობა, ელემენტი, რომლის კეთილ დღეობაზეა აგებული ერის კულტურული წინსვლა—გლეხობა, ჩამორჩენილი შეგნებით და ცოდნით, ეკონომიურად სუსტი და უიარაღო თანამედროვე პირობებთან ბრძოლაში. ინტელიგენცია—ეროვნულ კულტურის გამომხატველი, ხოლო უძლური, ერთის მხრივ, თავის დოქტრინაობით, და მეორეს მხრივ კი, უნაყოფო თავის ულონობით—ინტელიგენცია უილაჯო მოწამე და მაყურებელი ხალხის გაჭირვების და ერის განსაცდელისა". გამოსავალი? გვეკითხება ავტორი და გვაძლევს ამ კითხვაზედ ისეთსავე პასუხს, რომელიც წინეთ მრავალჯერ იყო გამოთქმული ი. ჭავჭავაძისა და ნ ნიკოლაძის მიერ: „გამოსავალი და ხსნა ერთად ერთია. დღეს ხმლის ტრიალი არ არის. დღეს ბაზრობაა. ბაზარში საროელი ჯიბით გამოსვლა არ შეიძლება. თუ სხვებთან ერთად ბაზარში ვერ გამოვდივართ, სხვები ჩაიგდებენ ხელში არა მარტო იმას, რაც გატანილია გასაყიდათ, არამედ იმასაც, რაც არ იყიდება, ხოლო, რაც გაიყიდება ცხოვრების ულმობელ კანონის ძალით. ეს ასეა, მაგრამ აბა გაჰბედეთ და სთქვით საჯაროდ, რომ ჩვენი უბედურობა ის არის, რომ ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია არა გვყავსთქო. ნახავთ რა განგაშს ასტეხენ. ბურჟუაზია,?! ა�ა? ბურჟუაზია?! პროლეტარებო, ხომ

გესმით! არ გყოფნით სხვა ტომის სისხლის მწოველნი, ქართველი წურბლებიც უნდა შეისხათ კისერზედაო! ...მართალია, ტერიტორია გვეყიდება, მაგრამ ამის გულისათვის ხომ ვერ ვიზრუნებთ იმისთანა უწმინდურ დაწესებულების დაარსებაზე, როგორიცაა ბანკი. პროლეტარებო! ბანკი, საკუთარი ბურჟუაზია! ამაზე მეტი დაცემა შეიძლება?... ამასობაში კი დრო მიდის. ცხოვრება ანგარიშებს ასწორებს, სიმდიდრეს აბარებს იმას, ვინც ცხოვრებაში მომზადებულია. ჩვენ კი თეორიებში დახელოვნებულნი და სამართლიანობის პრინციპებში აზრდილნი, ხოლო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი „დახლიდარების" გასახარებლად და ჩვენი გულის გასამხნევებლად აბსოლიუტებზე და მარადიულის უკვდავებაზე ვმუსაიფობთ"! ასე სწერს არჩილ ჯორჯაძე 1910 წ. აქ სავსებით მესამოციანთა აზრებია გამოთქმული და მათი რიალისტური მიდგომაა საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებთან. მშრალი პრინციპებითა და თეორიებით ცხოვრების გარდაქმნა უარყოფილია. არსებითად ეს აღიარებაა იმ შეცდომისა, რომელიც დაუშვა მისმა ჯგუფმა, როდესაც მესამოციანთა რეალისტურ ეროვნულ პოლიტიკას დასცილდა და განიზრახა ნ. ჟორდანიას მოღვაწეობის დამარცხება იმავე სოციალისტური პრინციპებითა და თეორიებით. რაზედაც არჩ. ჯორჯაძე გოდებს, კერძოდ ტერიტორიის დაცვის შესახებ, ამას უკვე აგვარებს შეძლების და გვარად ის წრე, რომელიც მესამოციანთა ეროვნულ პოლიტიკას განაგრძობს. თბილისის საადგილ-მამულო ბანკთან მუშაობს „საადგილ-მამულო კომისია" რომელიც მამულეთაგან მამულებს იძენს და მას, ქართველ გლეხებზედ ჰყიდის გრძელ ვადიან, შეღავათიან სესხის შემწეობით. იგივე წრე ეანაგრძობს მესამოციანთა მუშაობას ეკონომიური ცხოვრების ყოველს დარგში. რამდენადაც ძალა შესწვეს, ის ხელს უწყობს ქართველების ქონებრივად გაღონიერების საქმეს. სასოფლო-მეურნეობაში ცოდნა და მაგალითი შეაქვს, მწარმოებელთა ამხანაგობებს აარსებს, არსე-

ბულს ბანკებს უელის და ეროვნული საქმისათვის იყენებს და შემდეგ ახალი ბანკების დაარსებასაც განიზრახავს. მაგრამ ყოველივე ეს მსირეა და უმხიშვნელო შედარებით იმ დიდი მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, რომელიც არსებობს ერში. ამით აიხსნება, რომ არჩილ ჯორჯაძე ნაღლიანად სწერს 191 წ.: „რაც შეეხება ნაციონალ-ლიბერალებს (მესამოციანთა დასი), მათ ჯერ ხნ. ბით ნამდვილი ღირსეული მემკვ. დრენი არ გაუჩნდათ. და ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში ეს არის დიდი უკეღმართობა და ღრმა ანომალია" (წ. 2, გვ. 78).

ასეთი მოსაზრება სავსებით სამართლიანია, უკეთუ მესამოციანთა „ღირსულ მემკვიდრეთ" მივიჩნევთ, მხოლოდ მესამოციანთა წონის პიროვნებებს. მაგრამ მსირერიცხოვანი ერის ყოველს თაობას არ შეუძლიან გამოიჩინოს ეგზომი ნაყოფიერება. ასეთი მაგალითები საუკუნეთა მანძილზედ მეორდება. ხოლო თუ მესამოციანთა ღირსეულ მემკვიდრეთ ვსნობთ ისეთს წრეს, რომელსაც შეეძლო მესამოციანთა მოღვაწეობის გაგრძელება, ასეთი წრე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მომზადებული ეროვნული ცხოვრების სხვა და სხვა ასპარეზისათვის, მათ უთუოდ დასტოვეს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თუ როგორ დაასუსტა ამ წრეების შესაძლებლობა ანტიეროვნულ ფრონტის გაჩენამ, ეროვნული წრეების გაყოფამ თვით არჩილ ჯორჯაძის ჯგუფის, გაჩენით და, შემდეგ, საერთო რევოლიუციური პირობებით. მაგრამ ეროვნული ცხოვრების ყველა პოზიციები, კულტურული თუ ეკონომიური მაინც ამ წრეების ხელშია. ბართალია, მათ ძალები არ ყოფნით, რომ დადებითი, შემოქმედებითი ეროვნული მოღვაწეობა განაგრძონ ეკონომიურ-კულტურულს დარგში და იმავე დროს ქუჩაში ხელჩართული ბრძოლაც აწარმოონ ანტიეროვნულ მიმართულებებთან. ამის გამო ეს წრეები სახელმწიფო სათათბიროების საარჩევნო კომპანიებშიდაც ვერ ღებულობენ საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას

თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო, მენშევიკურ პარტიაე მაინც მრავალი უპირატესობები ექმნებოდა ამ საარ ჩევნო ბრძოლაში. მას, როგორც რუსეთის პარტიას, ცენტრალისტური მიზნებით გამსჭვალულს და ყოველ-ვე ქართული ეროვნული იდეალების მოწინააღმდეგეს, რუსეთის მმართველი წრეების ფარული თანაგრძნობაც ჰქონდა, რუსული რევოლიუციური ძალების ახდილი და თავგამოდებული დახმარებაც და სომხურ შოვინი-სტურ და სხვა ყველა ქართულ ეროვნულ მიზნებისადმი მტრულად განწყობილ წრეების თანაგრძნობა და მხრის მიცემა.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გა-მოცემებს თბილისისა და ქუთაისისა, პირველში «კლდესა» და «იმერეთს» და შემდეგ «საქართველოს» და იმავე «იმერეთს», მნიშვნელოვანი შესწორება ეეაქვს ამ მიმართულების ფრიად მიყუჩებულსა და საზოგადოები-სათვის სანახევროდ დაფარულს საქმიანობაში. ეს გამო-ცემები გარეგნულ გამოსახულებას ანიჭებს იმ დიდს ეროვნულს მუშაობას, რომელიც ერის დიდი ნაწილი-სათვის დაფარული იყო. ეროვნულ-დემოკრატიული პრესსა მეტად ფრთხილი და მომთმენი იყო აქომამდე, ის უფრო თავდაცვას აწარმოებდა რევოლიუციის შემ-დეგ შექმნილს მდგომარეობაში. ეხლა ის უკვე იერიშებ-ზედ გადადის, როგორც ეროვნულ პოლიტიკურ კითხვე-ბის შესახებ, ისე ცხოვრების ყველა საკითხების გარშე-მო. მართალია, მისი მიმდევარი ძალები საკმაოდ შე-ფერხილია. რევოლიუციურ პარტიებმა მათ ახალი თა-ობის დიდი ნაწილი წაართვა და ძველ თაობას კიდევ მუდმივი ბრძოლა გაუჩინა თვით სასკოლო, სახელოვნო და სხვა კულტურულ დაწესებულებებშიაც კი. მესამო-ციანები რომ თავად-აზნაურობის ორგანიზაციას იყენებ-დენ სხვა და სხვა შუამდგომლობისათვის და ორი მათი ბანკი თავის მოღვაწეობის სალაროდ ჰქონდათ მიჩენი ლი, ესეც იცვლება. მთავრობის კონტროლს მრავალი

ახალი კონტროლები ემატება და მათი გამოყენება ეროვნული მიზნებისათვის ძნელდება. ეს წრეებიც განიცდიან ახალი ვითარების გავლენას, ეს ის დროა, როდესაც ზოგი ერთი თავად-აზნაურობის მარშალიც კი რევოლიუციურ პარტიებს ემსახურება და ფეხქვეშ ეგება. მიუხედავად ყოველივე ამისა, შეფერხებული და შევიწროებული ეკონომიური და კულტურული საქმეების ძაფები მაინც ეროვნულ მიმდინარეობის ხელშია, და როდესაც მას შესაფერი პრესსა უჩნდება, მეღავნდება და აშკარავდება, რომ ქართველი ერის ცხოვრება კვლავ მიდის იმ მიმართულებით, რომელზედაც შესდგა მან ფეხი ნახევარი საუკუნის წინ, და რომ იგივე ეროვნულ-დემოკრატიული წრეები ხელმძღვანელობენ მისი ამ გზით მსვლელობას.

ეროვნულ-დემოკრატიული წრეების ასეთი მოღვაწეობა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ მეტად აუდს პირობებში სწარმოებს. არჩილ ჯორჯაძე რომ გოდებდა ჩვენი უბედურობა ის არის, რომ ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია აო გვყავსო, ეს, რასაკვირველია, ფრიად საყურადღებო განცხადება იყო სოციალისტური პარტიის მეთაურის მხრივ. მაგრამ მისი და სხვა სოციალისტური წრეების პრაქტიკული საქმიანობა სრულებით არ ეთანხმებოდა ასეთს განცხადებას. ვაჭრობა და მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა თუ სხვა საქმე, სადაც კი შესაძლო იყო დოვლათის წარმოშობა, ჭარმაგი და ქონების დაგროვება, უსაშინელეს ბოროტ-მოქმედებად და ქვეყნის ღალატად იყო გამოცხადებული. სიმდიდრის წარმოშობა ბოროტებად იყო მიჩნეული, ხოლო სიღატაკე, არაფრის ქონება და არაფრის დატოვება—უდიდეს სათნოებათ. მართალია, ბევრ გვყავდა ფრიად ჯანსაღი და მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზია—გლეხობა და ქალაქის ხელოსნობა. ხოლო გლეხობას რომ კაპიტალისტური წრე უნდა წარმოეშვა, ეს თვით ნ. ჟორდანიამაც გვამცნო ახალგაზრდობის ხანაში. მაგრამ წვრილი

ბურჟუაზიულ წრეებიდან მსხვილი ბურჟუაზიული წრეების გაჩენისათვის საჭირო იყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაცოცხლება, განვითარება, თვით გლეხობის კულტურულად ამაღლება, და მით მისი გარკვევა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების პირობებსა და წესებში. ერთი სიტყვით, საჭირო იყო დადებითი, საქმიანი შრომა და მოღვაწეობა ეკონომიურისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგებში. ასეთი პოლიტიკა ვერ შეუთავსდებოდა გაღატაკებულ აზნაურობის პოლიტიკას, რომელიც ამ ხანაში მოღვაწეობდა.

ეს ჩვენებური უცნაურზედ უცნაური სოციალისტური მოძრაობის გაძლიერება არამცთუ არ უწყობს ხელს კაპიტალისტურ და პროლეტარულ კლასების ჩამოყალიბებას, დარაზმვას, არამედ სრულიად აბათილებს და სახეს უკარგავს პირველსაც და მეორესაც. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამ მოძრაობის დაწყებისთანავე ისპობა მშრომელ პროლეტარიატის დაწყებული ჩასახვა და „მუშათა კლასის" წოდების მატარებლად რჩებიან რესტორანების მოსამსახურენი, ნოქრები და რკინის გზის კონდუქტორები, რომელთა უმრავლესობა გაღატაკებულ აზნაურობიდან იყო გამოსული და არა მშრომელი სულისკვეთებითა და ხასიათით გაჟღენთილნი. თამბაქოს ქარხნებში და დეპოებში უმრავლესობა რუსობა და სომხობაა. ქართველი მშრომელი ქარხნის მუშა კიდევ უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე იყო წინეთ. ჭიათურაში ჯერ კიდევ არ სჩანს მუდმივ მუშათა კადრი. მუშები იქ ერთსა და ორს სეზონს თუ რჩებიან. მართალია ამათ გარდა მრავალია „მოწინავე მუშები", მაგრამ მათ ეს წოდება ქარხნებში მუშაობით კი არ აქვთ მიღებული, არამედ მენშევიკურ პარტიულ იაჩეიკებში. ყველანი ესენი, რასაკვირველია გაღატაკებულ აზნაურთა წრიდან არ არიან გამოსულნი. ზოგნი სხვა წოდებებიდანაც არის მოვლინებული—გლეხობიდან, თუ მოქალაქეთაგან. სადაც ეკონომიური ცხოვრება არ არის

განვითარებული და დალაგებული, იქ ყველა წრეში მოიპოვებიან ყოვლად უსაქმური და მასთან დიდი მადის მექონე ელემენტები. წერა-კითხვა უსწავლიათ და ინტელიგენტობენ, შავი მუშაობა სძაგთ, ბრძანებლობა და ბატონობა აქვთ შეყვარებული. დიდი უმრავლესობა ამათში, რასაკვირველია, გაღატაკებული აზნაურობა იყო. ეს ახალი თავად-აზნაურობა, სოციალისტური თავად-აზნაურობაა. თამარ მეფის გრამოტების ნაცვლად მათ ნ. ჟორდანიას „მოწინავე მუშის" მოწმობა და პარტ ბილეთები აქვთ. ეს წრე მენშევიკების მიერ საქართველოს პროლეტარიატად საღდება შინ და გარედ. ყველას ჰგონია, რომ ეს მშრომელი პროლეტარიატის კლასია, როგორც ეს დაწინაურებულს ქვეყნებში არსებობს.

რაც შეეხება კაპიტალისტთა წრეს, მისი განვითარების პირობებიც, რასაკვირველია, მეტად მძიმე იყო-საშუალო საუკუნეების გასწვრივ საბოლოოდ დაეცა ჩვენში ეროვნული აღებ-მიცემობა და უცხო ბაზრისა. თვის სხვა და სხვა საქონლის დამუშავება. სულ რამოდენიმე მსხვილ ქართველ სოვდაგართა ოჯახი ღა აღწევს მეცხრამეტე საუკუნეს. ქართველობა სავსებით საომარ საქმეს უნდება და აღებ-მიცემობა უცხოელების ხელში გადადის. მესამოციანთა მოღვაწეობის ხანაში ჩნდება და ნელ ნელა ფეხს იდგამს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასი. ზუბალაშვილები და სარაჯიშვილები დიდი მრეწველ ებია ევროპიულ საზომით. ჩნდებიან სხვებიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ზუბალაშვილნი და სარაჯიშვილები ამასთანავე პირველს რიგებში დგანან თბილისის საქალაქო მმართველობის გარშემო ატეხილს ბრძოლებში და, საზოგადოთ, დიდს დახმარებას უწევენ ყოველგვარს ჩვენს ეროვნულს საქმიანობას. მაგრამ, როგორც კი გაშალა ფრთები ჩვენმა სახელოვანმა აზნაურულმა სოციალიზმმა, ზუბალაშვილები იძულებული ხდებიან სავსებით გადიკარგონ საქართველოდან. სარაჯიშვილი კი სძლებს კიდევ, რადგან მან

თავიდანვე აუღო ალღო ამ მოძრაობის ბუნებას და ზოგიერთი მისი მეთაურები ფაქტიურად გაიამხანაგა თავის წარმოებაში, ხოლო ისეთი წესით, რომ მათ უნაწილებდა მოგებას, ხოლო რისკი და ზარალი საკუთრივ თავისთვის ჰქონდა დატოვებული. დ. სარაჯიშვილის მიწერ-მოწერის შესწავლა ისევე საჭიროა გაღატაკებული აზნაურობის სოციალიზმის ნამდვილი ბუნების გამოსაცხობად, როგორც ნოე ჟორდანიას ნაწერებისა და დავით კლდიაშვილის მოთხრობების.

ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს და ჩვენშიდაც ჩნდება ვაჭარ-მრეწველთა წრე, ხოლო ის ჯერ კიდევ სუსტია ქონებრივად და რიცხვით. პირველი თაობის ბურჟუაზია ვერსად ვერ იჩენს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას და სიმტკიცეს. ჩვენშიც ასეა. პროფესიონალური შეკავშირების მოწყობისათვისაც გარედან სპირიათ წაქეზება და ხელის შეწყობა. რუსეთი არ თანაუგრძნობს განაპირა ქვეყნებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და ის ხელს უშლის ამ წრეს, თორემ არ ეხმარება. აზნაურული სოციალიზმი ხომ ცალად ღვთის რისხვა იყო ამ ახლად ფეხ-ადგმულ წრისათვის. ამით აიხსნება ამ წრის უმრავლესობის პოლიტიკური უფერულობა და სიმხდალე. ისინი ეროვნულს ეზოში კაკანობდენ თავგამოდებით, ხოლო კვერცხებს მენშევიკურ ბოსტანში დებდენ მორცხვად და ჩუმად. ამის ნაყოფი მათ უკვე იგემეს საკმარისად და, იმედია, მომავალშიც დახვდებათ წინ. მენშევიკებიც დაეჩვივნენ ბურჟუაზიულ კვერცხების გემოს და უზნეო მეძებრებივით ეხლაც ხშირ-ხშირად სჩხრეკენ მათს გაცივებულს საბუდრებს— კვლავ ხომ არ დაიწყეს კვერცხის დება ჩვენმა მოსისხლე კლასიურმა მტრებმაო,

დაუბრუნდეთ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების განვითარების აღნუსხვას. მსოფლიო ომი დაიწყო და მან მრავალ დამონავებულ ერს გაუღვიძა და გაუცხოველა განთავისუფლების იმედი. ეროვნულ-დე-

მოკრატიულ წრეებს ღირსეულად აქვთ შეფასებული ეს ახალი ვითარება. მათ ფიცხელი მხადება და მარაგი აქვთ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ეს წრეები ორი მიმართულებით მუშაობენ, რომ საქმე სავსებით დაზ. ვეული ჰქონოდათ. ერთია ლეგალური გზა და ლეგალური საშუალებების გამოყენება. ეს გამოდგებოდა. უკეთუ რუსეთი გამარჯვებული გამოვიდოდა ომიდან. თავად-აზნაურობას და ეკლესიას ჯერ კიდევ ათი წლის წინეთ ჰქონდათ მოთხოვნილი პოლიტიკური ავტონომია საქართველოსათვის და ასევე ეკლესიის განთავისუფლება. ეკლესიისა და ერობის გარშემო თვით ამ ომის პერიოდში აწარმოებდა ეროვნულ-დემოკრატიული წრე ფიცხელ მუშაობას. მომავალში, შესაძლოა, კიდევ სხვა ახალი შესაძლებლობანი შექმნილიყო. მეორე მიმართულებით მუშაობა ეწყობოდა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ რუსეთი დამარცხდებოდა მსოფლიო ომში. ამ შემთხვევისათვის მუშაობას აწარმოებდა უცხოეთში ქენევის ჯგუფი და საქართველოში კი «საქართველოს» გარშემო თავმოყრილი ახალგაზდობა.

«საქართველო-იმერეთის» წრე კარგ გამომცემლობას ჰქმნის. ის ორს ყოველდღიურ გაზეთს სცემს. ეს გამოცემები მესამოციანთა დარბაისლურ გამოცემებს უახლოვდებოდენ. იდეური მიმართულებაც იგივეა რაც მესამოციანეებისა და მათი შემდეგი თაობის. მაგრამ ამ აზრებს ეს წრე ამქღავნებს და ავრცელებს მეტის პირდაპირობითა და სიცხადით, ვიდრე წინანდელი თაობები. პოლიტიკური ბრძოლისათვის პირობები გაცილებით უკეთესია, ვინემ იყო წინეთ და ასაკიც ხელს უწყობს მათ. ეს წრე ფარულად ხელმძღვანელობს ამავე დროს ყველა ეროვნულ საქმიანობას, რაც კი კეთდება ლეგალურს დაწესებულებებში მისი უფრო მცხოვანი თანამოაზრეების მიერ. მეორეს მხრივ, ისინი აწარმოებენ არალეგალურ ორგანიზაციულ მუშაობას კერძოდ ომის მიერ შექმნილ გარემოებათა მოლოდინში და, საზოგა-

დოთ, —აქტიური ეროვნული ძალების ორგანიზაციულად შეკავშირების მიზნით მომავალი პოლიტიკური მუშაობისათვის.

რამდენად ნიყიერი ნიადაგი ჰქონია ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში ასეთს მიმართულებას და რამდენად მომზადებულა უკვე ნიადაგი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მუშაობისათვის, ესეც მალე გამოირკვა. სამი წლის მუშაობის შემდეგ, 1917 წ. ივანობისთვეში მოიწვია «საქართველო - იმერეთის» წრემ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. საქართველოს ყველა ქალაქებსა და მაზრებში ამ წრეს თავისი ორგანიზაციები აქვს უკვე და გამოუკლებლივ საქართველოს ყველა კუთხეს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები ამ ყრილობაზედ. ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგების საუკეთესო და პასუხისმგებელი წარმომადგენელნი აქ იყვნენ.

მესამოციანებმა მარტო ეროვნული და დემოკრატიული აზრ. ვნება არ უანდერძეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. მათ დაუტოვეს მას აგრეთვე მრავალი მოღვაწეებიც ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყოველს დარგში. ყველა საღი ეროვნული დაწესებულება და საქმე ამათ ხელში იყო. ამ მოღვაწეთა შორის იყო მესამოციანთა დასის ერთი ბელადთაგანი ნიკო ნიკოლაძე, ვით ცოცხალი სხეულებრივი და სულიერი ძალა, ეროვნული აღორძინების დიდი მოღვაწეობის მის პოლიტიკურ განგრძობასთან შემაერთებელი და შემაკავშირებელი. ნ. ნიკოლაძე იმ ჯანად 80 წლის ჰასაკს უახლოვდებოდა და, გასაგებია, ამ ახალს პარტიულს საქმეშიც ძველებურს მოქმედიანობას ვერ გამოიჩენდა. მიუხედავათ ამისა, ნ. ნიკოლაძემ მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ამ ახალს პოლიტიკურ საქმეში. მისი მოხსენებები პარტიულს ყრილობებზედ, მისი რჩევა-დარიგებანი ახალგაზდა მეგობრებისადმი, მრავალ ათეულ წელთა მაგალითებით დამძიმებული, და მისი პირა-

დი მაგალითი დაუშრეტელი ძალისა და მუდამ მომქმედი და შემომქმედი აზროვნებისა, უდიდესი მნიშვნელობის წამახალისებელი ძალა იყო ახალი პარტიისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა დაემყარა სამს ძირითად დებულებას. პირველი იყო ეროვნული სუვერენობის იდეა, მეორე—სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზედ შენება და მესამე – სახელმწიფოებრივი წყობის აგება მთელი ერის, მთელი ხალხის უფლება-მოვალეობათა თანასწორობის ნიადაგზედ, ხალხური, დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებზედ. პირველი ორი მცნება არ იყო ახალი ქართველი ერისათვის. მისი ცხოვრება ამ საფუძვლებზედ იყო აგებული მრავალ საუკუნეთა გასწვრივ. შედარებით უფრო უცნობი იყო მისთვის დემოკრატიული წყობის ბუნება და ხასიათი. მართალია, მესამოციანებმა ეს წყობაც გააცნეს მას იდეურად და პრაქტიკულად, მაგრამ მაშინდელს პირობებში ეს მხოლოდ მცირე მასშტაბით ხერხდებოდა. ხალხის მხოლოდ უფრო დაწინაურებული ნაწილი ეზიარა მათს დროს ამ დემოკრატიულს აზრსა და საქმიანობას და ისიც ვიწრო საზოგადოებრივ საქმიანობის ფარგალში.

ძველს საბერძნეთში სიტყვა დემოკრატია აღნიშნავდა ისეთს სახელმწიფოებრივ წყობილებას, სადაც მმართველობა მთელი ხალხის ხელში იყო, მთელი ერი, მთელი ხალხი იყო თავისი ბატონ-პატრონი, და უზენაესი უფალი. ჩვენს დროში ეს მცნება გამოსახავს აგრეთვე მოქალაქეთა იმ წრეებს, რომელთაც არავითარი უფლებრივი უპირატესობები არ აქვთ სახელმწიფოში. ასეთს წრეს ჩვენში ძველად ეწოდებოდა ხალხი და ერი. „დიდებულნი, აზნაურნი და ყოველნი ერნიო", ხშირად გვხვდება ძველს ქართულს მასალებში. ჩვენს დროში დემოკრატიის შინაარსს უფრო ხალხი შეეფერება. სიტყვა „ერი" გვარტომობის გამომსახველ მცნებად გარდიქცა.

დემოკრატიული წყობილება ნაცადია უკვე ძველთაგანვე მრავალს ქვეყნებში და მრავალი სხვა და სხვაობით. მისი ავი და კარგი საკმაოდ არის ცნობილი. უდავოა, რომ მას მრავალი უარყოფითი თვისება აქვს. მაგრამ კაცობრიობას ჯერ არ უხილავს ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომ მრავალი ნაკლი არ ჰქონდეს. მე აქ არ შეუდგები ამ წყობის დადებითსა და უარყოფითი თვისებების აღნუსხვას. აღვნიშნავ მხოლოდ ერთს გარემოებას, რომელიც, ჩემის აზრით, თავისთავად სჭრის ყველა სხვა კითხვებს ამ საგანზე. უკანასკნელ ორი საუკუნის განმავლობაში თითქმის ყველა ერები ქვეყნიერებისა დემოკრატიულ წყობილებისაკენ შვრებიან პირს და ამ სახელმწიფოებრივი ფორმაში ათავსებენ თავის ცხოვრებას. მხოლოდ იქა აქ დარჩა კიდევ ზოგი ერთი ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ სხვა წყობაზედ ცხოვრობენ. არ შეიძლება, რომ ეს მოვლენა გამოწვეული იყოს რაიმე შემთხვევითი და ადვილად გარდამავალი მიზეზებით. სჩანს, რომ ეს წყობილება ყველაზედ უფრო შეეფერება ხალხთა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების პირობებს და მათს პიროვნულსა და საზოგადოებრივს შეგნებას. დემოკრატიულ წყობას ამასთანავე უკვე აქვს თავისი, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და განვლილი ხანის სავსებით გამორკვეული შედეგები. ინგლისის იმპერიის სიძლიერე, მთელს მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო, ამ წყობის ფარგლებშია აშენებული. ამერიკის შტატები, ეკონომიურად უძლიერესი მთელს მსოფლიოში, უკვე სავსებით დემოკრატიული წყობის პირმშო შვილია. ასევე დაწინაურებულან ამ წყობაში ყველა სხვა სახელმწიფონი, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებ, სხვა და სხვა პირობების მიხედვით. დემოკრატიულ ხანაში იშვიათი სისწრაფიდ სწარმოებს პროგრესი და განვითარება ეკონომიური და კულტურული. კერძოდ ტეხნიკური პროგრესი ხომ სასწაულებრივ სახეს ღებულობს. ყოველივე ეს უნდა მივიჩნიოთ საკმაო საბუთად იმისა, რომ დემოკრატიული წყობი-

ლება ყველა სხვა წყობაზედ უფრო უდგება ხალხთა განვითარებას თანამედროვე ხანაში. ამას უნდა დაუმატოთ კიდევ სახელმწიფოს მნიშვნელობის სწრაფი ზრდა თანამედროვე ხალხთა ცხოვრებაში. მოქალაქეთა ყოვლისგვარ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დიდი ნაწილის დაკმაყოფილება სახელმწიფოს ხელში გადადის. ამ საჭიროებისათვის სახელმწიფოს მიაქვს მოქალაქეთაგან მთელა მისი შემოსავლის მეხუთედი ნაწილი და ხშირად მეტიც. გასაგებია, რომ ხალხი არ თანხმდება ყველა ამ საქმეების მეთაურობის მიკუთვნებას რომელიმე წოდებისათვის, თუ კლასისთვის. ხალხს უნდა, რომ თვითონ იყოს ბატონ-პატრონი იმ საქვეყნო საქმეებისა, რომელნიც მას ეხება და მისი საღსრით ინახება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს სინამდვილეში დემოკრატიულ საქმესა და აზრს მესამოცია ნები ამყარებენ. რასაკვირველია, მაშინდელი პირობების მიხედვით ქართული საქვეყნო, საზოგადოებრივი საქმიანობა იყო ფრიად შეზღუდული და პოლიტიკური აზროვნებაც ასევე შეკვეცილი. ასეთ ვიწრო ფარგლებში ნაწარმოები მათი მუშაობა მაინც უდიდეს აღორძინების საქმედ გადაიქცა და ის თავიდანვე ხალხისნურს საფუძვლებზედ იყო აგებული, ხოლო ამის საწინააღმდეგო, არა დემოკრატიულ გეზს ორი დასაყრდნობი ჰქონდა ჩვეხს სინასდვილეში. პირველი იყო თავად-აზნაურობის გარუსებული ნაწილი. მას ქართველი ხალხის არა სწასდარა, ის მხოლოდ იარაღი და მასალა უნდა ყოფილიყო რუსის მოხელეების ხელში. უფრო ქართულ უმაღლეს აზნაურობაშიც იყო არა დემოკრატიული, წოდებრივი და არისტოკრატიული განწყობილება, ხოლო ის მხოლოდ განწყობილიბად რჩებოდა და ხალხისნ რ მიმართულებას ადვილად უთმობს ასპარეზს. გარუსებული წრეც ვერ ჰქმნის ახდილს, საჯარო წინააღმდეგობას, ის უფრო ფარულ ოპოზიციას აწარმოებს.

მეორე არა დემოკრატიული მიმართულება მყარ-

დება გაღატაკებულ, გაპროლეტარებულ აზნაურობაში. ეს არის ნ. ჟორდანიის თაობის აზნაურული სოციალიზმი. არც მას სწამს ქართველი ერი და მისი იდეალები. მხოლოდ ერის მცირე ნაწილი მიაჩნია მას ქვეყნის მარილად. ეს არის უმთავრესად პროლეტარული, გაღატაკებული აზნაურობა, შრომასა და საქმეს მოწყვეტილი, მოარული და მოხეტიალე, ხანდახან მომუშავე, ხან სად და ხან სად, უმრავლეს შემთხვევაში კი უსაქმო და მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკის მაწარმოებელი. ეს წრეც რუსეთს არის გადაბმული, ხოლო არა ბიუროკრატიულს, არამედ რევოლიუციონურს. არც ამ წრეს სწამს ქართველი ერის ეროვნული თვითარსებობა და მიზნები. მის თვალში ეს არის ხალხი, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ, როგორც იარაღი და მასალა სხვისათვის და სხვის ხელში. ასეთია არსებითი სახე ამ მიმართულების, ხოლო სიტყვიერად ის უაღრესად დემოკრატიულ მიმართულებად ასაღებს თავის თავს. ამ რიგად, საქართველოში არასოდეს წარმოშობილა ისეთი არა დემოკრატიული მიმართულება, რომელიც ადგილობრივ საფუძველზედ ყოფილიყოს დამყარებული და არა უცხო ძალებზედ. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს ჩვენი წარსულის და აწმყოს ბუნებრივი დასკვნაა.

დემოკრატიული აზრი და წყობილება საყოველთაოდ გამარჯვებულია და იმარჯვებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყველგან მოიპოვებიან ისეთი წრეები და ჯგუფები, რომელნიც ამას არ თანაუგრძნობენ. ეს წრეები ერის სუვერენიტეტს ვერ ურიგდებიან და დემოკრატიული წყობის მაგივრად არისტოკრატიული წყობილების ამა თუ იმ სახეს იცავენ, სახელმწიფოებრივი მმართველობის ამა თუ იმ ჯგუფებისა, თუ წოდების ხელში მომწყვდევას ეტრფიან. ამ ბოლო ხანებში ეს წრეები საბჭოთა რუსეთისა და იტალიის მაგალითებით არიან დაიმედებული. დემოკრატიული წყობის უარყოფა და გადახვევა თანამედროვე ხანაშიც ყოფილა შესაძლებელია. მათდა საუბედუროდ, ეს მაგალითებიც არ

არის მათთვის სანუგეშ ი. საბჭოთა რუსეთის მეთაურმა, სტალინმა, ამა წ ის მაისში გადმოსძახა მთელს მსოფლიოს კრემლის სიმაღლიდან: საბჭოთა რუსეთი მტრებით ა ის გარშემორტყმული და ეს ხდის შეუძლებლად რომ მან ნამდვილი დემოკრატია განახორციელოსო. აქ და სხვა მეთაურთა მრავალ სიტყვებში, ნათლად არის გამქღავნებული საბჭოთა რუსეთის მმართველთა რწმენა, რომ დემოკრატიული გეზის აღება დღეს თუ ხვალ მიუცილებელი იქნება თვით საბჭოთა რუსეთისათვისაც. მუსოლინმაც ნათლად გაამქღავნა იმავე თვეში თავისი რწმენა რომ ეხლანდელი ფაშისტური რეჟიმი მას სამოდამოდ არ მიაჩნია. მან ქება შეასხა ამერიკულ დემოკრატიას და ის ყველაზედ უფრო მისაღებად მიიჩნია იტალიისათვის. ხოლო ეხლანდელი იტალიური ფაშიზმი რომ წმინდა იტალიური მოვლენაა და სხვა ქვეყნებში გადასანერგავად არ გამოდგება, ეს წინეთაც არაერთხელ განუცხადებია მას.

მართალია არსებობს კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც კვლავ არ ურიგდება დემოკრატიულ წყობილებას და აზრებს. ეს არის ლიოვილის შვიდ დესეტინიანი რესპუბლიკა, ნ. ჟორდანიას ნორმა და რევოლიუციონური მონაპოვარი. აქ კვლავ მთელი მსოფლიოსთვის სანიმუშოთ მიაჩნიათ ის დემოკრატიული წყობილება რომელიც მათ საქართველოში დაამყარეს, და რომლის შესახებ ნ. ჟორდანია ამობდა, რომ მისი მსგავსი არ უნახავს ისტორიასო. დემოკრატია ამათთვის, ისევე როგორც წინეთ ჯერ არის და ჯოგია და მერე კიდევ სოციალ-დემოკრატიის მოსისხლე მტერი. ასე რომ შეუძლებელი ხდება მათი შერიგება დემოკრატიასთან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს გარემოება საკვანძოთ შეუძლებელად არ გახდის კაცობრიობის წინსვლასა და განვითარებას.

მაგრამ დემოკრატიული წყობილება მაინც მხოლოდ ფორმაა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და მ. სი სა-

დგომი. როგორც ერთნაირად აშენებულ სახლებში მობინადრენი არ ცხოვრობენ ერთნაირად დალაგებულად და მოხდინილად, ისეცაა სახელმწიფოებრივი წყობა სხვა და სხვა ქვეყნებისათვის. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნებს ‹ ნგლ ისის,' ამერიკის თუ საფრანგეთის სახელმწიფოებრივი წყობა აქვთ გადაღებული, მაგრამ სინამდვილეში ამათი უმრავლესობის სახელმწიფ ებრივი ცხოვრება ძ ლიერ ნაკლებად წააგავს აღებულს ნიმ შებს. მთა კარია არა ფორმა, არამედ მისი შინაარსი—ხალხი. მის კულტურ ელს მდგომარეობაზედ და მის ‹ ხასიათის თვისებებზედ არის დამოკიდებული ცუდს სახელმწიფოებრივ ფორმაშიც კარგი ცხოვრების დამყარება, თუ კარგი წყობის ცუდათ ქცევა და გადამახინჯება.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას იმავე წესით უხდებოდა მუშაობა ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში რო გორც მის წინამორბედთ -მესაქ ოციანებს რუსეთის მეფეების დროს. ის იმავ საიდუმლო ეროვნელი მთავრობის როლში იყო და საიდუმლოთ უნდა ეკეთებინა ყოველივე, რაც ჩვენი ეროვნული ცხოვრების განვითარებისათვის იყო საჭირო. რასაკვირველია ნ. ყორდანიას მთავრობა თავის მდგომარეობით იძულებული ხდებოდა მიეღო და შეეწყნარებინა ზოგი რამ ასევე საჭ რო და აუ. ცილებელ ი, მაგრამ ამ მთავრობის უმთავრესი ძალების მაინც ასეთს საქმეებს არ ხმარდებოდა. მესამოციანთა მიერ დიდი ხნით განმზადებული იყო მათ მიერ დაფუძ ნებულ ეროვნულ სწავლა-განათლების ქართული უნივერსიტეტით დაგვირგვინება. ეს მოხდა ჩვენი თავისუფლების ხანაში, მაგრამ ეს დააფუძნა იმავე წრემ, რომელმაც ის შეამზადა კერძო გზებითა და კერძო საშუალებით, და არა საქართველოს მთავრობამ.

ნ. ყორდანიას მთავრობა დიდს ენერგიასა და ძალას ხარჯავს, რომ შეაკავშირ ს და შეაერთოს მუშებს, ნოქრები, ოფიციანტები, მეეზოვენი, მილიციელები და სხ.

რასაკვირველია დემაგოგიის მიზნებით. უთუოდ არა ნაკლებ საჭირო იყო მწარმოებელ კლასთა შეკავშირება შემოქმედებითი ძალების დასაგროვებლად და გასაკართოებლად, რაც ფრიად საჭირო იყო ჩვენს სუსტს ეკონომიურს ცხოვრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჰქმნის სოფლის მეურნეთა კავშირებსა და ამხანაგობებს წარმოების სხვა და სხვა დარგში—მეღვინეობისა, მეაბრეშუმეობის, მეხილეობის, მეთამბაქოების მესაქონლეობის და სხ. შემდეგ მათ სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პალატაში აერთიანებს. ასევე აკავშირებს ის სხვა და სხვა კუთხის ვაჭარ-მრეწველთ და შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო პალატაში უფროის თავს. ამ წრეების თაოსნობით აოსდება ახალი ბანკები და სავაჭრო ამხანაგობები. ეს პალატები ხშირად ურდგენენ მთავრობას თავ-ს მოხსენებებს სხვა და სხვა საჭირბოროტო ეკონომიურ კითხვებზედ, მაგრამ ხმა მათი მუდამ რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. იქმნება ჯგუფები სხვა და სხვა სამრეწველო საქმეებს დასაწყობად -ბაქრის, მარგანეცის, ქაღალდისა და სხ., მაგრამ წარმოებისა და შრომის მოძულარე აზნაურული სოციალიზმი არავის არ აძლევს გასაქანს. თვითონაც, რასაკვირველია, არაფერს არ ჰქმნის, აოსებულსაც ძირს უთხრის ნელ-ნელა და მუყაითად. ყოველად უმსგავსი სახის მონოპოლიით ამ მთავრობამ სრულიად გაანადგურა ორი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი—მეთამბაქოობა და მეაბრეშუმეობა, ხოლო დანარჩენები დააკოცა ზოგი ერთს ფერხეულ და ზოგი კიდევ ორივეზედ. ასეთს პირობებში წარმოებულს საქართველოს დამოუკიდებლობას, რასაკვირველია დიდი ღონე არ ექნებოდა, უკეთუ ეს პირობები არ მოისპობოდა.

აოსეს დამოუკიდებლობის შექ ნაა ნ. ჟორდანიას წყალობა, როგორც ეს ბევრს აზენია. კაბუკობიდან რომ თავდადებით ებრძოდა ის და მისი დასი არამც თუ დამოუკიდებლობის იდეას, არამედ მცირე უფლებიან ავ-

ტონომიასაც, ამას ამ ჟამად თავი დავანებოთ. აღვნიშ ნოთ ამ საკითხის მხოლოდ უკანასკნელი ვითარება.

ს ქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობისგამ ოცხადებას თავისი ეტაპები ჰქონდა ჩვენს ეროვნულს ცხო ვრებაში. პირველი ეტაპი იყო საქართველოს ეკლესიის და ოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც მოხდა 1917 წ. 12 მარ ტს, მცხეთაში. ეს იყო ფრიად რთული რევოლიუციური აქ ტი და ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო ერ თად ერთი საერო ძალა, რომელიც აწყობდა და ამზადე ბდა ამ საქმეს თავიდანვე, ჩვენ მღვდელმთავრებთან ერ თად.

მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო—საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწვევა, რასაც ადგილი ჰქონდა 1917 წლის 22 ნოემბერს. იმ დროს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რუსებს, ბერძნებს და აისორებსაც კი ჰქონდათ ეროვნული საბჭოები. მხოლოდ ქართველი ერი იყო და რჩენილი მხოლოდ რუსულ საოლქათთა საბჭოების შემ ყურე. იმავე ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანოს თაო სნობაა თბილისის თ. აზნაურობამკოსტანტინე აფხაზის მეთაურობით მთელი თავისი მრავალ მილიონად ღირე ბული ქონება რომ აღუთქვა ქართველ ერს, უკვე თუ ის თავის ეროვნულ ცენტრს შექმნიდა. 1917 წლის ნოემბე რში მოწვეულ ეროვნულ ყრილობის უმრავლესობა ერ ოვნულ-დემოკრატიული წრეების იყო. ხოლო მენშევი კები მუდმივ ცენტრის დაარსებას დასთანხმდენ მხო ლოდ იმ პირობით, რომ ამ ცენტრში უმრავლესობა მათ დასთმობოდა.

მესამე ეტაპი იყო დამოუკიდებლობის გამოცხა დება, 26 მაისი. თვით მენშევიკური პარტიის მეთაურე ბი არ ჰფარავენ, რომ ეს ნაბიჯი მათ იძულებით გადად გეს. ხოლო ამ იძულებას ორი მხარე ჰქონდა—საგარეო და საშინაო. პირველში ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებს უთუოდ აქვს თავისი როლი და რაც შეეხება შინაგან პი რობებს, აქ ამ მიმართულებას უკვე სავსებით შემზადე-

ბული ჰქონდა საზოგადოებრივი აზრი და ეს მთელიანი საზოგადოებრივი აზრი თანდათან თვით მენშევიკურ წრეებზედაც გაბატონდა.

სავსებით კანონიერი იქნება კითხვა თუ როგორ მოხდა, რომ 1917წ. მთელი ძალა-უფლება მენშევიკებს ჩაუვარდა ხელში, თუ რომ ეროვნულ მიმდინარეობათა ფაქტიური, არსებითი გავლენა და მნიშვნელობა ისეთი იყო, როგორც ზემოდ არის მოხსენიებული. ეს მოხდა რუსეთის რევოლიუციის შემწეობით. როგორც ი. წერეთელმა მოხდენილად სთქვა ერთხელ-მარტის რევოლიუციის წინა დღეებში ძალა უფლება პეტერბურგის ქუჩებში ეგდო და ვინც მიასწრობდა მას ის დაეპატრონებოდაო. მისწრებით, როგორც ვიცით, სხვებს განსვენებულმა კარლო ჩხეიძემ მიასწრო. ი. წერეთელისავე სიტყვით რევოლიუცია თბილისში დეპეშით იყო მიღებული. კ. ჩხეიძისაგან დეპეშით რევოლიუციის მიღება კი იმას მოასწავებდა რომ ასი ათასი რუსის ჯარისკაცი მთელი კავკასიის ფრონტისა კ. ჩხეიძის ამბანაგების განკარგულებაში გადავიდენ და მათი კარნახით ხშირად არ ბევდენ სხვა პარტიების კლუბებსა და რედაქციებს, უკეთუ მათს დროშაზედ «თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს» და «ნახევდენ. სახელმწიფო ხაზინა, ადმინისტრაციადა ყველა სხვა სახელმწიფოებრივი აპარატები მენშევიკების ხელში მოექცა და, გასაგებია, რომ იმ დროს როდესაც რუსის ჯარისტოვებს კავკასიის ფრონტს ისევე როგორც სხვა ფრონტებს, მენშევიკებს უკვე შეიარაღებული ყავთ პარტიული ძალები. შემდეგ «დემოკრატიული» რეჟიმი იწყობა თავის უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო სისტემით. მაგრამ ეს იყო შირმა სხვების მოსატყვილებლად, ყოველნაირი არჩევნები ტარდებოდა საარჩევნო კომისიების მეთაურობით, სადაც შედიოდენ პარტიათა წარმომადგენელნი «რევოლიუციურ ძალთა განწყობილების მიხედვით». ამის გამო ყველა ას-

ეთ კომის·ში უმრავლესობა, რასაკვირველია, მენშევიკებს უნდა ჰყოლოდა. ასეთ მიუდგომელ კომისიას მუდამ თან ახლდა კბილებამდე შეიარაღებული რევოლიუციონური გვარდია. არჩევნების თავისუფლებაზედ ლაპარაკიც კი ზედმეტია. სხვა პარტიებისათვის ხმის მიცემა დიდს გმირობასა ღა თავგანწირვას მოითხოვდა. ამით აიხსნება რომ არც ერთს პარტიას არ უცვნია დამფუძნებელი კრების არჩევნები კანონიერად, გარდა, რასაკვირველია, მენშევიკებისა. ასე რომ არც ერთი ამგზით შექმნილი ორგანო დაახლოვებითაც არ გამოსახავდა ქართველი ერის სურვილებსა და ინტერესებს. მხოლოდ ერთს საკითხში ჰქონდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს ხალხის ნამდვილი ნებისყოფის გამოსახვის ხასიათი. ის იყო რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ. მცირე ჯგუფიც არ გამოჩენილა ერში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე.

მაშასადამე, სხვების მოსატყვილებლად საქართველოში დამყარდა დემოკრატიული წყობილება, ხოლოვის ზურგზედაც ეს წყობა შენდებოდა, ისინი კარგად ხედავდენ, რომ ეს იყო დიქტატურა ქორდანია-რამიშვილის კამარილიის, როგორც მათ მაინვე ამხანაგები უწოდებდენ. მაგრამ დიქტატურა კიდევ არაფერია თუ საქმის სათავეშია პატიოსანი და სახელმწიფო ცხოვრების მცოდნე პიროვნება. ძალა-უფლების უხურპაციამ თქვენი ჭირი წაიღოს. ხალხი ამას დროებით ადვილად შეურიგდება.

უბედურება სწორედ იმაში იყო, რომ ამ ხალხს არ აღმოაჩნდათ სრულებით ის ზნეობრივი და გონებრივი თვისებები, რომელნიც არამც თუ სახელმწიფოს მეთაურს მოეთხოვება, არამედ უბრალო მილიციელსაც წესიერად მოწყობილს სახელმწიფოში. მათ არ ჰქონდათ შეგნებული უაღრესი და მიუსაღებელი მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის კანონის, სასამართლოსი, ჯარის, ადმინისტრაციის; არ ესმოდათ ხასიათი და მნიშვნელობა

სასოფლო-მეურნეობის, მრეწველობის, აღებ-მიცემობის. ან თუ ყოველივე ეს ესმოდათ, მაშინ წინდაწინვე გადაწყვეტილი ჰქონიათ ქვეყნის მინგრევ-მონგრევა, არევა და აოხრება და შემდეგ მიძარცვ-მოძარცვა და ისე აკვრა გუდა-ნაბდის.

ჩვენ არ შეუდგებით აქ ამ წყობილების დახასიათებას. ეს ჩვენ შემდეგისათვის გვაქვს გადადებული. ამ ჟამად აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მის დამახასიათებელს თვისებას. არსებითად ნოე ჟორდანია მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ასეთი რეჟიმი არსად არ არსებულა წინეთ. ნოე ჟორდანია ამ წყობილებას დემოკრატიულს უწოდებს. მე კი ვფიქრობ, რომ ეს მცნება სრულებით არ შეეფერება მას და გაცილებით უმჯობესია ამ წყობის გამოსასახავად მივიღოთ სიტყვა ხამოკრატია, რომელიც ვგონებ მ. წერეთელმა უწოდა ამ 20 წლის წინეთ ნოე ჟორდანიას პარტიის მოღვაწეობას. დემოკრატიის საფუძვლები — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა ხამოკრატიულ წყობილებისაგან განდევნილი იყო სავსებით და საფუძვლიანად. სახელმწიფოებრივი შენების დროს ჩვენი წარსულისა და ყველა დაწინაურებულ ერთა მაგალითების ანუ ადღება და თანამედროვე კულტურის ცოდნა და გამოცდილება უარყოფილი იყო. ეს წყობა წარმოდგენდა უხეშ ბატონობას ისეთი წრისას, რომელსაც არც ცოდნა ჰქონია სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, არც გამოცდილება და არც სურვილი მისი შეგნებისა. მას არ ამოძრავებდა საერთო, საქვეყნო მიზნები, არამედ ვიწრო ჯგუფურისა და პირადი მდგომარეობის ამაღლება და გაუმჯობესება, წვრილფეხა აზნაურის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება. ნორმალურ პირობებში ეს წრე გაქარწყლდებოდა. მისი ბატონობის შენარჩუნება მხოლოდ მუდმივი არევ-დარევითა და ანარქიით შეიძლებოდა. დემოკრატიული თანასწორობა ერონიერსა და საქმიან წრეებს მოაქცევდა სახელმწიფოს სათავეში და არა ჟორდანიას ამალას.

ამიტომ ძალაუფლების დროებით მაინც შენარჩუნებისათვის აღმოსავლეთის სატრაპების წესების დამყარება დაინახეს საჭიროდ. ნოე ყორდანიას კამარილია მოგვეევლინა ამ სატრაპების როლში და ერი კი იყო უფლება აყრილი საგანი მათი ბატონობისა. ზედმეტია, ლაპარაკი მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის თანასწორობის შესახებ. ის სისხლის სამართლის საქმეშიც არ არსებობდა: მათთვის ყოველივე ბ ერთ-მოქმედება იყო ნება დართული; რამდენი მკვლელობა, გაძარცვა, გაფლანგვა და სხვა არ ჩაუდენია ამ კამარილიის წევრებს. არამც თუ დასჯა კანონისამებრ, არამედ დროებით დაპატიმრება და სამართალში მიცემაც იშვიათი იყო. მართალია, ძველად ამ დარგშიაც ჰქონდა ადგილი უთანასწორობას. მეჩვიდმეტე საუკუნეში შედგენილს ვახტანგ მეფის კანონებში სხვა და სხვა ფასად არის შეფასებული სისხლი და სიცოცხლე თავადისა, აზნაურისა და ყმის. მაგრამ იმ დროშიაც არ ყოფილა სავსებით უფასო ყმის სისხლი, როგორც იყო არა მენშევიკთა სისხლი და სიცოცხლე ამ ხამოკრატიულს ხანაში.

საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი სწარმოებდა და დიდძალი ხალხიც იყლიტებოდა. ხოლო საქართველოში არავის აუღია ხელი მენშევიკურ მმართველობის წინააღმდეგ. კიდევ მეტი. მასში ანამოუკიდებლობის ერთგვარ საწინდარს ხედავდა ერი და სწორედ მემარჯვენე წრეებიდან იყო შემდგარი ის ძალები, რომელნიც ამ მთავრობას იცავდენ პირველს ხანებში. ამის სამაგიეროდ და სამუჯაფოდ მთელი გვარები იქმნა გაჟლეტილი და, რასაკვირველია, არა ხალხის მიერ, არამედ მმართველი წრის მიერ. შვილები რ ამ ბრძოლის ველზე იყვენ. მათს მშობლებსა და და-ძმებს ჰხოცავდენ და მ ა ის გვამებთან ძაღლებს ამწყვდევდენ, რომ თავის პატრონ ების ხორცით ესაზრდოვათ. მაგრამ ძაღლები გაბოროტებულ ადამიანზედ უფრო კეთილშობილნი გამოდგენ და სიმშილით იხოცებოდენ და გვამებს ხელს არ ახლე-

ბდენ, როგორც ამას აღნიშნავდა შ. ამირეჯიბი თავის ცხარე წერილში «შეიბრალეთ ძალლებიო», ნ. რამიშვილის ბანდას რომ მი ეძღვნა ამ სამარცხვინო ამბებ ს გამო.

მეორე დ მახასიათებელი თვისება ამ რეჟიმისა ის იყო, რომ მის მეთ ურეებს თვალი სულ ბოლშევიკებისაკენ ეჭირათ და სულ მათ ჰბაძავდენ მაგრამ თითქმის ყოველთვის გადაჭარბებულად, ან შემცდარად. ისინი ხედავდენ როგორ დაიწყეს ბოლშევიკებმა ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. იარაღის სა ყობებს ეცემოდენ ეა მოტაცებული იარაღით ხალხს აიარაღებდენ შემდეგ ჯარებში განხეთქილებას სთესდენ და სალდათებს ოფიცრების წინააღმდეგ ამხედრებდენ. ასევე მოიქცენ მენშევიკებიც. როგორც კი მთავრობა მიიღეს კერენსკისაგან, იარაღის საწყობები გახსნეს და ვაგონებით ზიდეს და არიგეს მთელს საქართველოში ყოველნაირი იარაღი. ხოლო როდესაც ჯარების შედგენას შეუდგენ მენშევიკ პოლიტრუკები სალ დათებს ოფიცრების წინააღმდეგ ამხედრებდენ და მხრებ დან ნ შნებს აგლეჯდენ. ამ მიბაძვაში მენშევიკებს ერთი შეცდომა მოუვიდათ. ბოლ შევიკები ამას სჩადიოდენ იმ დროს, როდესაც ძალაუფლება სხვის ხელში იყო და თავის მტრის ძალის დაშლას ცდილობდენ. თორემ როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, ხალხიც სწრაფად განაიარაღეს და ჯარებშიდაც უსასტიკესი დისციპლინა შემოიღეს და ძველი ნიშნებიც აღადგინეს. მენშევიკები კი ამას სჩადიოდენ მაშინ, როდისაც ძალაუფლება მათს ხელშ იყო და ამ ძალაუფლების განსამტკიცებლად წესრიგი და მშვიდობიანობა იყო საჭირო და არა სამოქალაქო ბრძოლა და ჯარის გაბრწნა.

ბოლშევიკებმა ფარიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია გამოაცხადეს, როგორც კი ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება. ასევე მოიქცენ ჩვენი დავით აღმაშენებელნიც. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ რუსეთში მოიპოვებოდა მთელი რიგი, მსოფლიო მასშტაბით მსხვილი წა-

რმოებები და 8 მილიონამდე მუშათა კლასი რომელთა დიდი ნაწილი პეტრე დიდის და ეკატერინ-ს დროიდან ითვლიდენ თავის მუშა წინაპრებს, ხოლო ჩვენში არაფერი ამის მსგავსი არ იყო და სოციალიზაციაში მოჰყვა უმთავრესად სახერხი ქარხნები ორი-სამი მუშით და წისქვილები რომელთა უმრავლესობა ერთი ჯანსაღი მეწისქვილის ქირას ვერ უძლებდა და საგანგებოდ მოხუცი ან კოჭლი მეწისქვილეები ჰყავდათ გამონახული. ამ წარმოებებს, რასაკვირველია, თავისი გამგეები და მმართველები დაენიშნა სახელმიფო თუ ერობის ხარჯზედ.

არაფერი გარკვეული და მტკიცედ დადგინებული და დაცული არ იყო პოლიტიკურსა და ეკონომიურს ცხოვრებაში. კოველივე მმართველი ჯგუფის თვითნებობაზედ იყო დამოკიდებული. ასეთივე დაწყობილობა სუფევდა საგარეო ურთიერთობაში. ზოგიერთი ჰფიქრობს რომ საბჭოთა რუსეთს უთუოდ ბათუმიც უნდა დაეპყრო რა ქამს ბაქოს ნავთი ჩაიგდო ხელშიო. რუსეთისათვის უთუოდ გაცილებით უფრო საჭირო იყო მუდამ და მუდამვე ასე დარჩება რიგა და რეველი. ბალტიის ქვეყნები სამასი ვერსტით თუ არის დაშორებული რუსეთის ცენტრს და ჩვენკი სამი ათასი ვერსტითა და ზღვებით. მაგრამ ამ ქვეყნებმა შესძლეს თავისუფლების შენარჩუნება და მშვიდობიანი განწყობილების დამყარება როგორც რუსეთთან ისე ევროპასთან. ჩვენი ფარაონები კი ევროპას ეჩემებოდენ მისი იმპერიალისტობისათვის და საბჭოთა რუსეთს - მარქსის პროგრამის გადახვევისათვის. ოსმალეთს ვერ ინელებენ იმიტომ რომ ქემალი დიქტატორი იყო და არა სოციალ-დემოკრატი, ხოლო მახლობელ მეზობლებს-აზერბაიჯანს, სომხეთს, მთას ყველაფერში ადვილად შეურიგდებოდენ და ტერიტორიასაც ადვილად დაუთმ იბდენ, ხოლო ვერ ურიგდებოდენ იმ გარემოებას, რომ ამ ქვეყნებს მართავდენ «ბეგები, აღალარები და დაშნაკები» და არა მეორე ინტერნაციონალის წევრები. ზურაბ ავალიშვილს მეტად

ნათლად აქვს დასურათებული ამ ხალხის მოღვაწეობა აგარეო საქმეებში.

ასეთს პოლიტიკურს სიმახინჯეს, რასაკვირველია დიდხანს ვერ გაუძლებდა ჩვენი ერი. ან ყოველივე უნდა დაშლილიყო, ან და ეს ხამოკრატიული რეჟიმი უნდა შეცვლილიყო რომელიმე სახელმწიფოებრივ ფორმით. ოთხი წლის განმავლობაში არა ერთხელ იყო ასეთი მდგომარეობა რომ ამ რეჟიმს ერთი წკიპურტის კვრაც წააქცევდა, მაგრამ მუდამ იყო ისეთი საგარეო მდგომარეობა რომელიც ჩვენ დამოუკიდებლობასაც იმსხვერპლებდა. საჭირო იყო კიდევ დაცდა, რომ ხალხში საკვლებით განელებულიყო რევოლიუციონური ფსიხოზი და მენშევიკურ პარტიაზედ იმ ხანებში აყოლილი წრეებიც თავის ნორმალურ განწყობილებას დაბრუნებოდენ. 1921 წლის დასაწყისში ყოველივე ეს შესრულებული იყო. ამავე დროს მოხდა ყველა არა სოციალისტურ მიმდინარეობათა გაერთიანება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გარშემო. ეს პარტიები და ჯგუფები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განაყოფი იყვენ. პატველი-რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია გამოეყო მას დამჯუქნებელი კონფერენციის დროს. ხოლო მერე «მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია» ერთის წლის შემდეგ. გაყოფა ისინიზეზი არ იყო პრინციპიული ხასიათისა. პირველმა მიზანშეწონილად დაინახა უფრო მემარცხენეგვნის აღება ვიდრე ჰქონდა პარტიის უმრავლესობას და მეორემ კი უფრო მემარჯვენესი. ეს უფრო ტაქტიკური მანიოვრი იყო. ისინ ჰფიქრობდენ რომ ასეთი ტაქტიკით უფრო ნაყოფიერად იმუშავებდენ ანტისახელ მწიფოებრივ ძალების წინააღმდეგ. მალე გამოირკვა, რომ ასეთ ნიუანსებს მნიშვნელობა არა აქვს და გაერთიანებული ძალებით მეტი შედეგების მიღწევა შეიძლებოდა. ამ პარტიებთან ერთად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შეუერთდა აგრეთვე უპარტიოთა კავშირი სადაც ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერული ძალები და საზო-

გადო მოღვაწენი იღემდენ მონაწილეობას. ამავე ხანებ_ში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეუთანხმდა საქართველოს სომხების იმ წრეებს, რომლებიც თავიდანვე ემხრობოდენ ქართულ სახელმწიფოებრივობას და წინეთ კიდევ ქართულს ეროვნულს საქმიანობაში იყვენ ჩაბმული, ხოლო უკანასკნელ დროში შოვინისტურად განწყობილ წრეების ტეროორის ქვეშ იმყოფებოდენ. ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას განზრახული ჰქონდა მოეთხოვა მენშევიკების ბელადებისაგან ხამოკრატიული რეჟიმის დასრულება და უფლებრივ სახელმწიფოებრივობის დაწყება. პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო დაუსრულებელი დამფუძნებელი კრების დასრულება დაპარლამენტის მოწვევა არჩევნების სრული თავისუფლების გარანტიებით. ეს წინადადება თუ არ იქნებოდა მიღებული ნ. ჟორდანიასკამარილიის მიერ, ამის შემდეგ დარჩებოდა ერთად ერთი გზა ასეთი მღგომარეობისაგან გამოსასვლელად. საჭირო გახდებოდა ასეთი ბანდიტური მმართველობის ოგიერთი მეთაურის სასახლიდან ძეტეხისაკენ აყვანა დროებით. ნორმალური დემოკრატიული წყობილების დამყარებამდე. ამის აუცილებლობას სავსებით იზიარებდენ სხვა პარტიების მრავალი მეთაური, ბი და თვით მენშევიკური პარტიის ზოგიერთი პასუხი მგებელი წარმომადგენელნიც. ხოლო რაც შეეხება ამის განხორციელებას საქმის გაურთულებლად ეს უკვე აღარ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს. თვით მენშევიკურ პარტიაში იყო ზნეობრივად ნიადაგ დაკარგული ეს კამარილია. ის უკვე სავსებით გახრწნილი იყო და მისი დამცველი და მისთ ის სისხლის დამღვრელი, როგორც მალე გამოიკვა ყველასათვის, უკვე აღარავინ დარჩა.

მაგრამ, როგორც მენშევიკების ზოგიერთ მეთაურს აქვს ნათქვამი, ამ კამარილიას ბედმა გაუღიმა და მათი პოლიტიკური პიროვნების სამარცხვინო ბოძზედ გაკვრის ნაცვლად, წამებულის გვირგვინით შემოსილი

და დიდძალი ნადავლით გაიხიზნა ის უცხოეთში, როდესაც საბჭოთა რუსეთი შემოიჭრა საქართველოში. თამარის შემდეგ საქართველო არასდროს ყოფილა ასე გაერთიანებული და შემოკრებილი. ამავე დრ ს საქართველო არასოდეს ყოფილა დაპყრობილი ასე სწრაფად და სამარცხვინოდ, თვით მაშინაც კი, როდესაც ის ეხლანდელი საქართველოს მესამედსაც არ ეიცავდა.

არიან კიდევ ისეთი გულუბრიყვილონი ქართულს სახოგადოებაში, რომელნიც ჰფიქრობენ რომ ამ დროის პოლიტიკის საშინელების დაფარვა სასარგებლოა ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის. რასაკვირველია, ის ყოველს პირობებში სახელის გამტეხია ჩვენი ეროვნული საქმისათვის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მისი დაფარვა შეუძლებელია, რადგან ამ პოლიტიკის შედეგებს ნათლად ხედავს ყველა, ვინც საქართველოს ბედით არის დაინტერესებული და ქართველი ხალხი ხომ მისი სიმძიმის ქვეშ იზნიქება. ეს პოლიტიკა და მისი შედეგები ყველასათვის ცნობილია, ხოლო მისი წარმომშობი მიზეზები ბევრისთვის უცნობია. ამის გამო ეს სიმახინჯე მთელს ერს მიეწერება და არა განსაკუთრებულს პირობებსა და მცირე ჯგუფს. ამის გამო სირაქლემასრომ მივბაძოთ და თავი სილაში შევრგოთ, ეს არ იქნება სასარგებლო ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის და თავმოყვარეობისათვის. ყორდანია-რამიშვილის ბოროტებისა და სახელმწიფოებრივი დანაშაულთა დაფარვა ყოველივე ამის მთელი ერისათვის მიკუთვნებას მოასწავებს. ეს კი არ იქნება სამართლიანი და არც პატრიოტული და პატიოსნური.

შესაძლოა მოსახერხებელი იყო ამ ხამოკრატიული რეჟიმის გაჯანსაღება, გაგონიერება და გაპატიოსნება შიგნიდან ზედმოქმედებით, ფრთხილი პედაგოგიური მიდგომით ან კიდევ შეტევითა და გმობა-დაწუნებით? ყოველივე ასეთი ზომები ნახმარი იყო ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მიერ ყორდანია რამიშვილის

ამალის მიმართ. და იმათაც ბევრი ზნე და ხასიათი გამოიცვალეს გარეგნულად. ლურჯი ბლუზებისნაცვლად ზოგმა ამათგან სერ.თუკები და ფრაკები ჩაიცვა, მიხვრა-მოხვრაც ამას შეუფერა, და მათი გარდაქმნაც არსებითად ამაზედ შორს არ წასულა. ეს წრე რაღაც გასაოცარი შერჩევა იყო არასახელმწიფოებრივ ბუნების მექონ პიროვნებებისა. აქ სწორედ ეს მათი ხასიათი და ბუნება იყო მთავარი და გადამწყვეტი და არა მათი რევოლიუციური და სოციალისტური იდეოლოგია. ისტორიაში მრავალი მაგალითია იმისა, რომ უკიდურესი იდეების მიმდევარნი, როდესაც სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში ჩაბმულან. თავისი აზრები შეუხამებიათ ცხოვრების სინამდვილესთან ან და კიდევ თავისი გეზი აუღია ათ და როდესაც არა გამოსულა რა სახეირო, უკან დაუხვევიათ, ნაცად გზას და მიმართულებას დაბრუნებიან. მენშევიკების მეთაურებში იდეები არ თამაშობდა მთავარს როლს. მხოლოდ ამით აიხსნება მათი პოლიტიკის მიდრეკილება არც აქეთ, არც იქეთ, არც წინ არც უკან და არსებითად ერთს ადგილზედ ტკეპნა. ხოლო გარეგნული სახიერებისა და იერის მიღება იმისა და მიხედვით თუ ვის როგორ იამებოდა: ევროპის.თვის - ბურჟუასი და დემოკრატის და ბოლშევიკებისათვის კი-წითელზედ წითლის. ერთი სიტყვით, მედროვის ზნე და ხასიათი, ყველასი მოტყვილების და ბოლოს მხოლოდ თავისთავის მ ტყვილება და თავის ქვეყნის დაღალატება. რასაკვირველია, მე აქ სახეში მყავს მენშევიკური ხელმძღვანელობა და არა მთელი პარტია. ამ პარტიაში უთუოდ პატიოსანი იდეური მოღვაწეებიც იყვნ, სახელმწიფოებრივ ბუნების მექონეც, მაგრამ სადავე ამათ ხელში არასოდეს არ ყოფილა.

სრულიად უვიცნი, უმწეონი და უილაჯონი გამოდგენ ეს პირები არამცთუ საერთოდ, სახელმწიფოებრივს აღმშენებლობაში, არამედ იმ სოციალურ საკითხებშიაც, რის შესახებ ,.სინი მეოთხედი საუკუნე ქადაგებდენ.

როდესაც საქმე მიწა მიწისა და შრომის საკითხის გადაჭრაზედ, გამოირკვა, რომ მთელი მათი ავლადიდება ამ საგანზედ ჩამონაჭრებისა და რვა საათის სამუშაო დღის ლოზუნგებს არ სცილდება. მათს ბედზედ ერთმა რუსის მოხელემ უკვე შეადგინა სეიმის დროს 20 მარტის დეკრეტი. მათი შემოქმედება ამ დეკრეტს არ გასცილებია, ხოლო შესრულების დროს არც მიწების ჩამორთმევაში იყო დაცული რაიმე ზომები და არც მის დარიგებაში. ფაქტიურად ყველა სადავეები იყო მიშვებული და თვითეულს სოფელში ისე ტარდებოდა ეს დეკრეტები, როგორც ადგილობრივ მენშევიკურ იარეიკას მოეპრიანებოდა. მიწები უფასოდ იყო ჩამორთმეული, მაგრამ ის გაცილებით მეტად დაუჯდა ქართველ ხალხს, ვიდრე ეს მიწები ღირდა საბაზრო ფასებითაც რომ ვიანგარიშოთ. ასეთი რთული სოციალური რეფორმები ძმა-ბიჭური გზებით არ ტარდება; დეკრეტებიც ქაღალდზედ რჩებოდა და სტიქიონი სჭრიდა საკითხს. ასეა თუ ისე ეს საკითხი გადაჭრა ცხოვრების სტიქიონმა და მის შებრუნებას, მიწების უკანვე ჩამორთმევასა და პატრონებზედ დაბრუნებას და მით ახალი აგრარული რევოლიუციის მოხდენას ვერც ერთი სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული მიმართულება ვერ დაუჭერს მხარს და ვერ შეიწყნარებს. (იხ ალ. ასათიანი: მიწის საკითხი საქართველოში. 1919წ. გვ. 97-87).

ასევე უმწეო გამოდგა ჟორდანია-რამიშვილის კამარილია მუშათა საკითხის მოგვარებაში. თითქოს სწორედ ეს მუშები იყვენ «ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელ-ნი», და მათმა ვექილებმა და მეთაურებმა ვერამც თუ ვერ მოახერხეს მათი მდგომარეობის გაუმჯობესობა, არამედ ძველი მდგომარეობაც კი ვერ შეუნარჩუნეს მათ. მუშათა კავშირების ყრილობამ 919წ. გამოიანგარიშა დაწვრილებით მუშათა მდგომარეობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის ორჯერ უფრო გაუარესებულა ვიდრე იყო 1914წ. (იხ. მენშევიკების «ერთობა» N°97)

დემოკრატიული ქვეყნების შრომის წესები არ იქ-
ნა მიღებული: მუშები აგვიჯანყდებიან, ამათ უკეთესი
პირობები უნდა შეუქმნათ, ვიდრე სხვაგან არისო. ნა-
მდვილათ კი ეს კამარილია ზევიდან რევდა ამ მუშებს,
თორემ ისინი მეტად ზომიერნი იყვნენ და ფხიზლადაც
სჭვრეტდენ ცხოვრების სინამდვილეს. ისინი კარგად ხე-
დავდენ, რომ მათი უვიცი, უსაქმო და დემაგოგ მეთა-
ურები ვერ გააუმჯობესებდენ მათს მდგომარეობას. ეს
კი არ იყო შეუძლებელი. ფრიად მცირე რიცხოვანი იყო
ეს მწარმოებელ მუშათა წრე. ზოგი მიწაზედ დაბრუნე-
ბას მოინდომებდა. ნაძალადევი არა ვარგა რა, ხელი არ
უნდა შეგვეშალა. ყოველთვის მოგვეძებნებოდა ჩვენ-
თვის საკმაო მუშები, ჩვენი და უცხოელნი. მიწის მსუ-
რველთ მიწა უნდა მისცემოდა და სახლ-კარის გაშენე-
ბაც არ იქნებოდა ძნელი მათთვის გრძელ ვადიანი სეს-
ხის შემწეობით. ვინც დარჩებოდა, მათთვის დაწინაურე-
ბული დემოკრატიული ქვეყნების კანონები უნდა დაწე-
სებულიყო და ამასთან ერთად შესაძლო იყო წარმოებე-
ბის გაუმჯობესება ტეხნიკურად და გიგიენის მხრივ. ეს
უკვე დიდი გაუმჯობესება იქნებოდა მუშათა მდგომა-
რეობისა და არა გაუარესება. მაგრამ ერთი ნაწილი, შე-
იძლება მეტად გატაცებული იყო სოცი: ლისტური იდე-
ებით და მათ არ დააკმაყოფილებდათ ეს ბურჟუაზიულ-
გზებით მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. სხვაგან
ესეთ ჯგუფების გემოვნებას არავინ უწევს ანგარიშს, მა-
გრამ არც მათი დაკმაყოფილება იყო ძნელი ჩვენს სინა-
მდვილეში. რამოდენიმე ასი კაცის საკითხი იქნებოდა,
თუნდაც ათასის; მათის მასწავლებლების აზრით სოცი-
ალიზმის განხ: რციელება შეუძლებელია ერთსა დ ორს
დიდ სახელმწიფოებშიაც კი. მაგრამ ნაწილობრივად
სოციალისტური წყობის განხორციელება შეუძლებელი
არ არის. საჭირო იქნები და მოწყობა და მათთვის გადა-
ცემა ორიოდე პატარა ქარხნის, რომ ისკოლექტიურნი-
ადაგზედ მოეწყოთ, სრული ბატონ-პატრონი ყოფილი-

ᲩᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲔᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენში ეს ადვილია; დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნიბშიაც უთუოდ მალე დაადგებიან ასეთ გზას. იდეურ სოციალისტ და კომუნისტ მუშებისათვის საზოგადო წარმოებების მოწყობა დიდათ გაანელებს მუშათა საკითხის სიმწვავეს. თუ ეს ქარხნები კარგათ წავა, მათი რიცხვიც გამრავლდება, ხოლო, თუ ვერ იხეირებს, ისინიც იმ საერთო წესებს დაუბრუნდებიან, როგორიც სხვა წარმოებებშია. ასეთი წესებით შეიძლება საზოგადო თუ კერძო საფუძვლებზედ აგებულ წარმოებათა ბუნების პრაქტიკულად გამეღავნება და საყოველთაოდ ცხად ყოფნა, თუ ამათგან რომელი უფრო შეეფერება ადამიანის ბუნებას და ეკონომიური ცხოვრების თვისებებს.

ეროვნულ—დემოკოატიული პარტია. მართალია, ხშირად თავზედ ხელს უსვამდა მენშევიკური პარტიის მეთაურებს და ფერებით ცდილობდა მის თავაწყვეტილობის გაზომიერებას. დროს მოგება იყო საჭირო და რევოლიუციური ფსიხოზის განელების დაცდა. მაგრამ იმავე დროს ის სასტიკსა და მუდმივს ოპოზიციასაწარმოებდა მენშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს კრიტიკა მუდამ იყო გარკვეული და უკომპრომისო, მაგრამ ამასთან ერთად, რასაკვირველია, საქმიანი და არა უპასუხისმგებლო. ასეთი ბრძოლა სწარმოებდა პრესაში, პარლამენტში, საერობო და საქალაქო თვითმმართველობებში და ცხოვრების სხვა ასპარეზზედ. ამ პარტიის მეთაურებს არ გამორჩენიათ არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე და კითხვა საკონსტიტუციო დარგიდან, თუ ფინანსებისა, ადმინისტრაციის, სამხედრო საქმის და ვაჭრობა-მრეწველობისა, თუ ერობა-ქალაქებისა, აგრარულ და მუშათა საკითხებისა, რომ ის არ დაემუშავებინათ საფუძვლიანად და ახდილად. რაც შეკითხვები შესულა პარლამენტში ორი მესამედი ამ პარტიისგან იყო.

ყველა ეს შეკითხვები სათითაოდ ამქღავნებდა ისით სიმყრალეს, რ მ სხვა ქვეყნებში მთავრობა ვერ დარჩებოდა ერთ საათსაც. მაგრამ ჩვენ მენშევიკებს ასეთ შეუწყნარებელ ბოროტმოქმედების საპასუხ დ ყოველთვის ჰქონდათ სათქმელი თვით მინისტრებზედ, დღეიდანაღარ იზამსო. ამაზედ მეტი წინააღმდეგობა და შებრძოლება ხამოკრატიულ რეჟიმისა ეროვნ ლ-დემოკრატიულ პარტიას არ შეეძლო. ამის იქით იარაღით ბრძოლა და სამოქალაქო ომი იყო. აქედან ნათლად სჩანს, თუ (ამდენად საფუძვლიანია ზოგიერთების საყვედური-ეროვნულ დემოკრატია საკმაოდ ძლიერ ოპოზიციას არ აწარმოებდაო. ასეთი საყვედურები ისმის უმთავრესად იმათგან ვინც არ ცნობს მაშინდელს ამბებსა და ვითარებას.

თუმცა ასეთი საყვედურები ისეთი პირებისაგანაც ისმის რომელნიც ფინიასავით ფეხებს ულოკავდენ ყორდანია-რამიშვილს, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი ეროვნულ-დემოკრატიულ გამოცემებს ხურავდენ და ამ პარტიის მუშაკებს ციხეში ამწყვდევდენ თბილისა და პრო. ვინციაში. მიუდგომელ (ისტორია აღნიშნავს, რომ ამ პარტიამ სავსებით მოახმარა საღი ეროვნული პოლიტიკის დაცვას ყველა თავ .სი ძალები და რომ მან გამოიჩინა ამ ბრძოლაში საჭირო სიმტკიცე და მხნეობა. რაც შეეხება მის პოლიტიკური გეზის ავკარგიანობას, ეს უფრო ადვილი გამოსარკვევია. ცხოვრების მიმდინარეობამ უკლებლივ გაამართლა ყველა ვარაუდი ამ პარტიისა და ყველა მისი დაფასება პოლიტიკური ვითარებისა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მის მეთაურებს განსაკუთრებული და უმაგალითო შორსმჭვრეტელობა ჰქონდათ. არა, ეს აიხსნება ამ პარტიის მიმართულების საფუძვლიანობით. ის სინამდვილეს ემყარება და დაწინაურებულ ქვეყნების ფაქტიურად მომხდარ მაგალითებით ხელმძღვანელობს.

1921 წლის თებერვალ—მარტი, საბჭოთა რუსეთ·

ის ჯარების შემოჭრა საქართველოში და ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის წაქცევა მეტად მწარე და თან გრძელი ამბავია და მე მას აქ ვრცლად ვერ შევეხები. მოვიყვან მხოლოდ ერთ ცნობას, რომელიც საკმაოდ შუქებს ამ ომის ბედსა და მოსალოდნელ შედეგებს.

სამიოდე კვირით ადრე ომის დაწყებამდე, ჯარისა და გვარდიის ბიუჯეტი ირჩეოდა დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისიაში. ნ. რამიშვილს თავის თანა შემწედ ექიმი ჭიჭინაძე ჰყავდა იმ დროს აყვანილი სამხედრო მინისტრად. მაგრამ სერიოზულ საქმეებს მაინც ვერ ანდობდა მას და ამიტომ კომისიაში ახსნა—განმარტებას თვითონ რამიშვილი იძლეოდა, შინაგან საქმეთა მინისტრი იმ დროს უკვე მრავალი ნიშნები იყო ომის მოახლოვებისა და კომისიამ დაწვრილებითი ცნობები მოითხოვა თავდაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ. ნ. რამიშვილმა ფრიად დამამშვიდებელი მოხსენება გააკეთა. ყველაფერს ვერ გავამეღავნებო, და სადაც საიდუმლოება რჩებოდა იქ ექიმი და სხვა თავისი ამხანაგები დაიმოწმა. მოხსენების დასკვნა ასეთი იყო სიტყვა—სიტყვით: ჩვენ კარგა ხანია გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ჩვენს წინააღმდეგ ომი მზადდება და ჩვენც მისთვის მზად ვართ. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალას —ამ ჟამად ჩვენ გვყავს 75 ათასი ჯარი და გვარდია. ორ კვირეში გვეყოლება 120 ათასი და ერთ თვეში 200,000; რაც შეეხება იარაღს, ყრუთ მოგახსენებთ, რომ ამოდენა ყოველნაირი იარაღი არასოდეს არ ყოფილა ჩვენს საზღვრებში. ორი წელიწადი რომ ვიომოდ მუდმივად, იარაღი არ შემოგვაკლდება. ხოლო რაც შეეხება სურსათს, თქვენი საყვედური ერაძის მიმართ სავსებით სამართლიანია. ის ცუდ პურს აწვდის მუშებსა და მოსამსახურეებს. ხოლო ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ იძულებულ ვიყავით უწინარეს ყოვლისა მოგვემარაგებინა ორი თვის სამყოფი ჯარისათვის, ომის დაწყების შემთხვევისათვისაო. ამ ცნობების გამორკვევა ამ შემთხვევაში არ და-

გვაალდა, ხოლო საზოგადოთაა არ ხერხდებოდა ეს, რადგან სახელმწიფო კონტროლს არ უშვებდა გვარდია სამხედრო საწყობებში და საპარლამენტო კომისიისრევიზიებიკ უბრალო ფორმალობა იყო და არსებითად უმნიშვნელო, რადგან მმართველი პარტია არ საანობდა ასეთი კონტროლისა და რევიზიის საჭიროებას. ომი დაიწყო და პირველსავე დღეებში გამოირკვა ნ. რამიშვილის მოხსენების დამაღალატიანებელი სიყალბე. ბრძოლის ველზედ არ აღმოჩნდა მის მიერ აღნიშნულ ძალების ერთ მეშვიდედის მეტი. იარაღის ნაკლებობა იგრძნო ჯარმა, ორი წლის ნაავლად, ორს კვირეში; ფრონტზედ მყოფთ ვაზნები არ ჰქონდათ და თოფებზედ ხიშტები, ხოლო ზურგში შეკრებილთ თვით თოფებიაა. ორი-კვირაა არ იყო გასული, რომ სოფლებში მუჰადის ასობა გახდა საჭირო ასე მაირე რიაახოვან ჯარების გამოსაკვებად. «ერთად ერთ სახელმწიფოს აღ მშენებელმა» გვარდიამ ყველგან გახსნა ფრონტი, სადაა კი მტერი დაინახა და ასევე მოიქცა ნ. ჟორდანიას მთავრობა, რომელმაა ყველაზედ ადრე ჩამოაგდო პანიკა და გაქცევის სულისკვეთება დაამყარა.

თბილისის დატოვების შემდეგ თავდაცვის საქმის გამობრუნების იმედი თანდათან ქრებოდა.მაგრამ ჟორდანია-რამიშვილის კამარილიას ეს იმედები თავიდანვე ჰქონიათ დაკარგული და თავიდანვე ქონების გაზიდვის საქმით უფრო ყოფილან გართული,ვინემ ბრძოლის საქმით. ჯერ 16 თებერვალს აპირებდენ თბილისიდან გაქცევას. ჩვენმა და სხვა ფრაქციებმაძლივს ძლივობით შეაჩერეს. გასაგებია, რომ თბილისიდან ბათუმში გემზე დაჯდომამდე რამოდენიმე ცდა იყო მათი ჩამოგდებისა, მაგრამ ეს საქმეს ვერ გამოასწორებდ› და ამიტომ ეროვნულ—დემოკრატიულ ი პარტია შეუძლებლად ხდიდა ამ განზრახვების შესრულებას. ბრძოლაში არ ვარგოდა ეს კამარილია, თორემ სამოქალაქო ომის გაჩაღებასკიდევ მოახერხებდა. ისედაა მაირე რიაახოვანი მხედრო-

ბაᲡ, რასაკვირველია, გაიხრწნებოდა, დაიშლებოდა. საქართველოს იურიდიული სახის წაშლაᲡ არ იყო მისაღები.

17—18 მარტს მოხდა ᲛᲘᲡ სრული ლიკვიდაᲪია. ჟორდანიას მთავრობა გემზე შეეჯდა დამფუძნებელი კრების დაუკითხავად, მისთვის მოხსენების გაუკეთებლად. დამფ. კრება თვითონ შეიკრიბა და მთავრობა მოითხოვა გემებიდან, მაგრამ ის არ გამოᲩ ხადა. ყველა ფრაქᲪიებმა და თვით მენშევიკთა უმრავლესობამ უხდობლობა გამოუᲪხადა ჟორდანიას მთავრობას. ამის შემდეგ ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის მეთაურებმა გამოიტანეს დადგენილება, რომლის ძალითაᲡ ისინი არ იხიზნებოდენ ჟორდანია—რამიშვილთან ერთად, და რჩებოდენ საქართველოში, რათა გაეანაწილებინათ მშობელ ერთან მისი ხვედრი. ამ დადგენილებას სხვა პარტიებიᲡ მიემხრენ და თვით მენშევიკთა დიდი ნაწილი. მთავრობის გემი მთელი დღე იდგა ზღვაზედ და მოᲪიქულობას აწარმოებდა პარტიებთან, მაგრამ უშედეგოდ.

ორიოდე დღით ადრე თვით ნ. ჟორდანიამ მოიწვია ფრაქᲪიათა წარმომადგენელნი. გამოირკვა რომ მისი თანაშემწე ბოლშევიკებთან ზავს კრავდა ფრაქᲪიების და საგანგიბოდ შექმნილ დამფუძ. კრების კომისიის დაუკითხავად და რომ ნ. ჟორდანიას ბათუმში ოსმალთა ჯარი მოუწვევია, ასევე ამათ დაუკითხავად. ეს ჯარები უპირობოთ ყოფილა მოწვეული და ეხლა ამ ჯარის სარდლობა მოითხოვდა მთავრობის, დეპუტატების და მხედრობის ქალაქიდან გაბრძანებას. განმარტება ასეთი იყო: გვეგონა ხელს არ გვახლებდენო, გვეგონა რომ ბოლშევიკები მაგათ მოერიდებოდენ. ჩვენს განᲪვიფრებას და აღშფოთებას არ ჰქონდა საზღვარი. სხვათა შორის, ამ წიგნის ავტორი შეეკითხა ნ. ჟორდანიას—სინამ ასეთ ბრძნელ გეგმას მიიღებდით, რათ არ მოისურვეთ ფაქტიური განხორᲪიელება აჭარის ავტონომიისა. შე-

გვექმნა მათთან ერთად ავტონომიური მთავრობა, გადაგვეცა იარაღი, ხაზინა, ჯარები და ისინიც ხუთ—ექვს ათას მებრძოლთ გამოიყვანდენ პირველსავე დღეებში, ნაცვლად თქვენ მიერ მოწვეულ ოთხას ოსმალოს ასკერისა. თუ ოსმალნი თანაგვიგრძნობდენ, მაშინ უფრო შეეძლებოდათ მათ ფაქტიური დახმარება. ყოველს შემთხვევაში ეს აღსასრულის მომენტს დააგვიანებდა თქო. ნ. ჟორდანია ერთი წამით შეჩერდა, თითქო პასუხს ეძებსო. შეიძლება მას ჯაუაში დაუჯდა ეს მარტივი გეგმა, მაგრამ ნ. რამიშვილმა გამოიხსნა ის ბრძნული პასუხით— მაშინ უფრო ადრე მოვიდოდენ აქ ოსმალებიო; როგორ მოვიდოდენ უფრო ადრე, ეს, რასაკვირველია, არავის განუმარტავს.

მეორე თუ მესამე დღეს ნ. ჟორდანიამ დაიბარა თავის მატარებელში საპყრობილიდან გამოშვებული, ბოლშევიკების მეთაურები—ქავთარაძე, ტოროშელიძე და სხ. გადასცა მათ ქალაქი და ამცნო-ქალაქში ოსმალოს ჯარებიაო. თათბირი გექონდა ამის შესახებ, გვინდოდა ზომების მიღება, მაგრამ ვერაფერი გადავწყვიტეთ, რადგან ეროვნულ—დემოკრატებიც იყვენ იქ და ხომ მოგეხსენებათ მათი თურქოფილობაო. ჩვენ მიერ გამოთქმული აღშფოთება ქალაქის ოსმალთათვის გადაცემის გამო ნ. ჟორდანიამ უკუღმა შეგვიბრუნა. ჩვენი მიწა—წყლის სხვებისათვის გადაცემის მომხრე ჩვენ გაგვხადა, ერთი სიტყვით ეროვნული ღალატის ბრალი დაგვსდო. ჩუმათ დაგვაბეზღა და ამის შემდეგ ჩვენი სასახელო პრეზიდენტი გემზე შებრძანდა და ევროპაში გაემგზავრა, ვით იაზონი, არგონავტების პრეზიდენტი. ეს საუბარი სავსებით გამოქვეყნდა ერთი თვის შემდეგ, და ის არავის უარუყვია. დავრჩით და მეორე დღეს სწორედ ჟორდანიას მიერ დაბეზღებული პირები სწყვეტდენ დარჩენილი ჩვენი ჯარის ნაწილების მეთაურებთან ერთად ბათუმის ბედს. ბათუმი განთავისუფლებულ იქმნა ოსმა-

ლთა ჯარებისაგან. ყველასათვის გასაგები იქნება ქართველ პატრიოტთა ასეთი გადაწყვეტილება. მაგრამ ასევე გასაგები იქნება ოსმალეთის მეთაურთა აღშფოთება: სთხოვეს, მოიპატიჟეს და შემდეგ სისხლის ღვრით გამოისტუმრეს. ჩვენ მუდამ ვიყავით და ვართ ოსმალებთან მეგობრობისა და კეთილ განწყობილების მომხრე. ამ მხრივ ჩვენ თურქოფილებიც რომ გვეწოდოს, ამასაც არ უარვყოფთ. მხოლოდ ჩვენი თურქოფილობა ამ მეზობელ ერთან საერთო ინტერესებს ემსახურება და არა ჩვენი მიწა—წყლის მისთვის მიძღვნისა და თავაზის განზრახვებს.

ეროვნულ—დემოკრატიული პარტია იმავე მარტში იწყებს ახალს მუშაობას. უწინარეს ყოველისა ისახდენს პარტიული აპარატის რეორგანიზაციას, რასაც ზევიდან მომხდარ რევოლიუციის ხასიათი ეძლევა. პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა კარგად უწყიან რომ მშვიდობიანი დროისათვის აწყობილი პარტიული აპარატი არ გამოდგება ახალი ბრძოლის მძიმე პირობებში. უპირველესად ყოველისა მას ჩამოეკვეთა ის დიდი წრე, რომელიც წინეთ მშვიდობიან კულტურულ ეკონომიურ მუშაობაში იყო აღზრდილი. პარტიამ ისინი ჩაება პარტიულს მუშაობაში დამოუკიდებლობის ხანაში. ეს წრეები ნაკლებად გამოდგებოდენ ახალს. ფარულ მუშაობაში. ლეგალურ კულტურულ—ეკონომიურს ასპარეზზედ კი მათი მოღვაწეობა სასარგებლო იქნებოდ აერისათვის ისევე როგორც წინეთ, მეფის რუსეთის დროს. ასეთი მიმართულება მიეცათ ამ წრეებს და მართლაც არასოდეს გადაუხვევიათ ამ გზიდან. და ჩვენს პარტიულ ჯგუფებშიაც მოხდა გადარჩევა. ხელმძღვანელ ორგანოდან დაწყებული სოფლის წრეებით გათავებული წევრთა მხოლოდ მეექვსედი და მეხუთედი ნაწილი თუ იქმნა ამორჩეული ახალი მუშაობისათვის. დანარჩენებისათვის პარტიული მუშაობა შეჩერებული იყო და აღკვეთილი. გადარჩეულ ნაწილში კი შემოღებულ იქმნა

ახალი წესები მუშაობისა და უ ერთიერთ დამოკიდებულება მტკიცე ცენტრალიზაციასა და ძკაცრ დისციპლინაზედ დამყარებული. ამ ცვლილებების შედეგია, უმთავრესად, ის გარემოება, .ომ ამ პარტიის მუშაობაში თითქმის სულ არ ჰქონია ადგილი ჩავარდნებს და მუშაობის გამეღავნებას და ორგანიზაციების მეთაურთა მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლებს, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სხვა პარტიებში, რომელნიც ძველი წყობით შევიდნენ ამ ახალს ბრძოლაში. სულ რამოდენიმე თვის შემდეგ ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიას შექმნილი ჰქონდა მტკიცე და ძლიერი დარაზმულობა, რომლის მსგავსი არასოდეს ჰყოლიათ წინეთ საქართველოში არც მას და არც რომელიმე სხვა პარტიას. 1921წლის ნახევრიდან, 1922 წელს და 1923წლის ნახევ.ამდე ამ პარტიის მიერ შექმნილი დარაზმულობა რამოდენიმეჯერ გამომქღავნდა, მაგრამ ნაწილობრივ: 1921-22წლ. ზაფხულ გაზაფხულს სვანეთში და 1922წლ ის ზაფხ ელს ქიზიყ-ხევსურეთში, სტიქიურად მომხდარ აჯანყებებში და სამხედრო კავშირის აღმოჩენის დროს 1923წლის გაზაფხულს. სხვა პარტიების ძალა ბუნებრივად კლებულობდა ახალი, წმინდა ეროვნული ბრძოლის პირობებში. აქ კი მიმატება იყო და ზრდა უდავო და აშკარა. ამავე დროს ამ პარტიას სრულიად უსაღსროდ უხდებოდა ამ ახალი მუშაობის წარმოება. მისი ასეთი ნაყოფიერება არ აიხსნება მის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ორგანიზატორული თვისებებით. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის დიდი გარდატეხა, რომელიც მოხდა ქართველ ერში. მასში გაიღვიძა წმინდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სტიქიამ, რომელიც მას თანშეზრდილი ჰქონდა მრავალ საუკუნეთა მანძილზედ. ეს სულ დახშული იყო უკანასკნელი მონური საუკუნის დროს და შემდეგ კი დაჯორგილი ნ, ყორდანიის კამარილიას პოლიტიკური სიმყრალით.

ჯერ კიდევ არ დამდგარა ამ ხნის სავსებით დაფა-

სებისა და ახალი მებრძოლი დარაზმულობის დახასიათების დრო. მას არ ჰქონია მოკლე და დროებითი მიზნები. ის არ იყო მოწყობილი უსათუოდ აჯანყებისათვის, თუ პარტიზანულ ბრძოლებისათვის. საქართველო დაპყრობილი იყო უცხო ძალის მიერ და არა ეროვნული პოლიტიკა მიუძღვოდა მას. ეროვნული დარაზმულობა გამოდიოდა ასეთი მდგომარეობის სადარაჯოზედ. ის მარტო ხმალს არ ჰფერავდა, მისი წრეები მშვიდობიან ასპარეზზედ გასულნი, ლეგალურს ფარგლებში იცავდენ ეროვნული კულტურის პოზიციებს. აქტიურ ძალთა დარაზმულობა ეწყობოდა გადამწყვეტ მომენტისათვის, რო დესაც გამოისახებოდა ხაქართველოს დამოუკიდებლობის აღგგენისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის დამყარების რეალური შესაძლებლობა, გარეშე შურისძიებისა და სამოქალაქო ომისა. ამ ძალთა მშვიდი სულიერი განწყობილება ირღვევა 1922წლის თებერვლიდან, როდესაც საერთო რეპრესიები დაიწყო და ყველა მიმართულებისა და წრის მოთავე ელემენტები საპყრობილეში მოხვდენ. ნერვიულ განწყობილებამ აქა-იქ ამოხეთქა და იარაღით გამოსვლები დაიწყო. ამის შემდეგ ძნელი იყო ამ პროცესის სავსებით შეჩერება.

მაგრამ ეს აქტიური გამოსვლები მაინც საკმაოდ მოზომილი ხასიათის იყო, და შედარებით დიდ მსხვერპლსაც არ იწირავდა. მართალია, ხევსურეთის აჯანყების დროს, თვით სამხედრო ხელმძღვანელობამ დასვა საერთო აჯანყების საკითხი. იმ ხანაში ჩვენი პარტია სავსებით იზიარებდა მას. კოტე აბხაზის დასკვნა იყო ამ საგანზედ— აჯანყება ან ეხლა ან და არასოდესო. ეს გრძნობებისა და გუნების გამოძახილი არ ყოფილა, არამედ ცივი ანგარიშის. კომუნისტები ჯერ კიდევ არ იყვენ ფეხ-მომაგრებული. ამაკე დროს ეროვნულ დარაზმულობას დიდი ძალები ჰყავდა, რომლის მეათედიც არ იყო გამქღავნებული ხევსურეთის აჯანყების დროს. ამ ძალების კიდევ გაზრდა შეუძლებელი იყო არსებულს პირობებში, ხოლო

მისი დასუსტება და ხალხის სულიერი გაწყობილების შეცვლა კი უფრო იყო მოსალოდნელი. მაგრამ ეს აჯანყება არ შესდგა. მენშევიკებს არავითარი წილი არ ედოთ ამ მებრძოლ დარაზმულობაში, მაგრამ მათი წარმომადგენელი უკვე იჯდა პოლიტიკურ სენტრში ინტერპარტიულ შეთანხმების ძალით და შინაგანი ოპოზიციის გაწევა შეეძლოთ. გარედანაც პრეტენზიები ჰქონდათ გამოცემული ჩოლოყაშვილის რაზმების წინააღმდეგ. მათი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციად ჰქონდათ უკვე მოთლილი. ჟორდანია-რამიშვილის პოზიცია ნათელია; ასეთი დარაზმულობის გამარჯვება შეუძლებლად გახდის ჟორდანია-რამიშვილის რეჟიმის რესტავრაციას; ამის გამო ის არ იყო მათთვის სასურველი. მენშევიკების სენტრი მაშინ უკვე ამ ეთების ხელში იყო. საერთო აჯანყება მოიხსნა, მაგრამ სულ მცირე ხანმა განვლო და როლები იცვლება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სამხედრო მეთაურობა უკვე აღარ ამყარებს იმედებს ასეთს აჯანყებებზედ. 1923 წლის გაზაფხულზედ სამხედრო სენტრის დაღუპვა კ. აფხაზის, ვ. წულუკიძის და ა. ანდრონიკაშვილის მეთაურობით, საერთო აჯანყების იდეას კიდევ უფრო უკარგავს ნიადაგს ამ წრეებში; ამ ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის მეთაურთა წრიდან კიდევ რამოდენიმე წევრი გადის უცხოეთში და იქაური პირობების დაფასების მიხედვით აჯანყების გეგმის აუცილებლად მოხსნას ურჩევენ თავის პარტიას საქართველოში. 23 წელს რამოდენიმ.. რჩევა გაიგზავნა ასეთი და 24 კიდევ ორი ცნობა სავსებით კატეგორიული. განმარტებული იყო ვრცლად საგარეო მდგომარეობა და სრული უიმედობა და შეუძლებლობა რაიმე დახმარებისა ჯარით, იარაღით და საღსრით. ერთი ასეთი ცნობის ნაწილი გაზეთ «კომუნისტ შიდაც» ყოფილა მოხსენიებული; ალ. ასათიანი 23 წლის დასაწყისში უთვლიდა თავისიანებს აჯანყებისათვის

ემზადეთ, პარტიზანული ბრძოლა განაგრძეთ, ნავთსადენი და ნავთსადგურები გააფუჭეთო და სხ. ასეთი ᲪᲜობა არ იქნებოდა გასაკ ირი იმ დროს: აჯანყების ფსიქოლოგიით ვიყავით გასულიᲣᲪხოეთში, მაგრამ ესეᲪ არ იყო ეს ბარათი კერძოდ ჩემი არ ყოფილა და იქ აჯანყების რჩევა კი არ იყო, არამედ მისი უარყოფაკატეგორიული და დასაბუთებული. გვწერდენ: -მენშევიკები სავსებით დადგენ აჯანყების ნიადაგზედ თანახმად ნ.ხომერიკის მიერ ჩამოტანილ ინსტრუᲪიებისა და გვირჩევენ კვლავ შეუდგეთ მზადებასაო. გასული რაზმებიᲪ ვერ შეინახავენ თავს თუ აქტიური მოქმედება სავსებით მიატოვესო. ჩვენი პასუხი ასეთი იყო-მენშევიკების მიერ ასეთი გეგმის მიღება დაგვიანებულია. შინაური პირობები გაᲪილებით Ცუდია ვიდრე იყო, საგარეო პირობები სრულიად არ არის ხელსაყრელი; რაᲪ შეეხება შეიარაღებულ ძალებისათვის აქტივობის აუᲪილებლობას, აქაᲪ ურჩევდით ისეთი გამოსვლების შერჩევას, რომელიᲪ ნაკლებ მსხვერპლს გამოიწვევდა. მოსახლეობის მოᲨორებით ნავთის მილის დაზიანება და ნავთის დაღვრა მეტს გამოძახილს შეჰქმნის, ვინემ ჩეკისტების სისხლის ღვრა და მსხვერპლსაᲪ ნაკლებს შეიწირავსთქო. ერთი სიტყვით უკვე იმ პირველს წერილშიᲪ კატეგორიული ხასიათის რჩევა იყო: ყოველივე რაᲪ აუᲪილებელია მებრძოლი ძალების გადასარჩენად, დასაᲪავად, ხოლო აჯანყება არაერთგზის შემთხვევაში თქო. მაგრამ ასეთმა გაფრთძილებებმა უკვე ვერ გასჯრა, როდესაᲪ აჯანყების წინა თვეებში საქართველოში ჩავიდა მთელი გუნდი მენშევიკებისა, ვალიკო ᲯᲘᲯᲔᲚᲘᲡᲘᲡ და ბენია ჩხიკვიშვილის მეთაურობით. მათ დაარწმუნეს პარიტეტული კომიტეტის ყველა წევრები, რომ თუ ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი ევროპაში წინააღმდეგი არიან აჯანყების მოხდენის, ეს იმითი აიხსნება, რომ ისინი არ თანამშრომლობენ მთავრობასთან და ამის გამო არ უწყიან იმ დახმარების შესახებ, რომელიᲪ აღთქმული

აქვს ჩვენს მთავრობას მაკდონალდის და ერიოს მთავ-
რობებისგანაო.

ჩვენ აქ ვერ ვიკისრებთ ამ უკანასკნელი შვიდიწლ-
ის ამბების დაწვრილებით განხილვას. ნაწილობრივ ეს
შემდეგ თავში გვექნება მოხსენებული. ამ ჟამად ჩვენ აღ-
ვნიშნავთ მხოლოდ მთავარს ხაზებს ამ ბრძოლებისა და
მუშაობისა საქართველოსა და უცხოეთში. აქ ორი უმ-
თავრესი ძალა ავსებდა ბრძოლისა და ყოყელგვარი მო-
ქმედების ასპარეზს. ეს იყო ჟორდანია-რამიშვილის მთა-
ვრობა და პარტია და მეორეს მხრივ ეროვნულ-დემო-
კრატიული პარტია და მის გარშემო ქემოკრებილი სა-
მხედრო და სხვა საზოგადოებრივი ძალები. პირველი იყო
ძალა პოლიტიკურად წაქცეული და დამარცხებული, ქვეყ
ნისათვის მრავალჯერ მიყენებულ უბედურებათა პასუხი-
სმგებლობით დაყურსული და დამძიმებული. მეორე იყო
მემკვიდრე და მატარებელი საქართველოს მრავალ-საუკ-
უნოვან ბრძოლებისა თავისუფლებისათვის, ახალი საქა-
ართველოს ეროვნული ცხოვრების ყველა ღირებულებათა
შემქმნელი, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის ყველა დაფა
სებებსა და დასკვნებში გამართლებული. ეს ორი ძალა
საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა დარაზმულიყვენ, სა-
ქართველოს განთავისუფლებისაკენ უნდა მიეართათ
ველა თავისი ძალები და შესაძლებლობანი. ამას მოით-
ხოვდა ჩვენი ეროვნული ინტერესები და ქვეყნის მდგ-
ომარეობა. მაგრამ ამის განაღდება შეუძლებელი ხდება.
ჟორდანია-რამიშვილის კამარილიის მოღვაწეობა თა-
ვიდანვე აუმხედრდა ამ მეორე დარაზმულობას. ის მას
შეუპოვარ ბრძოლას უცხადებს როგორც საქართველ-
ოში, ისე უცხოეთში და ამ ბრძოლაში ის არ ზოგავს არა-
ვითარ ზომას, არავითარ საშუალებას.

ამ ბრძოლის უმთავრეს მომენტს წარმოადგენს პა-
რტიათა შორის შეთანხმების დადება 1922 წლის მაისში
რომელსაც ჟორდანია-რამიშვილის კამარილია არ თა-
ნაუგრძნობდა იმის გამო, რომ ამ შეთანხმებაში საბო-

ლოოდ იყო უარყოფილი ეორდანიას მთავრობის მთავ-
რობადვე დაბრუნება საქართველოში და საერთოდ მენ-
შევიკური რეჟიმის რესტავრაცია. აქედან დაწყებული
ბრძოლა ეორდანია-რამიშვილისკამარილიისა ამ შეთა-
ნხმების წინააღმდეგ და მის ნიადაგზედ შექმნილ პარიტე-
ტულ კომიტეტის წინააღმდეგ, დაბოლოვდა 1924 წლის
აგვისტოს აჯანყებით, რომელმაც იმსხვერპლა პარიტე-
ტული კომიტეტი და მისი მებრძოლი დარაზმულობა,
რამოდენიმე ათასი საუკეთესო ქართველი. ორი წლის
მუშაობა დასჭირდა ეორდანია-რამიშვილისკამარილი-
ას და ამას დიდძალი საერთო საღსარიც მოხმარდა, რომ
მებრძოლი წრეები შეცდომაში შეეყვანა მრავალი დახ-
მარების აღთქმით და აჯანყება ისეთს დროსა და ისეთს
პირობებში ერჩიათ, რომ ის ისეთი კატასტროფით და-
სრულებულიყო, რომ დამკომი და მისი ძალები მაინც
უთუოდ დაღუპულიყო.

საერთოდ რომ ავიღოთ ეორდანია რამიშვილის
წრის მუშაობა საქართველოში ამ წელთაგასწვრივ, ჩვენ
ნათლად დავინახავთ, მის უმთავრესსა და დამახასიათე-
ბელს თვისებას: ბოლშევიკებს ებრძვიან უნიჭო პრო-
ლამაციებითა და ჭორებით, ეროვნულ—დემოკრატი-
ულ პარტიას და მის გარშემო შემოკრებილ ძალებს ფრი-
ათ გაიძვერული და მზაკვრული ზომებითა და იარაღით.
ეს არა ერთსა და ორს მენშევიკს გაუმეღავნებია ახდი-
ლად და გულწრფილად საქართველოსა და უცხოეთში და
იმედია მომავალში კიდევ მეტი აღიარებს ამ საშინელს
ეშმარიტებას. მიუხედავად ამისა ასეთი მათი ბრძოლა
ხშირად წმინდა —წყლის ბრძოლად საღდება შინ და გა-
რედ და მას დიდი რეკლამაც აქვს. ამით ეკერ თვითონ
არიან გართულნი საერთოეროვნული ქონების ხარჯზედ
და შემდეგ ბოლშევიკები, რომელნიც მუდამ მათ შესა-
ხებ სწერენ და ისინი გამოჰყავთ ჩვენი ეროვნული ბრ-
ძოლის ქვაკუთხედათ. ეს არ აიხსნება იმით, რომ ბოლ-
შევიკებს ისინი მართლა ასეთებად და თავისთვის უდი-

დეს საშიშროებად მიაჩნიათ, არამედ სწორედ იმით, რომ ასეთებად არ მიაჩნიათ. ისინი ჭკვიანად სჭრიან. მათ კარგად იციან, რომ ქართველი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლის გახვევა მენშევიკურს სამოსელში სახელს გაუტეხს მას შინ და გარედ. ქართველ ხალხს ყოველს მდგომარეობაში ჰყავს ისინი გამოცდილი და არ შეიძლება რომ მას იმათი ნდობა ჰქონდეს. უცხოეთს, რასაკვირველია, კიდევ ნაკლები. აი ასეთი ყოველ მხრივ წყალ-წაღებული და ყოველგან და ყოველთვის დამარცხებული და გაბახებული ქორდანია-რამიშვილის ხალხი გვებრძვის ჩვენ და სხვა არავინო. ჩვენი ეროვნული ბრძოლის ასე დასახვა ფრიად გამოსადეგია კომუნისტებისათვის აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ეს მეორე ინტერნაციონალი არ თანაუგრძნობს საბჭოების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გეზს. ქორდანია-რამიშვილის ხალხის, მეორე ინტერნაციონალის წევრების, ასეთ «შოვინისტური» ბრძოლის მეთაურად დასახვა ფრიად მოხერხებული ფანდია მათის მხრივ.

ვგონებ ერთად ერთი შემთხვევა იყო, როდესაც კომუნისტები გადასცდენ ასეთს ხაზს და აგვისტოსაჯანყების შემდეგ მენშევიკებს უთხრეს ახდილად კახიანის პირით: თქვენ რისი იმედი გაქვთ, რისთვის ცოდვილობთ? აი აგვისტოს აჯანყება გინდოდათ ისე მოგეწყოთ, რომ თქვენ მეტად გამოჩენილიყავით, ვინემ სხვები, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეთ და სადაც რამ ძალები გამოვიდა აჯანყების დროს ეს ყველა ეროვნულ-დემოკრატების ხელში იყოვო.

საქართველოს გაერთიანებული ფრონტის სახელს დღეს ქორდანია-რამიშვილის კამარილია ითვისებს. რაც შეეხება ჩვენი პარტიის დამოკიდებულებას ამ ახალ «ერ ონტთან» ამ საკითხს სწყვეტს შემდეგი გარემოება: ჩვენი პარტია და მიმართულება იყო თაოსანი, საძირკვლის ჩამყრელი და შემდეგ მეთაური ძალა საქართველოს მე-

ბრძოლი ფრონტისა, ამის მიხედვით ის ვერ იქნება მომხრე და თანამებრძოლი მისი წინააღმდეგობისა და უარყოფის, თავიდანვე მისი მოპირდაპირისა და შემდეგ დაღუპვის მიზეზის. მეორეს მხრივ, ერის დიდი უმრავლესობის თვალში ქორდანია-რამიშვილის კამარილია იყო მთავარი დამნაშავე ყველა ჩვენი უბედურობისა 1921წლამდე და მის შემდეგ. ხოლო ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში ყველა დაკავშირება და დაახლოვება ჩვენი ძალებისა ამ წრესთან იწვევდა ამ ძალების დაზიანებასა და ხშირად ჩავარდნასა და დაღუპვას. ყოველივე ამის მიხედვით, აქტიურ მებრძოლ ძალების კვლავ გადაბმა ქორდანია-რამიშვილის წრესთან არამცთუ არ არის სასურველი, არამედ ეს არც არის შესაძლებელი და განსახორციელებელი. საქართველო განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი წაიქცა 1924 წელს, მაგრამ ის არ მომკვდარა. ის კვლავ ცოცხლობს მრავალ ქართველთა გულში საქართველოსა და უცხოეთში და ის კვლავ აღსდგება იმავე გზით, ხოლო დაერიდება იმ ხიფათს, რამაც ის დაღუპა.

საქართველოს გარეთ, უცხოეთში მუშაობის პირობები კიდევ უფრო გართულებული იყო ჩვენი პარტიისათვის. ქორდანია-რამიშვილის წრის განკარგულებაში იყო დიდძალი ეროვნული ქონება. ამას უნდა დაუმატოს ის ოფიციალური სახე და ფორმა, რომელსაც მცირე მნიშვნელობა არ ჰქონდა უცხოეთში მუშაობისათვის და რომელიც მათ ასევე თავის პარტიის იარაღად გაიხადეს. ჩვენი პარტია მოკლებული იყო ყოველივე ამას. ბევრი მას მუდმივი გამომცემლობის უქონლობას უსაყვედურებს. მათ ჰგონიათ, რომ მენშევიკური გამოცემები ქორდანია-რამიშვილის ჯგუფის მბნეობისა და გაოჯის ნაყოფია და არა წყარო მათი არსებობისა. მათი გამოცემის თვითეული ფურცელი თითო მოხელეს ასაზრდოებს. ეს არ არის მსხვერპლი მათის მხრივ, არამედ პენსია და ჯილდო ქორდანია-რამიშვილის კამარილიის ერ-

თგულობისათვის. მათმა გამოცემებმა დიდძალი საერთო თანხები შეიწირა. ეა რა საშინელებას წარმოადგენს ეს ეროვნული საღსო თა და ეროვნული ბრძოლის სახელით გამოცემული მენშევიკური წიგნაკები და ჟურნალები! საქართველო, ქართველი ერი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ბრძოლა განთავისუფლებისათვის და ერთის სიტყვით ყოველივე რაც კი შეეხებაჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ერს, დაჩრდილულია და დაფარული მენშევიკური პარტიით, მენშევიკური მთავრობით, ნ. ჟორდანიისა და რამიშვილის ბუმბერაზობითა და სიბრძნით. ამათი ქება ხოტბა, ამათი განდიდება და ამათი სახელის მიკერება ყოველივესი და ყოველთვის, სადაც ეს კიდევ არის დასაშვები და იქაც, სადაც ეს სრულიად გაუგებარია და დაუშვებელი, ხოლო ჩვენი ერისათვის დამამცირებელი და სახელის შემლახველი. ჟორდანია-რამიშვილის ამალის ქება-დიდებასთან ერთად სწარმოებს ლანძღვა-გინება და დამცირება ყველა ევროპის წყობისა, მმართველობისა და მთავრობების. და, რასაკვირველია, ესეც საქართველოს ხარჯზედ და საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის სახელით. შეიძლება ჩვენ არ გვქონდეს ამ სახელმწიფოების რაიმე იმედი ამ ჩვენს ბრძოლაში, მაგრამ სტუმართმოყვარეობისა და თანგრძნობის მეტი ჩვენ არა გვინახავს რა მათგან. და რად არის საჭირო მათსავე მიწა-წყალზედ მათიკე ასე უკმეხად მოქცევა და ჩვენი ერისადმი ცუდი განწყობილების დათესვა მათში, ყოველივე ეს შეადგენს საიდუმლოებას ჟორდანია-რამიშვილის დიპლომატიისა.

უნებლიეთ ადარებთ ყოველივე ამას იმ მუშაობას რომელსაც ეწეოდენ წინეთ ევროპაში ქართველ პატრიოტების მცირე რიცხოვანი ჯგუფები. ვარლამ ჩიქოვანი-შვილი ნახევარი საუკუნის გასწვრივ იყო ერთგული საიდუმლო ელჩი საქართველოს საიდუმლო მთავრობისა, მესამოციანთა დასის. მისი შემწეობით საქართველოს მოწინავე საზოგადოება მუდამ ჩახედული იყო ევროპის

პოლიტიკაში და ევროპასაც აცნობდა ის საქართველოს საკითხს მისდამი ინტერესის ფარგლებში. შემდეგ ასეთს მუშაობას ეწეოდენ ევროპაში—არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მ. ხ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, პ. სურგულაძე და სხ. მსოფლიო კონფერენციებზედ გაჰქონდათ მათ საქართველოს საკითხი და ჩვენს ერს მეგობრებსა და დამხმარეთ უბეევებდენ ევროპის მოწინავე წრეებში. ეს მუშაობა სწარმოებდა სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ეროვნული მაჯისცემა ძლიერ სუსტი იყო შინ და, რასაკვირველია, უცნობი გარედ. ამ მუშაობას აწარმოებდენ ეს წრეები თავისი ღარიბი ჯიბის ხარჯზედ მაშინ, როდესაც ეხლანდელი მუშაობა სწარმოებს უკვე თავისუფლებისათვის მებრძოლ ერის სახელითა და საღსრით.....

გასაგებია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ვერ მისცემდა დასტურს ქორდანია-რამიშვილის ასეთს უპასუხისმგებლო მუშაობას უცხოეთში. მაგრამ შეუძლებელი გახდა ამ წრეზედ რაიმე ზედმოქმედება, თუმცა გამოცდილი იყო მრავალი გზა და მრავალი ღონისძიება, ზოგი მშვიდი და მოთმერებისა და ზოგი კიდევ შეტევისა და შებრძოლების. 1922 წლის შეთანხმების ძალით, რომელიც საქართველოში იქმნა დადებული ყველა მებრძოლ პარტიათა შორის, მთავრობა დატოვებულ იქმნა დიპლომატიურ მუშაობისთვის უცხოეთში, რადგან მისი შეცვლა აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ეს მუშაობა უნდა ეწარმოებინა მას საქართველოს პოლიტიტეტულ კომიტეტის მიერ დანიშნულ პირებთან შეთანხმებით. ქორდანია-რამიშვილმა იცნეს ეს შეთანხმება, ხოლო ფაქტიურად შეუძლებელი გახადეს მის განხორციელება. ამის შემდეგ ჩვენი პარტია იძულებული გახდა უცხოეთში დაედვა მათთან დამატებითი პირობები, რომ მათს მუშაობაში მცირეოდენი ცვლილებების შეტანა მაინც გამხდარიყო შესაძლებელი. თითქმის ყოველ წლიურად იგვრებოდა ასეთი პირობები და არც ერთი პირობა არ ყო-

ფილა მათ მიერ პატივდადებული და შესრულებული. როგორც იყო დაწყებული ისე გრძელდებოდა რამოდენიმე ფანატიკოსის თავაღებული მოქმედება ქართველი ერის სახელით და მთელი ეროვნული საღსრის ამ ჯგუფისათვის მიკუთვნება. როგორც ჩვენი პარტიის წრეები აგრეთვე ყველა სხვა ჯგუფები საბოლოოდ ერწმუნდებიან ყოველივე ამის შემდეგ, რომ ამ წრესთან რაიმე პატიოსნური შეთანხმებისა და კავშირის დამყარება არის სრულიად უიმედო და შეუძლებელი. ხოლო საკუთრივ მათ მიერ ნაწარმოები მუშაობის შედეგები მეტად სამძიმო გამოდგა და მწარე: საქართველოს მებრძოლი დარაზმულობა აფეთქებულ იქმნა ბოროტად და მზაკვრულად, ხოლო საქართველოს გარეშე ჩვენი საქმის: და ჩვენი ერის წინააღმდეგ ამხედრებულ იქმნა მრავალი მახლობელი მეზობელი თუ შორეული თანამგრძნობი და ქართულ წრეებში კიდევ დანერგილი და განმტკიცებული ერთმანეთისადმი სიძულვილი და გაბოროტება. ეორდანია-რამიშვილის ასეთი გეზი ფრიად მტკიცედ არის მოხაზული და ის ტარდებ დიდის სიმტკიცითა და მუდმივობით. მეტად ხელოვნური იქნება და არა სარწმუნო მისი ახსნა იმით, რომ ეს მათ უვიცობით მოსდისთ და რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ მიხვდენიმას, რომ ჩვენი შინაური და საგარეო ძალების დაშლა და დაქცევა ჩვენ გვამარცხებს და არა მტერს და რომ ამით შეუძლებლად ხდება ან და დიდათ გვიანდება ჩვენი საქმის გამარჯვება. გაცილებით უფრო მეტი დასაბუთება დარწმუნებაექნება ბეორეაზრს რომ ეორდანია-რამიშვილისათვის სრულებით არ არის საშურო და სახარბიელო საქართველოს განთავისუფლება და დაბრუნება იქ, სადაც მათ მოელისთ გასამართლება 21 წლის კატასტროფისათვის, თანახმად ყველა პარტიების მიერ დადებულ ხელშეკრულებისა და პასუხისგება ამის შემდეგ ჩადენილ არა ნაკლებად მძიმე დანაშაულობებისათვის. კერენსკისგან არ მოელიან ისინი ასი ათას რუსის სალდათს, რო

გორაც ეს 1917 წლის რევოლიუციის დროს იყო. ვინაც მათს პირადულ თვისებებს იცნობს, იმისათვის არ იქნება მაინც და მაინც საკვირველი, რომ ესეთს რამეზედ გაცვალონ მათ ადვილად და სიხარულით ემიგრანტული მინისტრობა, უცხოეთში, სადაც ისინი ატარებენ მთელს თავის ცხოვრების მანძილზედ ყველაზედ უფრო წყნარს, უდარდელს და უზრუნველყოფილს ცხოვრებას და სადაც მათ არც შიში აქვთ რაიმე პასუხისმგებლობისა ძველი თუ ახალი დანაშაულობის გამო.

როდესაც დაიწერება ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის მიუდგომელი ისტორია, მაშინ ჯახდება ყველასათვის ნათელი, რომ ერთი იყო ამ წელთა ნამდვილი შინაარსი, მისი არსება, და სხვა იყო მისი გარეგნული სახიერება და ხმაური. როგორც წინეთ, ისევე ეხლაც ყოველივე რაც დადებითი გაკეთებულა და დაფუძნებულა ჩვენს ცხოვრებაში, მშვიდობიანი მოღვაწეობით, ამ მიმართულების მიმდევარ წრეების მიერ და რაც ბრძოლა გადახდილა საღი და პატიოსანი, უანგარო, თავგანწირულებით და თავდადებით გაკეთებული, სულ მცირედი გამონაკლისით, ესეც ამ მიმართულებისა და პარტიის მიერ შექმნილ დარაზმულობის მიერ. საქართველოს მრავალ საუკუნოვან მებრძოლი მატიანეს მემკვიდრეობა აქ მოთავსებულა ისევე, როგორც ჩვენი წარსულის სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობა. აქ წარმოიშვა მრავალი სასახელო საქმე, მრავალი ეროვნული გმირი. ამათგან ბევრის სახელი სრულიად უცნობი იყო წინეთ, ხოლო ჯრიად ცნობილი იქნება მომავალში. ზოგნი დაიღუპენ, ზოგნი გადარჩენ. ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის ძველი ძალებიც არ ჩამორჩენია ამ ახალ ტალღებს, არც პარტიის მეთაურობა და არც ნისი მიმყოლი ფენები. კონსტანტინე აფხაზის სოკრატისებური ამაღლება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე და ვიქტორ ყარანგოზიშვილის ორმოცდაათი დღის შიმშილობა სოლოვკის საბყრობილეში და მისგან სიკვდილი მსოფლიოის-

ტორიის ფურცლებზედ აღიბეჭდებოდა ეგზომ დასჯილი რომ არ იყოს ბედისაგან ჩვენი ერი. გიორგი წინამძღვრიშვილის და მიხეილ გვალიას არაჩვეულებრივი მხნეობა და თავდადება ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლების საუკეთესო ფურცლებს დაიპყრს. მეთაურთა წრეს მისდევს მრავალი სხვები რომელთა სასახელო მოღვაწეობა აავსებს ამ ხნის მატიანეს.

ჩვენი პარტიის მებრძოლ ძალებთან იყვენ თავიდანვე შედუღებული სულითა და ხორცით პარტიის გარეშე მდგომი ეროვნული ძალები, საქართველოს განმათავისუფლებელ საქმისათვის მებრძოლნი და მისთვის განწირულნი; კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი და მიტროპოლიტი ნაზარი, ღენერლები-ანდრონიკაშვილი, წულუკიძე. გარდაფხაძე, პოლ. მუსხელიშვილი და მრავალი სხვა მათი მიმდევნი სახელოვანი გუნდები.

ასეთმა დარაზმულობამ მისცა მიმართულება ჩვენს განმათავისუფლებელს ბრძოლას და ისევე შეადგენდა მუდამ მის ფაქტიურ ძლიერებას. ამ წრეებმა შთაბერეს ამ ბრძოლაში ჩვენი დროისთვის ახალი, მაგრამ ნამდვილად კი ძველთა ძველი სული ეროვნული ბრძოლის. ამათ შექმნეს ამ ბრძოლის ბუნება, ზნე და ხასიათი; გაბედული და მტკიცე, მაგრამ ამასთანავე დინჯი და დარბაისელი, ფუქსავატ ხმაურობას, ტრაბახს და საქვეყნოდ გამომზეურებას დაშორებული, შიგნით უსაზღვრო თავგანწირულების ცეცხლით გაშუქებული, ხოლო გარედან მოკრძალებითა და მორცხვობით ბინდ გადაკრული და დაფარული. მათ შექმატეს ჩვენს მატიანეს ახალი სასახელო ფურცლები, რომლითაც იამაყებენ ჩვენი ერის მომავალი თაობანი.

ძლიერ ბევრისათვის შეადგენს სრულს საიდუმლოებას ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის ეს ნამდვილი ბუნება და ხასიათი. ყოველივე ამის შესახებ დუმილს ქქონდა თავისი მიზეზი. პირველი იყო ამ წრეების

ხნე და ხასიათი, მათი მიდგომა საქვეყნო საქმეებისადმი. გარეშე ამისა ამ წრეებს არ ყოფნიდა ძალა და საღსარი, რომ ეს ბრძოლის საქმეს ეწარმოებინათ და ამასთანავე ჯეროვანი გაშუქება მიეცათ მისთვის შინ და გარედ.

რასაკვირველია ამას თავისი უარყოფითი შედეგები მოჰყვა. ეროვნულ ბრძოლას და, საზოგადოთ, ყოველგვარ საქვეყნო მოქმედებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ეროვნულს ცხოვრებაში. კარგი მაგალითი სკოლაა ხალხისათვის. ის წვრთვნის და ამზადებს მას. ამ მხრივ საზარალო იყო წესიერი ეროვნული ბრძოლის მაგალითების დაჩრდილვა, მაგრამ კიდევ უფრო საზიანო იყო, როდესაც ამას 'ყორდანია-რამიშვილის კამარილია იწყოდა და ითკისებდა, რადგან ეს მხოლოდ ჩოდილავდა და ასუსტებდა ხალხის თვალში ამ ბრძოლების მიმზიდველობას და მნიშვნელობას.

მაგრამ ასეთ დუმილს თავისი დადებითი შედეგებიც ჰქონდა. მან ბევრი რამ გამოამჟღავნა, გამოაშკარავა, სხვა და სხვა ჯგუფებისა და პიროვნებების ბუნება და ხასიათი საქვეყნოდ გამოამხეურა. ეს არ იყო ზედმეტი, რადგან ჩვენი ახალი პოლიტიკური ცხოვრება ფრიად მცირე ხნოვანია და მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გამოურკვეველი. განსაკუთრებით დიდი ძასალა მისცა ამ მოვლენამ ჩვენს პარტიას. მის მტერსა და მოყვარეს ყველა ფარდები ახადა. მათი ბუნების და ხასიათის ყველა კუნჭულები გაანათა. დღეიდან მტრის ბუნება და ხასიათი უფრო ცნობილია, მისი ძალა და შესაძლებლობანიც უფრო გამორკვეულია. მოკავშირეთა სახეც გამჟღავნებულია. ზოგი მათგანი მტერზედ უარესი გამოდგა. ჩვენს მიმართულებასთან დაახლოებულ წრეებში კიდევ ზოგმა თუ მოულოდნელი ერთგულება გამოიჩინა, ზოგმა კიდევ მოულოდნელი ორგულობა გვაჩვენა. წინეთ ამ მიმართულებას რომ აფარებდა თავს და ის ყავდა მიჩნეული თავის ფარად და იმედათ, ეხლა ის მძიმე პირობებში იპოვა და მას ზურგი აჩვენა, ან კიდევ თვით მახის

დაგება მოუნდომა, თუ ახდილად ქვა და გუნდის მიყრა განიზრახა. ყოველივე ასეთი დაფარული თვისებების გამეღავნება, რასაკვირველია, სასარგებლო იქნება მომავალში. ჩვენი პარტიისათვის ერთგულობას თავისი დაფასება ექნება და ორგულობას კიდევ თავისი. მაკრამ ამ დაფასებიდან ამორიცხული უნდა იქნეს ყოველგვარი შურისძიების ელემენტი. ეს სრულიად არ ეთვისება სახელმწიფოებრივ ბუნებას ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიისა. მან თვითეულს შემთხვევაში უნდა შეაფასოს ამა თუ იმ ჯგუფის და პიროვნების ბუნება და თვისებები წარსული მაგალითების მიხედვით, ხოლო მასთან ურთიერთობის წესი უნდა გამოიმუშავოს აწმყოს და მომავლის საჭიროების და მოთხოვნილების ანგარიშით. პოლიტიკაში შეიძლება წარსულში მოსისხლე მტერი დღეს ამხანაგად და მოკავშირედ გაიხადო, უკეთუ ის ეროვნული პოლიტიკის საფუძვლებზე დადგა. ყოველივე ანგარიშის საქმეა, გონიერი და ფრთხილი ანგარიშის. ყოველს შემთხვევაში, შურისძიების მიდრეკილებები საუკუძვლიანად უნდა იქმნეს ამოკვეთილი ჩვენი წრეების განყოფილებიდან, ვინაიდან ის შეუთვისებელია და შეუთავსებელი საღს სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან. ამ მხრივ გაზომიერებასა და შერბილებას მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი წრეების განწყობილება მენშევიკების მიმართ. მართალია ამ პარტიამ საბედისწერო როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში. ისიც მართალია, რომ ნ. ყორდანიას ჯგუფმა ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებასთან დაუნდობელი ბრძოლით აიდგა ფეხი და უთუოდ ამითვე დაასრულებს თავის სიცოცხლეს. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ დროთა ვითარების გამო კავშირშიდაც ვყოფილვართ ამ ჯგუფთან და ამ ხანშიის უფრო დაუნდობელი ყოფილა ჩვენი მიმართულებისათვის, ვიდრე ახდილ მტრობის დროს. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა და უდაო ჭეშმარიტება, რომ ამ წრის მეთაურობამ უკვე სავსებით ამოშრიტა თავის შესაძლებლობანი, ის

უკვე პოლიტიკური ცხედარია და მკვდრებს კი არასოდეს არ სჯიან. [illegible] ოლ ოა ბ ეებ ბ ა ი ა უკვე ფრიადმცი- [illegible] ა ა ა

იზომება ყველა საკითხები რომელთაც ცხოვრება გვიყენებს. ხოლო გადაჭრა ამ საკითხებისა არის შედეგი მოვლენათა ამ საზომით გაზომისა, აწონისა, დაფასებისა და ახგარიმის, მხედველობაში მიღებით ყველა გარემოპირობებისა და იმ მოვლენებისა, რომელთაგან ცის გამომდინარეობს და რომლებთან არის დაკავშირებული. მეორეს მხრივ, ჩვენს მიმართულებას აქვს გამომუშავებული სახელმძღვანელო საფუძვლები უმთავრეს პოლიტიკურ და სოციალურ კითხვების გადასაჭრელად. ასეთებია მაგალითად პრინციპიერ ეროვნული სუვერენობის, ძოქალ აქეთა თანასწორობისა და თავისუფლების, კერძო საკუთრების უფლებისა და სხ. მაგრამ თვით ასეთი პრინციპი არის დასკვნა და შედეგი ჩვენი და სხვა ქვეყნების წარსული და აწმყო მოვლენების და მაგალითების შეფასებისა იმავე საზომითა და იმავე მიდგომით.

ყოველივე ამის მიხედვით ნათელია ის განსხვავება რომელიც არსებობს სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა მუშაობაში. პარტია, რომელსაც უკვე აქვს გამოტანილი საბოლოო დასკვნა თანამედროვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა საკითხებზედ და ეს პროგრამაში აქვს ჩაბეჭდილი, ძლიერ დვილად სჭრის ცხოვრებაში წამოჭრილ კითხვებს. ის თავის პროგრამაში ჩაიხედავს და იქ ჰპოულობს ყველა წვრილმანი და მსხვილმანი კითხვის გადაჭრილ პასუხს. აქ ერთს ადამიანსნიჭიერსა თუ უნიჭო მეთაურს ადვილად შეუძლიან გამოიტანოს განაჩენი ყველა კითხვებზედ. აქ სრულებით არ არის საჭირო ამ მოვლენა და ფესვების, ნიადაგისა და მრავალ სხვა გარემემო პირობების შესწავლა. პროგრამაში ის გადაჭრილია ყველა ქვეყნისთვის, ყოველ ჰავისა და ნიადაგისათვის. ამის მიხედვით განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ასეთს პარტიებში მეთაურის, რომელსაც დაკისრებული აქვს პროგრამაში ჩახედვა და იქი დან ყველა კითხვებზედ მზამზარეული პასუხის ამოკითხვა. ის სჭრის ყველა კითხვებს, დანარჩენნი მხოლოდ ად-

მასრულებელნი არიან. ერთიც რომ დარჩეს ასეთი მეთაური, თუ კი ის მოახერხებს გამეღვიძებას დროგამოშვებით—ჩვენი პარტია ასე უყურებს ამ საკითხებსო, ეს ბევრზედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ეს პარტია არსებობს და ბევრზედ კიდევ მეტს—ეს პარტია ძლიერი პარტიაა, რადგან მაგარ მაგარს ლაპარაკობსო.

სახელმწიფოებრივი პარტიის ხასიათი სულ სხვანაირია და მისი მეთაურების როლიც კიდევ ასევე განსხვავებული. აქ სრულიად არ არის საკმარისი, რომ არსებობდეს ერთი ტალმუდისტი. პოლიტიკურ ტალმუდის ამხსნელი და სხვები კი მექანიკური ადამიანები, ენის მტრიალებელნი და თითების ამწევნი. აქ შემოქმედება უნდა ბატონობდეს მრავალფეროვან ცხოვრების ყოველს დარგში. თვითეულს დარგში მრავალი ისეთი მოღვაწეა სნჭირო, რომელიც საჭიროების დროს პარტიულ აპარატის მეთაურადაც უნდა გამოდგეს და სახელმწიფოს ხელმძღვანელათაც. პარტიული აპარატი წარმოადგენს ამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა დარგების დამცველ ძალას და მისთვის გზის გამწმენდსა და გამკაფავს. ეს იმავე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა და ეროვნული, სახელმწიფოებრივი პარტია ყოველთვის ასეთს ნიადაგზედ უნდა აშენებდეს თავის ორგანიზაციას, როგორც შენდება თვით სახელმწიფოებრივი აპარატი. ხოლო საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებულ ერებისათვის ეროვნული პარტია ასრულებს ამ სახელმწიფოს მოვალეობას იმ ფარგლებში რომელზედაც მას ხელი მიუწვდება. ასევე იყო ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ეროვნული—დემოკრატიული მიმართულება და პარტია იყო და არის ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივობის მატარებელი მესამოციანთაგან დაწყებული დღევანდელ დრომდე. ეს ასე იყო არამც თუ მეფის რუსეთის ბატონობის დროს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაშიც. მენშევიკური მთავრობა და პარტია ოპოზიციაში უდგა ყოველივე და

დებითს სახელმწიფოებრივ საქმიანობას და მშენებლობას. დასთმობდენ მხოლოდ მაშინ, უკეთუ ცხოვრების წინააღმდეგობა არ გაუვიდოდათ. ასევეა დღევანდლამდე. ეს წრე შეურიგებელ ოპოზიციაშია ჩვენი რეალურ ეროვნული პოლიტიკის მიმართ, ხამდვილათ და არსებითად ისევე, როგორც ამ ოცდა ათი წლის წინეთ. ხოლო ფორმალურად ის არის პოზიცია და ჩვენი პარტია და მიმართულება-კი ოპოზიცია. ამის მიხედვით ყველა შემომქმედი ეროვნული ძალები, ყველა შეგნებული წრეები რომელნიც ასრულებდენ დადებით ფუნქციებს ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში, თავიდანვე უცქეროდენ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას და პარტიას, როგორც ეროვნული პოლიტიკის გზის მაჩვენებელს, ეროვნული პოლიტიკის ხელ მძღვანელს, როგორც ფაქტიურ ეროვნულ მმართველობას. ამით აიხსნება, რომ ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიეროვნულმა ძალებმა. რომელთაც ჩვენი თაობის ხანაში ასე ხელსაყრელი შინაური და საგარეო პირობები გაუჩნდა, არამც თუ ვერ შესძლეს ჩვენი ცხოვრების საკვებით დაშლა და დარღვევა, არამედ ვერც კი შეაჩერეს საკვებით მისი განვითარება და გაძლიერება.

განყენებული დოგმებით მომქმედ პოლიტიკას არსად და არასოდეს არ დაუწყვია, არ დაულაგებია და არ აუშენებია ცხოვრება. ზოგი ერთს პირობებში მას მხოლოდ დაქცევა და დაშლა მოუხერხებია ამ ცხოვრებისა. ეს იმით აიხსნება, რომ ეროვნული ცხოვრების შენებას სჭირია მუდმივი, მძიმე და რთული დადებითი მუშაობა. განყენებული დოგმები აქ არც მასალად ვარგა და არც გეგმად. ხოლო ცხოვრების შენობის დანგრევისა და დაზიანებისათვის უფრო ადვილი და მოკლე ვადიანი შრომაც კმარ, და ასეთი ადვილი საქმისათვის ხალხის შეუგნებელი ნაწილის ჩათრევაც უფრო ადვილია. ვიდრე რთულს და მძიმე შრომისათვის. ამის მიხედვით, ნათელია ერთი კიდევ მთავარი განმასხვავებელი თვისება სხვა და სხვა

პოლიტიკურ პარტიათა შორის: სახელმწიფოებრივ პარტიას უფრო რთული შინაარსი აქვს. მისი მუშაობა უფრო მრავალფერ ვანია. ის მუდმივი მეთვალყურე და მბრძანებელია საღი და რეალური ხალხური განათლებ ს, სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, აღებმიცემობის თავდაცვის საქმის, ეროვნული ვინანსების, სარემუნო ების და სხ. ამის და მიხედვით მთელი მისი შემოქმედება გაშლილი და დანაწილებული უნდა იყოს ყველა ამ დარგებში და პარტიული აპარატი მხოლოდ ყველა ამ დარგებში ნაწარმოებ მუშაობის დამცველი და ხელმძღვანელი ძალ აა. ეს პარტიული აპარატი არ არის არამც თუ თვითმიზანი, არამედ ის და ხმარე ძალაა, და ეროვნული შემოქმედების სხვა და სხვა დარგის იარაღი და აპარატი. ასეთი პარტიის ბუნების მიხედვით მას მრავალი აქვს განსაკუთრებული ვალდებულება მთელი ერის წინაშე, თავისავე ნებით მიღებული. ამასთანავე მის ბუნებას ეწინააღმდეგება ყოველივე ამისათვის განსაკუთრებული უფლებებისა და რაიმე უპირატესობების ძიება. არასახელმწიფოებრივი პარტიების ბუნება სხვაგვარია. იქ ყოველივე პარტ ული აპარა ტით იწყება და მითვე თავდება. ის კი არ არის მიჩნეული ეროვნული პოლიტიკის, სახელმწიფოს იარაღად და დამხმარედ, არამედ სახელმწიფოსა და მთელი ერის პარტიული ჯგუფის იარაღად გახდომა მ ის მიზანსა და მისწრაფებას შეიცავს. ის პიროვნულ კერძო საქმიანობას უფრო უახლოვდება თავის ბუნებით. განსხვავება ის არის, რომ ჯგუფის ინტერესებია მიღებული საზომ ად და არა მარტო ერთი პიროვნების. ხ ალო მთელი ერისა და სახელმწიფოს ინტერესების საზომი აქ არ არსებობს ისევე როგორც ეს არ ა სებობს მოქალაქის კერძო საქმიანობაში.

ამ განსხვავების კიდევ უფრო ნათლად წარმოდგენისათვის საჭიროა ჩვენი ცხოვრების მაგალითების აღება. მაგალითად შევადაროდ მესამოციანთა თაობის ეროვნული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, ნ ეორდანია

დასის ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას. ნ. ჟორდანიასნათქვამიაქვს ერთხელ დამფუძნებელ კრებაში, შედარებით ჟკვიანი აზრი: პოლიტიკური გეზის სისწორე თუ უსწორობა მისი შედეგითა და ნაყოფით გამოიცნობაო. ამ ფორმულაზედაც გვექნება პასუხი ორი მიმართულების მოღვაწეობის შედეგების შედარების შემდეგ. ამ ორი მიმდინარეობის. სეთი შედარება არ არის საძნელო, რადგან მათი მოღვაწეობა ს ვსებით დ მთავრებულია და საკ'ებით გამ.ჯარკვეული. მართალი.. მესამოციანთა წრეში იყვენ ფრიად დიდი მოღვაწეები, რომელთა მსგავსი არ წარმოუშვია შემდეგ თაობას. მაგრამ ნ. ჟორდანიას წრე უკვე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო. მან მიიღო მემკვიდრეობად უკვე საკმაოდ გამაგრებული ეროვნული ცხოვრება და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოწინავე, სწავლა მიღებული საზოგადოება, ნაცვლად სრულიად წაქცეული ეროვნული ცხოვრებისა და თითებზედ ჩამოსათვლელ კულტურული წრისა, როგორც იყო მესამ..ციანთა მოღვაწეობის დასაწყისში. ამის შემდეგ ჩვენ კიკითხოთ: რა დაგვრჩება ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში და ამ ცხოვრების ველა დარგებში, უკე თუ ჩვენ მისგან გამოვყავით და ამოვიღეთ მესამოციანთა მოღვაწეობა დ, მათ მიერ დატოვებული მემკვიდრეობა? პასუხის მიცემა აქ არ არის ძნელი: მცირე რამ დაგვრჩება, ფრიად მცირე მნიშვნელობისა და ღირებულების. ეხლა ვიკითხოთ-რა მოაკლდება ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას—მის კულტურას. ეკონომიკას, მწერლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას და სხ. უკე თუ მას გამოვაკელით ნ. ჟორდანიას დასის მოღვაწეობა? ამის პასუხიც არ არის საძნელო. მოკლებით თქმის არაფერი და მომატებით კი მოემატება ბევრი რამ დადებითი და არსებითი ეროვნულ ცხოვრებისათვის.

შეიძლება ბევრს უფრო საძნელოდ მოეჩვენოს ასეთი კითხვა, უკე თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენს ეროვნულს პოლიტიკას, ჩვენს ეროვნულს უფლებრივ მიღწევებს. მა-

გრამ ეს კითხვაც იმავე დასკვნას მოგვცემს არსებითად. მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლიუცია უთუოდ ნ. ჟორდანიას დაუხმარებლადაც მოხდებოდა. მაშასადამე რჩება რუსეთის რევოლიუციის მიერ შექმნილი პირობების გამოყენების საკითხი ეროვნული მიზნებისათვის. აქ უთუოდ თამამად გვეტყვის ვინმე მენშევიკი— ამ პირობებს ნ. ჟორდანიაზედ უკეთ ვინ გამოიყენებდა, სხვებს სად მოეძებნებათ მასავით დიდი მოღვაწეებიო. ასეთი საზომით რომ მიუდგეთ ნ. ჟორდანიასავით დიდ მოღვაწეები არც ფინლანდიას ჰყოლია, არც ლატვიას, ლიტვას, ესტონიას და მათ ნ. ჟორდანიაზედ უფრო კუდათ არ გამოუყენებიათ რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარი. ომის გზებიც გაიკვლიეს მათ, ზავისაც და შინაური შემოქმედებისაც. ნ. ჟორდანიას სიდიდეზედ ჩვენ მაინც არ დავიწყებთ დავას, ხოლო ა ენიშნავთ, რომ ამ დიდ მოღვაწეს ხილობა აქვს ფრიად შეუფერებელი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის, ხელობა დაშლის, და რღვევის და არა შენების. ჩვენ არც სხვა მიმართულებებში დავიწყებთ უკეთესი მოღვაწეების ძებნასა და შეფასებას. წინააღმდეგ ამისა ჩვენ უარესებს ავიღებთ და ვიკითხავთ; რა შეემთხვევოდა ჩვენს ერს უფრო საშიში და უფრო უარესი, რომ ოებერკლის რევოლიუციის შემდეგ, რუსეთის რევოლიუციურ მთავრობას ნ. ჟორდანიასათვის კი არ ჩაებარებინა მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, მისი ჯარებით, ხაზინით და ადმინისტრაციით, არამედ მილიციელ ჩიბურდანიძისათვის, რომელიც იმ დროს დარაჯად იდგა თბილისის სასახლის კარებთან? ნუთუ ეს ჩვენი ჩიბურდანიძე ნ. ჟორდანიაზედ მეტს ნიჭსა და უნარს გამოიჩენდა ხალხის ერთმანეთზედ მისევაში, ერთი წრის მეორის წინააღმდეგ ამხედრებაში და მით ეროვნული სულისა და სხეულის მთლიანობისა და სიმტკიცის გატეხაში მაშინ, როდესაც ეს მთლიანობა და სიმტკიცე ყველაზედ უფრო იყო საჭირო ერისათვის? ნუთუ ჟორდანია-რამიშვილზედ უფრო აუმხედრებდა და

გადაჰკიდებდა ის ქართველ ერს ყველა მეზობლებს, მახლობელსა და შორეულს, მტერსა და მოყვარეს? განა უთუოდ ეორდანია-რამიშვილზედ უარესი გამოდგებოდა ეს მილიციელი ომისა და ზავის საქმეში, უფრო სამარცხვინოდ დაამარცხებდა ქვეყანას და უფრო თავსლაფდასხმული გაიქცეოდა ნადავლით ევროპაში? თუ ისიც არ ს დასაშვები და შესაძლებელი, რომ ეს მილიციელი ჩიბურდანიძე დაკმაყოფილდებოდა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობით დ. ერ დებოდ ყველ ა საქვეყნო საკითხების გადაჭრას საკუთარ ი უვიცი თ ვით და ამ ს ვიხედვით გამ ძებნიდ შინაგანი წყობისათვის სამხედრო, ფინანსიურ თუ საგარეო საქმეთათვ ის მცოდნე დარბაისელ და დამჯდარი ჭკუის ხალხს და ამით გამოიყენებდა საქართველოს არსებობისათვის ყველა შესაძლებლობასა და ყველა საშუალებას.

ან კიდევ თუნდაც უკანასკნელი წლები რომ ავიღოთ, 1921 წლის შემდეგი ხანა. და ეკითხოთ: ევროპაში სამუშაოთ ყოველგან და ყველაფერში დამარცხებულ და წაქცეულ ეორდანიას მთავრობის ხუთი მინისტრის ნაცვლად ხუთი ურემი წიფლის შეშა რომ გაგვეგზავნა, ვითომ უფრო გაფუჭებული იქნებოდ ა ჩვენი განწყობილება ევროპის მმართველ და არა მმართველ წრეებთან. ოთ ოდ უფრო ღრმა იქნებოდა განხეთქილება ქართულს ემიგრანტულ წრეებში, უფრო იქნებოდენ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებ ული მეზობლები და შორეულნი, ჩვენი საქმის თანამგრძნობნი და კეთილის მოსურნენი? სამოიდე უპორტფელო ემიგრანტი რომ ყოფილიყო ამათს ადგილზედ ყოველივე ეს, რასაკვირველია, უფრო დალაგებული იქნებოდა და უფრო წესიერი. რასაკვირველია ამოდენა ხმაური დე რასა-რუხი არ იქნებოდა, მაგრამ თუ მოაკლდებოდა, ეს უფრო ისეთი ხმაური, რომელიც მხოლოდ სახელს უტეხს ჩვენს ერორვნულს საქმეს და არა ზრდის და არ ადიდებს ის

ყოველს შემთხვევაში ანგარიშ გასაწევია ერთი,

სრულიად უდავო გარემოება: ნორმალურად აშენებულ სახელმწიფოებში სულ მცირე მნიშვნელოვან საქმეებსა საქმეებსაც არ მიანდობენ ისეთ პირებს, რომ მელთაც თუნდაც მცირე მნიშვნელობის პასუხისმგებლობა მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე. ზემოთ ია ხაზის გასმა, რომ არსად და არასოდეს არ შეუნარჩუნებენ სახელმწიფო საქმეებსა და დავალებებს, არამც თუ მისსა თავეს, ისეთს პირებს, რომელნიც ორდანია-რამიშვილივით იქნები ნ დაყურსული უმძიმეს დანაშაულებებითა და პასუხისმგებლობით ერის წინაშე. ჩვენს სინამდვილეში თუ ამას ადგილი აქვს. ეს აიხსნება მისი მრავალნაირ არაბუნებრივობითა და ავადმყოფურ მოვლენებით.

ასეთი ვითარება სწყვეტ ს ჩვენი პარტიის ამ წრისადმი დამოკიდებულების საკითხს. მეორეს მხრივ მთელი ქართველი ერის შეგნებაში ორდანია-რამიშვილის კამარილია არის მიზეზი და შემმუსვრებელი ყველა იმ უბედურობისა, რომელიც შეემთხვა ქართველ ერს ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღევანდელ დღემდე. გასაგებია, რომ ასეთი წრ ს იმედ მას ვერ ეენდება და ასეთი წრე ვეღარ შემოიკრებს თავის გარშემო ერის საიმედო, მომქმედ ძალებს. როგორც ჩვენი აგრეთვე სხვა მიმართულებისათვის ყოველთვის სახიფათო და საბედისწერო გამომდგარა ამ წრესთან დაახლოვება და კავშირი. მათთან ურთიერთობა ეს დაუსრულებელი გაიძვერული მოტყვილება, დაღალატება და ხალხგის დაგება იყო მათის მხრივ რაც მეტად ძვირად დაუჯდა მათთან დაკავშირებულ წრეებსა და მთელ ერს. ყოველივე ამის მიხედვით. ორდანია რამიშვილ თანრაიმე კავშირისა და საერთო ფრონტის შექმნ. ჩვენი პარტიისათვის და მასთან დაახლოვებული წრეებისათვის არამც თუ არ არის მიზანშეწონილი და გონიერი, არამედ ეს არ არის ფაქტიურად განსახორციელებელი და შესაძლებელი.

ჩვენს ამ წრესთან კავშირსა და ურთიერთობას სავსებით გამოსახავს საბა-სოლხან ორბელიანის იგავ-როგორც ეს უკვე აღვნიშნე შარშან ყორდანია—რამი შვილის წერილების გამო გამართულს საზოგადო კრებაზედ: «ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდენ, წავიდენ გზასა და ერთი გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა გასვლა არ შეეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემჯექო, მე გაგიყვანო. შეჯდა მორიელი ზურგზედ, კურა წყალში შეცურდა, მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: ძმაო, რასა იქო. მორიელმა უთხრა; რა ვქნა, არც მე მნებავსო, მაგრამ ისეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვკბენდეთო. კუმ დაიჯურყუმალავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა არც მე მნებავსო, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიან ხორცს არ გაიბანს, გასივდება და მოკვდებაო.» ჩვენი წრეების და მთელი ერის ვანბანა ყორდანია – რამი შვილის შხამი საგან, შეადგენს უახლოესს ჩვენს პოლიტიკურს ამოცანას.

საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეა, ქართველი ერის წარსული სახელმწიფოებრივობის მემკვიდრეობა, ქართველი ერის ყველა დადებითი ღირებულებანი, ეკონომიური თუ კულტურული, ერთის სიტყვით ყოველივე მასალა სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაქმნელად, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ერის ფარგალში არსებობს წარმოადგენს ამავე დროს ეროვნულ – დემოკრატიული პარტიისა და მიმართულების დასაყრდნობსა და განვითარების წყაროს. მეორეს მხრივ ცხრა მეათედი იმ მემკვიდრეობისა, რომელიც შეამზადა ყორდანია-რამიშვილის წრემ, მთელი მათი ნამოღვაწარი იდეური თუ პრაკტიკული, აგრეთვე ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს რუსეთის რევოლიუციონურ წრეებთან დაკავშირებით, მპირედის გამოკლებით მთელი პარტიული მასალა, მათ მიერ აღზრდილი დაგაწრთვნილი, ბოლშევიკების ბანაკშია ამ ჟამად თავმოყრილი და

მოკალათობული. ეს უდავო სინამდვილეა და მასზედ თვალის დახუჭვა არ გვმართებს და არაგვარგებს. ერთი სიტყვით. ჩვენი ეროვნული ცხოვრების სინამდვილეში ორი ძალაა ერთმანეთზედ დაპირდაპირებული უკვე 1921 წლიდან. ეს ძალებია—ერთის მხრივ საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ძალები და ქართველი კომუნისტები და მეორეს მხრივ ეროვნულ—დემოკრატიული პარტია და მასთან დაკავშირებული სხვა პატრიოტული ძალები. არსებითად და სინამდვილეში ამ ძალთა შორის წარმოებული ბრძოლა ავსებს მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაწარმოებ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის ფურცლებს. ბევრი რამ იყო, მართალია, ამის გარეშე, მაგრამ ყოველივე ეს იყო ამ მთავარი მიმდინარეობის ნაკადი, მთავარი დაძახილის გამოძახილი, თუ ეორდანიარამიშვილის ბატონობის ბრწყინვალე მემკვიდრეობა, პატარა კაცების დიდი მადა დე პატივმოყვარეობა, და სასიკვდილოდ განწირულ ჯგუფის ბოროტება და გაბოროტება. როგორც დაწყებულა და გრძელდება, ისევე დასრულდება—ამ ორ ძალთა შორის არსებული ბრძოლა და დაპირდაპირება გადასჭრის ჩვენი ეროვნული პოლიტიკის ძირითად საკითხს. ის დაასკვნის ჩვენი ეროვნული მიზნების გამარჯვებას.

მეორე წიგნში რომ განვიხილავთ უფრო საფუძვლიანად ნოე ეორდანიას თაობის აზნაურულ სოციალიზმის დაფუძნების საიდუმლოებას და მის შემდგომ მენშევიკურ და ბოლშევიკურ წრეების ნამოღვაწარს, ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ რა წარმოადგენს ამ მემკვიდრეობაში ცხოვრებისათვის მიუღებელს, ცხოვრების დამშლელსა და გამხრწნელს და რა რჩება კიდევ ისეთი, რომელიც მიღებული და შეთვისებული აქვს კვე ჩვენს ეროვნულს ცხოვრებასა და, ბაშასადამე, მოითხოვს დაცვასა და მზრუნველობას. ჩვენ აქ აღვნიშნავთ ამ უარყოფითი და დადებითი მოვლენების ორს უმთავრეს სათავეს, საიდანაც იწყება ყველა მათში შემავალი ნაკა-

დები და გამოყოფილი შტოებ ., რომელნიც ერთად ჰქმნიან ამ მოვლენათა წყალწყვას.

ნოე ჟორდანიას თაობის მიერ ჩვენს ცხოვრებაში ჩანერგილი და ჩათესილი ბოროტების სათავეს წარმოადგენს სავსებით ანტისახელმწიფოებრივი, ყაჩაღური, ფირალური დაფასება საკვეყნო საკითხებისა და ასეთივე გადაჭრა მათი. ასეთ მოღვაწეობას ის სოციალისტურსა და კლასთა ბრძოლის პოლიტიკას .წოდებს. მაგრამ ის მხოლოდ გარეგნობით ემსგავსება მას. აქ არის ამორჩევა და გამოყოფა მთელს ერში ისეთი ჯგუფების და წრეების, რომელნიც, ბელადების შეფასებ .თ, გამოდგებიან ან ასეთი აბრაგული მოღვაწეობისათვის, ან მის ხელის დამცველად და შემნახველად. დანარჩენი ერი განწირულია, შეძულებული, ყოველგან და ყოველთვის ის ჯარცვა—გლეჯის საგანია მხოლოდ; მისი დაქვეითება, გასაწყლება და დაბეჩავება, მისი სულიერად დამონავ.-ბა და ზნეობრივად გატეხა ამ ყაჩაღური პოლიტიკის გამარჯვების და ბატონობისათვის მიუცილებელი პირობაა და საწინდარი. როგორც მძინარე სოფელში, ან დღისით ხალხის შეკრებულობაში რომ რამოდენიმე ყაჩაღი შეიჭრას თოფის სროლით, უიარაღო ხალხი და ქალი და ბავშვი ერთმანეთში აირევიან, დაფრთხებიან, შეიძლება ერთმანეთიც დააშავონ, ხოლო მომხდურები ამით ისარგებლ ებენ და ნადავლით დატვირთული თავის გზას გაუდგებიან. თ უ იყო ჩვენში კლასთა ბრძოლა ნ. ჟორდანიას თაობის ხანაში, უმთავრესად ასეთი ბუნებისა, თორემ სად იყო და სად არის ეხლა ეს შეურიგებელი და ერთმანეთზედ დაპირდაპირებული კლასები—პროლეტარიატისა და კაპიტალისტების? ხოლო მაშინ თუ არ იყო და შემდეგ გაჩნდა მენშევიკური და ბოლშევიკური პოლიტიკის ხანაში, ეს საკმაოდ ასაბუთებს, რომ ამ კლასთა ბრძოლის საკ. თხების მოსაგვარებლად და გადასაჭრელად სხვა მიდგომა და სხვა გეგმა ყოფილა საჭირო. ნ. ჟორდანიას ამ ალის ბატონ ბის გასწვრივ ჩვენი ცხო-

ვრების ყველა საკითხების ასე აბრაგულად დაფასებამ და გადაჭრამ დიდათ შეაფერხა ჩვენი ერის ეკონომიური განვითარება და მრავალი გახრწნილება შეიტანა ჩვენი ცხოვრების სხვა დარგებშიც და თვით ხალხის ზნე და ხასიათში. მათი აღმოფხვრა და მით ჩვენი ეროვნული ცხოვრების განწმენდა, გაჯანსაღება დიდს დადებითს შრომას მოითხოვს და ეს უპირველესი ამოცანა იქნება ჩვენი რეალური პოლიტიკისთვის.

ასეთს, სრულიად არასახელმწიფოებრივ პოლიტიკას მრავალი ნაკადი და განაკადი აქვს, ხოლო ჩვენ აქ აღვნიშნავთ ერთს, რომლის აღმოფხვრა და წამლობა ფრიად საშურია და აქედანვეა დასაწყები. ეს არის მესამოციანთა ხანაში საფუძვლიანად დასამარებული კუთხური პატრიოტიზმის კვლავ აქა იქ თავის წამოყოფა და გამოცოცხლება. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქორდანია-რამიშვილის ბატონობის ხანაში მათი გვარისა და მეზობლებისაგან შესდგებოდა საქართველოს ყველა კუთხეების მმართველობა. ბევრგან ეს მიჩნეულ იქმნა როგორც კუთხური პატრიოტიზმის გაბატონება ამ წრის მიერ და რასაკვირველია, ამან საწინააღმდეგო გამოძახილი გამოიწვია ასეთს წრეებში და მათს შეგნებაში დაჩაგრული კუთხეები მჩაგვრელ კუთხეს დაუპირდაპირა. რასაკვირველია, ქორდანია-რამიშვილის წრეს არ ჰქონია ეს კუთხური პატრიოტიზმის გეგმები, ისინი მხოლოდ ყაჩაღური წესებით მოქმედებდენ და მთელ საქართველოში მმართველებად ირჩევდენ მათთვის მახლობელს და მათის დაფასებით, მათთვის უფრო საიმედოსა და გამტანს პირებს. ყოველს შემთხვევაში, აქ არაფერ შუაშია ის კუთხე, რომელმაც ქორდანია-რამიშვილი წარმოშვა, ამ კუთხეში სრულებით უცხოა ასეთი განწყობილება და თუ მას ვინმე ჩაუთვლის დანაშაულად, იმას, რომ ამ კუთხეში დაიბადა ასეთი მოვლენების სათავე, ამათმა არ უნდა დაივიწყონ ისიც, რომ ამავე კუთხემ წარმოშვა აგრეთვე ქართული სწავლა განათლების და საერთოდ ჩვენი ერო-

ვნული აღორძინების ერთი უდიდესი სვეტი—ეპისკოპოსი გაბრიელი, გვარად ქიქოძე და მრავალი სხვა პატიოსანი და ნაყოფიერი მოღვაწე. ასეთი კუთხური პატრიოტიზმის ნიშნები თავს იჩენს თვით ქორდანია-რამიშვილის ამალაში, და ეს მეღავნდება იმ შინაურ შეხლა-შემოხლის და ფრაქციული ბრძოლების დროს, რომელიც ასე გაცხოველდა ამ წრეში უკანასკნელ ხანებში. ეს გარემოემა აიხსნება იმით, რომ ქორდანია-რამიშვილის კამარილია უკლავდა თავის წრეს ქართულს, მთლიანერ ოვნულ პატრიოტულ გრძნობებს და მის ნაცვლად უნერგავდა ინტერნაციონალურსა და კოსმოპოლიტურს. მაგრამ ასეთი ინტერნაციონალური მიდრეკილება ვერ იდგამს ღრმად ფესვებს ქართულს ბუნებაში, და როდესაც ცხოვრების მსვლელობამ სრულიად აღმოფხვრა ის, ნ. ქორდანიას სამწყსოს შერჩა განუვითარებელი, პრიმიტიული პატრიოტიზმი, ასეთი რომელიც პირუტყვულს თავის კუთხის სიყვარულის ინსტიკტს უახლოვდება. ასეთია კუთხური პატრიოტიზმი. ამ მოვლენას, რასაკვირველია, დიდი გასაქანი არ აქვს და არ ექნება ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ საჭიროა მისი აღმოფხვრა სავსებით, რადგან მოსალოდნელია, რომ მით სარგებლობას მოინდომებენ ჩვენი ეროვნული საქმის ყველა მტრები, როგორც ეს მუდმივ ყოფილა.

უმთავრესი დადებითი ნაყოფი და შედეგი, რაც დარჩება ამ თაობის ხანას, ეს არის საქვეყნო ასპარეზზე გამოსვლა ახალი წრეების, უმთავრესად გლეხობის. ეს რასაკვირველია, არ შეადგენდა ნ. ქორდანიას დასის ამოცანას. წინააღმდეგ ამისა, ის მუდამ ცდილობდა გლეხობის დაძინებას ლამაზი სიტყვებითა, ხოლო ნამდვილად კი მისი შებორკვითა და დასუსტებით იყო გართული, რადგან ის მიაჩნდა მას თავის ამალისა და თავისაბრაგულ პოლიტიკის უმთავრეს მტრად და შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ. მაგრამ ამ თაობის აბრაგულმა პოლიტიკამ, ამ გლეხობის ალაგმვას და მის წინააღმდეგ მუ-

დმივ რეპრესიებს რომ ისახავდა მიზნად, თანდათან გამოიყვანა გლეხობა ძველს მიჩუმებულს მ.ბგომარეობიდან. მან დაინახა რომ ასეთი ყაჩაღური პოლიტიკისაგან თავდაცვაა საჭირო, და რომ საქვეყნო მყუდროება და მშვიდობიანობა და სამართალი ისევეა მიუცილებელი მისი პიროვნებისა და ნაშრომის დასაცავად, როგორც ღობე მისი ყანისათვის. რასაკვირველია, სახელმწიფოებრივ ცხოვრების ასპარეზზედ ახლად გამოსული წრე თავიდანვე ვერ აიცდენს ყველა შეცდომებს. ის მრავალჯერ წაიფორხილებს და სწორ გზასაც გადაუხვევს, მაგრამ ის არ არის დაღლილი, გამოფიტული და წელმოწყვეტილი წოდება; არც მხედველობა აქვს მასდაკარგული უდა რდელად მაღლა მზეზე აქერითა და არც გონება აქვს ამომშრალი გახყენებული აზრებითა და ოცნებებით; მას მუხლი მაგარი აქვს და ასეთ ფორხილს ადვილად გაუძლებს; მხედველობაც საღი აქვს და მიწის შვილი მიწიერ მოვლენებში ადვილად ერკვევა; მას გონებაც გავარჯიშებული აქვს ქკეყნიურ საქმეებში და მოვლენებში და როგორც ილია გვიმტკიცებდა, «იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული ს ასლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა.... იქ რამდენი ღონეა შექმნისა...» ეს ძალა მთელი ერის ოთხ მეხუთედზედ მეტს შეიპავს რიცხვითა და ამაზედ კიდევ მეტი წილი აქვს მას ჩვენი ეროვნული დოვლათის შექმნაში. ამის გამო გლეხობის აღვიძება, მისი ეკონომიურად და კულტურულად ამაღლება და მისი აქტიურად ჩაბმა საქვეყნო სახელმწიფოებრივ საქმეებში საფუძვლიანად გადასჭრის ჩვენი ეროვნული პოლიტიკის ყველა მთავარ საკითხებს. ჩვენი ეროვნული და სოციალური ცხოვრება მტკიცე ნიადაგს მოი ოვებს და ურყევ საძირკვლებზე დაეყრდნობა. ეს იქნება საიმედო საწინდარი იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკის ყველა კითხვები შეფასდება და გადაიჭრება მთელი ერის, მთელი ხალხის რეალური ინტერესების მიხედვით, რომ ჩვენს ქვეყანაში დამყარდება ნამდვილი ხალხური, დემოკრა-

ტიული წყობილება და მისი საჭე და მისი მიმართულება, ბუნებრივად, ერის უმრავლესობის ხელში იქნება, მშრომელი დემოკრატიის ხელში, ვინც გუთანს აბრუნებს ყანაში, თუ დაზგას ამუშავებს ქარხანაში, ან კიდევ გონებრივსა და შემომქმედ შრომას აწარმოებს ცხოვრების სხვა და სხვა დარგში. ჩვენი ეროვნული ცხოვრების გაწმენდა და გაჯანსაღება გაპროლეტარებული აზნაურობის მოღვაწეობის მძიმე მემკვიდრეობისაგან და კეროძოდ მისი შრომის მოძულ. რი, მუქთახორული დაძარ· ცვა გლეჯის მოტრფიალე სულისკვ. თებისაგან და ამის ნაცვლად ერში ყველაზედ უფრო ჯანსაღი და მტკიცე ძალების—გლეხებისა და ყოველივე დარგის მუშებისა და მშრომელთათვის გზ ის გახსნა, ასპარეზის მომზადება, ამ წრეების კულტურული და ეკონომიური გაწრთვნა და გაძლიერება და მით ერის ქონებრივი და სულიერი დოვლათისა და შემოქმედების გამძლავრება და განოყივრება—აი რა შეადგენს ჩვენი საღი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მთავარ საზრუნავს, ხოლო ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიისა და მიმართულებისათვის—სავსებით გარკვეულსა და ეადაპრილ სამოქმედო გეგმას.

ორი ფრონტი: ეროვნული ბრძოლისა და ეროვნული ღალატის.

ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოსა თუ უცხოეთში, 1921წლიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე, აქვს ერთი გასაღები, რომელიც ხდის ნათლად და გასაგებად ამ ბრძოლის ყველა საფეხურებსა და მოვლენებს. ასეთი გასაღებია 1922წლის შეთანხმება. მოლაპარაკება ამ შეთანხმების გარშემო წელიწადზე მეტი გაგრძელდა, თუმცა სხვა პარტიებმა, გარდამენშევიკებისა, ეს შეთანხმება ჩამოაგდეს ფაქტიურად იმავე 1921 წ. ბათუმში, აპრილის დასაწყისს. მენშევიკები ყორდანია-რამიშვილისაგან მოითხოვდენ ინსტრუქციას. ამათი ინსტრუქცია კი იყო ასეთი: შეთანხმებაში შედით, უკეთუ შეთანხმებულ ბრძოლის მიზნად დასახულ იქნება საქართველოს განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან და სრული რესტავრაცია მენშევიკური რეჟიმისა ყორდანიას მთავრობითა და სახალხო გვარდიის შტაბებითო.

ასეთი დროშით ბრძოლა, რასაკვირველია, არავინ იკისრა. მენშევიკები მალე დარწმუნდენ, რომ ქართველს ხალხში დიდი სულიერი გარდატეხა მოხდა და ამას თავისი გამოძახილი ჰქონდა სტიქიურად დაწყებულს ხალხურს მოძრაობაში და იმ დიდს ეროვნულს დარაზმულობაში, რომელიც ეროვნულ—დემოკრატიული წრეების გარშემო იყრიდა თავს. ზამთარს დაიწყო სტიქიურად სვანეთის აჯანყება, რომელიც გაზაფხულზედ დასრულდა, სრული გამარჯვებით. საბჭოთა ძალაუფლებამ მიიღო სვანეთის ყველა მოთხოვნილებანი და ამის შემდეგ ეს კუთხე ფაქტიურად სრულის ავტონომიით სარგებლობდა. გასაგებია, რომ სვანეთის გამოსვლამ დიდი

ზნეობრივი გავლენა მოახდინა მთელს ქართველს ერზედ. 21 წლის სამარცხვინო დამარცხების სირცხვილი სანახევროდ წარხოცილი იყო. ელორდანია-რამიშვილის კამარილიის მიერ დანატოვარი დამფრთხალი ფსიხოლოგია უკვე მოხდილი და მოხელებული იყო. გაზაფხულს დაიწყო ასეთივე სტიქიური ბრძოლა კახეთ—ხევსურეთში, რაც შემოდგომის დასაწყისს დიდ აჯანყებად გადაიქცა. მთელი საქართველო ამ აჯანყების სულით იყო შეპყრობილი. მთელი ეს დიდი ბრძოლები და მოძრაობა სავსებით მენშევიკების გარეშე მოექცა და ამისგამო მენშევიკებმაც პროკლამაციები გამოსცეს. რომელშიდაც სვანეთის და კახეთის აჯანყება კონტრრევოლიუციად და ბატონ-ყმობის აღდგენის სურვილით დაწყებულ საქმედ გამოაცხადეს. მაგრამ ასეთი გამოსვლები კიდევ უფრო აშორებს მათგან მებრძოლ ძალებსა და ერში ახლად დამყარებულ სულისკვეთებას. თავის გავლენის აღდგენისათვის ისინი ახალ ზომას მიჰმართავენ—განუწყვეტლივ თხზავენ და გაბმულად ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს ნ. ელორდანიას შესახებ: ხან ჯარებით მოჭყავთ, ხან ესკადრით და ხან კიდევ მსოფლიო კონგრესებზე დაჭყავთ და საერთაშორისო სადაო კითხვებს არიგებენებენ. ამ ქამად გერმანია—საფრანგეთს აზავებს და როგორც გაათავებს საქართველოდან ბოლშევიკების გარეკვის საქმეს შეუდგება და ამასაც მალე მოათავებს. აი ეს უპატიოსნო, თუ ულაზათო პროკლამაციები და ჭორები შეადგენს ელორდანია-რამიშვილის ხალხის ფარ-ხმალს იმ დროიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე. ამას მოხმარდა აურაცხელი, ეროვნული სალაროდან გადაგზავნილი თანხები.

მაგრამ მენშევიკურ პარტიებში ყველა ბრმები არიყვნენ და არც ელორდანია-რამიშვილის შინაგმები. ბევრი ნათლად ხედავდა რომ ელორდანია-რამიშვილის რეჟიმის რესტავრაციის დროშით მუშაობა არის სამარცხვინო კარასტროფის დროშით მუშაობა და რომ მთე-

ლი ერის, მთელი ხალხის განწყობილება ბუნებრივად უპირდაპირდება ასეთს დროშას. ამის შეგნებას ჩვენგანაც არ ჰფარავენ ისინი. განსვენებული ალ. ლომთათიძე ასე დიპლომატიურად გვიმარტავდა მეტეხის Cიხეში თავის შეხედულობას ქართველს ერში მომხდარ გარდატეხის შესახებ: «ჩვენმა პარტიამ მთელი მეოთხედი საუკუნე ამზადა ხალხი კლასთა ბრძოლის ნიადაგზედ. ეხლანდელს ბრძოლაში ეს მომენტი არ ბატონობს. ის ეროვნული ბრძოლაა. გასაგებია, რომ ამ ახალს ბრძოლებში ჩვენ პარტიას ვერ შერჩება პირველობა, ისე, როგორაც თქვენმა მიმართულებამ ვერ შეინარჩუნა ასეთი პირველობა რუსეთის პირველი და მეორე რევოლიუCიის დროსაო.» ასეთი აზრები ფეხს იდგამს მენშევიკურ პარტიაში. ჟორდანია-რამიშვილის კამარილიას მორჩილნი უმCირესობაში რჩებიან, უკვე 1922 წლის დასაწყისიდან და ამით აიხსნება მენშევიკური პარტიის Cეკამ რომ ხელი მოაწერა იმ წლის მაისში პარტიათა შორის დადებულ სელშეკრულებას. აქ მათ დასთმეს სავსებით ნ. ჟორდანიას მთავრობისა და მენშევიკური წყობილების რესტავრაCიის მოთხოვნა. შეთანხმების პირველი მუხლი პარიტეტულ ნიადაგზედ შემდგარ დამოუკიდებლობის კომიტეტს აღიარებს, როგორაც უმაღლეს ორგანოს საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლისა შინ და გარედ. ვინაიდან არ შეიძლებოდა ნ. ჟორდანიას მთავრობის შეCვლა, ის დატოვეეულ იქმნა დიპლომატიური მუშაობისათვის უCხოეთში, მაგრამ ეს მუშაობაC მას უნდა ეწარმოებანა დამ. კომის ხელმძღვანელობით და მის მიერ დანიშნულ კომისიასთან შეთანხმებით. თანახმად მეორე მუხლისა, როდესაC განმათავისუფლებელი ბრძოლა მიაღწევდა თავის მიზანს, დამ. კომი ჰქმნიდა დროებით მთავრობას საქართველოში, კოალიCიურ საფუძვლებზედ, ხოლო ისე, რომ არC ერთ პარტიას არ ჰქონოდა მთავრობაში ერთ მესამედზედ მეტი პორტფელ ებისა. შეთანხმების ერთი მუხლის ძალით, როდესაCნ.

ჟორდანიას მთავრობა დაბრუნდებოდა საქართველოში, ის უნდა წარსდგომოდა ფრაქციების მიერ შექმნილს ორგანოს პასუხის საგებად ინანგარიშის მისაცემად 1921 წლის კატასტროფის გამო. ჟორდანიას მთავრობის მიერ ევროპაში გაზიდული ქონება და ყველა აპარატები საქართველოსთან კავშირისა, უნდა გადასულიყო დამ. კომის განკარგულებაში. შეთანხმების ტექსტი გაეგზავნა ნ. ჟორდანიას მთავრობას. დაგვიანებით, მაგრამ ის მაინც იძულებული გახდა ოფიციალურად ეცნო ეს შეთანხმება თავისთვის სავალდებულოდ და მიეწერა დამ. კომისათვის რომ ის შეასრულებს შეთანხმების ყველა პირობებს. აჯანყების შემდეგ გამართულ პროცესის დროს ერ-დემ. პარტიის წარმომადგენელმა იასონ ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ეს შეთანხმება. ეს საჭიროდ იქმნა ცნობილი, რათა ყველას დაენახა, რომ საქართველ. საგანთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს არასოდეს ჰქონია დასახული თავის მიზნათ აღდგენა და რესტავრაცია ჟორდანია-რამიშვილის რეჟიმისა, რომელმაც ასე სამარცხვინოდ დაამარცხა საქართველო.

მალე გამოირკვა, რომ ამ შეთანხმების მიღება და მისი განაღდების აღთქმა ახალი ბოროტი თვალთმაქცობა იყო ჟორდანია-რამიშვილის მხრივ. არც ერთი მუხლი შეთანხმებისა არ შესრულებულა მათ მიერ. დამკომის წარმომადგენლობა ცნობილ იქმნა გარეგნულად, ხოლო გამასხარავებული და გაბათილებული გახადეს არსებითად. საქართველოსთან კავშირის აპარატი, რასაკვირველია, საერთო საღსრით მოწყობილი, სავსებით მათ პარტიულ ორგანოდ იყო გადაქცეული. რაც შეეხება საერთო ქონებაზა და საღსარს, აქ ხომ არავითარი კონტროლიც არ იქმნა მიკარებული. როგორც საქართველოში არავითარი ცნობები არ მისცეს დამფუძნებელი კრების კომისიას განაზიდავ ქონების შესახებ. ისე ევროპაში ჩამოტანილ ქონების რაოდენობისა და მისი რეალიზაციის წესების შესახებ არავითარი ცნობა არ მიუცია

არც დამკომის კომისიისათვის, არც დამფუძნ. კრების წევრებისათვის, არც პარტიათა წარმომადგენლობისათვის და არც თვით თავის პარტიულ ორგანიზაციისათვის. ზოგს უკმეხად უპასუხებდენ ასეთი კონტროლი დაამცირებს მთავრობის პრესტიჟსაო, ან კიდევ უფრო ხშირად—ჩვენ ქართველ ხალხს ჩავაბარებთ ანგარიშს, როდესაც საქართველოში დავბრუნდებითო. მათს ადგილზე კი რომ სხვები ყოფილიყვენ, საშუალო ზნეობითა და პატიოსნებით აღჭურვილნი, თვითონ ითავებდენ რაიმე საკონტროლო ორგანოს შექმნას, რომ ქვეყნის დაღუპვის დანაშაულობა ახალი დანაშაულობებით არ გაემრავლებინათ. საერთო საღსრის ერთი ნაწილი, არ. ავ ინ ციის მთელის მერამოდენიმე ნაწილია ის, მთავრობის წიგნებში შევიდა და ამის შემდეგ ამ თანხების ბედი საკმაოდ ნათელია. რაც საქართველოში გაიგზავნა, აქედან, მერვედი ნაწილი მიუგდეს დამკომს—განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელ ორგანოს, ყოველივე საერთო საღსრისა და ქონების პატრონს, ხოლო შვიდი მერვედი თანხებისა გაეგზავნა მენშევიკურ ორგანიზაციას. ხოლო აქაც ეს საღსარი უვარდებოდა ხელში შერჩეულ წრეს—ქორდანია-რამიშვილის საიმედოაგენტებს, რომელნიც ოპოზიციაში უდგანან მენშევიკური პარტიის უმრავლესობას, ახალს ეროვნულ სულისკვეთებას და მათს ლოიალურ განწყობილებას საერთო ეროვნულ ფრონტთან და დამკომთან. ყოველივე საღსარი და საშუალება იმისათვის, რომ მენშევიკური ორგანიზაცია მაინც განთავისუფლდეს ინტერპარტიულ შეთანხმების სულისკვეთებისაგან და ძველებურად დაუბრუნდეს ქორდანია-რამიშვილის უსიტყვო მორჩილებას. ამის შემდეგ არ იქნება ძველი დამკომის შებოჭვა და მთლად დაღუპვაც.

საქართველოს გაერთიანებული მებრძოლი ფრონტის წინააღმდეგ ქორდანია-რამიშვილის შეთქმულობა დაიწყო აქტიურად და ფაქტიურად განსვენებულის ნოე ხომერიკის გაგზავნით საქართველოში 1922 წლის ზაფხ-

ულში და დასრულდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით. სამოქმედო დევიზათ მიCემულია: მენშევიკური პარტია განსაCდელშია! ახალი ბრძოლის მიმდინარეობა ეროვნულ—დემოკრატიულ მიმდინარეობის კალაპოტს მისდევს, მენშევიკური პარტია გარიყული რჩება. საჭიროა ამ მოვლენის შებრუნება, შიტრიალება. თუ ეს შეუძლებელი გახდება, სჯობს მთელი ამ ძალების უფსკრულში გადაგდება, დაღუპვა.

რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გეგმა ბევრს არ ეCოდინებოდა. გაგზავნილები და იქაურები აკეთებდენ Cალ—Cალკე ისეთს ს.ქმეს, რომელიC საერთო ბრძოლის საქმის ფარგალში თავსდებოდა, ხოლო ა შედეგი ექნებოდა ყველა ამათ Cალ-Cალკედ ნაკეთებს, ეს შესაძლოა, არავინ იCოდა ეორდანია-რამიშვილის მეტმა. ასე რომ, როდესაC ნ. ხომერიკი ჩავიდა საქართველოში და აქედან დავალებით «მიემხრო» აჯანყების იდეას და შეუდგა მის მზადებას, ის გულწრფელად სწერდა ეორდანია-რამიშვილს: მე სრული რწმენა მაქვს, რომ კახეთის აჯანყების დროს რომ საერთო აჯანყება გამოC ადებულიყო ეს გამარჯვებით დასრულდებოდა, მაგრამ ჩვენს ამხანაგებს შეუშლიათ ხელი. შემდეგ იგზავნება პასუხისმგებელ მენშევიკთა მთელი გუნდი. ვალიკოჯუღელისა და ბენია ჩხიკვიშვილის მეთაურობით. ეს თავის თავად არწმუნებს ყველას, რომ აჯანყების საქმე ბეტად საფუძვლიანად არის მოწყობილი. უCხოეთიდან. Cხადია, რომ ამათ განCხადებას, რომ ერეო და მაკდონალდი გვირჩევენ აჯანყებას, რომ ინგლისის ესკადრა მოდის, პოლონეთის ჯარების დივერსია დაწყებულ ა. გეგმი იარაღით ს.ზღვარზე დგას და სხ., საკმაო ნდობით ხვდებიან. ეს საკმარისია წელთა განმავლობაში უმქიმეს ნერვიულ ატმოსფერაში მყოფ წრეებში იმედებისა და ილიუზიების შესაქმნელად. მათ არ უძნელდებათ ყოველივე ამაში სხვისი დარწმუნება და დაჯერება. რადგან ყოველივე ეს თვითონ სწამთ, თვითონ სჯეროათ. პატარა

ნოეს ისინი არ ენდობიან, მაგრამ ყოველივე ეს დიდი ნოეს სიტყვა, დაპირება და გეგმაა. ჟორდანია-რამიშვილს ეს შეთქმულობა ეროვნული ფრონტის წინააღმდეგ ორი წლის ნაშზადები და ჩანაწერები აქვთ. ყოველივე გამოზომილია და ნაანგარიშევი. ასეთი ექსპედიციის ჩასველამ საქართველოში ააღვიძა და გააცხოველა მებრძოლს წრეებში აჯანყების მიმჭრალი იმედები. სამხედრო კავშირის ჩავარდნის შემდეგ აჯანყების იდეა ძველებურს იმედებს აღარ იპყრობდა. ეხლა შინაგან ძალებს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორები ემატებაგარედან. აჯანყებ ის იმედი კვლავ რეალობას იძენს. აჯანყების იდეა კვლავ იპყრობს მებრძოლი ძალების დიდს ნაწილს. გაერთიანებულ ფრონტს თავის მხრივაც აქვს მიღებული ზომები აჯანყების პირობებისა და მოსალოდნელი დახმარების გამოსარკვევად უცხოეთში. მან თავისი რწმუნებული გაგზავნა პარიზში, დამფ. კრებისწევრი ნოდია, სოც—დემოკრატი. მას დავალებული ჰქონდა ყოველივე ეს გამოერკვია მთავრობასთან და პარტიების წარმომადგენლებთან. რამიშვილი დახვდა მას წინ და გეგმიდანაც არ ჩამოუშვა. უკანვე დააბრუნა ყველას სახელითა და ყველასი მაგიერ დაიმედებული და დარიგებული.

გასაგებია, რომ უკვე ამ აჯანყებაში ჟორდანია-რამიშვილის ხალხი ტეხნიკუარადაც ღებულობენ მონაწილეობას. მთავარს დახმარებას ამათგან მოელიან უცხოეთიდან დაპირებულს. აჯანყება გამოცხადდა და ის დამარცხდა. თავდადება და გმირობა მრავალი იყო, მაგრამ ყოველივე ეს უქმი გახდა. თვით მენშევიკურმა წრემ აჯანყების დამარცხების შემდეგი უმთავრესი მიზეზები აღნიშნა საგანგებოდ გამოცემულს პროკლამაციაში: ვ. ჯუღელმა უნებლ ეთ გაამეღავნა აჯანყების გეგმა და ჭიათურა ერთი დღით ადრე გამოვიდაო. უცხოეთის დახმარებაზედ ლაპარაკიც მეტია. ამ რიგად აჯახყების იმედი ემყარებოდა ორ ძალას—შინაურს, მებრძოლ ძა-

ლთა ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას და გა
რეგან დახმარებას იარაღით, მოწყობილობით, ფლოტ-
ით და სხ შინაგანი ძალები ვერ იქმნა გამოყენებული
ჯეროვანად ჭიათურის უდროოდ გამოსვლის გამო და
საგარეო ხომ სულ მოღალატეობრივი ტყვილი გამ.ოდგა-
კატასტროფის მიზეზები, ერთი ესა და მეორეც ეორდანია-
რამიშვილის კამარილიის კარებთან მიდის. აჯანყების
ლიდერობა მუშათა ჭიათურას უნდა ჰქონოდა და ამიტ
ომ ის სხვებზედ უფრო ადრე უნდა გამოსულიყო. ვინც
ეს ასე ჩააწყო, მან უთუოდ ისიც იცოდა, რომ არავითა-
რი დახმარება არ იქნება გარედან და აჯანყება მაინც და
მარცხებით დასრულდება. ეს მაინც ვარჩეს ევროპაში
საფაფხუროთ რომ აჯანყება მენშევიკებმა დაიწყეს. აჯ-
ანყებას მენშევიკები მეთაურობენო.

მზაკვრული და მოღალატური როლი ეორდანია-
რამიშვილის მხრივ ამ საბედისწერო საქმეში სრულდება
ბოროტი ადამიანის ბოროტების ყველა საზღვრებს. აჯა-
ნყება დამარცხდა და გადარჩენილი ნაწილი ევროპაში ჩა-
მოვიდა. სამხედრო მოქმედების ყველა მეთაურებმა მთა
ვრობასა და პარტიებს წერილობითი მოხსენება წარუ-
დგინეს. ხაზ გასმით აღნიშნეს, რომ შინაური ალების მი-
ხედვით შეუძლებელი იყო აჯანყების მოხდენა, რომ მხო
ლოდ მთავრობის მიერ შემოთვლილ დაპირებების იმე-
დით მიემხრენ აჯანყებას სამხედრო ძალები. მთავრობას
არ უარუყვი. ეს მოხსენება. არავითარი გამოძ.ება არ
დაუნიშნავს მას ამ საგანზედ. ეორდანია რამიშვილის
ასეთს მზაკვრულს როლზედ შემდეგ მა ი წრიდახაც ბე-
ვრი აღნიშნავს პრესსაში. ეროვნულ—დემოკრატიული
მიმართულების გამოცემები ახდილად ურდგენს მათ ამ
ბრალდებებს 1925წელს და შემდეგ კიდევ 1928წელს. არც
უარყოფა არც თავის მართლება.

ბევრს უკვირს—როგორ შესძლეს მებრძოლი ძა-
ლების ასე თავის ჭკუაზედ წაყვანა და აფეთქება. ალბად
დიდი ძალები ჰქონიათ თვითონ მათ, ეორდანია-ამი-

შვილსო. ამისათვის დიდი ძალები არ იყო საჭირო. მებრძოლი ფრონტი წარმოადგენდა თოფისწამლის საწყობს და მისი აფეთქება ხომ ბავშვსაც შეუძლიან. ჰეროსტატემ გადასწვა დიდი ტაძარი, რომლის აშენება მას არ შეეძლო. ასევე ამათაც. მებრძოლი ფრონტის შექმნა ვერ შესძლეს, ხოლო მისი გადაწვა მოახერხეს.

საკითხავია—რას გამოელოდენ ისინი ამ მზაკვრულ გეგმისაგან? უმიზნოთ ასეთს რასმეს აბა ვინ ჩაიდენს. შეიძლება მრავალგვარი იყო ეს მოლოდინი, ხოლო ზოგიერთი საკმაოდ ნათელია, რადგან საკუთარ ქორდანია-რამიშვილის მაშინდელ მდგომარეობისაგან. იმ ხანად უკვე მილევაზედ იყო მთავრობის სალაროში შესული საღსარი; ქორდანია-რამიშვილის მდგომარეობა თავიდანვე მეტად შესუსტებული იყო ევროპის ოფიციალ წრეებში, ხოლო ამ დროს თვით მეორე ინტერნაციონალშიც ეცემოდა მათი გავლენა. მენშევიკების მეთაურები არ მალავდენ, რომ მათ იქ ძველებურად აღარ უყურებდენ. ემიგრანტული პარტია ხართ, ხალხი საბჭოებს შეურიგდაო. ცხადია, რომ ყოველგვარი ბრძოლა, რომელიც კი დაიწყებოდა საქართველოში ქორდანიას მთავრობის სახელთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობდა მათი მდგომარეობის რამოდენიმედ მაინც აღდგენისა და გამოსწორებას ევროპის წრეებში. მით უმეტეს თუ ეს აჯანყება ქნებოდა. მათ სათქმელი გაუჩნდებოდათ—ხომ ხედავთ როგორ დაუზოგავად ღვრის თავის სისხლს ქართველი ერი მენშევიკური მთავრობისთვისო. ამას თავისი ფინანსიური შედეგებიც უნდა ჰქონოდა. თვით საქართველოს შესახებაც არ იყო ძნელი წარმოსადგენი ასე მოწყობილი აჯანყების შედეგები. შეიძლება არავინ ჰფიქრობდა, რომ ამ ზომათ დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა მას. მაგრამ უეჭველი ვარაუდის ქონა შეიძლებოდა, რომ დამკომი და მის გარშემო დარაზმული აქტიური ძალები უნდა დაღუპულიყო. ამით მოისპობოდა ის ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს ქორ-

დანიას მთავრობაზედ მაღლა აყენებდა და მას გასამართ ლებას ჰპირდებოდა როგორც კი საქართველოგანთავი-სუფლდებოდა საბჭოთა ოკუპაციისაგან. ამ ორგანიზა-ციის წინააღმდეგ ბოროტი შურისძიება რომ ადვილად ჩაადენინებდა ჩვენ მრისხანე ნერონებს ყოველივე ბოროტებას, რაზედაც კი მათ ხელი მიუწვდებოდათ, ეს არ იქ-ნება ძნელად დასაჯერებელი იმისათვის, ვინც ამ ქორდა ნია-რამიშვილის ბუნებას და ხასიათს იცნობს. აჯანყე-ბის წინ აღძრეს მათმა აგენტებმა საქართველოში სხვა პარტიათა წარმომადგენლების წინაშე: გადავსინჯოთ შეთანხმების ის მუხლი, რომელიც ქორდანიას მთავრო-ბას შეეხება. მივიჩნიოთ ის კვლავ ფაქტიურად ჩვენ მთავრობად, რადგან მთელი ევროპა მათ ზურგს უკან დგას, ერიო და მაკდონალდს მხოლოდ მათთან შეუძლი-ან საქმის დაჭერაო. დამკომი რომ უნდა დაღუპულიყო ამაში იჭვი უთუოდ არ ექნებოდათ ქორდანია-რამიშვი-ლს. დაღუპვის წინ მისგან ანდერძის მიღებას ცდილობ-დენ—ქორდანიას მთავრობა კვლავ ჩვენ მეთაურად მი-ვიჩნიეთ, ის კვლავ ტახტზედ ავიყვანეთო. მაგრამ დამ-კომი არ დასთანხმდა ასეთი ანდერძის დატოვებას ქორ-დანიას მთავრობისათვის. ასევე უცხოეთში: აჯანყების ამბავი რომ მოვიდა პარიზში, ერთი კვირა ვერ გამოი-ყვანეს ნ. ქორდანია აგარაკიდან საიდანაც მხოლოდ რა-მოდენიმე საათის გზა იყო. ხოლო როდესაც ჩამობრძა-ნდა, პირველი საკითხი, რომლის გამორკვევას შეუდგა ის ექსპერტების შემწეობით, იყო შემდეგი: აჯანყებათუ გამარჯვებით დასრულდა და დროებითი მთავრობა შე-სდგა, შეარყევს თუ არა ეს გარემოება ჩემი მთავრობის ოფიციალ მდგომარეობასო. მას უპასუხეს, რომ დიდათ შეარყევს, მაგრამ ამის საშიშროება უკვე აღარ იყო. აჯა-ნყების ალი რამოდენიმე ათას საუკეთესო ქართველთა სისხლის მორევში იქმნა ჩაკლული და ჩამქრალი.

აჯანყებამ მოუტანა ქორდანია-რამიშვილს ყველა ის ნაყოფი, რასაც მოელოდენ. უცხოეთის გაზეთებმა

კვლავ გაიხსენეს მათი სახელები და მათი სახეებიც გაიცნეს. ინტერნაციონალშიც გამოსწორდა მათი საქმე და ფინანსიუ ი გასაპირიც საფუძვლიანად იქმნა გამოსწორებული. მათი მეტოქე მებრძოლი სენტრიც დაიღუპა. ამიერიდან ქორდანია-რამიშვილის მთავრობას აღარ ჰყავს არც უფროსი და არც მეტოქე შინ და გარედ. მაგრამ მთავრობას დაძველებული, სახაზინო სახელი აქვს. მებრძოლი ეროვნული ფრონტის სახელი უფრო მიმხიდველი იყო და უფრო მჭრელი. ქორდანია-რამიშვილი ითვისებს გაერთიანებული ეროვნული ფრონტის სახელს. მიიმატეს სამიოდე პოლიტიკური მოღვაწე და გაერთიანებულ მებრძოლ ფრონტად გახდენ, იმ ფრონტად რომელ საც ისინი ძირს უთხრიდენ თავიდანვე და ბოლოს უფსკრულშიც გადააგდეს. ამიერიდან ამ საერთო ფრონტის სახელს ლოცულობენ. ა ღმოსავლეთში წმინდათა წმინდათ არის მიჩნეული მამის საფლავი და მითთიკულობენ. ამაზედ არისანდაზა—მამა მოკვალი, რომ მიაი საფლავით დაფიცება შემეძლოსო. ასევე იქცევიან ქორდანია-რამიშვილი— საერთო ფრონტი დაასამარეს, რომ მისი სახელით ეფიცონ, მისი სახელი გამოიყენონ, მისი სახელით ივაჭრონ.

ზოგს კიდევ არ აქვს ნათლად წარმოდგენილი ამ ორი ფრონტის ბუნება და ხასიათი. საერთო მასში სახელია მხოლოდ, ისიც ქურდულად მითვისებული ქორდანია-რამიშვილის კამარილიის მიერ. ხოლო მთავარი განსხვავება შემდეგია: საქართველოს მებრძოლი ფ ონტი იყო რეალური მოვლენა და დიდი სინამდვილე პატრიოტულ თავდადებასა და თავგანწირვაზედ აღმოცენებული, სამშობლოსათვის დაღვრილ წმინდა სისხლით გაქვითკირებული; ხოლო ეს ქორდანია-რამიშვილის "ეროვნული ფრონტი" არის სიყალბე, ფიქცია, შინ და გარედ მოსატყვილებლად და სასპეკულიაციოდ მოგონილი.

ქორდანია-რამიშვილის ბოროტი შურისძიება სა-

ქართველოს მებრძოლი ფრონტის მიმართ არ დამცხრალა იმის შემდეგაც, რაც ამ ფრონტის სათავე და მთავარი ძალები დაიღუპა. ვინც გადარჩა ამ ფრონტის დამაარსებელთაგან მათ წინააღმდეგ მათი ბოროტი ზრახვები სავსებით მოსალოდნელი იყო და გასაგები. მებრძოლთა საშუალო ფენებიც ვერ გადარჩა მათ მრისხანე შურისძიებას. საქართველოდან გამოქცეულებს მთავრობის აგენტი დახვდებოდა და ყორდანია-რამიშვილის «ეროვნული ფრონტის ერთგულობაზედ შეფიცვას მოსთხოვდა. ამ მხრივ საეჭვოდ მიჩნეული უკანაც გაუბრუნებიათ. ბევრი იძულებული ხდებოდა ასეთი აღთქმა დაედვა. შემდეგში კი ბევრი უპარტიო და ჩვენი პარტიის წევრნი იძულებული ხდებოდენ ყორდანია-რამიშვილის მოწმობით წამოსულიყვენ საქართველოდანვე. ბევრმა აქ დახია ეს მოწმობები. ზოგი კიდევ ვერ ებედავს შიშითა და მორიდებით. ეს კიდევ ერთი თვისება ყორდანია-რამიშვილის «გაერთიანებული ფრონტისა». ის არსებობის წყაროდ გახდა იმათთვის, ვინც თავიდანვე ებრძოდა საქართველოს მებრძოლ ფრონტს და ბოლოს კიდეც დაღუპა ის, ხოლო ხაფანგად და ჯოჯოხეთურ წრეთ იმათთვის, ვინც უანგაროდ ემსახურებოდა მებრძოლ ეროვნულ ფრონტს წლების განმავლობაში და მისთვის თავს სწირავდა.

ყოველივეს ვინ მოსთვლის, ხოლო რამოდენიმე მოვლენის აღნიშვნა კიდევ არის საჭირო იმისათვის, რომ საკმაოდ ნათელი გახდეს ყორდანია-რამიშვილის ზრახვები და განზრახვები, საქართველოს ეხლანდელ ბრძოლის ხანაში გამოღავნებული და განაღდებული. აგვისტოს აჯანყების შედეგი იყო მწარე გლოვა და გოდება საქართველოში და ემიგრაციაში. საქართველოს გაერთიანებულ ფრონტს თავის წარმომადგენლობა ჰყავდა მთავრობასთან, რასაკვირველია, ნომინალურად. კარგი ჩხეიძე იყო მისი თავმჯდომარე. დამკომის უფლებების დაცვაში განსვენებული ვერას გახდა ყორდანია-რამი

შვილის წინაშე, ხოლო შემდეგ დაინახა, რომ მის ზურგს უკან ამათ მოაწყვეს ისეთი საქმე, რომელმაც დაღუპა დამკომიც, უმთავრესი მისი ძალებიცა და კიდევ რამოდენიმე ათასი ქართველი. დიდხანს ვერ გაუძლო სინიდისის ქენჯნას არა თავის, არამედ სხვათა მოქმედებისათვის და თავი გაიწირა. ჟორდანია-რამიშვილი კი იმ ხანებში ახლად ჯვარდაწერილებივით ლაღობდენ: სახე მომცინარე, სიტყვა-პასუხი უდარდელი და მხიარული.

რამოდენიმე თვეც არ გასულა აჯანყების შემდეგ, რომ ნ. ჟორდანიამ კიდეც შეაფასა ის. ბევრი იქ ერემის გოდებას მოელოდა. სრულიადაც არა, რამოდენიმე სტრიქონი თუ მოიპოება ამ წიგნაკში თავდაპერილი დამწარე თემისათვის შესაფერისი. დანარჩენი მხიარული და სახუმარო კილოთი გაჯავრებაა ბოლშევიკებისა და მათთან «შემძვალების». ხოლო აჯანყება სასტიკადაა დაგმობილი იმის გამო, რომ ის «პუჩს» დაემსგავსა, შეიარაღებულთა მონაწილეობა ნაკლები იყო ვიდრე შეუიარაღებელთაო. სვანეთის და კახეთის აჯანყებების დროს ასე არ იყო, მაშინ ბრძოლა მეტი იყო და მსხვერპლი ნაკლები, ეხლა კი ბრძოლა ნაკლები და მსხვერპლი კი მეტი. აქედან ნ. ჟორდანია მისთვის ჩვეულებრივს ყიჩილბაშურ დასკვნას აკეთებს: «სამხედრო ხაზი არ იყო სწორი, ხოლო პოლიტიკური ხაზი იყო სწორი.... მდგომარეობა იხსნა პარტიებმა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიამ.... იმით, რომ უიარაღო ხალხი გამოიყვანაო და მით მორალური გამარჯვება უზრუნველყოვო. ამ უიარაღო ხალხის გამოყვანას, «მეტი ლაპარაკის» და ნაკლები ბრძოლის პოლიტიკას რომ რამოდენიმე ათასი ზედმეტი მსხვერპლი მოჰყვა, ეს ნ. ჟორდანიას წიგნაკიდანაც ნათლად სჩანს. მაგრამ რაიმე სახით უნდა შეაქოს თავისი პარტია, თუნდაც იმაში რაც მას უფრო ადრე დაგმობილი ჰქონდა. აჯანყების ასეთი ხასიათის დაფასება არამც თუ უმართებლო გასამართლებაა მისი, არამედ მისი ცინიკური გამოყენებაცაა სადემაგოგიოთა და ყა-

ლბად საკვეხნათა და სატრაბახოთ. მაგრამ თავის პარტიასაც ის თავისებურად ადიდებს. ის მას გაერთიანებული ბრძოლის იდეის მოღალატეთ გამოჰყავს. ამ ეროვნულ ფრონტს საერთო მიზანი ჰქონდა, ვიწროჯგუფურ აზრებს და დიქტატურა ჰეგემონიის მიზნებს დაშორებული. ასეთ დროშის ქვეშ დაიღვარა რამოდენიმე ათას მამულიშვილთა სისხლი. მაგრამ ეხლა ეს მებრძოლი ფრონტი უკვე წაქცეულია და ნ. ჟორდანიაც მოურიდებლივ შესძახებს ცოცხლებსა და მკვდრებს: «პარტიამ (მენშევიკურმა) უნდა შეინარჩუნოს როლი გეგემონიისა და თავის ირგვლივ შემოიკრიბოს, თავის ტაკტიკის ქვეშ დააყენოს ყველა სხვა უკმაყოფილო ელემენტები და პარტიებიო».

ასე სახავს ნ. ჟორდანია თავის პარტიის მონაწილეობასა, როლს საერთო ეროვნულს ბრძოლაში. მაშასადამე, ვინც თავი გასწირა მისიანმა ამ ეროვნულს ბრძოლაში, ის საერთო ეროვნული დროშისათვის კი არ ყოფილა თავდადებული, არამედ «პარტიულ გეგემონიისათვის», ნ. ჟორდანიას კვლავ დიქტატორის ტახტზედ აყვანის მიზნისათვის! მენშევიკურ პარტიამ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ბრძოლაში და ზოგი ამათგან ეროვნული გმირის სახელით უნდა შეემოსა ხალხსა და ისტორიას, მიუხედავად ყველა მათი შეცდომებისა, მაგრამ ნ. ჟორდანია არ იწყნარებს ასეთს ამბავს. ის მათ თავიდან აგლეჯს ეროვნული წამების გვირგვინსა და სამაგიეროდ მისი ტახტისა და მისი კამარილიის ერთგულობის ნიშნით ამკობს. ასეთს აზრებსა და განზრახვებს სავსებით შეეფერება ამ ბროშიურის ვულგარული სახელი «რამ მოხდა»? რა მოხდა ისეთი მაინცა და მაინცო. ბევრი არაფერი, რასაკვირველია. რამოდენიმე ათასი კარგი ქართველი დაიღუპა. მაგრამ, სამაგიეროდ ამ ქართველთა სიცოცხლეში დაბმული ნ. ჟორდანიას ენა ძველებურად ამეტყველდა. ძველებურზედ კიდევ უფრო თამამად ალაპარაკდა....

ამ მხრივ ყველაზედ უფრო საყურადღებოა ის ინსტრუქციები, რომელნიც გაუგზავნეს ნ. ყორდანიამ და ნ. რამიშვილმა თავის აგენტებს საქართველოში, აბესალომ პრაგელის ხელით, 1927წ. გაზაფხულს და რომელიც გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნდა. გაერთიანებული ერ ოვნული ფრონტის სულისკვეთების ნიშანწყალიც აღარ არის აქ. ამის მაგიერ აქ თავმოყრილია: ქურდული ინსინუაციები, პროვოკაცია და დაბეზღებები ყველასი, ვი ნც მათს ეროვნული ბრძოლის მთლიანობის დამშლელ საქმეს არ ემსახურება. ისინი ჯერ ქურდულ ბრძოლას უკარნახებენ თავის აგენტებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ყორდანია-რამიშვილის ფრონტს არ ეყმობა. ხოლო შემდეგისათვის კი, უკეთუ სასწაული მოხდა და ძალაუფლება აბესალომებს ჩაუვარდა ხელში, სამოქალაქო ომის გაჩაღებას ურჩევენ ასეთი წრეების წინააღმდეგ. ასეთები «არ გაეჭაჭანოთო». ასეთები კი, რასაკვირველია, მარტო ჩვენი მიმართულების მიმდევარნი კი არარიან, არამედ ყველანი, ვინც კი ემსახურებოდა საქართველოს მებრძოლ ფრონტს და მის იდეას დასულისკვეთებას იზიარებდენ. ამ ბრძოლებს გადარჩენილთ და ბრძოლაში დაღუპულთა ძმებსა და მშობლებს გაღებულ მსხვერპლისათვის ასეთს დაფასებას ჰპირდებიან—«არ გაეჭაჭანოთო».

რასაკვირველია, ასეთს ინსტრუქციას ფაქტიურად არ შეეძლო დიდი მავნებლობის მოტანა. თითო ოროლა პირს თუ ეურევდა ის გონებას, თორემ მეტი იქ მათ არავინ დარჩენიათ. თავისი ერთგული ყმები რომ უფრო მრავლად ჰგულებოდათ საქართველოში ყორდანია-რამიშვილს, ფსიხოლოგიურადაც ვერ შესძლებდენ ასეთი სიბინძურის დაწერას. ეს არის დაღუპული ხალხის ბოროტი სასოწარკვეთილება და შხამი. მაგრამ ამ ისტორიულს ბოროტებაში მეღვივნდება ერთი რამ ჯარემოება და ის მეღავნდება ყოველს სტრიქონში, ყოველს სიტყვაში. ეს არის შიში, შიში არა ბუნებრივი, შიში ფიზიო-

ლოგიური. აქ არ არის შიში მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნებისა, პარტიის, თუ ჯგუფის, რაიმე გარკვეული წრის. ეს არის შიში ყველასი, მთელი ერის, ცოცხლებისა და მკვდრების. ქორდანია-რამიშვილისასეთი განწყობილება არ ს გამოძახილი იმ ოამრავი დანაშაულობებისა, რომელიც მიუძღვით მათ ქართველი ერის წინაშე, თუ ის სხვა მიზეზებით არის გამოწვეული, ეს სულ ერთია. ერთი რამ უდავოდ არის მისაღები—რომ ასეთი ინსტრუქციების შეთხზვა არ შეუძლია არამც თუ მინისტრებსა და პარტიის ლიდერებს, არამედ სულ უბრალო პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, უკეთუ მათ გონებრივი წონასწორობა დარღვეული არ აქვთ. სწორედ აქედ უნდა მიიქცეს ამ პირთა პოლიტიკურ ჭირისუფლების ყურადღება, უკეთუ ასეთები მათ მოეპოებათ.

ასე გადაწყდა ამ ორი ფრონტის ურთიერთ შეუერიგებლობა და ბრძოლა. საქართველოს მებრძოლი ფრონტი დაამარცხა ქორდანია-რამიშვილის მოღალატურმა და მზაკვრულმა მუშაობამ. ის ფიზიკურად წაქცეულია. დიდი ნაწილი მისი ძალებისა დაღუპულია, მრავალი კიდევ გაბნეულია ცივს ქვეყნებში თუ ემიგრაციაში. მაგრამ ეს მებრძოლი დარაზმულობა არ დამარცხებულა ზნეობრივად. წინააღმდეგ ამისა, ის სამშობლოსათვის წამების გვირგვინით შეიმოსა, ერის გულში სიყვარული და თაყვანება დაიმკვიდრა. ქორდანი -რამიშვილის კამარილია კი გამარჯვებული დარჩა, მაგრამ ეს გამარჯვება პიროსის გამარჯვებაა. მან ახალი ღალატისა და გ ნუზომელი დანაშნულობათა სიმძიმეაიკიდა და წინდელს მიუმატა. სინიდისის ქენჯნისაგან დაზღვეული ჰათი სულიც ვეღარ გაუძლებს ამ ახალს ტვირთს. ზნეობრივი საფლავი გაითხარეს, თავის ბოროტ მოღვაწეობის ბოროტი გვირგვინი თვითონვე დაწნეს და თავზედ დაიდგეს. მათ მიერ მზაკვრულად დ ღუპულ დარაბმულობას სამართლიანად შეუძლიან მიჰმართოს მათ ძველად თქმული სიტყვებით: «შენც წახდი, მეც წამახდინე,

ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!»

ყოველივე ამის შემდეგ ქორდანია-რამიშვილის «ეროვნულ ფრონტთან» ურთიერთობისა და კავშირის საკითხი დგას მხოლოდ იმ წრეებისათვის, რომელნიც არ იცნობენ და არ ხედავენ მათს მზაკვრულს მოღვაწეობას ეხლანდელს განმათავისუფლებელს ბრძოლის ხანაში. ხოლო ვინც ყოველივე ეს უწყის, მათთვის ეს ფრონტი წარმოადგენს განუზომელ ბოროტებისა და პოლიტიკურ გახრწნილობის ჭაობს. ამათთვის მასთან ურთიერთობის საკითხი სანიტარიის საკითხია და არა პოლიტიკის.

როგორ გავლენას ახდენს ქორდანია-რამიშვილის მოღვაწეობის ასეთი ბრწყინვალე დაგვირგვინება იმ პარტიაზედ, რომლის სათავე და სულის ჩამდგმელი იყო ის? როგორ მდგომარეობას განიცდის მენშევიკური პარტია? ეს პარტია დიდი ხანია რაც იწამლება და თახსირდება თავიდან. მისი მეთაურობა დიდი ხანია რაც მას ტვირთავს საშინელი დანაშაულობებითა და ქვეყნის წინაშე მძიმე პასუხისმგებლობით. მენშევიკური პარტია ამაზედ ვერ უპასუხებს თავდაცვის ინსტიქტით გამოწვეულ წინააღმდეგობით. ის ვერ ახერხებს და ვერც კი ცდილობს ამ სათავიდან მომდინარე საწამლავის თავიდან აცდენას, სათავის გაწმენდას, გაჯანსაღებას. ეს ვერ აიხსნება სხვაფერ თუ არა დაჩლუნგებით და დაავადებით მენშევიკური პარტიის სხეულისა. ამ პარტიის სხეულის დამბლადაცემულობა კი მარტო სათავის გახრწნით არ წარმოსდგება. უფრო მეტი მნიშვნელობა იქონია ამაზედ ძირის ფესვების გახმობამ, მასაზრდოებელ წვენების დაშრობამ, დასაყრდნობის დაქცევამ. ნიადაგის გამოფიტვამ. ასეთი დასაყრდნობი და მასაზრდოებელი წყარო იყო მენშევიკური პარტიისათვის, როგორც ეს ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, გაპროლეტარებული აზნაურობა და რუსეთის რევოლიუციონური წრეები. ამ ორ ფუძეზედ ეყრდნობოდა ამ პარტიის არსებობა და მათი ბედნიერი

ურთიერთობა ჰქმნიდა ზოგჯერ მის ძლიერებას. ეს პარტია, რასაკვირველია, მარტო გაღატაკებულ აზნაურობისაგან არ შესდგებოდა და ეს აზნაურობაც არ გვაქვს ჩვენ აქ მიღებული გეროლდიის წრეების მიხედვით. გაღატაკებული აზნაურობა იმ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვან წრეს წარმოადგენდა. მას ჰქონდა გარკვეული ეკონომიური მდგომარეობა და გარკვეული ზნე-დახასიათი, ცხოვრების დაფასება და ცხოვრებაზედ შეხედულობა. ასეთი მდგომარეობისა და ბუნების მოიპოებოდენ სხვა წრეებიდან გამოსულებიც: სამღვდელო წოდებიდან, თვით შეძლებულ აზნაურობიდან დაგლეხობიდანაც. გლეხი რომ რამოდენიმე წლით მოსწყდებოდა მიწას და სამაგიეროდ სხვა მუდმივ საქმეში არ ჩაებმოდა, ის უკვე გაპროლეტარებული აზნაურობის სულის მატარებელი იყო. ასევე იყო სხვა წრეებიდან გამოსული მოინტელიგენტო და უსაქმური ელემენტები. ამათთან ერთად მენშევიკურს პარტიაში მუშებიც მოიპოებოდა და გლეხებიც, მაგრამ ესენი არასოდეს ყოფილან არამც თუ მიმართულების მიმცემნი ამ პარტიისა, არამედ მაზედ ერთგვარი დაღის დამჩენელნიც.

მაგრამ ასეთს დეკლასიურს წრეებზედ დაყრდნობით შეუძლებელი იყო რაიმე მნიშვნელოვანი მიმართულებისა და პარტიის შექმნა. ამით აიხსნება, რომ ჟორდანიას თაობის ჯგუფი ფრიად სუსტი იყო,სანამ მხოლოდ ამ წრეს ეყრდნობოდა. ის მნიშვნელოვან ძალად გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მან ქართული აზნაურული პროლეტარიატი რუსეთის მშრომელ პროლეტარიატს გადააბა და თავისი მცირე ჯგუფი კიდევ რუსეთის რევოლიუციონურ პარტიებს დაუკავშირა. ამ წრეს თავის ქვეყანაში დაკარგული ჰქონდა ცხოვრების ყველა პოზიციები, ხოლო ეს ახალი პირობები მას მრავალ შესაძლებლობას უქმნიდა. მის ზნე-ხასიათში კიდევ იყო დარჩენილი წარსულის ასეთი მემკვიდრეობა,რომელიც ადვილად აწინაურებდა მას რუსეთის მუეიკებისა და

უნიათო ინტელიგენციის წრეში. ქართული გაპროლეტარებული აზნაურობა და მისი პარტია რუსეთის რევოლიუციონური ძალების ავანგარდი ხდება. ეს მათთვის ხელსაყრელი პოზიცია, რომლის მსგავსი საქართველოში არ ჰქონდათ. ასეთი მდგომარეობა ასვამს თავის დაღს ქორდანიას თაობის სოციალისტური შეჯგუფების ყოველს მოქმედებასა და აზროვნებას. ამით აიხსნება ქორდანიას თაობის სრული ეროვნული ნიღილიზმი. არსად ნახულა დამონებული ერის ასეთი პროლეტარიატი. თუ გლეხობა, რომ ის თავის ქვეყნის თავისუფლების წინააღმდეგი ყოფილიყოს. მაღალ წოდებებშიაც იშვიათია ასეთი ანტიეროვნული მიდრეკილება. ჩვენი აზნაურული პროლეტარიატი და მისი პარტია საქართველოს ავტონომიასაც კი არ იწყნარებდენ, რადგან ეს ავტონომია დააშორებდა მას რუსეთის რევოლიუციონურ წრეებს, ურომლისოდ ის არაფერს წარმოადგენდა. კიდევ მეტი-ქართველი მენშევიკები იყვენ ერთადერთი არა რუსული შეჯგუფება, რომელიც თვით რუსულს პარტიაშიც არ იყო ავტონომიურად მოწყობილი. ჩვენი მენშევიკები სჯობდენ თავის რუს ამხანაგებს რუსულს პატრიოტიზმში, რუსული ცენტრალიზმის ერთგულებაში. ისინი შეურიგებელი და უკიდურესი დამცველი იყვენ მთლიანი რუსეთის იდეისა თვით რევოლიუციების ხანაში. ის ინი ამ იდეის ერთგული დარჩენ მას შემდეგაც კი, როდესაც კავკასია და საქართველო ფაქტიურად ჩამოშორდა რუსეთს ობიექტიური პირობების ძალით. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა ექვსი თვეკი დევ ამის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოს რუსეთის სოც დემოკრატიული პარტია მართავდა. ამ პარტიას ჩვენს ცხოვრებაში რომ არ მოეპოებოდა საიმედო და მტკიცე დასაყრდნობი, მხოლოდ ამით აიხსნება მათი ასეთი სრული უნიათობა და უგულობა ქართულს სახელმწიფოს შენებაში. მათ არაფერზედ გული არ ჰქონდათ რადგან ნათლად გრძნობდენ, რომ მშობლიურს პირობე

ბში ძლიერ ადრე უნდა გამხმარიყო მათი სექტის ის ბატონობა, რომელიც რუსეთის რევოლიუციის ფართო ასპარეზზედ ასე მშვენივრად ყვავილობდა. ამით აიხსნება დაკარგული რუსეთის რევოლიუციონური ძალების სამაგიეროთ ევროპის სოციალისტებთან მტკიცედ გადაბმის ცდა დაჩქარებით და მათი მეთაურების მოპატიჟება: ინჟინრებისა და კაპიტალისტების ნაცვლად, თბილისის მეორე ინტერნაციონალის დედა ქალაქად გამოცხადება მათ მიერ და მთელი ჩვენი ქვეყნის მეორე ინტერნაციონალის საავარჯიშო ლაბორატორიად. ამით აიხსნება ყორდანიას წრის სიძულვილი გლეხობისადმი და საერთოდ დემოკრატიისადმი, მისი შეურიგებლობა რეალურ ქართულ მიზნებისადმი იმ ხანაშიც კი, როდესაც ის ქვეყნის სათავეში იყო და მთელი ერი მას მხარს აძლევდა. ამითვე აიხსნება ყორდანიას წრის სრული უილაჯობა ომისა თუ ზავის საქმეში, განსაკუთრებით, როდესაც ეს რუსეთს შეეხებოდა. აქ ეს პარტია წელ გატეხილი იყო, აქ ის წინდაწინვე დაპყრობილი და დამორჩილებული იყო. ამითვე აიხსნება ყველა მათ მიერ ჩადენილი საშინელებანი ოცდა ერთი წლის შემდეგ: საქართველოში განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საიმედო ძალების წინააღმდეგ მზაკვრული ბრძოლა და ნისი მოღალატურად დაღუპვა, ევროპაში კიდევ ჩვენი საქმისათვის უიმედო ძალების აკიდება და იქ მუშაობაში ყოველგვარი ეროვნული ღირსების დაკარგვა, დაგლახაკება და გამათხოვრება, თავის შერცხვენა და ქვეყნის შერცხვენა, ერთის სიტყვით, ამ ჯგუფს ორგანიულად არ შეუძლიან აკეთოს ის, რაც ჩვენს ეროვნულს მიზნებს მოუხდება. ინერციით მიდის ის ძველადვე გატკეპნილი გზით—საქართველოს ეროვნული მიზნების საწინააღმდეგო გზით.

რასაკვირველია, მენშევიკური პარტია მარტო ასეთებისგან არ შესდგებოდა. რუსეთის რევოლიუციონურ ძალების იანიჩრობას ყველანი არ შენატროდენ. ისეთე-

ბიც იყვნენ, რომელთაც ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნებაც ჰქონდათ და სახელმწიფოებრივი ხასიათიც, მაგრამ ესენი არ იყვენ პარტიული საქმის მატერიალებელნი. ამასთან ერთად ამათი დიდი ნაწილი ბრმა იყო ორსავე თვალზედ და ამის გამო ხამოკრატია მათ დემოკრატიათ ეჩვენებოდათ. დანარჩენები კიდევ თვალხილულნი იყვნენ, მაგრამ ხასიათით სუსტნი და გაუბედავნი.

ასეთს საფუძვლებზედ დამყარებული პარტია სულერთია იარსებებდა მხოდოდ იმ დრომდე, სანამ გაგრძელდებოდა ის არა ბუნებრივი მოვლენანი, რომლებზედაც ის იყო აღმოცენებული. გაპროლეტარებული აზნაურობის ძველს სახეს დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა. მეორე თაობა უკვე რამე სხვა გზას დაადგებოდა: ანხელოსნობას დაიწყებდა, ან მუშა გახდებოდა, ან კიდევ პოლიციის მოხელე; ასეც მოხდა—ეს წრე მეტად შემცირდა და რაც დარჩა, იმასაც ხასიათი გამოეცვალა. ნ. ჟორდანიას აკიდებამ ვერავითარი ხეირი ვერ ანახვა მას. უმრავლესობა კიდევ უფრო გააუბედურა. უშრომლად, სოციალისტურად გაანაურებისა და გათავადების იმედი დაეკარგათ. მუშა ვინც იყო და ინტელიგენცია, ამათაც ვერა ნახეს რა მასში გარდა ზარალისა. ასე დაშალა და დაარღვია ცხოვრების მსვლელობამ ნ. ჟორდანიას თაობის ერთი დასაყრდნობი—გაპროლეტარებული აზნაურობის წრე და მისი სულისკვეთება. მაგრამ არც მეორე დასაყრდნობი გამოდგა სამუდამო და საშვილიშვილო.

ნ. ჟორდანიას მცირე ჯგუფი რუსეთის პირველმა რევოლიუციამ გაზარდა და გააძლიერა. მეორე რევოლიუციის ტალღებმა ის ტახტზედ აიყვანა და უდავო ბატონობა ჩაბარ.. 21 წელს მოაღწია უკვე მესამე რევოლიუციის ტალღებმა, საბჭოთა რუსეთის სახით, რომელმაც დაამსხვრია მისი ბატონობის ტახტი საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად.

ამით ეს მეორე საფუძველიც გამოეცალა ამ პარტიას. რუსეთის რევოლიუციის ტალღები წინეთ მას უმაგრებდა ზურგს, ეხლა სხვას უმაგრებს ზურგსა და მათ კი წალეკას უქადის. არც არის მოსალოდნელი, რომ ძველი მენშევიკური ტალღები დაუბრუნდეს მას და კვლავ აღადგინოს. ის ისტორიას ჩაბარდა. ხოლო ეს მენშევიკური ესერული რუსეთიც რომ აღსდგეს, სრულიად არ არის მოსალოდნელი, რომ ის კვლავ გახდეს ნ. ჟორდანიას ამალისათვის სათარეშოდ. ამათთანაც დაკარგულია ძველი ნდობა და სიყვარული. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჟორდანიას აგენტები და დიპლომატებიც კი ექვსი წლის განმავლობაში ზიდავდენ დან-აბრამოვიჩის მენშევიკურ «სოციალისტ. ვესტნიკს» და ავრცელებდენ. ხოლო მეშვიდე წლიდან ისინი ნ. ჟორდანიას ტუქსვას იწყებენ და ნ. ჟორდანიაც მათ გულმოსულ წერილებს უგზავნის, ვით სატრფო მიტოვებული. რუსეთის ხალხში დიდი ცვლილებები მოხდა და როგორიც არ უნდა იყოს რუსეთ საქართველოს ურთიერთობა მომავალში, ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს რუსეთში იმ სახის რევოლიუციონურ განწყობილებას, რომელიც ჰკვებავდა ჟორდანიას აზნაურულ სოციალიზმს, და ვერც საქართველოში აღსდგება მკვდრეთით ის გაპროლეტარებული აზნაურობის კლასი, რომელმაც წარმოშვა ნ. ჟორდანიას პარტია.

მენშევიკების დიდი ნაწილი მალე აცოცდა ამ ახალ ტალღაზედ და მას ქეჩოზედ მოექცა. ისინი იქ კომუნისტებზედ უფრო თავ არ გრძნობენ თავს. ნაწილი ეროვნულ-დემოკრატიულ ხაზს უერთდება, ზოგი მორცხვად და ზოგი გაბედულად. ერთი ნაწილი კი კიდევ ძველს პოზიციებზედ იბრძვის. მაგრამ ამათშიც მეტად შესუსტებულია ძველი მენშევიკური სული. ვერავინ გაიგებს რა შეხედულობა და გეგმები აქვთ მათ, როგორ უყურებენ ჩვენი პოლიტიკის მთავარ კითხვებს. ათასი აზრია, ათასი შეხედულობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ არავითარი აზრი, არავითარი იმედი ძველი მდგომარეობის აღდგენისა და

დაბრუნებისა.

ახალგაზრდობა კარგი ხანია არ ემატება ამ სამარისაკენ მიმავალ წრეს. რაც შერჩა, ისიც განზედ იყურება. მას არ აღფრთოვანებს ის მემკვიდრეობა, რომელსაც ნ. ეორდანია უმზადებს მას: პასიური აუარება, აქტივი არავითარი. ყოველი ჭკუამყოფელი მემკვიდრე უარს ამბობს ასეთს მემკვიდრეობაზედ. ეს ახალგაზრდობა უფრო ვიქტორ ნოზაძის აზრებს ემხრობა: ეხლა ერი ია დემოკრატია, ხოლო რაც შეეხება სოციალიზმს ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთო. ნ. ეორდანიას მენშევიზმისაგან აქ არაფერია დარჩენილი. არის მხოლოდ მორცხვობა და გაუბედაობა, რაც სრულებით არ შეეფერება არც ამ წრის ჰასაკს და არც ჩვენი ერის მდგომარეობას. ძველ მენშევიზმთან ძლიერ მცირე რამ აქვს საერთო სეით დევდარიანის ხაზს, თუ გრიგოლ ლორთქიფანიძისას, რომელმაც, ნ. ეორდანიას სიტყვის მიხედვით «დაივიწყა მარქსი» და გლეხობას რეპრესიებით კი არ ემუქრება, არამედ კიდეც მფარველობს მას.

ცალკე დგას ირაკლი წერეთელი თავის ფრაქციით. მენშევიკურს პარტიაში ის ჰამლეტია, დანიის პრინცი. ის ხშირად მიმართავს მენშევიკებს გეტრუდას — ნ. ეორდანიას, მწარე მხილებით: «სხივოსანს მწვერვალს რაღად დასცილდი, მყრალსა ჭაობში რადა გაქვს ბინა». ირაკლი წერეთელს კიდევ ჰგონია, რომ ნ. ეორდანიას წრე ქართნებში არის წარმოშობილი და არა რკინისგზის ბუფეტებში. მას აგონდება რუსული მენშევიზმი, სადაც იყო ეს მუშური ელემენტიცა და რუსული მენშევიკური იდეოლოგია. იქითკენ იწვევს შემცდარ ნ. ეორდანიას. ირაკლი წერეთელი ვერ ამჩნევს, რომ ეს აღარ შეიძლება, რადგან ქართული მენშევიზმის ძველი პირობები მოსპობილია, ძველებური მენშევიკური სიცოცხლის წყარო დამშრალია თვით რუსეთში, და მამა მისის, გიორგი წერეთელის გმირების — კიკოლიკის, ჩიკოლიკისა დაკუ-

დაბზიკას შვილები, ნ. ჟორდანიას ამალა, უკვე დაბერებულია, იმედ დაკარგული და დამბლა დაცემული. იდეური სიმტკიცე და აქტიური ნებისყოფა აქ ველარ დამყარდება ამიერიდან ვერც ქართული და ვერც რუსოფილური.

მაგრამ ქართული მენშევიზმის კოშკი სავსებითარ დანგრეულა. ის კიდევ არსებობს, მაგრამ ისე, რომ გარედან მტერს უფსებს თვალს და შიგნით-მოყვარეს. ჟორდანია-რამიშვილის ძალებია აქ გამაგრებული და აბჯარ ასხმული. რიცხვი მათი მეტად შემცირებულია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ. ერთმანეთს ჰბერავენ დაერთმანეთს აჯერებენ, რომ ყოვლის შემძლე არიან და კიდევ უფრო გაძლიერებული წარსულთან შედარებით. ერთი გვარი რომ შეთანხმდა და ერთმანეთს აზნაურობა დაუმტკიცეს. შეიძლება გარეშენიც მოიპოებიან თითოორ ოლა ბრმები, რომელნიც ვერ ხედავენ, რომ ეს დაღუული საქმის უკანასკნელი ამოხრიალებაა. თუ მენშევიკური პარტიის მთავარი კადრი აქ არის, მაშინ ის უკვე აღარ არის პარტია. ხოლო ისეთი მიმდინარეობა, მიმართულება, რომლიც იჭრება და იფლობს ეროვნული ცხოკრების ყველა სფეროებს, ის არასოდეს ყოფილა. ამ წრის ბუნება კარგად გაუცვნია ერთ სახელმწიფოს, რომელიც ზოგიერთებს უწერს პასპორტში—«პროფესიონმენშევისტი». ეს მართლაც ხელობად გადაიქცა, პროფესიად, თავის შესანახავად, პირადი ცხოვრების მოსაწყობად.

ამ მხრივ უთუოდ შესანიშნავი და იშვიათი ხელობაა ეს ჟორდანია-რამიმვილის კამარილია. ოცდა ხუთი წელიწადი რომ საქმეს ასამარებდა, საქართველოს ეროვნულ საქმეს, ამის შემდეგ, უკვე თორმეტი წელი გადის, სწორედ ამ საქმის ხარჯზედ ცხოვრობს და გვარიანადაც ცხოვრობს. თან იმასვე აკეთებს არსებითად, რასაც წინეთ აკეთებდა—კვალ და კვალ სდევნის ეროვნულ იდეას, ეროვნულ მიზნებს.

ასეთი დასკვნა ამ პარტიის შესახებ არ არის სასახელო და არᲪ სასიხარულო. მან დიდი როლი ითამაშა ჩვენს Ცხოვრებაში და მისი სრული გათახსირება, რასაკვირველია, ლახავს და აზიანებს ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას. მაგრამ ეს სინამდვილეა, აშკარა და უდავო სინამდვილე, და მისი არ დანახვა თუ თვალის არიდება მხოლოდ თავის მოტყვილება იქნება. ნ.ჟორდანიას ამალა უკვე ლეშია, როგორᲪ პოლიტიკური მიმდინარეობა და მას მხოლოდ დროებით შეუძლიან Ცხოვრების აყროლება. ამ პ რტიის ზოგიერთი პატრიოტები ამას კარგი ხანია ხედავენ და დაღუპულ გემიდან ნ.ჟორდანიას სახელის გადარჩენას ლამობენ: იქნებ კვლავ გახდეს შესაძლებელი პარტიის აღდგენა ამ სახელის გარშემოვო. ეს საბრალო სიმები ჰფიქრობენ, რომ მათი მამა ნოე მხოლოდ მთვრალია და ამიტომ იშიშვლებს თავს საქვეყნოდ. ერთგულად აფარეს და აფარეს მათ სამოსელი სიშიშვლესა მამისა თვისისა, სანამ ეს სამოსელიᲪ არ დაᲪვდა და ისინიᲪ არ დარწმუნდენ, რომ მათ ნოეს ისეთი სიმთვრალე სჭირს, რომელიᲪ ადამიანს არ გამოეყრება მთელს თავის სიᲪოᲪხლეში. ზოგი კიდევ მისგანკურნვას ნოე რამიშვილის ჩამოშორებით ჰფიქრობდა. არᲪ ეს მოხერხდა. გამოირკვა, რომ ეს ორი ნოე შეხორᲪებული არიან ერთმანეთზე, ვით სიამელი ტყუპები როდიკა და დოდიკა; მენშევიკურ დოსტაქრების დასკენით მათი გაᲜᲪალკევების ოპერაᲪია ორთავეს დაღუპავს და მით მთელ მათ კამარილიასᲪ. ასე ხდება ჩვენს თვალწინ დასასრული ჩვენი Ცხოვრების ავადმყოფურ მოვლენებისაგან უზომოდ გაბერილ მენშევიკური პარტიისა, რომელიᲪ ბევრს ბუმბერაზად და დევ-გმირად ეჩვენებოდა, ხოლო ბატონობა მისი—სამუდამოდ და უკუნითი უკუნისამდე. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

შესავალი . . . . . 3 გვ.
საქართველოს რუსეთთან დაახლოვება და მისი სახელმწიფოებრივობის დამხობა . 8
ორიენტაცია: დასავლეთის თუ ჩრდილოეთის?—10; სისხლიდან დაცლილი ქართული სახელმწიფოებრივობის დაქცევა „მეგობრული" რუსეთის მიერ და ბრძოლა კვლავ აღდგენისათვის—15.
ეროვნული აღვიძების და აღორძინების ხანა 20
დიმ. ყიფიანი—21; ეპისკოპოსი გაბრიელი—23; მესამოციანთა დასი, მათი პატრიოტული მწერლობა და ეროვნული ცხოვრების ყველა დარგების შენების დაწყება—25; ეროვნული ცხოვრების შენება ახალს, მოქალაქობრივს ნიადაგზედ: წოდებრივობა; ახალი მეურნეობის წესები—32; მესამოციანთა მიღწევანი—40; ა. ჯორჯაძე, ნ. ყორდანია მესამოციანთა შესახებ—45; დასკვნა—48.
წოდება, კლასი და ერი ანუ ხალხი . 52
მესამოციანები წოდებრივობის შესახებ—ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე—53; ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა წოდებრივობის შესახებ—61; რუსული წოდებრივობის დამყარება საქართველოში—67; გაპროლეტარებული აზნაურობა და მისი ასპარეზზედ გამოსვლა ნ. ყორდანიას მეთაურობით—72; კლასობრივი დანაწილება ჩვენში—74.
მესამოციანთა პოლიტიკური მიმართულება: ეროვნული დ დემოკრატიული 80
მთლიანი საქართველოს იდეა—85; მეზობლებთან და კერძოთ სომხებთან დამოკიდებულება: ილია, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი—90; ევროპის დემოკრატიის გზით—98; შრომის საკითხი—99; გუთანი და ხმალი—104; მესამოციანთა დემოკრატიული მიმართულება და ნ. ყორდანიას პოლიტიკური ხამოკრა-

ტია-107; ნ. ჟორდენიას ახალი იდეოლოგია: სოციალიზმი თუ სისონაიზმი?—115.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტია 115

პოლიტიკური პარტიები საქართველოში—117; მესამე დასი და რუსეთის სოც. დემ.—120; სოც.-ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები—122; ერ.-დემოკრატიული პარტიის დაარსების პირველი ცდა, შემდგომი თაობის გამოსვლა და მუშაობა საქართველოსა და უცხოეთში—124; მუშათაკლასი და ბურჟუაზია—136; ერ.-დემ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობა—141; დემოკრატია—142; არა-დემოკრატიული მიმართულებანი: მოსკოვი, რომი და ლიოვილი—144; დამოუკიდებლობის ხანა—147; მენშევიკური რეჟიმი: დემოკრატია თუ ხამოკრატია?—152; მიწისა და შრომის საკითხი—159; 1921 წელი—163; ერ.-დემ. პარტიის ახალი განმათავისუფლებელი ბრძოლა--168; პარტიის მუშაობა უცხოეთში--176; საქართველოს მებრძოლი დარაზმულობის ბუნება—180; სახელმწიფოებრივ და არა სახელმწიფოებრივ პარტიათა ბუნება და ხასიათი—183; ჩვენი მომავალი ეროვნული პოლიტიკის უმთავრესი საზრუნავი: აზნაურული, არა მშრომელი პოლიტიკის მშრომელ დემოკრატიის პოლიტიკ. შეცვლა—194.

ორი ფრონტი: ეროვნული ბრძოლისა და ეროვნული ღალატის 200

1922 წლის ინტერპარტიული შეთანხმების ბედი--203; ჟორდანია-რამიშვილის შეთქმულობა საქართველოს მებრძოლ ფრონტის წინააღმდეგ--204; ორი ფრონტი—საქართველოს მებრძოლი ფრონტი და ჟორდანია-რამიშვილის „ფრონტი"—210; აგვისტოს აჯანყების შეფასება ნ. ჟორდანიას მიერ—212; მენშევიკური პარტიის საფუძვლების წაქცევა—216; მიმართულება, პარტია თუ პროფესია?

შეცდომების გასწორება.

ახლად მოწყობილმა სტამბამ ვერ აიცდინა თავიდან შეცდომები ამ თავის პირველს გამოცემაში. უმთავრეს შეცდომებს აქვე ვასწორებთ:

43გვ. ზემოდან 20სტრ. შემდეგ გამორჩენილია: ქართველ ისრაელთა განსათავისუფლებლად იმ უმძიმეს უფლებრივ შეზღუდვებისაგან, რომელსაც განიცდიდენ ისრაელები რუსეთში.

61გვ. ზემ. 5სტ. «ეგ წამი» უნდა იყოს-ეგ ნამი.

75. 17- ეს საღი, უნდა იყოს: ეს ახალი.

104. 15- ამაგრებს, უნდა იყოს: ამყარებს.

110. 1- დაღალული, უნდა იყოს: დაღარული

113. 23 ამისთანა სოციალისტური. ამის შემდეგ გამორჩენილია: გეგმა.

130. 9-გეზის მიხედვით, უნდა იყოს: გეზის მხრივ.

131. 7- 1908წ., უნდა იყოს: 1913წ.

139. 8-გამოსაცხობად. უნდა იყოს: გამოსაცნობად.

24 ბოსტანში, უნდა იყოს: ბუდეში.

155. 21-უნდა იყოს: მთებით და ზღვებით.

160 8-ზომები, უნდა იყოს: ნორმები.

163 5-უნდა იყოს: თავის მინისტრებზედ.

163 9-ემსახურება, უნდა იყოს: ემყარება.

27-მართლაც, უნდა იყოს: მათაც.

169 16-უნდა იყოს: ზამთარ-გაზაფხულს.

174 28-უნდა იყოს: ეროვნულ ბრძოლად საღდება.

175 სპრიან, უნდა იყოს: სუჯიან.

192 უნდა იყოს: დანაშაულის პასუხისმგებლობა.